
საქა… ბეჭედია ბაჲაოლო და თბილის… – შიგ ჩასმული ბადახში
…ები®
www.tbilisebebi.ge
№40
6-12 ოქტომბერი * ფასი 1,50 ლარი
კვირის ფრაზები
* შვილი რომ დებილი გამოსულიყო, იმაში იხდიდნენ ფულს
* არც მიშას უყვარს თაკარა მზეში, სანაპიროზე რუჯის მიღება, მაგრამ საყვარელი ქალისთვის მსხვერპლი გაიღო
* „ნაგვიყლაპიას" დახმარებით ნაგვის ურნაში ჩაყრა სასიამოვნო პროცესი გახდება
* რასაც ხალხი შეურაცხყოფას ეძახის, ჩემთვის „იავნანასავითაა"
გვ. 78
რა დაუტოვა დათო აქუბარდიას მიხეილ სააკაშვილმა მემკვიდრეობით და რა შეუკვეცა მას ცოლმა „კავკასიაში"
რას დააჭერინებდა ხელში ქართლის დედას „მძიმე კაცი" და რომელ ქართულ ტრადიციას მიიჩნევს ის სიყალბედ
გვ. 15 და მარაზმად
გვ. 87
ვინ გახდა ზუზუს ცხოვრების თანამგზავრი და რატომ გადაწყვიტა მისი ბედი ერთმა ჩახუტებამ
გვ. 83 MONEY MOVERS როგორ შეძლებს თანამედროვე მაცივარი საჭირო პროდუქტის შეკვეთას და რაში დაეხმარება მას ელექტრონული ფული
რა მსხვერპლზე მიდიოდა სოფო ბედიას საყვარელი მამაკაცი და როდის გეგმავენ ისინი ესქსტრავა-განტური ქორწილის გადახდას
გვ. 23
გვ. 12
როგორ იყოფა სვანეთში ქონება და რატომ ამაყობს ამით სოსო ჯაჭვლიანი
როგორ იქმნება არაფრისგან ყველაფერი „პრინცესა მატილდა მიურატის სახელოსნოში" და როგორ ცხოვრებაზე თქვა მან უარი
გვ. 13
გვ. 22
რა როლს ასრულებს საკუთარ ფილმში რატი წითელაძე და მისი ცხოვრების რომელი მომენტები ემთხვევა ფილმის სიუჟეტებს
მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# კანის პრობლემები ბავშვებში



## რატომ ჩნდება გამონაყარი და როგორ მოვუაროთ კანს ბავშვთა ასაკში?

კანის ბარიერული ფუნქცია უდიდეს როლს ასრულებს გარემო ფაქტორების ზემოქმედებისგან ორგანიზმის დასაცავად. ბავშვების, განსაკუთრებით ახალშობილების კანი თხელი და ნაზია, ხოლო მისი ბარიერული ფუნქცია არასრულადაა ჩამოყალიბებული. შესაბამისად, გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით იგი ადვილად ზიანდება. დაზიანებული კანი კი ხშირად ხდება ორგანიზმში ბაქტერიების და სხვადასხვა მიკროორგანიზმების მოხვედრის მიზეზი. ამიტომ, ახალშობილის კანს განსაკუთრებული მოვლა და დაცვა სჭირდება.

ბავშვებში ყველაზე ხშირია კანის ისეთი პრობლემები, როგორიცაა კანის სიმშრალე, გამოყელვა, ნასიცხი, ატოპიური დერმატიტი, მწერის ნაკბენი და სხვა.

**კანის სიმშრალე** განსაკუთრებით დამახასიათებელია ახალშობილებისთვის და 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, რადგან ამ ასაკში კანის ცხიმოვანი სეკრეტის გამოყოფა ძალიან მცირეა. კანის სიმშრალის განვითარებას ხელს უწყობს საპნის (განსაკუთრებით თუ საპნის PH<5.5) ხშირი გამოყენება, დაბალი ტენიანობა და გამომშრალი ჰაერი ბავშვის ოთახში. კანის სიმშრალის დროს კანის გარეთა რქოვანა შრე ზიანდება, რითაც ირღვევა კანის ბარიერული ფუნქცია. მშრალ კანს ახასიათებს აქერცვლა, მცირე ნახეთქების წარმოქმნა და ქავილი. კანის მთლიანობის დარღვევა ხელს უწყობს დაინფიცირებას ბაქტერიული და სოკოვანი მიკროორგანიმებით.

ბავშვებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა "**გამოყელვა**" (დაოდვილობა). მისი მიზეზია კანის დაინფიცირება სხვადასხვა ბაქტერიული და/ან სოკოვანი მიკროორგანიზმებით. "გამოყელვას" ხელს უწყობს კანის მუდმივი გაღიზიანება განავლით, შარდით, ოფლით ან კანზე უხეში თეთრეულის ხახუნით, აგრეთვე ალერგიული რეაქციები. გამოყელვა ყველაზე ხშირია დუნდულებსა და სასქესო ორგანოების მიდამოში ("საფენის დერმატიტი"), თუმცა, შეიძლება განვითარდეს ასევე მუცლის ქვედა ნაწილში, იშვიათად - კისრის, იღლიის, საზარდულისა და სხვა ნაკეცების არეში. გამოყელვა თავდაპირველად ვლინდება კანის შეწითლებით მისი მთლიანობის დარღვევის გარეშე. ზოგჯერ შეიძლება ახლდეს ბუშტუკებისა და ქერცლის წარმოქმნა. მოგვიანებით გამოყელვა რთულდება შეშუპების, სისველის, ეროზიების, წყლულების და ჩირქოვანი გამონაყარის განვითარებით.

**დერმატიტი** კანის ინფექციური ან ალერგიული დაავადებაა, რომელიც ვლინდება კანის სიმშრალით, სხვადასხვანაირი გამონაყარითა და ქავილით. დაავადების სიხშირე ადრეული ასაკის ბავშვთა შორის 20%-ს შეადგენს. ხშირად დაავადება ვლინდება ბავშვის ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის შემდეგ. ალერგიულ ფაქტორებს შორის წამყვან როლს ასრულებს კვებითი ალერგენები. ბავშვებში დერმატიტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ე.წ. დიათეზი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ლოყების მკვეთრი შეწითლება და სიმშრალე, ნახეთქების, ბუშტუკების წარმოქმნა, გამონადენი, შეშუპება და ფუფხი. ძლიერი ქავილი იწვევს უძილობას, ტირილს, აგზნებადობას.

ბავშვებს, განსაკუთრებით – ზაფხულობით, ხშირად უჩნდებათ გამონაყარი, რომელსაც **ნასიცხს** უწოდებენ. ნასიცხი წითელი წვრილწინწკლოვანი გამონაყარია, რომელიც ოდნავ არის ამოწეული კანის ზედაპირიდან. თანდათან შესაძლოა მათ ადგილას სითხით სავსე პატარა ბუშტუკები წარმოიქმნას. გამონაყარი მეტწილად კისრის, ზურგის, დუნდულების არეში ჩნდება. მას იწვევს ჰაერის მაღალი ტემპერატურა, ზედმეტად თბილი სამოსი, არაჰიგიენური ტანსაცმელი ან სველ საფენებში ბავშვის დიდხანს დატოვება.

**მწერის ნაკბენი** განსაკუთრებით აქტუალური ზაფხულში ხდება. ყველაზე ხშირია კოღოს ნაკბენი, რომელიც ვლინდება ერთეული ან ჯგუფური კვანძოვანი წითელი გამონაყარით და ხშირად იწვევს ქავილს. ზოგჯერ მწერის ნაკბენის მიმართ ვითარდება ალერგიული რეაქცია, რაც იწვევს მწერის ნაკბენის ზომაში გაზრდას და ძლიერ ქავილს. ხშირია ნაკბენის დაინფიცირება სხვადასხვა მიკროორგანიზმებით.

სპეციფიკური მკურნალობის დანიშვნამდე (ანტიბაქტერიული, ანტიმიკოზური, ალერგიის საწინააღმდეგო პრეპარატები, კორტიკოსტეროიდები), კანის დაავადებების ან დაზიანებების მკურნალობა მიმართული უნდა იყოს კანის დატენიანების, კანის უჯრედების ნორმალური სტრუქტურისა და ფუნქციის აღდგენა - შენარჩუნებისკენ. ამ მიზნით შესაძლებელია კანის დამატენიანებელი და აღმდენი კრემების გამოყენება. აგრეთვე, ყოველდღიური მოვლისთვის საპონი, შამპუნი, სარეცხი ფხვნილი და ლოსიონები უნდა შეიცვალოს ნაკლებად ალერგიული და არაკოსმეტიური საშუალებებით.


კორესატინის® კრემი აღადგენს კანის ბარიერულ ფუნქციას და აუმჯობესებს კანის ბუნებრივ აღდგენით პროცესს. კორესატინის კრემი სპეციალურადაა შექმნილი პედიატრიული პაციენტებისათვის და შეიცავს ინოვაციურ ფორმულას: ალანტოინს, ალოეს ექსტრაქტს, კარიტეს ცხიმს, შარდოვანას, მინერალურ ზეთს, პიტნის ზეთს, B6 და E ვიტამინებს და პანთენოლს.

კორესატინი® არ შეიცავს სტეროიდებს, ანტიბიოტიკებს ან ანტიმიკოზურ საშუალებას, და აბსოლუტურად უსაფრთხოა ხანგრძლივად და ყოველდღიური გამოყენებისთვის კანის ნებისმიერ უბანზე, მათ შორის საფენის ქვეშ გამოსაყენებლად.

კორესატინი® ამშვიდებს კანს, ინარჩუნებს მის ტენიანობას და სიგლუვეს, ხელს უწყობს შეხორცების პროცესს, რაც მნიშვნელოვანია კანის ისეთი დაავადებების დროს, როგორებიცაა გამოყელვა, კანის სიმშრალე, ატოპიური დერმატიტი, ნასიცხი, მწერის ნაკბენი და ა.შ.

კორესატინი® თხელ ფენად ეკვრის დაზიანებული კანის ზედაპირს, ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით და კანს ხდის შეუვალს მიკროორაგანიზმებისთვის. კორესატინი® ამცირებს კანის დაჭიმულობას, გაღიზიანებას და აქერცვლას, ხსნის ქავილს. კანი ხდება ელასტიური და მოძრაობა არ იწვევს დისკომფორტს.

კორესატინი® ბავშვთა კანის დაავადებებისთვის გამოიყენება 3-6-ჯერ დღეში დაზიანების სიმძიმის მიხედვით. განკუთვნილია გარეგანი გამოყენებისთვის. შეიწოვება სწრაფად, აქვს სასიამოვნო სუნი.

კორესატინი® უსაფრთხოა ყოველდღიური გამოყენებისთვის სიცოცხლის პირველივე დღიდან.



სტატია მოამზადა:
"პროგრესული ექიმების გაერთიანება"
www.Med-Doctor.net



კორესატინი®
იფიქრე სტეროიდების გარეშე.
ბავშვთა კანის დაავადებებისათვის




30 გ კრემი

- კანზე გამონაყარი, სიწითლე
- კანის აქერცვლა, ქავილი
- საფენის გამონაყარი, გამოყელვ
- დერმატიტი, ფსორიაზი
- მწერის ნაკბენი

სწრაფად ხსნის ქავილს, ამცირებს აქერცვლას და სიწითლეს.

ინოვაცია ბავშვის კანის დასაცავად
უსაფრთხოა ყოველდღიური გამოყენებისათვის!
მწარმოებელი – Corena Therapeutics Sarl, შვეიცარია

# „აბანოთუბნელი აზა" - ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## რატომ გადაიღო ფილმი აზა დავითაშვილზე ცნობილმა რეჟისორმა და როგორ ხატავს ის ადამიანების მომავალს

***აზა დავითაშვილი** თბილისში ცნობილი ნათელმხილველია. მის ამოუცნობ ფენომენზე ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა. ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა კი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, მასზე ფილმი გადაიღო. წლების განმავლობაში ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელ აზას" უწოდებდნენ. მოგვიანებით, მას ჰქონდა კერძო მიწვევები რუსეთში, ისრაელში, უკრაინაში, თუმცა თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად" დარჩა. ის ერთადერთი ნათელმხილველია, ვისაც თქვენი მომავლის განჭვრეტა და „დახატვა" შეუძლია. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი – არც იმას ამბობს ხშირად, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი გახლდათ. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს. აზა დავითაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება*

**აზა დავითაშვილი**: 40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. ბოლო პერიოდში ბევრი ადამიანი მოდის ჩემთან პირადი და ფინანსური პრობლემებით. ზოგი უმიზეზოდ გარბის ოჯახიდან და ანგრევს ყველაფერს. უმრავლესობას კი, გაუსაძლისი ფინანსური პრობლემები აწუხებს. ყველაზე ხშირად მოდიან ადამიანები, რომელთაც დახმარება სჭირდებათ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაში, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ფინანსურ პრობლემებზე. კარმულ პრობლემებს, რაც ბევრ ადამიანს უნგრევს ცხოვრებას, სხვადასხვა მეთოდებით უნდა შველა. ამ მეთოდებში შედის ექსტრასენს-ნათელმხილველთა საშუალებები, თილისმები. ბევრს არ სჯერა ჯადოს ზემოქმედების. ზუსტად ასეთებზე ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება. თუ ადამიანს კოშმარული აკვიატებები აქვს საკუთარ ცხოვრებაში მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავს, მძიმე ფიქრებით იტკიებს თავს, არასიცოცხლისუნარიანია და ვერ ხედავს მომავალს, ეს არის ჯადოს სიმპტომები. იმ ჯადოსი, რომელიც ადამიანმა თვითონ განუსაზღვრა საკუთარ მომავალს. სამწუხაროდ, ჯადოს, ავის მოსურნეთა მზერას, შურს, წყევლას, გათვალვას დიდი ზიანის მიყენება, იშვიათად კი, სიკვდილის გამოწვევაც შეუძლია. დღეს ძალიან გავრცელებულია ნეგატიური ზემოქმედებით დანგრეულ ოჯახთა რიცხვი. არსებობს უამრავი პროცედურა, რომელთა მეშვეობითაც, შავი ძალების ზემოქმედება უნდა განეიტრალდეს და ადამიანის ცხოვრება გაიხსნას სიკეთის მისაღებად.



***აზა დავითაშვილთან უამრავ ადამიანს შეხვედებით, ისინი ქალბატონი აზას შესახებ საოცარ ისტორიებს ყვებიან. ჩვენ რამდენიმე მათგანის შთაბეჭდილებებს შემოგთავაზებთ.***

**მარინა გ-ძე** ***(58 წლის, თბილისი):*** აზა დავითაშვილს ვინ არ იცნობს, მასზე საოცარი ისტორიები პირველად, ოცი წლის წინ გავიგე. თბილისში ყველა იმაზე ლაპარაკობდა, თუ როგორ დაუბრუნა დაკარგული ხმა ცნობილ მომღერალს, რომელსაც პიანინოში მკვდარ ჩიტზე გაკეთებული ჯადო უპოვა. ქალბატონი აზა იმ პერიოდში გავიცანი, როცა ოჯახში დიდი პრობლემები გვქონდა – ჩემი შვილი დაიჭირეს უცხოეთში, რის შემდეგაც ჩემი მეუღლე, რომელიც თანამდებობის პირი იყო, ლოგინად ჩავარდა. მახსოვს, აზამ კარტი რომ გამიშალა, ყველაფერი სიტყვასიტყვით მითხრა. კარტის გაშლაში ამ ქალზე ძლიერი არც ერთი სხვა ნათელმხილველი არ არის. აზას თილისმების მეშვეობით (ორი თვე დავდიოდი პროცედურებზე) იმ საშინელ მდგომარეობას თავი დავაღწიეთ – მეუღლე დღესაც ჯანმრთელადაა. ჩემი შვილის ცხოვრებაც ისე წარიმართა, ყველა დედა რომ ინატრებს. დღეს ქალბატონ აზაზე ძვირფასი და ახლობელი არავინ მყავს. მის ფენომენალურ უნარს სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ერთი რამ მინდა ვთქვა, როგორც კი ქალბატონი აზა კარტს ხელს მოჰკიდებს, ეხსნება ნათელხილვის საოცარი უნარი. ის, რასაც ის კარტის მეშვეობით ხედავს, მხოლოდ ბუნების ნიჭია.

**ვალერი გ-ძე** ***(38 წლის, რუსთავი):*** ქალბატონი აზა ჩვენს ოჯახს ფინანსური პრობლემების დროს დაეხმარა. ბინას ვკარგავდით იპოთეკურ სესხში. არანაირი გამოსავალი არ არსებობდა, როცა დედაჩემი აქ მოვიდა. თქვენ რომ იცოდეთ, როგორ შემოატრიალა მან ჩვენი ცხოვრება უკეთესობისკენ – რვა წელი უმუშევარი ვიყავი, სახლში კაპიკი ვერ შემქონდა. იმ თილისმების შემდეგ კი, რაც ოჯახის ყველა წევრმა ვატარეთ, ჩვენი ცხოვრება შეიცვალა – სახლიც გადავარჩინეთ დაკარგვას და დღეს მეც კარგი სამსახური მაქვს.

***გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?***

***ქალბატონ აზასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08, 593 56-10-39. მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი", გუთნის ქ. №42.***

**თამარ ჩხენკელი**

# სარჩევი


რა კატაკლიზმებია მოსალოდნელი საქართველოს ტერიტორიაზე და რამ შეიძლება, გამოიწვიოს მეწყრების გააქტიურება ..... 6

თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ და სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი დაუყოვნებლივ მიაკითხეთ ექიმ თინათინ მაჩაიძეს ..... 7

რატომ აიძულებდა დედა თავის 13 წლის შვილს პროსტიტუციას და რა ბედი ელით მშობლებისთვის ჩამორთმეულ ბავშვებს ..... 8

რამდენი ასეულ ათასი ლარი მოუტანა სოფიო ბრიტანჩუკს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობამ 6 წლის განმავლობაში ..... 9

როგორ აპირებს რუსეთი, გამოიყენოს ტერორისტული ისლამური სახელმწიფოს შექმნის ფაქტი საქართველოსა და აზერბაიჯანში შემოსაჭრელად ..... 10

რატომ ავიდა ირაკლი შიხიაშვილი ზესხოზე და ვინ ვერ „გადაიბირა" ის ამერიკაში ..... 14

აქვს თუ არა ცირკის მიმდებარე ტერიტორიას საკუთარი ისტორია და ტრადიციები და რატომ აპროტესტებენ ქართველი ტრანსსექსუალები გახშირებულ რეიდებს ..... 16

როგორ მოხდა ტრიო „მანდილის" ცნობილი ვიდეოს – „აპარეკას" გადაღება და რომელი სიმღერით ჩააგდეს გოგონებმა მსოფლიო ტრანსში ..... 18

რა მეთოდებით ცდილობს ზოგიერთი ქალი მამაკაცის შენარჩუნებას ..... 20

როგორ დაკარგეს ნათესავებმა ერთმანეთი და როგორ ეძებს ბაბუა შვილიშვილებს საქართველოდან უკრაინაში ..... 21

როგორ განწმენდენ შვილები მშობლებს ცოდვილი მდგომარეობისგან და რა ცოცხალი კავშირი არსებობს ჭირისუფლებსა და მათ გარდაცვლილებს შორის ..... 24

მეფური წარმოშობისა და ებრაული გენის მქონე ბრიტანელი პოლიტიკოსი ..... 27

რა ინფორმაციებს იღებდა სერგო ფარაჯანოვზე ედუარდ შევარდნაძე და ვის ემუდარებოდა ის რეჟისორისთვის ხელი არ შეეშალათ ..... 30

როგორ ადამიანებს მფარველობენ გარდაცვალების შემდეგ დედამიწაზე დარჩენილი სულები და რა პერიოდში ვხედავთ გამაფრთხილებელ სიზმრებს ..... 32

როგორ შეხვდა შობის დღესასწაულს სტალინი რუსეთის პატრიარქთან ერთად ..... 39

რატომ არის საწვავის სისტემის პრობლემები რთულად მისაგნები ..... 54

ვეტერინარის რჩევები ..... 55

კაცობრიობის გადასარჩენად ..... 56

მაფიის შვილობილი ..... 60

ერევანში მსოფლიოს ჩემპიონის ბინიდან მოპარული ოქროს ჭადრაკი თბილისელმა ქურდმა პატრონს ბაქოდან გაუგზავნა ..... 64

როგორ იძია მამაკაცმა შური ცოლზე, რომელიც მის მეგობართან ერთად გაიპარა ..... 65

როგორ „იფხანს გულს" განაწყენებული დათო როსტომაშვილი სუფრაზე და როდის გამოსდის მას თამადობა ყველაზე კარგად ..... 70

რამდენი ადამიანი იკარგება ყოველწლიურად ანომალიურ ზონებში და სად მდებარეობს დედამიწაზე სამყაროებს შორის გადასასვლელი შავი ხვრელები ..... 72

როგორ უნდა აღვზარდოთ ბავშვი, რომ ტყუილს არ მიეჩვიოს ..... 73

როდის შეებრძოლნენ ქართველები და რუსები პირველად ომში ერთმანეთს ..... 76

როგორ სწირავდნენ მსხვერპლს გალები ..... 77

როგორ და რა ვითარებაში ზრდიდა იასონ ბადრიძე მგლებს ოროთახიან ბინაში და ერჩოდნენ თუ არა გარეული ცხოველები მის ბავშვებს ..... 80

რით არის თრუსოს ტრავერტინები უნიკალური მსოფლიო მასშტაბით და რის გამო კარგავს ის თავის უნიკალურობას ..... 81

# „ქეციანები“

## ანუ ენის ფხანა

მართალია, **ჩვეულებისამებრ, დიდი სჯაბაასია, ევროსაბჭოს რეზოლუცია უფრო მეტ დადებითს შეიცავდა თუ უარყოფითს** (თუმცა, წესითა და რიგით, არც ერთი არ უნდა იყოს პრობლემა; არა, რადგან, **თუ უარყოფითი სჭარბობს დადებითს, ესე იგი, დემოკრატიულად ზრდის პროცესში ვართ**), მაგრამ, სამაგიეროდ, **ცალსახადაა ცნობილი, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას შორის, მედიის თავისუფლების ინდექსით, პირველ ადგილზე ვბრძანდებით**.

**ჩვენ შემდეგ მოლდოვაა,** იმის **იქით – უკრაინა**, მომდევნო ადგილები კი შემდეგნაირადაა განაწილებული: **სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელორუსი** (ოღონდ ისიცაა, რომ ეს **უკანასკნელი სამი, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, არანაირ გაფართოებას არ აპირებს;** მეტიც, **თვალი ჩრდილოეთისკენ უჭირავთ ან აჭერინებენ**).



ასეა თუ ისე, **კვლევით შეფასებულია გამოხატვის თავისუფლების დონე**, რაც შემდეგ კრიტერიუმებს მოიცავს: პოლიტიკური კონტექსტი, არსებული პრაქტიკა – თავდასხმები, მუქარა და დაკავებები, გამოძიებები, ინფორმაციაზე წვდომის კუთხით ცენზურა და თვითცენზურა; წვდომა მაუწყებლობაზე; წვდომა ინტერნეტზე.

ბუნებრივია, **შედეგი მისასალმებელია, იმის გათვალისწინებითაც, რომ შარშანაც არავისთვის დაგვითმია პირველი ადგილი,** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ, ძირითადად, **ენის ფხანით ვართ დაკავებულნი** (ნაკლებად – ანალიზითა და არგუმენტების მოძიებით), ზედაც, დავამატებთ ილიას დანაბარებს – **ფხანა ქეცმა იცისო** – მათ რომ **გამოხატვის თავისუფლება ჰგონიათ, იქნებ სულაც ქეცის სიმპტომია?!** –

# პატარების დიდი კომპლექსები

## ანუ ორივენიცა

ვიდრე ჩვენ იმაზე **ვდავობთ, ევროსაბჭოს საპარლამენტო რეზოლუციით, ბოლოს და ბოლოს, შეგვაქეს თუ დაგვტუქსეს** (ისე, ერთიცა და მეორეც – ), მაგალითად, ამ ორგანიაზციაში **აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა** სამედ სეიდოვმა **ევროსაბჭოს იქით მოუწოდა კრიტიკისაგან თავის შეკავებისკენ** (ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში საკუთარ იმიჯზე დაფიქრდითო).




ასეთი მკვეთრი განცხადება კი ბ-ნმა **სეიდოვმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ასამბლეის სხდომაზე გამართული დისკუსიისას ითქვა**, რომ **აზერბაიჯანის ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს.**

ჩვენმა **მეზობლებმა გამოცდილი ტაქტიკა აირჩიეს** (თავდასხმა საუკეთესო თავდაცვააო) და **მიკიბვა-მოკიბვის გარეშე განაცხადეს** (მომყავს ციტატა): „თქვენ ამბობთ, რომ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სიტუაცია არადამაკმაყოფილებელია, მე კი გეტყვით, რომ **არადამაკმაყოფილებელი სწორედ თქვენი მოქმედებაა...“**

არადამაკმაყოფილებლად კი ბ-ნმა სეიდოვმა ჩვენი ევროსაბჭოელი პარტნიორები შემდეგის გამო შეაფასა: „განა ევროსაბჭომ არ მისცა რეკომენდაციები საქართველოს სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით? **საქართველომ ყველაფერი გააკეთა, შეასრულა ის, რასაც ითხოვდით, საბოლოო ჯამში კი ტერიტორიები დაკარგა**... უკრაინამაც ყველა თქვენი რეკომენდაცია შეასრულა, ამის სანაცვლოდ კი უბედურებაში აღმოჩნდა, დაკარგა ტერიტორია და ათასობით ადამიანის სიცოცხლე... იგივე შეიძლება ითქვას მოლდოვასთან დაკავშირებითაც“.

ხოლო გამოსვლა **რიტორიკული კითხვით დაასრულა: „რატომ გგონიათ, რომ აზერბაიჯანთან მიმართებით თქვენი რეკომენდაციები წარმატებულ შედეგამდე მიგვიყვანს?!“**

ბუნებრივია, მე **არ მაქვს პასუხი ამ კითხვაზე,** თუმცა, თუ **ჩვენს ჩრდილოეთით დაწყებულ საბჭოთა „რიმეიქს“ გავიხსენებთ,** აშკარაა, **ევროპის იქით გზა არ გვაქვს** (იმისდა მიხედვით, ნახევრად დაგვაკმაყოფილებს თუ სრულად), **რაც უნდა ჭეშმარიტებას ღაღადებდეს ჩვენი მეგობარი აზერბაიჯანის წარმომადგენელი ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნიდან.**

# ტერიტორიებდასაჭრელები

## „მშვიდობისმყოფელის“ მანტიაში

გასულ კვიარს **ვიცე-პრემიერმა დმიტრი როგოზინმა**, რომელიც რფ-ის მთავრობაში თავდაცვის სფეროს კურირებს, განაცხადა, **რომ რუსეთის ფედერაცია ყველა ღონეს იხმარს, რათა დაიცვას თავისი მოქალაქეები დნესტრისპირეთში** და ნათქვამს **ინსტრუქციაც, ანუ სავარაუდო სცენარიც კი მოაყოლა** – თუ მოლდოვაში **უკრაინის სცენარი განვითარდებაო.**

მეტი სიცხადისთვის ციტატას მოვიშველიებ: **„არ არის საჭირო ილუზიები იმის შესახებ, დაიცავს თუ არა რუსეთი თავის მოქალაქეებს და არ არის საჭირო ჩვენი მოთმინებისა და ძალის გამოცდა** (თორემ, დაგაჭრით, თუ მთლად ყურებს არა, ტერიტორიებსო).“ –

მეტიც, დნესტრისპირეთის დე-ფაქტო **პრეზიდენტ სეპარატისტ** ევგენი შევჩუკთან შეხვედრისას ბატ. დმიტრი იმასაც დაგვპირდა (თუმცა ჩვენ რა, **შევჩუკს დაჰპირდა),** რომ რუსეთის სჯერა მათი და არასდროს, **არასდროს წავა დნესტრისპირეთიდან**, რამეთუ **დნესტრისპირელთათვის ის ერთადერთი სტაბილური და საიმედო მშვიდობისმყოფელია.**

თავის მხრივ, **რუს პოლიტოლოგთა წრეში ბატ. როგოზინის ამგვარმა პოლიტაღტკინებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია,** პათოსით, **ტყუილად აიმედებს, თვით უკრაინაშიც კი ვერ მიიყვანა საქმე ბოლომდეო** და **იმედებიც გაუცრუა დონბასელ რუსებსო.**

თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ უკრაინა, როგორც სახელმწიფო, თითქმის განადგურდა, ვფიქრობ, ბატ. **როგოზინის გზავნილი მეტად ნათელია:** თუ დნესტრისპირელებს ვერ დაიცავს, **მოლდოვას ხომ მაინც გამოუყვანს წირვას?!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# სა-უცხო-ო დოკუმენტი

## ანუ ვის რა უმუშავებს

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თავის რეზოლუციაში მოგვიწოდა, ყოფილებს მთლად კანონის მთელი სიმკაცრითაც ნუ დაერევით**, იმიტომ რომ, **გვაშფოთებს,** ემანდ, **პოლიტიკური დევნა არ იყოსო**, ამიტომაც დაგვიბარეს – **გამჭვირვალედ იმოქმედეთო** (რაც მიუთითებს, რომ **ძველებს ისევ კარგად უმუშავებთ პიარი, ახლები კი ფიქრობენ, რომ საქმემან შენმან უნდა გამოგაჩინოს**, რის იმედზე ყოფნაც ოცდამეერთე საუკუნეში, თუნდაც, ამ რეზოლუციით თუ ვიმსჯელებთ, არ შეიძლება, **რადგან დასავლეთშიც მხოლოდ თვალი ჭამს და სვამს**).



ხოლო, რაკი **პიარიც კარგად უმუშავებთ** და **სამოქმედო გეგმაც**, სავსებით ბუნებრივია, **აწ დაპატიმრებული ყოფილი მაღალჩინოსნების ადვოკატებმა** (სხვათა შორის, აი, იმ ადვოკატებმა, რომლებიც წინა ხელისუფლების ბობოლები იყვნენ და აინუნშიც არ აგდებდნენ ევროსაბჭოს რეკომენდაციებს, ვინაიდან, მიაჩნდათ, რომ მოსაკლავი უნდა მოიკლას) **მოსამართლეს საქმისთვის ევროსაბჭოს ასამბლეის რეზოლუციის დართვა მოსთხოვეს.**

და თუმცა **ბრალდებამ ტანზე შემოიხია** (ისე, ჯობდა უტყუარი მტკიცებულებები გაემრავლებინათ), რეზოლუციას საქმესთან კავშირი არ აქვს და, საერთოდაც, **მხოლოდ რეკომენდაციააო, მოსამართლემ სხვაგვარად განსაჯა** (და, ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ მისი სინდისის საქმეა). სახელდობრ, ბრძანა: **„დოკუმენტი საკმაოდ გავლენიანი ორგანიზაციის მიერ არის მიღებული** და ვინაიდან უშუალოდ არიან ნახსენები ბრალდებულები, არ არსებობს წინაპირობა რომ იგი საქმეს არ დაერთოს“, ანუ, **უცხო კვლავაც სა-უცხოოაო.** –

როგორც უნდა იყოს, რეზოლუციაში ნათქვამია: **„ორი წლის შემდეგ ყოფილი მმართველი პარტიის თითქმის ყველა მაღალჩინოსანი დაპატიმრებულია, წაყენებული აქვს ბრალდებები ან გამოძიების ქვეშაა.**“

ხოლო, **თუ წაყენებულ ბრალდებებს გავიხსენებთ, შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია,** რომ **საკუთარ ჩინოვნიკებს მიწიდან ამოიღებდნენ, მათ შესახებ იმის მეათედიც რომ გაეგოთ, რისთვისაც ჩვენი ყოფილები სასჯელს ელიან.** და თუმცა, მე არ ვიცი, **არის თუ არა სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ ევროსაბჭოელთა სამაგიდო წიგნი**, ჩნდება ეჭვი, რომ, **იგავური ლომივით, პოზაში ჩამდგარან** (აბა, ჩემს შვილს ხომ არ მოვაჭრი თავსო)?! –

# „სიტყვის საზღვარი“

## ძალუმად გადემოკრატიულებულები

თუმცა ჩვენს **ჩრდილოეთით ინტერნეტის შეზღუდვას აანონსებდნენ,** თავისი სოციალურქსელებიანად, გასულ კვირას **პრ.-მა პუტინმა რუს საზოგადოებას** რუსეთისვე საზოგადოებრივი არხით **აცნობა, რომ, ვინაიდან დემოკრატიული ქვეყანაა, არანაირი შეზღუდვები არ დაწესდება** (უბრალოდ, ვერ დავაწესებთ, **იმდენად ძალუმად გვიცემს გულები დემოკრატიის სიყვარულითა და თაყვანისცემითო**).

მაგრამ, მეორე მხრივ, **სახ-„დუმაში“ ამზადებენ ცვლილებებს კანონში მედია-საშუალებების შესახებ**. სახელდობრ, აპირებენ, **რედაქციები დაავალდებულონ, წინასწარ მიუთითონ თავიანთი პროფილი და ამ მითითებული პროფილის მკაცრ ჩარჩოებში იმოქმედონ.**

იდეის ავტორი „დუმელი,“ ვინმე ვადიმ **დენგინი დარწმუნებულია, რომ საინფორმაციო ომის ეპოქაში ჟურნალისტებს „საზღვრები ესაჭიროებათ“** (იმიტომ, რომ უსაზღვრო მხოლოდ რფ უნდა იყოს?!).

მართალია, **იდეა ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია,** თუმცა ვარაუდობენ, რომ 2015 წლიდან ყველაფერი გაირკვევა. მანამდე კი დაადგენენ, თუ რა უნდა მოიაზროს ცნებებში: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური“, „გასართობი“, „საბავშვო“.

ბუნებრივია, **თვით რფ-ელი ჟურნალისტებიც კი ამ იდეას ნეგატიურად გამოეხმაურნენ**, თუმცა თავად **დენგინი გაკვირვებულია** (მომყავს ციტატა): **„მაშინ, როდესაც ქვეყანაზე** (იგულისხმება რფ) **მასობრივი საინფორმაციო შეტევაა,** ადამიანები, რომლებიც სპეციალიზებულები არიან გასართობ მედია-საშუალებებზე, შეისყიდიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მედია-საშუალებებს და წერენ პოლიტიკაზე (ეგ თავხედები, ეგენი!)“.

სხვათა შორის, ხსენებული **დენგინია ავტორი კანონპროექტისა, რომელიც უკრძალავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ფლობდნენ მედია-საშუალების წილის 20 პროცენტზე მეტს.**

რაკი იდეა მომწიფდა, ფაქტია, რომ ის განხორციელდება, თუმცა, **იმ მარტივი მიზეზით, რომ, საბოლოოდ, ეს მაინც რფ-ის მოქალაქეების საქმეა, თავს შევიკავებ მათი დამუნათებისგან,** მაგრამ, **თუ პროცესები ამ მიმართულებითა და ტემპებით განვითარდა, შესაძლოა, ამ თამაშ-თამაშში საბჭოური რიმეიქიც მივიღოთ** (მთავარია, ჩვენც არ ჩაგვითრიონ). –

# „იუპიტერი“ VS „ხარი“

## ვინ რით ჭამს „პურსა“

სწორედ და მხოლოდ **აფიშის მეშვეობით შევიტყვეთ, რომ 4 ოქტომბერს დიდი რუსეთის გულში „თბილისობა“ გაიმართებოდა,** ოღონდ, მხოლოდ ეს არა, **დამატებით ისიც გახდა ცნობილი, რომ ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ კონცერტში,** რომელიც, თუ აფიშას ვენდობით (ან კი რატომ არ უნდა ვენდოთ?!), ბაღ „ერმიტაჟში“ გაიმართება (ანუ უკვე გაიმართა), **მონაწილეობას მიიღებდნენ: თამარ გვერდწითელი, სოსო პავლიაშვილი, ირაკლი ფირცხალავა, ლელა წურწუმია და ნინო ჩხეიძე; ასევე, ანსამბლი „მეტეხი“ და „ფრანი“.**

მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელ-მსმენელთა **დასწრება უფასო** არის (იყო), ფაქტია, რომ **მონაწილეები ჰონორარს აიღებდნენ** (ან კი რატომ არ უნდა აეღოთ, როდესაც ამით „ჭამენ პურსა“).

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა **ლამის ანათემას გადასცა „ერისიონი“,** კრემლის საკონცერტო დარბაზში, ანუ ოკუპანტის გულში **კონცერტები რატომ ჩაატარაო**, ახლა კი **სრულიად საზოგადოებაა გატრუნული, მათ შორის, თვით „თავისუფალი ზონაც“,** რომლის **უჩუმრად ჰაერში ბუზს ვერ გაუნავარდია, თუ ის ჩრდილოეთიდან მოფრინავს ან იქით მიფრინავს,** საეჭვოდ **გაუგებარია, რამ დაადუმათ?!**

ვითომ იმან, რომ **ჩამონათვალში ხსენებული ბოლო ორი ქალბატონი ყოფილების მხარდამჭერ-მეგობრებად მოიაზრება;** ხოლო, **რაკი მოიაზრება, რაც ეპატიება იუპიტერს** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქ-ნებს – წურწუმიასა და ჩხეიძეს), **არ ეპატიება ხარს** (ანუ „ერისიონს“ ან ვინმე სხვას), ან, **იქნებ ტყემლით, ანუ „თბილისობა“ მაინც სულ სხვაა?!** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ბოლო ათეული წელია, გლობალური დათბობის გამო, კლიმატი ჩვენს ქვეყანაში შეიცვალა: გაზაფხული თითქოს დაიკარგა, ზაფხული უფრო ხვატიანი გახდა, ზამთარი გახანგრძლივდა, ნალექების ოდენობამაც მოიმატა, რამაც სტიქიური უბედურებები მოამრავლა: უხვი ნალექი ავტომატურად იწვევს მეწყრული სხეულებისა და ღვარცოფების გააქტიურებას, რომელთა ნაკლებობას ჩვენი ქვეყნის ტერიტორია არ უჩივის. თავის მხრივ, კავკასიონმაც შემოგვიტია, რადგან მყინვარმა დნობა დაიწყო. როგორ არის შესაძლებელი სტიქიის დარტყმების მინიმიზაცია და რა უსიამოვნო სიურპრიზებს გვიმზადებს საქართველოს მთაგორიანი რელიეფი შეცვლილი კლიმატური პირობების გამო? – გვესაუბრება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი მერაბ გაფრინდაშვილი.**

# რა კატაკლიზმებია მოსალოდნელი საქართველოს ტერიტორიაზე და რამ შეიძლება, გამოიწვიოს მეწყრების გააქტიურება

**– რა ფაქტორებმა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივი კატაკლიზმების მატება?**

– საქართველო, კატასტროფული გეოლოგიური პროცესების გააქტიურების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ურთულესი რეგიონია და ამის უმთავრესი მიზეზია უკიდურესად სენსიტიური გეოლოგიური აგებულება და რელიეფური პირობები. მთაგორიანი ქვეყანა ვართ, სადაც ამ რთული გეოლოგიური აგებულების ქანებზე ვითარდება რთული გეოლოგიური პროცესები. რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს გეოლოგიური პროცესების აქტივიზაციას და მათი ხარისხის მატებას. მოგახსენებთ რამდენიმე ძირითად ფაქტორს: ერთია კლიმატის ცვლილების გამო უხვი ნალექები. უხვი ნალექები ყოველთვის მოდიოდა, მაგალითად, პირობითად, რომელიმე რეგიონში საშუალოდ მრავალი ათეული წლის განმავლობაში მოდის 1 000 მილიმეტრი ნალექი და ეს განაწილებული იყო წელიწადის დროების მიხედვით თანმიმდევრულად, ახლა კი მოდის ერთჯერადად. ანუ, შესაძლოა, 1 000 მილიმეტრი ნალექი მოვიდეს წელიწადში, მაგრამ ერთჯერადად.

**– აღარ ნაწილდება?**

– დიახ, შესაძლოა, 3-4-ჯერ იმდენი ნალექი მოვიდეს, რომ მთელი წლის მარაგი ამოწუროს, უხეშად რომ ვთქვათ. ამას ემატება ის, რომ ბოლო 20-25 წლის განმავლობაში კავკასიაში და, მათ შორის, საქართველოში გააქტიურდა სეისმური ბიძგები. მიწისძვრა კი, თავის მხრივ, იწვევს მეწყრებს. მაგალითად, რაჭა-იმერეთის 1991 წლის მიწისძვრის დროს კორპუსებში მცხოვრებთაგან არავინ დაღუპულა, ხალხი დაიღუპა მიწისძვრით გამოწვეული მეწყრებით: ერთი სოფელი მთლიანად ჩამარხა მეწყერმა. მაგალითად, სპიტაკის 1988 წლის მიწისძვრამ საქართველოს ტერიტორიაზე მეწყრებისა და ღვარცოფების გააქტიურება გამოიწვია.

ასევე, ბუნებრივი კატაკლიზმების გამოწვევის ერთ-ერთი ფაქტორია ადამიანის უხეში ჩარევა ბუნებაში: ვსახლდებით იქ, სადაც არ უნდა დავსახლდეთ; ჩამოვჭრით ფერდობებს, რომლებზეც შემდეგ აქტიურდება მეწყრები და შველას ვითხოვთ. სახლებს ვაშენებთ ჭალა-კალაპოტის ზონებში. არადა ჭალა-კალაპოტის ზონა ნიშნავს, რომ რაღაც პერიოდში ის დაიტბორება, მაშინ, როდესაც იქ საცხოვრებელი სახლი აქვს ადამიანს. საბედნიეროდ, ამ ბოლო პერიოდში ადამიანის უხეში ჩარევის ფაქტორმა უკან დაიწია. თანდათან დაიწყეს სპეციალისტების რჩევების გათვალისწინება.

**– 17 მაისს დარიალის ხეობაში რამ გამოიწვია კატასტროფა?**

– იქ რამდენიმე ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს, ეს იყო კლდეზე ორი ტიპის ჩამოქცევა, რაც გადაიზარდა ღვარცოფში. დაახლოებით, 5 მილიონი კუბი მასა მოსწყდა – ორი მესამედი კლდოვანი მასა იყო, დანარჩენი – მყინვარულთოვლიანი, რომელიც ედო ამ კლდეს. დიდი დახრილობის ფერდობია, ხევამდე მანძილი 10,5 კილომეტრია, დახრილობა – 2 500 მეტრი. იმ დღეებში უხვი ატმოსფერული ნალექები მოვიდა იმ ზონაში, 17 მაისს დაემთხვა რამდენიმე ფაქტორი: რელიეფური პირობები, დიდი დახრილობა, ნალექები, მყინვარის დნობა და არ გამოვიცხავ, რომ, რადგან მყინვარწვერი შედარებით ახალგაზრდაა, შიგნით რაღაც სითბურმა ფაქტორმაც განაპირობა მოწყვეტა. ერთი სიტყვით, მაპროვოცირებელი ფაქტორები დაემთხვა ერთმანეთს. ამის შემდეგ 20 აგვისტოს ისევ განმეორდა სტიქია და თუმცა 10-ჯერ ნაკლები მასა გამოვიდა, ვიდრე 17 მაისს, 10-ჯერ მეტი ზარალი მოგვიტანა. იმიტომ რომ მეორედ ეს ღვარცოფი იყო ქვაწყლიანი მასა და იმუშავა, როგორც სიღრმით და გვერდით ეროზიაზე, ასევე, ტრანზიტზე, ესე იგი, გაიტანა მასალა და შევიდა საბაჟო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე. მაშინ, როდესაც 17 მაისის ღვარცოფის მყარი კონსისტენცია ჩაიჭედა და არ გასულა სადმე სხვაგან.

**– იყო თუ არა შესაძლებელი ამის ნაწილობრივი პრევენცია?**

– ამ მიმართულებით 60 წელია, საქართველოში სამუშაოები მიმდინარეობს. გეოლოგიურ სამსახურს 160-წლიანი ისტორია აქვს, მაგრამ, ამ მიმართულებით, ძირითადად, 60 წლის წინათ დაიწყო ეს კვლევები, შეიქმნა სპეციალიზებული სამსახურები და დიდი ბაზური საფუძვლები, მაგრამ, რადგან პროცესი დინამიკაშია, ბაზური



**2007 წელს სამეგრელოში მილიონობით ლარის ზარალი მივიღეთ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საწრეტი არხები იყო გასაწმენდი. თავიანთი ეზოს წინ რომ 50-50 მეტრი გაეწმინდათ, ეს ამბავი არ დაემართებოდათ**

საფუძველი არ არის საკმარისი, რადგან ეს მუდმივად განახლებადი პროცესია. სტიქიური უბედურების კვლევები ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ყოველწლიური გეოლოგიური მონიტორინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით და ფორსმაჟორულ სიტუაციაში ადგილზე გასვლები სიტუ-

**საბჭოთა დროს დადგმული და მიტოვებული ჭაბურღილებიდან კახეთში წყალი მოედინება და, სანამ მდინარემდე ჩავიდოდეს, წარმოუდგენელი სიღრმის ხრამებს აჩენს, ნაყოფიერი ნიადაგი გამოჰყავს მწყობრიდან**

აციის შესაფასებლად. ამის შემდეგ დგება საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც მოიცავს პროგნოზსაც, რასაც გადავცემთ შესაბამის უწყებებს. ბიულეტენში აღნიშნულია ყველა დასახლებული პუნქტი და იქ მოსალოდნელი სტიქიური პროცესები.

**– ემთხვევა?**

– სამწუხაროდ, ემთხვევა.

**– თუ ემთხვევა, რატომ არის ზარალი, როგორც წესი, ასეთი დიდი?**

– ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. საქართველოში სხვადასხვა მასშტაბის 50 000-ზე მეტი მეწყრული უბანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველგან კატასტროფაა მოსალოდნელი.

**– საქართველოს ტერიტორიის რა მოცულობას ფარავს საშიში გეოლოგიური პროცესები?**

– საქართველოს ტერიტორიის 60-70 პროცენტია დაფარული საშიში გეოლოგიური პროცესებით. აქ არის როგორც დაუსახლებელი, ისე დასახლებული ტერიტორიები. გარდა მეწყრული სხეულებისა, გვაქვს 3 000 ღვარცოფული წყალსადინარი: ხევი და მდინარე. აქაც სხვადასხვა მასშტაბის. იმის თქმა მინდა, იმდენად რთული, ბევრი და მასშტაბური პროცესი გვაქვს საქართველოში, რომ არათუ ჩვენი შესაძლებლობის, გაცილებით მდიდარ ქვეყნებსაც კი გაუჭირდებოდათ ამის პრევენცია. ვიცოდით, რომ დევდორაკის ღვარცოფი გამოვიდოდა, ვიცოდით, რას დააზიანებდა, რადგან ის პერიოდული აქტივაციით ხასიათდება, მაგრამ არ ვიცოდით და არ ვიცით დრო. თუმცა გეტყვით, რომ ბოლო პერიოდში ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალიტეტები ძალიან ბევრ უბანზე ახორციელებენ პრევენციულ სამუშაოებს.

**– როგორც ვიცი, არის შემთხვევები, რომ მდინარის სათავის გაწმენდამ და თხრილების დასუფთავებამ შეიძლება, თავიდან აგვაცილოს საკმაოდ დიდი ზიანი.**

– ჩვენ, გეოლოგებს, ფიზიკურადაც გვიმუშავია. მაგალითად, რაჭაში სახლებს ცლიდნენ მოსალოდნელი ღვარცოფის გამო, გამოვიყვანეთ ადამიანები სახლებიდან, მათთან ერთად ავიღეთ ნიჩბები ხელში, მიმართულება მივეცით ღვარცოფულ ნაკადს და სახლები გადარჩა. ხანდახან ძალიან მარტივი მეთოდებითაა შესაძლებელი პრევენცია. 2007 წელს სამეგრელოში მილიონობით ლარის ზარალი მივიღეთ, რამდენიმე სახლი წაიღო მდინარემ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საწრეტი არხები იყო გასაწმენდი. თავიანთი ეზოს წინ რომ 50-50 მეტრი გაეწმინდათ, ეს ამბავი არ დაემართებოდათ.

**– მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას ეს მოსახლეობას ან თავად მოსახლეობამ იკითხოს?**

– კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან წერილებს სწერდნენ ჯერ გამგეობაში, შემდეგ – თბილისში, გვიშველეთ, სარწყავი წყალი გადაიკეტაო. არადა ორი კუბი მიწა იყო ჩასული სარწყავ ავზში, ნიჩბებით სამი კაცი საათ-ნახევარში გაწმენდდა.

**– თუ არის ცნობილი, რომელი მეწყრული სხეულებია ყველაზე საშიში?**

– პირველად ამდენი წლის განმავლობაში წელს რიონის აუზში სამ დიდ მეწყრულ სხეულზე ადრეული გაფრთხილების სისტემა დავამონტაჟეთ, რაც საშუალებას გვაძლევს, შევიტყოთ მეწყრის გადაადგილება მილიმეტრებითაც კი. ასევე, საგარეჯოს ხევზე, თვალთხევზე, სადაც ღვარცოფის საშიშროებაა, გვინდა ანალოგიური სისტემის დამონტაჟება. ასევე, ორი მონტაჟდე-

# თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ და სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი დაუყოვნებლივ მიაკითხეთ ექიმ თინათინ მაჩაიძეს




*უკვე 25 წელია, რაც თინათინ მაჩაიძე მუხლჩაუხრელად ემსახურება ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს. მკითხველთა თხოვნით დღეს ისევ გესაუბრებით ქალბატონ თინათინზე. მას ათასობით იმედგადაწურული, მძიმე სენისგან შეწუხებული, ხშირად არასწორი დიაგნოზითა და არასწორი მკურნალობით დატანჯული ადამიანები აკითხავენ არა მარტო საქართველოდან, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან. დღეს უკვე ადამიანებს სწამთ სასწაულების და, როცა ეს სასწაული შენსავე დედაქალაქში, შენ გვერდით ხდება და ამ სასწაულებს ერთი ლამაზად მოღიმარი ქალბატონი ახდენს, თითქოს წამიერი ეჭვი გიპყრობს, ეს ყველაფერი სინამდვილეა თუ არა, თუმცა, რეალობა გაფხიზლებს. აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმ დაავადებებს, რომლებსაც ქალბატონი თინათინი უკვე ათეული წლებია, მის მიერვე დასმული დიაგნოზის შემდეგ, წარმატებით მკურნალობს. ესენია: ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა, ნევროზები, შიშები, აკვიატებული აზრები, თავის ტკივილი, უძილობა, მოთენთილობა, გაბრუება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესია, ღამის უნებლიე შარდვა (ენურეზი), ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ნერვის ანთება, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ალერგიები. ასევე თინა ექიმი წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს.*

*თინათინ მაჩაიძის სამკურნალო კაბინეტთან უამრავ ადამიანს ნახავთ. მადლიერი პაციენტები მკურნალის ქებაში ერთმანეთს ეცილებიან. ყველა აღნიშნავს, რომ ქალბატონ თინათინს მართლაც ღვთისგან ბოძებული ძალა გააჩნია.*

**მაია დუმბაძე:** ნევროზის უმძიმესი ფორმით ვიყავი დაავადებული. მაწუხებდა შიშები, ჰაერის უკმარისობა, შინაგანი კანკალი, სხეულის სიმძიმე, თავის ტკივილი, გაბრუება, მუდმივად ცუდის მოლოდინში ვიყავი. ხალხმრავლობას ვერ ვიტანდი. ამ სატანჯველისგან ქალბატონი თინათინის წყალობით გავთავისუფლდი. გულით ვლოცავ ამ მართლაც ღვთისნიერ მკურნალს და ულრმეს მადლობას ვუხდი!

**ვანო ძნელაძე:** ქალბატონ თინათინთან ნაღვლის ბუშტის ანთებამ და კუჭ-ნაწლავის პრობლემებმა მომიყვანა. მასთან მისვლა ჩემმა მეგობარმა მირჩია. ისე აქებდა და ისეთი მადლიერებით იხსენებდა მას, რომ რწმენა გამიჩნდა. მაგრამ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ, სრულიად ჯანმრთელი ვარ!

**ვასიკო შენგელია:** ჩემი დაავადება რადიკულიტი და ნერვის ანთება იყო. ამ დაავადებამ ახალგაზრდა კაცი თითქმის ავადმყოფად მაქცია. განკურნების იმედი დავკარგე. სხვადასხვა სახის მეთოდები მირჩიეს, მაგრამ შედეგი ვერაფერმა გამოიღო. ქალბატონ თინათინთან მეუღლემ მიმიყვანა. მართალი გითხრათ, განკურნების იმედი არ მქონდა, მაგრამ რამდენიმე სეანსის შემდეგ, უკვე შვება ვიგრძენი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი. მადლობა ჩემს გადამრჩენელ ქალბატონს!

**ნინო ბალიაშვილი:** საშინელი ალერგია მქონდა ბოლო წლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ალერგიის შეტევა მიძლიერდებოდა, რასაც მაღალი წნევაც დაემატა. ქალბატონი თინათინის მკურნალობის შემდეგ მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა.

**ელენე ვასაძე:** საბერძნეთიდან იმის გამო დავბრუნდი, რომ მთელი წლის განმავლობაში მტანჯავდა სამწვერა ნერვის ანთება, რომელიც მწვავე ნევროზში გადამეზარდა. უცხოელმა ექიმებმა ვერ მიშველეს. ქალბატონ თინათინთან ახლობლების რჩევით მოვედი. რამდენიმე სეანსის შემდეგ მთლიანად გამოვჯანმრთელდი. სასწაულის არ მჯეროდა, მაგრამ, თურმე ყველაფერი ხდება.

**თინათინ მაჩაიძეს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 2-35-18-68, 599-58-69-47, 555-12-78-30, 555-96-44-21.**

ბა მდინარეებზე დურუჯსა და ქაბალზე. ჩვენ ამის გამოცდილება არ გვაქვს, პოლონელები გვასწავლიან, ტრენინგებს ატარებენ, რომ სამომავლოდ უკვე თავად შევძლოთ მონტაჟიც და შესაბამისი კადრებიც გვყავდეს. ეს ადრეული შეტყობინების სისტემა ზარალს ვერ აგვაცილებს თავიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, მსხვერპლი იქნება მინიმიზებული. ასევე, ძალიან მასშტაბურია დევდორაკის ღვარცოფი. ტექნიკური დავალება მოვამზადეთ, რამდენიმე დასავლელი პარტნიორი გამოგვეხმაურა, უნდა ჩამოვიდნენ და ადგილზე გაეცნონ ვითარებას, იმიტომ რომ სხვადასხვა ტიპის ღვარცოფს სხვადასხვანაირი აპარატურა სჭირდება. პრემიერის სარეზერვო ფონდიდან უკვე გამოიყო თანხა დევდორაკის ღვარცოფზე ადრეული შეტყობინების სისტემის დასამონტაჟებლად.

**– ძვირი ღირს?**

– საკმაოდ, 300 000 ევრო. ამ აღჭურვილობის დამონტაჟების შემდეგ, ონლაინ რეჟიმში ვხედავთ პროცესებს, წამიერად იკეტება შლაგბაუმები, იქ მყოფი ადამიანები შედიან უსაფრთხო ადგილებზე, ასეთი ადგილები უკვე შევარჩიეთ. როდესაც 20 აგვისტოს განმეორდა ტრაგედია, შეტყობინება მოხდა და ხალხის გამოყვანა მოესწრო, ორი ადამიანი, რომელიც, სამწუხაროდ, დაიღუპა, გვირაბში იყო. ამ სისტემების დამონტაჟება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის.

**– ჩრდილო კავკასიაში როგორაა საქმე, ჩვენთან რატომ არის უფრო ხშირი სტიქიის შემოტევები?**

– ჩვენთან უფრო ხშირია, ადრეც ასე იყო. მაგალითად, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში ნაკლებადაა მეწყრები, აზერბაიჯანში ღვარცოფებია საინგილოს ზოლში, მეწყრები ნაკლებად. სომხეთში კი მიწისძვრებია აქტიური. ერთი სიტყვით, მეწყრებითა და ღვარცოფებით პირველ ადგილზე ვართ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. წელს პირველად, 23 წლის განმავლობაში, დავიწყეთ მონიტორინგი მიწისქვეშა მტკნარ წყლებზე. თავდაპირველად, უნდა ვიცოდეთ, რა გვაქვს, პერსპექტივაში, რამდენი წყალი დაგვჭირდება, თუმცა, ძირითადად, ეს განახლებადი რესურსია, მაგრამ გონივრულად უნდა ამოღება: თუ შემოდის 100 კუბი, 50 კუბზე მეტის ამოღება არ შეიძლება, იმიტომ რომ ეს დააზიანებს და დაარღვევს ბალანსს.

**– საშინელებაა: მიწის ზემოთ გვალვაა, მიწის ქვემოთ კი არტეზიული წყლებია და ვერ ვიყენებთ.**

– 10 ჭაბურღილზე გამოვაცხადეთ ტენდერი, 5 უკვე დავამონტაჟეთ და უკვე 15 ჭაბურღილი გვექნება აყვანილი კონტროლზე. ჩვენ ძალიან მდიდარი ქვეყანა ვართ წყლით, მაგრამ არასწორად ვიყენებთ. ჩეხები რომ ჩამოვიდნენ, ლამის ცრემლი მოერიათ, ამხელა სიმდიდრე გაქვთ და ვერ იყენებთო.

**– ამბობენ, რომ არტეზიულმა წყლებმა დაიწიაო, მართალია?**

– მთელ საქართველოში დაიწია წყლის დონემ გვალვების გამო. მიწისქვეშა წყლების უმთავრესი მკვებავია მყინვარები და მოსული ნალექები. მყინვარების დნობის რეჟიმი დაირღვა: დასავლეთ საქართველოს მყინვარები წელიწადში 10-15 მეტრით იხევს უკან, ანუ დნება, აღმოსავლეთ საქართველოში – 8-10 მეტრით. ჩვენი დიდი მდინარეების მკვებავი მყინვარები და წვიმებია. მაგრამ მოდის თავსხმა წვიმები, რის გამოც წყალი ვერ აღწევს გრუნტში, რომ ჩაიჟონოს და წყაროების სახით გამოვიდეს ქვედა ზონებში. ტყეების გაჩეხვის გამო წყალი ზედაპირული ნიაღვრების სახით მოდის, ამიტომ ჩადის მდინარეში, მდინარე კი გადის ან საზღვრის გარეთ, ან ჩაედინება ზღვაში. ამდენად, მართალია, მიწისქვეშა წყლები განახლებადი რესურსია, მაგრამ მთლად განახლებადიც არ არის, თუ ზემოდან არ მიეშველა. ეს რეჟიმიც დარღვეულია და აუცილებელია მისი შესწავლა. გასული საუკუნის 60-ან წლებამდე აკრძალული იყო არტეზიული წყლების სარწყავად გამოყენება, მაგრამ გვალვამ გადაახმო კახეთი და მოსკოვმა გამოსცა დადგენილება, რის შემდეგაც გაიბურღა მთელი კახეთი და ბევრი ჭაბურღილი დაიდგა. სწორედ ეს ჭაბურღილებია მიტოვებული, საიდანაც წყალი მოედინება და, სანამ მდინარემდე ჩავიდოდეს, წარმოუდგენელი სიღრმის ხრამებს აჩენს, ნაყოფიერი ნიადაგი გამოჰყავს მწყობრიდან. წელს დავიწყეთ ამ ჭაბურღილების ინვენტარიზაცია, საიდანაც ახლა არამიზნობრივად იღვრება ეს წყალი. თვითდინებით ამოდის წყალი და რეცხავს ნიადაგს. ინვენტარიზაციის შემდეგ აღვადგენთ იმ ჭაბურღილებს, რომლებსაც იყენებს მოსახლეობა, რომელიც ტყუილად იღვრება ალაზანში, დავლუქავთ. მიწისქვეშა წყლების გამოყენების პროექტი ძალიან საინტერესოა, მაგრამ ჩვენ გვაქვს მოძველებული ინფორმაცია – გასული საუკუნის 70-80-ანი წლების, ამიტომ ჯერ უნდა დავადგინოთ, რა გვაქვს, რამდენია ზედმეტი, თავდაპირველად, ჩვენი მოსახლეობა უნდა დაკმაყოფილდეს 50-წლიან პერსპექტივაში და ამის შემდეგ უნდა ვაქციოთ ის შემოსავლის წყაროდ.

**ნინო ხაჩიძე**

ჟურნალი „თბილისელები“ სამძიმარს უცხადებს და თანაუგრძნობს ნინო წულუკიძესა და მერაბ მეტრეველს მამის

**ბორის მეტრეველის**

გარდაცვალების გამო.

**მართალია, თავს საუკეთესო მშობლებად მივიჩნევთ, მაგრამ კვლევებმა გამოავლინა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ნაკლებობას არ ვუჩივით. სტატისტიკის თანახმად: ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა უმეტესობა განიცდის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას და არც ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობაა უცხო ხილი, თუმცა სურათი დაახლოებით იგივეა, რაც დასავლურ, ცივილიზებულ ქვეყნებში. რა უფლებები აქვთ საქართველოს 18 წლამდე ასაკის მოქალაქეებს და რა მიიჩნევა, კანონმდებლობით, ძალადობად ბავშვთა მიმართ? – საკითხს ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ანა აბაშიძე განგვიმარტავს.**

# რატომ აიძულებდა დედა თავის 13 წლის შვილს პროსტიტუციას და რა ბედი ელით მშობლებისთვის ჩამორთმეულ ბავშვებს

**– რა უფლებებით სარგებლობენ, კანონმდებლობით, საქართველოს 18 წლამდე, ანუ არასრულწლოვანი მოქალაქეები?**

– დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვნად მიიჩნევს 18 წელს მიუღწეველ ადამიანს. რაც შეეხება უფლებებს: შეიძლება ითქვას, რომ, გარდა სპეციფიკური პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისა, როგორიცაა პასიური და აქტიური საარჩევნო ხმის უფლება, ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებში ბავშვები სარგებლობენ იმ სიკეთეებით, რითაც სარგებლობს სრულწლოვანი მოქალაქე.

**– როდიდან იწყება ბავშვის უფლებების ათვლა?**

– არის ასეთი პრინციპი: იმ მომენტიდან, რაც ბავშვი მოევლინება ქვეყანას, გააჩნია უფლებაუნარიანობა, ერთადერთი გამონაკლისია, რაც გულისხმობს ერთ უფლებას ჩანასახშივე: ეს არის მემკვიდრედ ყოფნის უფლება და არა მემკვიდრის, რადგან მემკვიდრეობის უფლება დამოკიდებულია უკვე დაბადებაზე. სხვა შემთხვევაში ბავშვი უფლებაუნარიანობას იძენს დაბადებისთანავე და სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით. განსხვავება სრულწლოვნისგან ის არის, რომ არასრულწლოვანს საკუთარი უფლებების რეალიზებაში ეხმარება მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც შეიძლება, იყოს მეურვე ან მზრუნველი. თუმცა არის გამონაკლისი, მაგალითად, პასიური ხმის უფლება, რომელიც 18 წელს ზევითაა განსაზღვრული. სხვა ყველაფერში არასრულწლოვნები და სრულწლოვნები თანაბარი ღირებულებების მქონენი არიან.




**ბავშვის ჩაბმას მაწანწალობა-მათხოვრობაში იმიტომ არ ასახელებენ მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძვლად, რომ დღეს ქუჩაში მცხოვრები ბავშვები არ არის პრიორიტეტული**

**– ეს მესმის, მაგრამ, როდესაც მე ვარ იმ ასაკის, რა ასაკისაც ვარ, ვიცი საკუთარი უფლებების შესახებ, ბავშვმა საიდან უნდა გაიგოს თავისი უფლებების შესახებ? ერთია, რომ ბავშვმა უნდა იცოდეს თავისი უფლებები და, მეორე, რომ მოითხოვოს თავისი უფლებების რეალიზება. კანონში არის გათვალისწინებული ეს მომენტი თუ მთლიანად მშობლებსა და მეურვეებზეა მინდობილი?**

– საქართველოს კანონმდებლობით, ბავშვები, მინიმუმ, 14 წლამდე ბოლომდე არიან მინდობილნი მშობლების კეთილსინდისიერებას, მაგრამ არის გამონაკლისებიც. მაგალითად, ჯანდაცვის კანონმდებლობაში ჩაიწერა, რომ ისეთ თემებზე, რომელიც უკავშირდება რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, არ არის აუცილებელი სრულწლოვნის თანხმობა და კანონმდებელმა ბავშვზე გააკეთა აქცენტი.

**– მე გავეცანი ბავშვთა ძალადობის მაჩვენებლებს, შედეგი არ არის მთლად სახარბიელო. არსებობს ცალკე ნორმატიული ბაზა, რომელიც იცავს ბავშვებს ძალადობისგან?**

– არსებობს ასეთი ნორმატიული ბაზა, ეს არის სამი მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანება: ჯანდაცვის, განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების, რომელიც გულისხმობს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში რეფერირების მექანიზმს. ეს რეფერალი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის შემთხვევებს და გამოყოფს ყველა იმ სუბიექტს, რომელიც ვალდებულია, ითანამშრომლოს შესაბამის ორგანოებთან, თუ მიიღო ინფორმაცია, რომ ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი. ასეთი სუბიექტი, მაგალითად, არის სკოლა, საავადმყოფო, ანუ ყველა დაწესებულება, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა, რომელიც ბავშვზე კონკრეტულ სიტუაციაში მზრუნველობს.

**– ვინ მიმართავს, ვისი მიმართვაა საკმარისი: ბავშვის, ვინმე სხვის?**

– თუ რეფერალზე მეკითხებით, არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი თავად ლაპარაკობს ძალადობის შესახებ; არის შემთხვევები, რომ ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობაზე ლაპარაკობს თანაკლასელი, მეგობარი, ოჯახის წევრი, თუ ოჯახს გარეთ მოხდა ძალადობა. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ამბობს ამას, მაგრამ ჩვენ, ასევე, უნდა ვიცოდეთ, რომ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საქართველოს ყველა მოქალაქე თუ აქვს ინფორმაცია, რომ ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი, ვალდებულია, მიმართოს სოციალური დაცვის სააგენტოს.

**– კანონი როგორ განმარტავს ბავშვთა მიმართ ძალადობას?**

– ეს ძალიან კარგი შეკითხვაა, იმიტომ რომ ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემა გვაქვს. ძალადობა განმარტებულია სხვადასხვა კანონში: სისხლის სამართლის კოდექსისთვის ის სხვა რამაა, ოჯახური ძალადობის კანონისთვის ძალადობა სხვა რამაა და რეფერალისთვისაც

**ბავშვს ჩანასახშივე აქვს მემკვიდრედ ყოფნის უფლება და არა მემკვიდრის, რადგან მემკვიდრეობის უფლება დამოკიდებულია უკვე დაბადებაზე**

კონკრეტულადაა განსაზღვრული, როგორი შეიძლება, იყოს ძალადობა, მაგრამ რა არის პრობლემა: გაეროს ბავშვთა კომიტეტმა, რომელიც არის გაეროს ბავშვთა კონვენციის აღმასრულებელი, მიიღო ნომერ მეცამეტე რეზოლუცია, რომლითაც განმარტა, რას ნიშნავს სიტყვა „ძალადობა”. მაგალითისთვის, ჩვენს ქვეყანაში, პირობითად, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა არის ქმედება, რაც, შესაბამისად, ბავშვს ძლიერ ტკივილსა და ტანჯვას განაცდევინებს, გაეროს ბავშვთა კომიტეტის განმარტებით კი, ფსიქოლოგიურ ანუ ემოციურ ძალადობას განეკუთვნება, მაგალითად, ბავშვის მიმართ დამამცირებელი სიტყვების გამოყენება, დამაკნინებელი სახელების შერქმევა, ფავორიტიზმიც კი ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა. მაგალითად, ძალადობაა, როდესაც ბავშვს საგანმანათლებლო მიზნებისთვის არ აქვს შესაბამისი ტანსაცმელი, წიგნები და ასე შემდეგ… თუ ბავშვს აშინებენ 2-ანის დაწერით, ანუ ძალიან დაწვრილებითაა აღწერილი და დეტალურადაა განმარტებული. მათი ასეთი ქმედებები ძალადობად ჩათვალეს და მოუწოდეს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ თავიანთი კანონმდებლობა შეცვალონ იმგვარად, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის დეფინიცია იყოს იმაზე ფართო, ვიჟრე ჩვენი ტიპის ქვეყნებშია, თუმცა ჩვენთვის დღეს ფიზიკური ძალადობა გამოიხატება ჯანმრთელობის დაზიანებით, ემოციურია ძალადობა, რომელიც უტოლდება ტანჯვას, სექსუალური ძალადობა კი მეტნაკლებად განმარტებულია სისხლის სამართლის კონდექსით. ანუ გაეროს სტანდარტს ჩვენი კანონმდებლობა ვერ პასუხობს, ამიტომ, როდესაც განაცხადია ძალადობის ფაქტზე, თუ არ არის აშკარა ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა სხეულის დაზიანება, ძლიერი ტკივილის განცდა და ასე შემდეგ, მაშინ სამართლადამცველი უწყებისა და სოციალური სამსახურის წარმომადგენლები ვერ ადგენენ, რომ იყო ძალადობა ბავშვის მიმართ. ბუნებრივია, რაც უფრო მსუბუქია ძალადობის ფორმა, სანქციაც მსუბუქი უნდა იყოს. მაგრამ ფაქტი ერთია, სანქციის მიუხედავად, მოვლენას უნდა დაერქვას სწორი სახელი, ერთი პრობლემაა, როდესაც ბავშვი ვერ მიდის სკოლაში, იმიტომ რომ არ აქვს წიგნი, მაგრამ მეორეა, რა არის ამის მიზეზი: სუბიექტურია ეს თუ ობიექტური.

**– გასაგებია, რით ხელმძღვანელობს სამართალდამცველი, მაგრამ რეაგირების რა მექანიზმი აქვს სოციალური მომსახურების სააგენტოს? ვთქვათ, დადგინდა, რომ ბავშვზე განხორციელდა ფსიქოლოგიური ძალადობა, რა ხდება შემდეგ?**

– გააჩნია ხარისხს, თუ ძალადობა მძიმე ფორმითაა: თუ სექსუალურ ძალადობაზე აქვს ეჭვი სოციალურ სამსახურს, ის დაუყოვნებლივ მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან პროკურატურას, მაგრამ, თუ აღმოაჩინა, რომ მშობლები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, წერს დასკვნას და არის რამდენიმე ვარიანტი: შეუჩერონ მშობლის უფლება; შეუზღუდონ მშობლის უფლება და ყველაზე რადიკალური ფორმაა მშობლის უფლების ჩამორთმევა. სოციალურ სამსახურს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს და ასეთი მშობლის მიმართ ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება მოითხოვოს.

**– თუ ყოფილა ასეთი შემთხვევები?**

– რა თქმა უნდა. ერთი შემთხვევა მახსენდება ახლო წარსულიდან: ეს იყო მშობლის მიერ პროსტიტუციაში შვილის ჩართვის მცდელობა.

**– ბავშვი რა ასაკის იყო?**

– დაახლოებით, 12-13 წლის. თავად დედაც ამ საქმიანობას ეწეოდა. ამის შესახებ გაიგო სოციალურმა სამსახურმა, დაწერა დასკვნა, რაც დაამტკიცა სასამართლომ და მშობელს ჩამოა-

# როგორ დახარჯა სოფიო ბრიტანჩუკმა 200 000 ლარი ბინის გარემონტებაზე, 100 000 ლარი კი მის კეთილმოწყობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი 2008 წლიდან დღემდე სოფიო ბრიტანჩუკი 1980 წელსაა დაბადებული თბილისში. თავდაპირველი განათლება, 1997-2002 წლებში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო – დაამთავრა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტის ბაკალავრიატი; 2001-2002 წლებში – კავკასიის აკადემიურ ცენტრში სწავლობდა, რის წყალობითაც აიღო ფრიად ფართო სპექტრის სერტიფიკატი: მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა; კრიზისის მენეჯმენტი; ლობირება; რეკლამა და პოზიციონირება; 2003-2005 წლებში აწ უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლობდა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრის ხარისხიც მიენიჭა. 2005 წელს კი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) გაიარა კავკასიის ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კურსი.

მისი შრომითი ბიოგრაფია 1999 წელს დაიწყო ენერგოგამანაწილებელ კომპანია „ეი ი ეს თელასში", თავდაპირველად, საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორად, მოგვიანებით კი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებლად; 2003 წელს სატელეკომუნიკაციო კომპანია - „ტელენეტში" გადავიდა, სადაც 2004 წლამდე მომსახურებისა და გაყიდვების მენეჯერად იმუშავა; 2005-2006 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს მედიასთან ურთიერთობასა და ჟურნალისტიკასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებში. იმავდროულად, 2004 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დაიწყო მუშაობდა პრესმდივნად; 2006 წელს „ფონდ – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტად გადავიდა, 2008-ში კი პირდაპირ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად დაინიშნა, ხოლო 2009-ში, საერთოდაც, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, მოგვიანებით, ისევ წევრობას დაუბრუნდა და დღემდე ამ პოზიციაზეა.

თავისი პირველი დეკლარაცია ქ-ნმა ბრიტანჩუკმა 2008 წელს შეავსო, როგორც მარეგულირებელი კომისიის წევრმა და ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე ნოდარ ჭარხალაშვილი, ორი შვილი – თედო და გივი და დედამთილი – რუსუდან ბოკერია. იმხანად ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: სოფიო ბრიტანჩუკის საკუთრება იყო 120 000 აშშ დოლარის ღირებულების საცხოვრებელი ბინა მცხეთის ქუჩაზე, ასევე, 20 000 დოლარად ღირებული ბინა წერეთლის გამზირზე და 25 000-ად ღირებული აგარაკი პანტიანში; რუსუდან ბოკერიას საკუთრება იყო 300 000 დოლარად ღირებული ბინა ჭავჭავაძის გამზირზე, ხოლო ნოდარ ჭარხალაშვილს კი ჰყავდა 5 500 დოლარად ღირებული ავტომანქანა. ნოდარ ჭარხალაშვილი ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას: ის იყო ბიზნესცენტრ „ისნის" დირექტორი და პარტნიორი; შპს „ჯი ვი თის" დირექტორი და პარტნიორი და შპს „ჯორჯიან ფრუტ იმპორტ ენდ ექსპორტ იმპორტის" დირექტორი და პარტნიორი. 2007 წელს მათი შემოსავლები შემდეგნაირი გახლდათ: სოფიო ბრიტანჩუკმა, როგორც „ფონდ – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" კონსულტანტმა, 29 640 ლარი აიღო, ნოდარ ჭარხალაშვილმა, როგორც ბიზნესცენტრ „ისნის" დირექტორმა, 8 181 ლარი, ხოლო, როგორც ტერმინალ „ისნის" დირექტორის მოადგილემ, 2 386 ლარი; რუსუდან ბოკერიამ კი, როგორც თსუ-ს ინჟინერმა, 613 ლარი.



2008 წლის განმავლობაში სოფიო ბრიტანჩუკმა, როგორც ზემოხსენებული ფონდის კონსულტანტმა, 16 303 ლარი აიღო, ხოლო, როგორც მარეგულირებლის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, 329 000 ლარი; მისი მეუღლის შემოსავლები საგრძნობლად მოკრძალებული იყო: იმავე პოზიციებზე 9 191 და 5 220 ლარი. 2008 წელს სოფიო ბრიტანჩუკს ბინის რემონტი 200 000 ლარი დაუჯდა, კეთილმოწყობა კი – 100 000 ლარი. 2009 წლის განმავლობაში სოფიო ბრიტანჩუკმა, როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრმა, 243 858 ლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც „უაით დისტრიბუციის" ფინანსურმა მენეჯერმა, 22 500 ლარი. სოფიო ბრიტანჩუკმა შვილის, გივი ჭარხალაშვილის, სწავლაში 4 900 ლარი გადაიხადა. 2010 წლის განმავლობაში სოფიო ბრიტანჩუკმა, როგორც კომისიის წევრმა, 213 436 ლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, 27 000 ლარი. შვილის სწავლის საფასური კი კვლავ 4 900 ლარი დაუჯდათ. 2011 წლის განმავლობაში სოფიო ბრიტანჩუკის წლიურმა ხელფასმა 222 257 ლარი შეადგინა, მისი მეუღლისამ – 15 750, ხოლო შვილის სწავლაში 4 900 ლარი გადაიხადეს. 2012 წელს სოფიო ბრიტანჩუკის სახელფასო შემოსავალმა 217 723 ლარი შეადგინა, როგორც ჩანს, იმ წელს ოჯახში დასაქმებული მხოლოდ ის იყო. მას ხარჯი გაეზარდა: გივი ჭარხალაშვილის სწავლის საფასური 6 880 ლარი დაუჯდა, თედო ჭარხალაშვილის – 4 000 ლარი. 2013 წელს დასაქმებული კვლავ მხოლოდ სოფიო ბრიტანჩუკი იყო – მან აწ უკვე 309 885 ლარი აიღო, მეტიც, როგორც აიიპ ექსპორტის განვითარების ასოციაციის ტრენერმა – დამატებით 2 932 ლარიც. სამაგიეროდ, უფრო იაფი დაუჯდა შვილების სწავლის გადასახადი – 2 700-2 700 ლარი, თუმცა საკუთარი სწავლის საფასური – 8 000 ლარი (სამწუხაროდ, არ არის მითითებული, რა ისწავლა ქ-ნმა ბრიტანჩუკმა 2013 წელს). სავარაუდოდ, მისი პირადი ბიუჯეტი 2014 წელსაც ორ ასეულ ათასზე მეტი ლარით შეივსება.

**ნინო ხაჩიძე**

---

რთვეს მშობლის უფლება.

**– გასაგებია, რომ მშობელს, თუ ჯეროვნად არ მოიქცევა, ჩამოართმევენ ან შეუჩერებენ მშობლის უფლებას, მაგრამ შემდეგ რა ბედი ეწევა ბავშვს? ვის ეკისრება მისი აღზრდა? ბავშვთა სახლს გადასცემენ?**

– ამ მიმართულებით სერვისების შეთავაზების მრავალფეროვნების პრობლემაა. დღეს გაუმჯობესდა ვითარება, თუმცა ახლო წარსულში იყო ერთადერთი ალტერნატივა – ბავშვთა სახლები. დღეს უკვე არსებობს რამდენიმე სერვისი, რაც დადებითად შეიძლება, შეფასდეს: პირველი ეს არის მცირე საოჯახო ტიპის სახლები, რომლებმაც ჩაანაცვლა ბავშვთა დიდი სახლები; მეორე – ბავშვი შეიძლება, წავიდეს მინდობით აღზრდაში, მამობილის და დედობილის ინსტიტუტი გაგიგიათ, ალბათ. სახელმწიფო ხელშეკრულებას აფორმებს ოჯახთან და ამაში უხდის თანხას.

**– რა თანხაა?**

– როგორ ვიცი, 400 ლარი ჯანმრთელი ბავშვისთთის და 600 ლარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის. როგორც მითხრეს, ამ თანხებს ზრდიან. ასევე, არსებობს კიდევ სხვა სერვისი – რეინტეგრაცია, როდესაც ბავშვი არის დაწესებულებაში, ოჯახში იყო პრობლემები, სახელმწიფომ იმუშავა და ბავშვს შეუძლია, დაუბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახს. მაგრამ ეს მიმართულება კიდევ უფრო ნაკლებადაა მხარდაჭერილი. რეინტეგრაციის პროგრამას აფინასდებდნენ 90 ლარის ოდენობით, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, ეს მონეტარული დახმარება შეწყვეტილია და თუ არ ვცდები, გადავიდნენ არამატერიალურ დახმარებაზე.

**– რა ხდება ყველაზე ხშირად მშობლისთვის შვილის მუდმივად ან დროებით ჩამორთმევის საფუძველი?**

– ძალიან ბევრი საფუძველი აქვს მშობლის უფლების ჩამორთმევას, საინტერესოა არა ის, თუ რის საფუძველზე ხდება მშობლის უფლების ჩამორთმევა, არამედ უფრო საინტერესოა, რის საფუძველზე უნდა ხდებოდეს და არ ხდება. მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძველია, თუ ის ბავშვს ჩართავს ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, ანუ მათხოვრობა-მაწანწალობაში. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რამდენი ბავშვი მათხოვრობს ქუჩაში, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევას ვერ ასახელებს სახელმწიფო, რომ დაადგინა მშობლის მხრიდან ბავშვის მიმართ ამ უფლების დარღვევა, მისი მაწანწალობა-მათხოვრობაში ჩაბმა და განახორციელა ის ქმედებები, რაც მას ევალება სამოქალაქო კანონმდებლობით. ამას იმიტომ არ ასახელებენ მშობლის უფლების ჩამორთმევის საფუძვლად, რომ დღეს ქუჩაში მცხოვრები ბავშვები არ არის პრიორიტეტული. არის უწყებები, რომლებიც მიიჩნევს, რომ ქუჩაში მომუშავე ბავშვი არ არის ძალადობის მსხვერპლი. არადა, რა თქმა უნდა, არის და ეს მითითებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 20 0 200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

# როგორ აპირებს რუსეთი, გამოიყენოს ტერორისტული ისლამური სახელმწიფოს შექმნის ფაქტი საქართველოსა და აზერბაიჯანში შემოსაჭრელად

*გასულ კვირას პირველი ტერორისტული სახელმწიფოს უმაღლესი რანგის ერთ-ერთმა სამხედრო ხელმძღვანელმა თარხან ბათირაშვილმა, ანუ აბუ-უმარ შიშანმა, რამზან კადიროვისა და მისი გარემოცვის ლიკვიდაციისთვის ჯილდოები დააწესა. კერძოდ: რამზან კადიროვის თავი ისლამისტმა ტერორისტებმა 5 მილიონ აშშ დოლარად შეაფასეს. გარემოცვისთვის დაწესებული თანხა კი ნახევარი მილიონიდან 4 მილიონამდე მერყეობს. თავის მხრივ, რამზან კადიროვმა რუსულ მედიას განუცხადა, რომ, ჯერ ერთი, არ ეშინია და, რაც მთავარია, აპირებს, რომ იქით გაანადგუროს ისლამისტი ტერორისტები. ფაქტობრივად, იმავდროულად, რუსულ მედიაში ახალი პროპაგანდისტული ხაზი გამოიკვეთა – აქცენტი კეთდება თარხან ბათირაშვილის ქართულ წარმომავლობაზე და მუშავდება ვერსია, რომ საქართველოს მოქალაქე, ქართული ჯარის საკადრო ოფიცერი (ან უკვე ყოფილი) ამერიკულმა სპეცსამსახურებმა გაწვრთნა და ახალი ტერორისტული მოძრაობის ლიდერად წინასწარ შეამზადა. ამ ვერსიის ავტორია ჩეჩენი პოლიტოლოგი ისლამ საიდაევი. ცნობისთვის, საიდაევი, ჯოჰარ დუდაევის გარემოცვის წევრი და თანამოაზრე რუსეთის ხელსიუფლებასთან წლების განმავლობაში იყო დაპირისპირებული, 1999 წელს ის საქართველოში ჩამოვიდა, სადაც 9 წელი იცხოვრა და, თურმე მჭიდრო კონტაქტი ჰქონია საქართველოს სპეცსამსახურებთან. თუმცა, სულ ახლახან ის მოსკოვს დაუზავდა, თან, ისე საფუძვლიანად, რომ, სავარაუდოდ, რუპორის როლიც შეითავსა. მისი აზრით, იმას გარდა, რომ თარხან ბათირაშვილის აბუ-უმარ შიშანად ქცევას ამერიკული სპეცსამსახურების ნაყოფად მიიჩნევს, 2008 წელს რუსეთის არმია რომ თბილისში შესულიყო, დღეს რუსეთის ფედერაციას არც უკრაინის პრობლემა ექნებოდა. რა მიზანს ისახავს პირველი ტერორისტული სახელმწიფოს საქართველოსთან გაიგივება და რა საფრთხეს შეიცავს ის ჩვენი ქვეყნისთვის, – თემას კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარესთან, ზაალ კასრელიშვილთან ერთად განვიხილავთ.*



**არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები: არეულია რუსეთი, ირევა თურქეთიც და იქნებ ისეთი დრო მოვიდეს, კავკასიელები ერთმანეთს ხელების ცეცებით ვეძებდეთ ჩვენი ოჯახების გადასარჩენად**

**– რატომ გახდნენ კადიროვი და მისი გარემოცვა ისეთი პოპულარულები, რომ მათი ლიკვიდაციისთვის თანხაც კი დააწესეს, თან, ისლამისტებმა?**

– არ იქნება ურიგო, თუ ახლო წარსულს გავიხსენებთ. აბსოლუტურად ყველა ეთნიკური ჩეჩენი 1994 წლიდან 2000 წლამდე ნაომარია თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის და კადიროვს ისინი მიიჩნევენ მოღალატედ, რომელიც რუსის ნებას ასრულებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. ამით რუსეთს აცილებს პასუხისმგებლობას და იურიდიულად ამართლებს მის ანტიჩეჩნურ ქმედებას. ჩეჩნები არ მიიჩნევენ, რომ ისინი დამარცხნენ. ჩეჩნეთ-ინგუშეთში ორი მიმართულებაა. ერთია, საერთო ცნობიერების ადამიანები, რომლებიც უცხოეთში ძალიან ნაყოფიერად მუშაობენ მედია-საშუალებებით და პოლიტიკური მეთოდებით, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ იცოდეს ჩეჩეთში არსებული რეალური ვითარება. მეორეა, რადიკალური ფრთა, რომლებიც ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ისლამური ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით ახერხებდნენ ბრძოლას რუსეთის ფედერალური ძალების წინააღმდეგ და რომლებიც შემდეგ წავიდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ისლამურ გაერთიანებებში, მოიპოვეს სახელი და ავტორიტეტი თავიანთი სიცოცხლის ფასად ბრძოლებში, გახდნენ ანგარიშგასაწევი ძალა და ახლა უნდათ, რომ ეს თავიანთი ავტორიტეტი და გავლენა ჩეჩნეთის გასათავისუფლებლად გამოიყენონ.

**– ანუ თარხან ბათირაშვილმა, რომელიც ქართველია ეთნიკურად, რადგან მამა ჰყავს ქართველი, კერძოდ, ფშაველი, გაახმოვანა თავისი ჩეჩენი თანამებრძოლების აზრი?**

– მან გაახმოვანა კავკასიელების აზრი. რატომ ჩავაცივდით მაინცდამაინც ჩეჩნებს?!

**– კადიროვი ჩეჩნეთის პრეზიდენტია და ჯილდო დაწესდა მისი ლიკვიდაციისთვის.**

– გასაგებია, მაგრამ ბათირაშვილი არის სარდალი და, ბუნებრივია, მან უნდა გაახმოვანოს თანამებრძოლების აზრი. ისლამური არმიის სარდალთა და მეთაურთა შორის, დაახლოებით, 60-მდე ეთნიკური კავკასიელია და თითოეულს აქვს დიდი ავტორიტეტი. არ მინდა, შეურაცხყოფა მივაყენო სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, მაგრამ ფაქტია, რომ კავკასიელები ყველაზე კარგ მებრძოლებად მიიჩნევიან. როდესაც მამელუქობაში სარდლები გახდნენ და გადიდკაცდნენ დამსახურებისამებრ, მათ თავიანთი კავშირები და ავტორიტეტი უნდათ, რომ გამოიყენონ კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად და, ბუნებრივია, უპირველესად, კადიროვის წინააღმდეგ, რადგან კადიროვი ჩრდილოეთ კავკასიაში განიხილება ყველაზე აგრესიულ პრორუსულ ძალად. ის მიიჩნევა რუსეთის ფედერალური ძალების მეთაურად და დიდი დაცვის ქვეშაა, ამიტომ ჩეჩნების აზრით, თუ ისინი კადიროვს მოიშორებენ, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ველარ იპოვის კადიროვისნაირ პრორუსულ და ანტიკავკასიურ ფიგურას.

**– ძალიან საინტერესოა ჩეჩენი პოლიტოლოგის, ისლამ საიდაევის ინტერვიუ. იწყებს იმით, 2008 წელს რუსეთის ტანკები რომ თბილისში შესულიყო, რუსეთს უკრაინის პრობლემა არ ექნებოდაო, თარხან ბათირაშვილი კი ამერიკულმა სპეცსამსახურებმა შეაგზავნა ისლამურ სახელმწიფოშიო. რაში სჭირდება რუსულ პროპაგანდას ქართული კვალის შეტანა ისლამურ სახელმწიფოს შექმნაში?**

– რუსეთი მხოლოდ სამხედრო მიმართულებით ხომ არ იბრძვის? ის იბრძვის საინფორმაციო მიმართულებითაც და ის, რაც თქვენ მოიტანეთ, როგორც ციტატები, გათვლილია შიდა პოლიტიკური ბაზრისთვის, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობისთვის, რომ გაამართლოს რუსუთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედებები. ამ მოსაზრების ავტორს მინდა, ვუთხრა, 2008 წელს რომ რუსეთის ტანკები თბილისში შემოსულიყო, დღეს რუსეთს

## მსოფლიოში ცნობილი, უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

*კოლხი ნათია ხსნის ჯადოს, გათვალვას, საგვარეულო წყევლას, რომელსაც ჯადოზე მეტი ზიანი მოაქვს ადამიანისთვის. ის ხსნის ჩაკეტილ ბედს, გზის ჩაკეტვას, უშვილობას. კოლხი წინასწარმეტყველი ლოცვის საშუალებით წმენდს დაბინძურებულ აურას, აშორებს უარყოფით ენერგეტიკას.*

*მასთან უამრავი ცნობილი ადამიანი მინახავს ამ წლების განმავლობაში, მათ შორის მომღერლები, ბიზნესმენები, თანამდებობის პირები, რომელთა თხოვნით, მათ ვინაობას განგებ არ ვასახელებ. ბევრი მათგანი დაუქორწინებია და ისინიც კი, ვინც შინაბერად თვლიდა თავს, გაუთხოვებია. კოლხ ნათიას მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარი აქვს. დაგისვამთ ორი ტიპის უზუსტეს დიაგნოზს: ავადმყოფობისა და შავი ძალებისგან გამოწვეულს. მას ბევრი უკავშირდება საბერძნეთიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან. ინტერვიუ შევთავაზეთ, მაგრამ ორიოდე სიტყვით შემოიფარგლა, რაც მის თავმდაბლობაზე მეტყველებს.*



**კოლხი წინასწარმეტყველი:**

„მთავარია, ადამიანი რწმენით მოვიდეს ჩემთან. მას ყველანაირ პრობლემას მოვუხსნი. გათვალვას ხშირად უდიდესი ზიანი მოაქვს. ჩვილი ბავშვები, რადგან მათი აურა სუფთაა ხშირად იღებენ თვალს. ამიტომ მათ დამცავ თილისმას ვუკეთებ, რომელიც 18 წლამდე დაიცავს ბოროტი ძალებისგან".

*მოკლედ, ბევრს აღარ გავაგრძელებ და თუ პრობლემებმა უკვე ნევროზამდე მიგიყვანათ, აუცილებლად დაუკავშირდით, რადგან ქალბატონი ნათია, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურ დახმარებას გაგიწევთ. გარწმუნებთ, რადგან ეს საკუთარ თავზე გამოვცადე.*

*ანონიმურობა დაცულია.*

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

არა მარტო უკრაინაში, არამედ კავკასიაში ექნებოდა ის, რაც ხდება ახლა სირიასა და ერაყში. ყირიმი უკრაინის იქნებოდა და ვერც სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში გაბედავდა ბრძოლების დაწყებას რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

რაც მთავარია: ბათირაშვილი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯერ გამოიყენა, შემდეგ ისევე, როგორც 2008 წლის ომში გამოჩენილი ბევრი მეომარი, აომა და ბოლოს ციხეში ჩაყარა, ულუკმაპუროდ დატოვა და აიძულა, საქართველოს ფარგლებს გარეთ ეძებნათ ლუკმაპური. მოგეხსენებათ, როდესაც ადამიანი ემიგრაციაში მიდის, თუ მუსიკოსია, მუსიკოსების წრეში ხვდება; თუ ბიზნესმენია, ბიზნესმენების წრეში ხვდება. ბათირაშვილი, ბუნებრივია, მებრძოლების წრეში აღმოჩნდა. თან, ბათირაშვილი უცბად ხომ არ გახდა სარდალი?! რომ დალუპულიყო, როგორც რამდენიმე დაიღუპა, ხომ ვერ მიაღწევდა ამ სიმაღლეებს. წინასწარ არ იცის ამერიკამ, თურქეთმა, თუ ისრაელმა ვინ გადარჩება, რომ მასზე დადოს ფსონი?!

**– ომია, დასასვენებლად ხომ არ არიან?**

– ეს ხომ პოლიტიკა არ არის, წინასწარ პიარი გაუკეთო?! კი, ბატონო – ჩამოვედი მასზე ფსონს, დავდე 5 მილიონი, მაგრამ ერთ დღესაც დააჭედა სნაიპერმა ტყვია შუბლში?! სხვა საკითხია, როდესაც უკვე გარკვეულია სარდლობა, ვის რა პოტენციალი და ავტორიტეტი აქვს, დაიწყებს თუ არა მათთან დიალოგს დასავლეთი ან რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა?! თქვენი ჟურნალის მეშვეობით მე პირდაპირ ვუსვამ კითხვას პრორუსულ კავკასიელებს: საქართველოს რამდენიმე მოქალაქის გარდა, იქ არიან დაღესტნელებიც, ინგუშებიც და ჩეჩნებიც, ეთნიკური თათრებიც თათარსტანიდან და რუსეთის ფედერაციის სხვა სუბიექტების წარმომადგენლებიც. როგორ მოხვდნენ ისინი იქ სარდლობაში?! რუსეთის სპეცსამსახურებმა გაგზავნეს?! ეს კითხვა ხომ ისმის ლოგიკურად?! იქ ომი კარგა ხნის დაწყებული იყო, როდესაც კავკასიელი მებრძოლების ჩაყვანა მოიფიქრეს. მინდა, იცოდეთ ქრონოლოგია: როდესაც ადგილობრივი ოპოზიცია ფიზიკურად ვერ გაუმკლავდა რუსეთის იარაღით გაძლიერებულ ასადს და მარცხისკენ წავიდა მათი საქმე, სწორედ მაშინ წამოაყენეს არაბმა რადიკალმა მუსლიმანებმა წინადადება, ჩაერთოთ ბრძოლაში კავკასიელი მებრძოლები; ისინი კარგად იბრძვიან, მათაც იომონ ისლამის სახელით, ჩვენც ხომ დავეხმარეთ ჩეჩნეთის ომის დროსო. ამის შემდეგ გადაწყდა კავკასიელების წაყვანა, თორემ თავიდან მათი ჩაბმა დაგეგმილი არ იყო. ამას გარდა, ისმის კითხვები: როგორ გაიარა ამ პროცესმა სააკაშვილის ხელში, რომლის საქმიანობის შესახებ რუსეთის სპეცსამსახურებს ყველანაირი ინფორმაცია ჰქონდათ?! და კიდევ ერთი: როგორ გაიარეს ამხელა თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორია სირიაში მოსახვედრად ისე, რომ ხელი არავინ შეუშალა?!

**– მაგრამ ფაქტია, რომ გაიარეს.**

– ეს კითხვები პრორუსული ორიენტაციის კავკასიელების გასაგონად დავსვი. ცოტა მეტი იფიქრონ და წინასწარ სულელურ დასკვნებს ნუ გააკეთებენ, იმიტომ რომ, არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები: არეულია რუსეთი, ირევა თურქეთიც და იქნებ ისეთი დრო მოვიდეს, კავკასიელები ერთმანეთს ხელების ცეცხებით ვეძებდეთ ჩვენი ოჯახების გადასარჩენად.

**– ქართული ხაზი რატომ შეიტანეს, ფაქტია, ამას აქვს კონკრეტული მიზანი და სცდება მხოლოდ პროპაგანდას.**

– ეს არის რუსული პროპაგანდისტული მანქანის დავალება: გააიგივონ საქართველო ამერიკასთან, „ნატოსთან", რუსეთის სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის შემცველ ტერიტორიასთან. ეს, ჩვენი აზრით, როგორც მოგახსენეთ, რუსეთის მოსახლეობაზეა გათვლილი, რადგან, როგორც ჩანს, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოში შემოსასვლელად ემზადება.

**– უცნაური დამთხვევებია: ბათირაშვილმა განაცხადა, რომ კავკასია და ჩეჩნეთი უნდა გაწმინდონ. რუსული მედია კი აცხადებს, რომ ბათირაშვილი, საქართველოს მოქალაქე, ისლამურ სახელმწიფოში შეაგზავნა ამერიკულმა სპეცსამსახურებმა.**

– და ამისთვის უნდა გაიარონ საქართველო. რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ორი კურდღლის დაჭერა უნდა: მხოლოდ საქართველოში შემოსვლა წამგებიანია მათთვის, აზერბაიჯანსა და საქართველოში ერთად უნდათ შემოსვლა და გადასარევი მიზეზია, რადგან, თუ რუსეთის ტერიტორიაზე უნდა მებრძოლს შეღწევა, აზერბაიჯანის, ან საქართველოს გავლით უნდა გააკეთოს ეს.

**თარხან ბათირაშვილმა, ანუ აბუ-უმარ შიშანმა, რამზან კადიროვისა და მისი გარემოცვის ლიკვიდაციისთვის ჯილდოები დააწესა**

**– ანუ ის, რაც რუსული პრესით ვრცელდება, რომ საქართველო ურევია ტერორისტული სახელმწიფოს შექმნაში, არის გზავნილი საქართველოში შესაძლო შემოჭრის დამადასტურებელი?**

– ჩვენ ეს აღვიქვით, როგორც პროპაგანდისტული საინფორმაციო ომის დასაწყისი საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ოღონდ უფრო ოსტატურად და ეშმაკურად მოფიქრებული: თითქოს ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ ისინი უბრალოდ იცავენ თავიანთ სახელმწიფოებრიობას ამ ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეებისგან. ეს ძალიან სახიფათო თამაშია, ძალიან ფრთხილად და დიდი გულისყურით უნდა ვიყოთ აზერბაიჯანთან ერთად. და ვფიქრობთ, ამ პროპაგანდისტული მანქანის ამუშავებას აუცილებლად მოჰყვება შიდა პოლიტიკური პროცესების გამწვავება საქართველოსა და აზერბაიჯანში. ანუ აქაც და იქაც ოპოზიცია დაიწყებს აქტიურობას. ამიტომ ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა იყოს და თავად უნდა გადადგას ნაბიჯები წინასწარ სიტუაციის განსამუხტავად. აუცილებლად უნდა გაატაროს რეფორმები, რომ პრორუსულ ოპოზიციას არ დაუტოვოს საფუძველი, გაათამაშონ 1992 წლის არეულობის სცენარი.

**– როდესაც ლაპარაკია გაწმენდაზე, ვიცით, რომ იგულისხმება ტერიტორიის გაწმენდა ურჯულოებისგან, ანუ ქრისტიანებისგან. ესე იგი, ბათირაშვილის განცხადება გულისხმობს ქრისტიანი ქართველების ამოწყვეტას?**

– მას და მისი დონის სარდლებს განცხადებების გაკეთებისას პიროვნული კომენტარების უფლება არ აქვთ. მე არ მჯერა, რომ ეთნიკურად კავკასიელ სარდლებს ქართველი ქრისტიანების გაწყვეტა უნდათ, თუმცა რადიკალური ისლამი ითვალისწინებს ყველას გამუსლიმანებას, მაგრამ ჩვენ, მგონი, ეს ამბავი არ გვიკვირს.

**– მე ის მიკვირს, ფშაველი კაცი, ჩემი თანამემამულე რომ მეუბნება ამას.**

– ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ აქცენტი იმაზე, რომ ქართველებისგან გაწმენდას გულისხმობენ, ვფიქრობთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის გაწმენდა უნდათ რუსეთის ფედერალური ჯარებისგან და რუსებიც, ასევე, კავკასიელის პირით ახვედრებენ კონტრარგუმენტებს და საქართველოს ტერიტორიაზე უნდათ ამ კონფლიქტის გადმოტანა. ჰკითხეთ ხელისუფლებას: არის მზად, დაიცვას ჩვენი ქვეყნის ტერიტორია?!

**ნინო ხაჩიძე**

## ვანიკო კომახიძის გახსენება



*... უცოდველი ვიყავი მის წინაშე*
*და თავს ვიცავდი შეცოდებისგან.*
*და... მომიზღო უფალმა ჩემი სიმართლით,*
*ჩემთა ხელთა სიწმიდის კვალობაზე*
*თვალთა წინაშე...*
***ფს. 14,8***
*ამიტომ ანთებს ჩემს ლამპარს უფალი;*
*ჩემი ღმერთი სინათლედ მიქცევს სიბნელეს.*
***იობ. 18,6; 29,3.***

არის წუთები, როცა რეალობასთან შეგუება გიჭირს. კი არ გიჭირს, უბრალოდ, არ გინდა. სურვილი გიჩნდება, თვალები მაგრად დახუჭო. მერე გაახილო და ყველაფერი ისევ ძველებურად იყოს. თითქოს არაფერი მომხდარა... სწორედ ეს სურვილი არ გვტოვებს იმ საშინელი დღიდან, როცა შენი მოულოდნელი, ტრაგიკული გარდაცვალების ამბავი გავიგეთ.

არ ვიცით, რა შეიძლება, ვუწოდოთ ამას – უეცარი გარდაცვალება თუ სულის მოულოდნელი ამოფრქვევა სხეულიდან, ის კი ვიცით, რა იყო ჩვენთვის და იმ ადამიანებისვის, ვისთვისაც შენი სიკვდილის ამბავი მეხის გავარდნასავით გაისმა – შოკი... და კიდევ, უსუსურობის განცდა. საშინელებაა, როცა ხვდები, რომ არაფერი შეგიძლია – არ შეგიძლია შეცვალო რეალობა, რომელმაც ერთ წამში წაგართვა საყვარელი ადამიანი, ხელიდან გამოგაცალა კიდევ ერთი სიცოცხლე და გადააბარა მარადისობას.

საშინელებაა, როცა შენზე უკვე წარსულ დროში ვილაპარაკებთ და გავიხსენებთ, როგორი თბილი, ყურადღებიანი და მზრუნველი იყავი.

ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი კოლორიტი, ბუმბერაზი და კეთილი ადამიანი დააკლდა, ვანიკო კომახიძის სამეგობროს კი – მისი ღიმილიანი, სიყვარულით სავსე მზერა.

**მეგობრები**

**ბოლოს მაინც იქამდე მივედით, რომ „სვანები ბრილიანტები არიან“... მართალია, სრულიად ქართველ ერს გვარიანი „გაშლიფოვკება“ სჭირდება, მაგრამ, სანამ შეგვიძლია, უცხო ქვეყანაში თოთხმეტჯერ დავაკვრევინოთ საქართველოს ჰიმნი, ყველაფერი დაკარგული ჯერ კიდევ არ არის... სოსო ჯაჭვლიანი ფიქრობს, რომ მომავალი, ჩვენი შვილების თაობა, ჩვენზე გაცილებით უკეთესი ქართველები იქნებიან...**

# როგორ იყოფა სვანეთში ქონება და რატომ ამაყობს ამით სოსო ჯაჭვლიანი

**სოსო ჯაჭვლიანი**: ძალიან მაგარ თემაზე ვსაუბრობთ: „ეროვნება – ქართველი“! ჩემთვის ქართველობაზე ლაპარაკი ძალიან სერიოზულიც არის და იუმორით გაჟღენთილიც... შეიძლება, ეთიოპიელი იყოს ყველაზე დიდი ქართველი. თბილისის მფარველი ანგელოზი არის აბო თბილელი. რატომ? თბილისელებმა რატომ აირჩიეს არაბი თავისი დედაქალაქის მფარველად? ტყუილად არ იზამდნენ ამას – ასე მიაგეს მას პატივი ქართული საქმის კეთებისთვის და საქართველოსთვის თავგანწირვისთვის. ამიტომაც, არა აქვს მნიშვნელობა, წარმოშობით იქნება ქართველი თუ არა, მთავარია, სული გქონდეს ქართული, საქართველო გტკიოდეს და ქმედებითაც იყო ქართველი.

მეგრელი ამბობს – ქორთუ მოიყვანა ცოლად, ანუ, ქართველი მოიყვანა ცოლადო, მაგრამ, ამით იმის დამტკიცება უნდა, რომ თვითონ უფრო მაგარი ქართველია. სვანის გაბრაზება თუ გინდა, უნდა ჰკითხო – შენ სვანი ხარ? ის გიპასუხებს – ჰო, სვანი ვარ! მერე თუ ეტყვი – უი, მე ქართველი მეგონეო, გააფრენს ამაზე – ვინ არ არის ქართველიო ***(იცინის).*** ყველაზე მაგარი ქართველობით ტრაბახობს კახელიც, იმერელიც, გურულიც... ცოლი გურული მყავს და სულ ვეუბნები, თქვენს მთავრებს, გურულებსა და ვარდანიძეებს, სვანური გენეტიკა რომ ჰქონდათ, სვანები რომ იყვნენ, არ იცით-მეთქი? სვანებს ჩაგვაბარეს გურულები და ჩვენ გმწყემსავდით-მეთქი. თუ გინდათ, ისტორიულად ჩაეძიეთ და, ნახავთ, რომ ეს ასეა.

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა არის საქართველო და არის მისი მიწის განსაკუთრებულობაში რაღაც სიმართლის მარცვალი. ამ მიწას სხვანაირი გამოსხივება აქვს აშკარად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ასხივებს ისეთ რაღაცას, რომელიც მაგრად მოქმედებს ადამიანებზე და სხვანაირებს ხდის მათ – ვისაც აქ გაუვლ-გამოუვლია, უცხოვრია, დედა, მამა ან ბებია-ბაბუა ჰყავს ქართველი, სხვანაირია – ჩვენს მეზობელ ხალხებს ვგულისხმობ. ჩვენ და სომხები ხომ სულ ვხუმრობთ ერთმანეთზე. იყო ასეთი მოჭადრაკე – ტიგრან პეტროსიანი. მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, სომხებმა ატეხეს ერთი ამბავი – ჩვენი თანამემამულეა, ჩვენი... ჩვენი... ჩვენიო... არადა, თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი. მაგრამ, ამაში არ არის საქმე – როცა წააგო, ასე გამოაცხადეს: „ვოსპიტამნიკ დომა პიონეროვ გოროდა ტბილისიო“ ***(იცინის).***

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული გამოვიდა ახლახან. კიდევ გადავიკითხე, მაინტერესებდა, როგორ აღწერდნენ ჩვენი ჟამთააღმწერლები მოვლენებს. „სავარაუდოდ, დაახლოებით” – ასე იწყებენ ფაქტზე საუბარს, ანუ, მტკიცებით ფორმას ერიდებიან; სომეხი კი გეტყვის: „ვოტ, ეტომუ კამნიუ, მილიონ ჩეტირესტო ლეტ, ვოსემ მესიაცევ, შესტ დნეი... ია, ეტო ტოჩნო ზნაიუ“... – ეს არის განსხვავება, რაც, ერთი მხრივ, კარგია, მეორე მხრივ – სასაცილო. ქართველები ვართ „ფანტიაშვილები”, რაც ზოგჯერ კი დიდი პლუსია, ზოგჯერ უზარმაზარი მინუსი. ფანტიაშვილობა საკუთარ თავშიც ხშირად დამიჭერია.

**– ქართული სუფრა?**

– ქართული სუფრა ახლა ყოველგვარ ზღვარს გადადის და ზოგჯერ ღრეობისა და ფარისევლობის არენად იქცევა. ვამბობდი, კლუბი უნდა შევქმნა, სადაც სუფრაზე ითქმევა სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. რატომ?! – გეტყვით მაგას. ქართული სუფრის წესია, რომ თამადამ ყველა იქ მყოფი ერთნაირად დალოცოს. რა არის ამაში ცუდი? – მოგახსენებთ: ბავშვისთვის მამა ყველაფერია, ყველაზე დიდი ავტორიტეტი, ყველაზე მაგარი ვინმე... ის ჰგონია დაუმარცხებელი და, რა ხდება? – მამა ზის სუფრასთან, თამადა კი კარგ კაცსაც და ცუდ კაცსაც ერთნაირად ლოცავს, ერთნაირი ეპითეტებით ამკობს. შედეგად, ბავშვში ქვეცნობიერად ილვიძებს პრინციპი: „აა, ესე იგი, ყველაფერი მოსულა.” რა მნიშვნელობა აქვს, ვინ კარგია და ვინ ცუდი? შანსი მიეცემა და ისიც ასე მოგექცევა. ჩემი აზრით, ამან ითამაშა დიდი როლი ქართველის ფარისევლად ჩამოყალიბებაში. თუმცა, ეკლესიურად ეს



**როცა იტყვი, მე ყველაზე მაგარი ვარო, იქ „დაგერხევა“**

მართალია – ნაძირალა ისე უნდა დალოცო, რომ თვითონვე სახტად დაჩრეს, გაუკვირდეს და შერცხვეს, იფიქროს გამოსწორებაზე. ასეთი რაღაც ჩვენს მეზობლებში, იგივე სომხეთში, აზერბაიჯანში არ ხდება. მე არ ვიცი, შეიძლება, ჩვენი ქვეყანა ასეთმა უკიდურესობებმა მოიყვანა აქამდე. ხომ იცით, რკინა რამდენიც გინდა იმდენი ყრია, ბრილიანტი კი ძალიან ცოტაა, ბრილიანტი მაინც ბრილიანტია.

**– ანუ, იქამდე მივედით, რომ ქართველები ყველაზე მაგრები ვართ?**

– არა, ბრილიანტი სხვა ერებშიც ბევრია,

**კლუბი უნდა შევქმნა, სადაც ქართულ სუფრაზე ნათქვამი იქნება სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე**

განურჩევლად ყველაში და არაფრით ვართ ვინმესგან განსხვავებულები. როცა იტყვი, მე ყველაზე მაგარი ვარო, იქ „დაგერხევა“.

**– ქართველი მამაკაცების სისუსტის შედეგი ხომ არ არის ის სიტუაცია, რაც დღეს ქვეყანაშია? ბევრი კარგი ღირსება დაკარგა ქართველმა კაცმა.**

– მე გეტყვით, რატომ დაკარგა – ის როლი დაკარგა თითოეულმა, რომელიც ადამიანს ენიჭება. შვილებიც ჰყავთ, შვილიშვილებიც, მაგრამ, მაინც მშობლებზე არიან ჩამოკიდებული. შვედეთში, მაგალითად, ასეა: იქ ახალგაზრდა რომ იწყებს მუშაობას და ხდება სრულწლოვანი, იღებს ბინას, თანაც – ყველა. მათი მშობლები საპენსიო ასაკს რომ მიაღწევენ, არიან მდიდრები: ყველაზე ძვირფასი მანქანები ჰყავთ, მაგარი სახლებიც აქვთ, მაგრამ, შვილებს არაფერს უტოვებენ – შვილი წავიდეს და თვითონ შექმნას თავისი ცხოვრება და კეთილდღეობაო. ჩვენ რას ვაკეთებთ? გახსოვთ, კომუნისტების დროს ქართველი რით ამაყობდა? ქვეყანას რომ ძარცვავდა და შვილს, დებილს, ინსტიტუტში ფულით მოწყობილს, დიდ ქონებას რომ უტოვებდა. შვილი რომ დებილი გამოსვლოდა, იმაში იხდიდნენ ფულს. იმ კომპლექსისგან რომ თავისუფლდება ადამიანი, შვილებს ქონება დაუტოვოს, ქვეყანაზე სხვანაირად იწყებს ფიქრს. იცით, როდის იცხოვრებს ჩვენი მომავალი კარგად? – ძარცვით ნაშოვნ ფულს კი არა, აწყობილ, მდიდარ ქვეყანას რომ დაუტოვებ – მაშინ შენი მომავალი ბედნიერი იქნება და საამურად იცხოვრებს. ერთი ბინა ამ შვილს... მეორე – იმ შვილს... მანქანა – ამას, მეორე მანქანა და აგარაკი – იმას... იყო სუფრაზე ტრაბახი: ენაცვალოს მამა ჩემს შვილს, ისღა მაკლია, მუშაობით თავი მოიკლას, ამას ვუტოვებ და იმას ვუტოვებო... და ამას ის შვილები ისმენდნენ. იმიტომაც გამოშტერდა თაობაც და სიტუაციაც.

გეტყვით, რითი ვტრაბახობ მე: მამა მყავდა სამხედრო კომისარი. სამხედრო კომისრები ფულთან ასოცირდებოდნენ. მამაჩემი უპატიოსნესი ადამიანი იყო და ასეთს ვერავინ ვერაფერს იტყვის მასზე; თუ იტყვის, დაამტკიცოს და კონვერტირებული ვალუტით დავუბრუნებ უკან. ჯარში რომ ვიყავი, მაშინ, როცა მამაჩემი რაიონის სამხედრო კომისარი იყო, ჩემი ძმაც, სამხედრო მფრინავი, გაუშვა ჯარში. ჯარი არ იყო?! მფრინავობას სწავლობდა. 12 წლის რომ ვიყავი, ველოსიპედის ყიდვა მინდოდა და თორმეტი წლის ბავშვმა „კაჩეგარად“ დავიწყე მუშაობა. კიდევ რითი ვტრაბახობ, იცით? პარლამენტის წევრი ვარ, ჩემი შვილი არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობს და თან მიმტანად მუშაობს ბარში – აი, ამით ვტრაბახობ, ასეთი ქართველი მინდა მე, ყველამ რომ აკეთოს თავისი საქმე! ვარლამ არავიძის არ იყოს, ზოგი ბოზობს, ზოგი ქურდობსო... არავის ცხოვრება არავისი საქმე არ არის. ღირებულებების დეფიციტია, მაგრამ, ამას კიდევ არა უშავს, მთავარია, ყველამ უნდა აკეთოს თავისი საქმე. ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს. რომ ამბობენ, რაღაც დაიკარგაო... არაფერი არ დაუკარგავთ მათ, არაფერი... 16 წლის ბიჭებთან ვიჯექი სუფრასთან და მათ გამახსენეს სუფთა, ადამიანური ღირებულებები... წელან რომ მკითხე, ჩვენ რა ბრილიანტები ვართო? არა! მაგრამ, ყველა ერში დევს ბრილიანტი. შეიძლება, „გასაშლიფოვკებელი“, დაუმუშავებელი, ჭუჭყიანი, მაგრამ, მაინც, ბრილიანტი – ბრილიანტია...

**– ანუ, ერთი კარგი „შლიფოვკა” გვჭირდება?**

– აუცილებლად. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ კარგად – ამის დეფიციტია. კახელსა თუ სვანს თავიანთი საზომით ზომავენ, ისე, რომ არაფერი იციან არც კახელზე და არც სვანზე. სვანეთში იმხელა კულტურაა!.. ერთ მაგალითს მოვყვები მხოლოდ, როგორ იყოფა ქონება სვანეთში – ნებისმიერ იურიდიულ კანონებს აჯობებს თავისი სი-

**(გაგრძელება 50-ე გვერდზე)**

**მატილდა მიურატს ხელოვნებისადმი სიყვარული და ინტერესი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაუჩნდა. მოგვიანებით კი, ის, რაც ძალიან უყვარდა, საქმედ აქცია და მისმა სახელოსნომაც სახლის ეზოდან ბარნოვის ქუჩაზე, 53-ე სკოლის პირდაპირ გადაინაცვლა. „პრინცესა მატილდას სახელოსნოში“ როგორც პატარებისთვის, ისე მათი მშობლებისთვისაც, არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი. რაც მთავარია, თქვენი პატარები ორი საათის განმავლობაში მშვენიერ გარემოში შეძლებენ საკუთარი ფანტაზიების განვითარებას, ფრანგულ ენასაც ისწავლიან და, ერთი შეხედვით გამოუსადეგარი ნივთებისგან ლამაზ-ლამაზ ფიგურებს შექმნიან, მუდმივად გადაღლილი მშობლებისთვის კი ეს ერთგვარი თერაპიაა. ასე რომ, ყველას გირჩევთ, თუნდაც ცოტა ხნით შეიაროთ „პრინცესა მატილდას სახელოსნოში” და, დამერწმუნეთ, დიდხანს არ გაგიჩნდებათ იქიდან გამოსვლის სურვილი.**

# როგორ იქმნება არაფრისგან ყველაფერი „პრინცესა მატილდა მიურატის სახელოსნოში“ და როგორ ცხოვრებაზე თქვა მან უარი

**მატილდა მიურატი**: სახელოსნოს გახსნით დიდი ხნის ოცნება ამისრულდა. ხელოვნება ძალიან მიყვარს, სულ მომდის იდეები და, რაღაც რომ არ გავაკეთო, ცუდად გავხდები. ჩემი მეუღლე მუსიკოსია, ერთი კვირის განმავლობაში რომ არ დაუკრას, ძალიან ცუდად გრძნობს თავს და ასე ვარ მეც – ამის გარეშე არ შემიძლია. სახელოსნოსთვის ადგილის პოვნასაც ბევრი დრო დასჭირდა და ბოლოს ვიპოვე შედარებით კარგი ადგილი. იმედი მაქვს, ბავშვებს გავახალისებ, რადგან, ჩვენს სახელოსნოში ბევრ რამეს ვასწავლი, მათ შორის – „პაპიე-მაშეს“ მიმდინარეობას, ანუ, როგორ უნდა „გამოვძერწოთ” სხვადასხვა ნივთი ქაღალდებით, შემდეგ გავაშროთ და შევღებოთ. ვისაც ექნება სურვილი, შემიძლია, გაკვეთილები ფრანგულ ენაზე ჩავუტარო და ბავშვებს ელემენტარული ფრანგული ვასწავლო. ბავშვობიდან მიყვარდა ხელოვნება, ხატვა. სულ ვამბობდი, რომ არაფრისგან ყველაფრის გაკეთება შეიძლება და ეს ჩემს სახელოსნოში უკვე ხდება – ახლა მინდა, ბავშვებსაც ვასწავლო. თუმცა, ეს მხოლოდ მათთვის არ არის, დიდებსაც სჭირდებათ, რადგან, ძალიან ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ერთგვარი თერაპიაა. ამიტომ, ვისაც აქვს დღეში თავისუფალი ორი საათი, შეუძლიათ, მოვიდნენ ჩემთან, მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს და მიხვდებიან, რამხელა სიამოვნებას მიიღებენ.

**– შენი და-ძმაც დაინტერესებულია ხელოვნებით?**

– მხოლოდ მე ვარ ამ საქმეში ჩართული, თუმცა, გენში გვაქვს ხელოვნების სიყვარული, ლტოლვა. ჩემი დეიდა ძალიან კარგი მხატვარია, ასწავლის, ფაიფურის მოხატვაზე მუშაობს. საფრანგეთში დიდი სასახლე აქვს, რომლის მისაღებიც სულ მოხატულია. ბებიაც კარგად ხატავდა და შვილიშვილებს გვასწავლიდა. მამის მხრიდან 100-200 წლის წინ გვყავდა ერთი ბებია, რომელიც მხატვარი იყო, ანუ, ოჯახში ორივე მხრიდან მყავს მხატვრები. ჩემი ერთი და პარიზში ცხოვრობს, მეორე – კანადაში; ძმა ახლა საქართველოშია, აქაურობა ძალიან შეუყვარდა და აქ დიდხანს დარჩენას, დიდი დროის გატარებას აპირებს.

**– დღეს გოგონების უმეტესობა, ალბათ, პრინცესობაზე, ლამაზ სასახლეში ცხოვრებაზე ოცნებობს, რაზეც შენ უარი თქვი და ახლა შენთვის, წყნარად, მეუღლესთან და სამ უსაყვარლეს შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობ.**

– შეიძლება, ეს ბევრი ადამიანის ოცნება იყოს, მაგრამ, ერთი მხრივ, ძალიან რთულია. საფრანგეთში ახლა ისეთი ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციაა, რომ, ჩემი აზრით, სასახლე არცთუ ისე კარგი საჩუქარია – დიდი თანხები გჭირდება, რომ სასახლეს მოუარო. ერთი და ორი ფანჯრის შეღებვა უჭირს ხალხს და, წარმოიდგინე, როცა გაქვს ასი, ორასი ფანჯარა და ყველას შეღებვა სჭირდება, ისევე, როგორც ჭერს, ამიტომ, ძალიან რთულია. თავადების უმეტესობა ცდილობს, სასახლეებს მოუარონ, მაგრამ, უჭირთ. მამაჩემის ძმას ძალიან კარგი სასახლე აქვს – ის, რომელშიც მამაჩემი დაიბადა. ნახევარ სასახლეში თვითონ ცხოვრობს, მეორე ნახევარი კი მუზეუმად გადააკეთა, სადაც ხალხი მოდის და მერე ამ შემოსავლით უვლის დანარჩენ სასახლეს. ამას გარდა, დიდი პარკი აქვს, სადაც კლდეზე ცოცვის კუთხე მოაწყო და იქ მეხანძრეები და პოლიციელები ვარჯიშობენ; ანუ, ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ შემოსავალი ჰქონოდათ. ეს ძალიან რთულია, უჭირთ, მაგრამ, ცდილობენ, მოუარონ, რომ არ დაინგრეს.



**მამაჩემის ძმას ძალიან კარგი სასახლე აქვს – ის, სადაც მამაჩემი დაიბადა. ნახევარ სასახლეში თვითონ ცხოვრობს, მეორე ნახევარი მუზეუმად გადააკეთა, სადაც ხალხი მოდის და მერე ამ შემოსავლით უვლის დანარჩენ სასახლეს**

**– 11 წლისა ჩამოხვედი საქართველოში. ეს ის ასაკია, როცა ბავშვობიდან ბევრი რამ დღემდე გემახსოვრება.**

– მახსოვს, საფრანგეთის ერთ-ერთ სოფელში ვცხოვრობდით, რომელიც ძალიან სუფთა იყო, კოხტა, კარგი გარემოთი. იქ მინი-ზოოპარკი გვქონდა მოწყობილი და, ალბათ, ამიტომაც მიყვარს დღემდე ცხოველები და ხშირად ვაკეთებ მათ ქაღალდისგან. ჩემს მშობლებს ძალიან უყვარდათ ცხოველები, ფრინველები და ამიტომაც მოაწყვეს მინი-ზოოპარკი, რომლის ბინადართა უმეტესობა უცხო ჯიშის იყო, სხვა ქვეყნებიდან ჩამოჰყავდათ, იშვიათი ჯიშის ქათმები, იხვები, კურდღლები, გოჭები და სხვა ცხოველები და ფრინველები გვყავდა. ხალხი ხშირად მოდიოდა მათ სანახავად. რაც მთავარია, ყველა გაშვებული გვყავდა, თავისთვის დადიოდნენ, არ ისხდნენ გალიაში, მოშინაურებულები იყვნენ. სამწუხაროდ, გარშემო ბევრს ეს არ ესმოდა – მეზობლები გვიწამლავდნენ, კლავდნენ, არადა, არ გვყავდა საშიში ცხოველები. საბოლოოდ, ბევრი მათგანი გავაჩუქეთ. მელიაც გვყავდა სახლში, მოშინაურებული, შვიდი-რვა წელი ცხოვრობდა ჩვეთან, ჩვენ გავზარდეთ. რეჟისორს ვაჩუქეთ, რომელიც ფილმებს იღებდა და გაწვრთნილი მელია სჭირდებოდა. საბოლოოდ, მსახიობი გახდა ჩვენი მელია; კიდევ, შავი, პატარა გოჭები გვყავდა, რომლებიც ცირკს ვაჩუქეთ. ჩვენი სახლის ახლოს დიდი, ლამაზი ტყე იყო, რომელიც მთლიანად ბაბუას ეკუთვნოდა. დილით რომ სეირნობდა და უცხო ცხოველს დაინახავდა, ამბობდა: უი, ეს ვერონიკასი იქნებაო და მაშინვე გვატყობინებდა.

**– ვიცი, რომ მშობლები შენს ყველა წამოწყებას კარგად იღებდნენ, ხელს გიწყობდნენ და, ალბათ, ასე იქნებოდა სახელოსნოს შემთხვევაშიც.**

– ყოველთვის მაძლევნენ თავისუფლებას და მქონდა იმის საშუალება, რაც მინდოდა, ის მეკეთებინა. გარდა ამისა, მუდმივად მხარს მიჭერდნენ, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ და ჩემს და-ძმას, რომლებიც არა მხოლოდ ფიზკურად დამეხმარნენ სახელოსნოს გახსნაში, არამედ, ფინანსურადაც. მშობლები უნდა მიხვდნენ, რომ, არ შეიძლება, ბავშვებმა მთელი შაბათ-კვირა კომპიუტერთან გაატარონ, ცუდ რაღაცეებს უყურონ – ეს მათ ფსიქიკაზე აისახება და გაღიზიანებულები, აგრესიულები ხდებიან. შესაბამისად, მშობლებს შეუძლიათ, მოიყვანონ ჩემს სახელოსნოში, სადაც ორი საათი იქნებიან, სხვებთან დაამყარებენ კონტაქტს, ფანტაზიებს განივითარებენ. 5 წლიდან ვიღებ ბავშვებს; დიდებსაც ვასწავლი – 10-15 წლის ზემოთ და მათი პროგრამაც საინტერესო იქნება. ყოველდღე ვარ, შაბათ-კვირასაც, „ფეისბუქზეც“ მაქვს ჩემი გვერდი. აქ დაბადების დღეების მოწყობაც შეიძლება, ტორტსაც მიირთმევენ და, თან, თავისი ხელით გააკეთებენ ლამაზ ნივთებს, რომლებსაც სახლში წაიღებენ. ცარიელი შამპუნის ბოთლებისგან ისეთ ლამაზ თოჯინებს ვაკეთებთ, ასევე, ჭიქებისგან, „იოგურტის“ კოლოფებისგან – მოკლედ, ჩვენს სახელოსნოში საინტერესო რაღაცეები ხდება. ჩემთან ერთად იმუშავებს ქეთი სვანიძე, რომელიც ხატვას, მოდელირებას, ფერწერას, აპლიკაციასა და დეკორაციას ასწავლის.

**– განსაკუთრებულად მომეწონა „ნაგვიყლაპია“, რომელიც ნაგვის ურნაზე მაგრდება და, ვფიქრობ, მისი დახმარებით ბავშვებს პატარაობიდან მივაჩვევთ ნაგვის გადაყრას, სისუფთავის შენარჩუნებას.**

– საინტერესო რამ გამოვიდა. მინდა, პროექტი დავწერო და სკოლის დირექტორებს შევთავაზო, მერე კი ბავშვებთან ერთად გავაკეთო და დავდგათ სკოლებში. ვფიქრობ, ბავშვებისთვისაც და დიდებისთვისაც, „ნაგვიყლაპიას“ დახმარებით, ნაგვის ურნაში ჩაყრა სასიამოვნო პროცესი გახდება. მყარია, ბევრ ფერში შეიძლება გაკეთდეს და სახლში დაიდგას. რაც მთავარია, მინდა, თვეში ან ორ თვეში ერთხელ ჩემს სახელოსნოში მოვიყვანო უნარშეზღუდული ბავშვები და ვასწავლო, როგორ გააკეთონ ლამაზი ნივთები, გახალისდნენ, გაერთონ და კონტაქტი დაამყარონ სხვა ბავშვებთან, რათა მოხდეს მათი საზოგადოებასთან ადაპტირება.

**ნათია უტიაშვილი**

**ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ახალი შეფი ჰყავს – ირაკლი შიხიაშვილი ამ პოსტზე ცოტა ხნის წინ ხმაურიანი პერიპეტიების შემდეგ დაინიშნა. პოლიტიკაში ხმაური თითქოს დაებედა: ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ავანსცენაზე“ საკმაოდ რთული ბრძოლის ველიდან დგამდა პირველ ნაბიჯებს, მას სერიოზულ კონკურენტად არ აღიქვამდნენ, თუმცა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა – სკანდალურ ისტორიებშიც უკვე ისე „გამოიბრძმედა“ და ამ ტაიმ-აუტში ვნებათაღელვას ისეთ მწვერვალზე გაერიდა, სადაც არც ქართული პოლიტიკის „ხმა“ ესმოდა და არც მასზე აგორებული ამბები.**

# რატომ ავიდა ირაკლი შიხიაშვილი ზესხოზე და ვინ ვერ „გადაიბირა“ ის ამერიკაში

**– ბატონო ირაკლი, ახალ პოსტზე დანიშვნას მოგილოცავთ, თუმცა, ხმაურიან პერიპეტიებს ვერც აქ გადაურჩით. რატომ მაინცდამაინც ვეტერანთა თავკაცობა?**

– როცა ამ თანამდებობაზე დანიშვნა შემომთავაზეს, სიხარულით დავთანხმდი – ღმერთმა მომცა საშუალება დავეხმარო იმ ხალხს, ვისი წრიდანაც მე თვითონ ვარ გამოსული. მინდა, ჩემი გამოცდილება და, თუნდაც, პოლიტიკური დივიდენდი, რაც კი გამაჩნია, მოვახმარო ამ ბიჭების, იმ 73 ათასი კაცის პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ვეტერანთა დიდ არმიას მიეკუთვნებიან. როგორც წესი, მეომარი მეგობარს ბრძოლის ველზე არ ტოვებს, მე, რაღაც, თითქოს ისე გამომდიოდა, რომ „გავივაკე,“ სადღაც გავდივარ ჩემთვის და ეს ბიჭები არ მაინტერესებს – ასე არაა ცხოვრება. რაც შეეხება ამ აჟიოტაჟებსა და ხმაურს, ამაზე მეგობრებმა მითხრეს, ვაჟას ლექსი მოგერგო – ცუდდას რად უნდა მტერობაო. როცა რამეს აკეთებ, მოწინააღმდეგეც ბევრი ჩნდება. სიმართლე გითხრათ, ეს ხმაური უკვე აღარც მიკვირს. შეიძლება ითქვას, რომ ვნებათაღელვა თავიდანვე დამებედა ***(იცინის)*** – როცა პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და მაჟორიტარ დეპუტატად ვიყრიდი კენჭს სამგორში, მაშინ სერიოზულ კონკურენტად არავინ აღმიქვამდა. მე არ მქონდა არანაირი ფინანსური რესურსი, ჩემთან ერთად კი კენჭს იყრიდნენ მოქმედი დეპუტატი და ლილოს ბაზრობის დამფუძნებელი (ღმერთმა აცხონოს ის ადამიანი). ამ „მძიმეწონიანთა“ კატეგორიაში მე ვინ ვიყავი, თუმცა, ისე მოხდა, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ შემდეგ პირველ ადგილზე მე გავედი. რვა ათასზე მეტი ხმა ავიღე და ყველა ხმა ნამდვილი იყო. მე მყავდა ჩემი სამეგობრო, ზუსტად ის ვეტერანი ბიჭები, რომლებთანაც ახლა დავბრუნდი, თუმცა, მათგან შორს არც არასდროს წავსულვარ. მე მათი ენა არასდროს დამვიწყებია, პირიქით, გულისტკივილად მქონდა ის დამოკიდებულება, რაც ვეტერანთა მიმართ იყო. სამწუხარო ისაა, რომ ამ წლებში ვეტერანთა იმიჯს სერიოზულად ებრძოდნენ. დღეს, ქვეცნობიერად, საზოგადოებას მათ მიმართ არ აქვს ისეთი სოლიდარობის გრძნობა, როგორიც ვეტერანებს ეკადრებათ. იმ ბრძოლის შედეგად, ყველას შთააგონეს, რომ ვეტერანი არის მარგინალური ტიპი, ცოტა კრიმინალი, ცოტა მეამბოხე და სახელმწიფოსთვის სახიფათო. მე მინდა, საზოგადოებამ კარგად გააცნობიეროს, რომ ეს ის ხალხია, ვინც ქვეყნისთვის სიცოცხლეს წირავდა.



**როცა პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, სერიოზულ კონკურენტად არავინ აღმიქვამდა**

**– პოლიტიკური დივიდენდებიო, ბრძანეთ. ამბობენ, რომ აღარც პოლიტიკური დივიდენდები გაქვთ და აღარც პოლიტიკური ქულები. რას გერჩით „ოცნების“ პოლიტიკური ელიტა, მათ შორის – ვიცე-პრემიერი?**

– გააჩნია, ვის რა ჰგონია ქულა და დივიდენდი. როცა რამეს ვაკეთებ, იმიტომ არ ვაკეთებ, რომ ვინმეს გავეპრანჭო, თავი მოვაწონო და ყელმოღერებულმა ვიარო; მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ასე მიმაჩნია სწორად. შეიძლება, ვცდებოდე, მაგრამ, რასაც ვაკეთებ გულით უნდა ვაკეთო. 24 საათი იმას მაძახებენ, პრემია აიღოო, მე პრემია არ ამიღია, მთელი პრემია, ბოლომდე, ბერი ანდრიას ფონდში მივიტანე იმ ბავშვებისთვის, ვისაც დახმარება სჭირდებოდა. იქ ბევრმა აიღო პრემია, მაგრამ, ზოგმა წაიღო ფონდში, ზოგმა – არ წაიღო. ღმერთმა ყველას მშვიდობაში მოახმაროს ის ფული, ხშირად ისინი უფრო მეტს ყვირიან, შიხიაშვილმა პრემია აიღოო, ვისაც ის ფული ფონდში არ წაუღია – ეტყობა, საკუთარ თავთან უნდათ გამართლება. რაც შეეხება იმას, რომ მე მერჩიან – ვინ მერჩის? ვინ თქვა, რომ „ოცნების“ პოლიტიკური ელიტა მერჩის? ჩემი და კახის შეხვედრა ყოველთვის არის ძალიან გულთბილი; ერთმანეთთან ნორმალური და კარგი ურთიერთობა გვაქვს. მე კარგად ვიცი, საიდანაც მოდის ხოლმე ეს ხმები – „ნაციონალური მოძრაობიდან“ წამოსულ დეზინფორმაციას არ წამოვეკიდები. მათ მიაჩნიათ, რომ შიხიაშვილი მოღალატეა, თუმცა, თვითონაც იციან, რომ მე მოღალატე არ ვარ. მე, მათგან განსხვავებით, ხალხს და ქვეყანას არ ვღალატობ და ამის აღიარება არ შეუძლიათ. დღეს ჩემი მიზანი „ნაციონალებთან“ დებატები და რამის მტკიცება კი არ არის, ჩემი მიზანია, ვეტერანების შესახებ ზუსტად ის იცოდეს საზოგადოებამ, რასაც ისინი იმსახურებენ და მერე თვითონ საზოგადოება გახდება მათ მიმართ სოლიდარული. ჩვენს მომავალ თაობას სჭირდება მაგალითები – კარგი მაგალითები! იცით, „ნაციონალური მოძრაობა“ ვეტერანებს რას სთავაზობდა? სიღარიბის ზღვარს მიღმა პროგრამაში ჩაგსვამთ და ვეტერანთა დეპარტამენტს გავაუქმებთო. ბიჭებმა ამაზე უარი თქვეს. რა გამოდის – მე ვიბრძოლე ჩემი სამშობლოსთვის და მე გავლატაკდი?! მომავალ თაობას რას ვუტოვებთ – მამაჩემი, თავდადებული გმირი უდრის ღატაკს?! სიღარიბის ზღვარს მიღმა პროგრამა ხომ ჩვენს სულიერებას, ქვეყნის დაცვასა და სიცოცხლისუნარიანობას აღარიბებს! ესაა სულში ჩაფურთხება, მეტი კი არაფერი.

**– ბევრს საუბრობენ თქვენი და ზვიად ყანჯარაშვილის მეგობრობაზეც, რომელსაც თქვენს მფარველად მიიჩნევენ. სად და როგორ დაიწყო თქვენი მეგობრობა?**

– ძალიან სამწუხაროა, რომ საზოგადოებას 73 ათასი კაცის პრობლემა უფრო ნაკლებად აინტერესებს, ვიდრე ჩემი და ზვიადის მეგობრობა ***(იცინის).*** ჩვენ ერთმანეთი საერთო მეგობრის წყალობით გავიცანით და დავმეგობრდით 2001 წელს. მაშინ ტელევიზორების ქარხნის დირექტორის მოადგილე ვიყავი და, არც მე და არც ზვიადს პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ გვქონდა. ჩვენი მეგობრობა პოლიტიკურ კონიუნქტურაში არც არასდროს ჩამჯდარა, მე მეგობრობა სხვანაირად მესმის. იმის შემდეგ ზვიადი ჩემთვის უახლოესი მეგობარი გახდა. ჩვენ ბევრი გვაქვს საერთო – კაცს რომ შეხვდები, ან იმწუთში გიყვარდება და ძმაკაცდები, ან, ორასი წელიც რომ გავიდეს, იმასთან ურთიერთობის სურვილი არ გაგიჩნდება. მე ბევრი მეგობარი მყავს, რომლებიც მე მგვანან და რომლებთანაც ბევრი მაქვს საერთო; არიან ისეთებიც, რომლებიც მე საერთოდ არ მგვანან, მაგრამ, მათში ზუსტად ის მიყვარს, რაც მე მაკლია. ბევრმა, შეიძლება, არც იცის, მაგრამ, ზვიადი არის მაღალი დონის მენეჯერი, არასდროს მიდის კომპრომისზე უსამართლობასთან და ძალიან უყვარს თავისი ქვეყანა. ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ და გვიყვარს, როგორც მეგობრებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. მეცინებოდა, როცა ვუყურებდი კადრებს: მე – სათვალით, თითქოსდა ოდიოზური ტიპი და, იქვე, ზვიადის ფოტოები მეუღლესთან ერთად – თითქოსდა მონსტრები ვართ, მაგრამ, დაკვეთა იყო ასეთი და, სხვა რა გზა ჰქონდათ?!

**– ბატონო ირაკლი, გასცლოდით ამ პოლიტიკას და გეცხოვრათ მშვიდად, არ გერჩივნათ?**

– მე მიყვარს ეს ადამიანები, მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ოჯახი, სამეგობრო, ამ სიყვარულით ვცხოვრობ და, რატომ უნდა გავცლოდი ამ ყველაფერს? სიყვარული და გულგრილობა ერთად ვერ ძოვს. სიმშვიდე არის ორი მეტრი ერთ მეტრზე და ოთხი ფიცარი. სანამ ცოცხალი ხარ, ცოცხალი უნდა იყო, ბრძოლებსაც უნდა გაუძლო და ბრძოლები უნდა დაიწყო კიდეც. თუ შენი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია, ყველაფერი გამოგივა, მაგრამ, თუ რამეს იმიტომ აკეთებ, რომ მარტო შენთვის გინდა მოსაქაფად, მაშინ, ვერაფერსაც ვერ დაიწყებ, დეფიციტი გაგიჩნდება და დაილლები. ამას ინტერვიუსთვის კი არ ვპოზირებ, ამას ვეუბნები ყველას, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს. მე არ მომითხოვია, გინდა თუ არა, აქ უნდა ვიყო-მეთქი, მაგრამ, როდესაც შემომთავაზეს ეს სამსახური, ვთქვი თანხმობა, რადგან, ჩავთვალე, რომ ეს არის საჭირო და გასაკეთებელი საქმე.

**– პენსიაზე გაუშვესო, ესეც ითქვა. თქვენი აქტიური ხასიათისთვის ეს სამსახური მართლა პენსია ხომ არაა?**

– არა, ეს არაა პენსიაზე გასვლა. აქ რომ საქმე არ იყოს გასაკეთებელი, მაშინ მართლა პენსიაზე ვიქნებოდი, მაგრამ, მე წელანაც გითხარით, თუ რამდენად ბევრი საქმე გვაქვს და რამდენი სირთულე გვიდგას წინ. ჩემი მთავარი მიზანია, შეიცვალოს დამოკიდებულება იმ ხალხის მიმართ, ვინც თავისი ქვეყნის გმირია, ღირსება და პატივი დაუბრუნდეთ მათ. გმირების გამოგონება არ გვჭირდება, გმირები გვყავს, მხოლოდ

**(გაგრძელება 35-ე გვერდზე)**

**ჩვენი რუბრიკის პირველი სტუმარია „ტაბულას“ ჟურნალისტი, გადაცემის – „მძიმე კაცთან“ წამყვანი, დავით კოვზირიძე. ზოგიერთი მისი მოსაზრება შეიძლება, სადაო და მიუღებელიცაა მავანთათვის. თუმცა, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორია „მძიმე კაცი“ ჩარჩოს გარეშე, გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.**

# რას დააჭერინებდა ხელში ქართლის დედას „მძიმე კაცი“ და რომელ ქართულ ტრადიციას მიიჩნევს ის სიყალბედ და მარაზმად

**– ჟურნალ „თბილისელებს“ კითხულობთ?**

– იშვიათად, რომ ამიერიდან წავიკითხავ. მე თითქმის არ ვეცნობი ქართულ პრესას.

**– არაობიექტურები ვართ?**

– ობიექტური მედია საერთოდ არ არსებობს. არ შეიძლება, რომ სუბიექტები ობიექტურები იყვნენ. ყველა მედიას თავისი პოზიცია აქვს. ზოგს ლანძღავ, ზოგსაც – არა. ასეა მთელ მსოფლიოში. ყველა მედია სუბიექტურია, დანაყებული „სიენენიდან“, „ობიექტივით“ დამთავრებული.

**– კარგი ჟურნალისტი ხართ?**

– კლასიკური გაგებით, რასაც რეპორტიორი ეწოდება, მე არ ვარ ჟურნალისტი და ჟურნალისტიკა არ მისწავლია. უფრო პუბლიცისტი ვარ, რადგან მთელი ცხოვრებაა, ვწერ. არც ჩემი გადაცემაა კლასიკური ჟურნალისტიკის ნიმუში. მე მაინტერესებს ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება იცნობს და მინდა, ხალხს ისეთებად გავაცნო, როგორებიც სინამდვილეში არიან.

**– მერე, გამოგდით?**

– მე, მგონი, კი.

**– „მძიმე კაცს“ რატომ გიწოდებენ?**

– ეს სახელი მეგობრებმა შემარქვეს. თუმცა, მე სულაც არ მიმაჩნია, საკუთარი თავი მძიმე კაცად. ხალხი კი იმიტომ მიწოდებს „მძიმე კაცს,“ რომ ფიქრობენ, მძიმე კითხვებს ვუსვამ ჩემს რესპონდენტებს. ჩემი კითხვები კი სრულიად არაა მძიმე გულწრფელი ადამიანებისთვის. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან ცოტაა გულწრფელი.

**– თქვენ თვითონ თუ ხართ გულწრფელი?**

– ვფიქრობ, ვარ.

**– მაშინ, გულწრფელად მიპასუხეთ, რატომ დასცინით ქართულ ტრადიციებს?**

– მაინც, რომელს?

**– მაგალითად, ქართულ სუფრას, თამადის ინსტიტუტს.**

– თამადობა ქართული ტრადიცია არ არის. სუფრის გაძღოლის წესი კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს. თუმცა, მათ იქ თამადა არ ჰქვიათ. საქართველოში დამკვიდრებული თამადობა კი მახინჯი ტრადიციაა. თუმცა, ისეთ სუფრებზეც ვყოფილვარ, სადაც თამადისგან დიდი სიამოვნება მიმიღია. მაგრამ, ეს ჩვენში იშვიათობაა. ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტზე მეტი კი, ქართულ სუფრაზე თამადობა მარაზმია, იაფფასიანი სპექტაკლი და სიყალბე.

**– თქვენს საყვარელ კითხვას დაგისვამთ: თვითონ რას დააჭერინებდით ხელში ქართლის დედას?**

– ყოველკვირა სხვადასხვა რამეს. მაგალითად, ერთ ხელში საათს, რომელიც ყოველ ერთ საათში მთელი თბილისის გასაგონად იყვირებს – ი-მუ-შა-ვეთ! მეორეში კი – ნეველის ძვალს, რომელიც საქართველოში ჩამოასვენეს.

**– ღმერთი არ გწამთ?**

– ჩემის აზრით, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაღაცის არ სწამდეს და არ აქვს მნიშვნელობა, მას ღმერთს დაარქმევ, თუ – ჯემალის...

**– როგორ ფიქრობთ, არსებობს ღმერთი და, როგორია ის თქვენს წარმოდგენაში?**

– ადამიანში ღმერთი ყოველთვის ისეთად რჩება, როგორსაც ბავშვობაში წარმოიდგენს. ყველას ჰგონია, რომ ცაში არის წვერებიანი კაცი. ასაკში რომ შედიხარ, წარმოდგენა გეცვლება. ღმერთი, როგორც ასეთი, ერთი ტიპი, არ არსებობს. ღმერთი სხვადასხვანაირია. მე ჩემი ღმერთი მყავს, შენ – შენი, მუსლიმანებს – თავისი... მე იმას კი არ ვამბობ, რომ იესო და მუჰამედი ერთმანეთისგან განსხვავდება. უბრალოდ, ადამიანებს სხვადასხვა შეხედულება, სხვადასხვა ინტელექტი აქვთ და ამ თემაზე სხვადასხვა აზრი გააჩნიათ. მთელი ცხოვრებაც ისაა, რომ გაიგო, თუ რა არის ღმერთი. ის შეიძლება იყოს სიკეთე, იმედი და ასე შემდეგ...



**ოთხმოცდაცხრამეტზე მეტ შემთხვევაში, თამადობა ქართულ სუფრაზე მარაზმია, სიყალბე და იაფფასიანი სპექტაკლი**

**– ყოვლისშემძლე რომ იყოთ, რას იზამდით?**

– ბოროტებას მოვსპობდი. გავაქრობდი იმ ადამიანებს, ვისაც სხვისი ცუდი უხარია, ვისაც სხვისი წარმატების შურს.

**– საკმევლის სუნი მოგწონთ?**

– არ მიმიქცევია ყურადღება. სხვა რამეების სუნი უფრო მიყვარს – კიტრის, პომიდვრის, ჩაქაფულის... მიყვარს მარიხუანის სუნი.

**– ესე იგი, ნარკოტიკის?**

– როგორ შეიძლება, რომ მარიხუანა ნარკოტიკი იყოს (მანახვებს ლურჯი „გალუაზის“ კოლოფს)? შეხედე, აწერია – კლავს. და, მაინც ყველგან იყიდება. მარიხუანა კი არ კლავს და აკრძალულია.

**– მარიხუანას ლეგალიზაციის მომხრე ხართ?**

– მე ვარ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის მომხრე. დაუშვებელია, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ადამიანი ბალახის მოწევისთვის დაიჭირონ. უკვე „გაერომაც“ მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის კანონი მიიღოს.

**– ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია სხვადასხვა რჩევებს გვაძლევს და ყველას თუ დავუჯერეთ, ალბათ, ერთსქესიან ქორწინებებსაც დაგვაკანონებინებენ. ეს კი ჩვენს ტრადიციებს ეწინააღმდეგება და რა აზრის ხართ ამის თაობაზე? ემხრობით მას?**

– ამ თემაზე საქართველოში მსჯელობა ძალიან რთულია. მე ელტონ ჯონი არ მიყვარს, მაგრამ მაგალითად მოვიყვან. მე მისი შემოქმედება მაინტერესებს და ჩემი საქმე არაა, ის ქალზე დაქორწინდება თუ კაცზე. ტრადიცია აქ არაფერ შუაშია. საქართველოში ხომ არსებობენ გეები, თანაც საკმაოდ მრავლად. ისინი გეებად იბადებიან და რა ვქნათ, დავხვრიტოთ?

**– როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი მამაკაცი?**

– იდეალური მამაკაცი უნდა იყოს თავშეკავებული. პატივს უნდა სცემდეს საკუთარ ოჯახს, ადამიანებს. არ უნდა იყოს „ქმოტი“. არ უნდა იყოს მშიშარა. არ უნდა სვამდეს ბევრ ღვინოს და უნდა ზრუნავდეს საკუთარ გარეგნობაზე.

**– ფეხბურთი არ უნდა უყვარდეს?**

– კი.

**– გიყვართ ფეხბურთი?**

– მიყვარს. მე სპორტული ჟურნალისტი ვარ და ჩემი მოღვაწეობა გაზეთ „სარბიელში“ დავიწყე. შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე კარგად რაც მესმის, ესაა ფეხბურთი.

**– „რეალი“ თუ „ბარსა“?**

– „ბარსა“.

**– საყვარელი ფეხბურთელი, ალბათ, მესი?**

– არა, ინიესტა.

**– გიყვარს ქართული ხელოვნება? კინო, მუსიკა?**

– ქართული ფილმები მიყვარს, მაგრამ ძველი. ახალი ქართული კინემატოგრაფი კი არ მომწონს. განსაკუთრებით კი ის უნიჭო კომედიები, რომელშიც არ დავასახელებ და, ცნობილი ქალბატონი მონაწილეობს. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ ახალმა ქართულმა კინომ კრიზისი დაძლია და რამდენიმე ფილმი სერიოზულ ფესტივალებზეც კი მოიწონეს. ზოგადად კი, ნიჭი გვაქვს. ჩვენში დევს ეს კოდი და მარტო ის რად ღირს, რომ გვყავდა ოთარ იოსელიანი, ელდარი... და ასე შემდეგ.

**– მუსიკაზე რას იტყვით? რატომღაც მგონია, რომ ირაკლი ჩარკვიანი უნდა მოგწონდეთ.**

– არ ვგიჟდები, მაგრამ მომწონს. ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. ვფიქრობ, რომ მან „რეაქტიულ კლუბთან“ ერთად, რევოლუციური ნაბიჯები გადადგა და საზოგადოება შეანჯღრია. სწორედ ამიტომაა ის დასაფასებელი.

**– პოლიტიკა გაინტერესებთ?**

– ზომიერად.

**– როგორი უნდა იყოს ქვეყნის მმართველი?**

– მთავარი ხალხია და არა მმართველი. თუ ხალხმა არ იმუშავა, მმართველი ვერაფერს გახდება. მაგალითისთვის გეტყვით: ერთი წელია, ჩვენი ტელევიზია ეძებს იმ ორგანიზაციასა თუ ფირმას, რაც გინდათ დაარქვით, ვინც დღეში ერთხელ, შესაბამისი გასამრჯელოს ფასად, ოცდაათ კაცს ოფისში ნორმალურ საჭმელს მოგვიტანს. მაგრამ ვერ ვიპოვეთ. ივლიან ერთი თვე, შემდეგ კი ხან თმა აღმოჩნდება ჩვენ მიერ შეკვეთილ საჭმელებში და ხან რა... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნორმალური მუშაობა ეზარებათ. თავის მოვალეობას გულგრილად ეკიდებიან და რა შუაშია აქ მმართველი? ხალხი უნდა გამოსწორდეს.

**– მიშა თუ ბიძინა?**

– არც ერთი...

**გიორგი ლაშაური**

**ამბობენ, საქართველოში სექსუალურ თავისუფლებას პატივს სცემენო, თუმცა ჩვენი რესპონდენტი ტრანსგენდერი ვიკა, სხვა რამეს ყვება. კონკრეტულად კი, ის უკმაყოფილოა გახშირებული რეიდებით, რის გამოც, მას ქუჩაში დგომას უკრძალავენ და სექსუალურ მომსახურებას უზღუდავენ. რეიდებს რაც შეეხება, პირადად მე, მივესალმები, თუ ეს პროცესი მშვიდ ვითარებაში, სამართალდამცავი პირებისგან დაძაბული ტონის გარეშე ჩაივლის. მე რომ გამაჩერეს, შთაბეჭდილება დამრჩა, ჩემგან თავდასხმას ელოდნენ და თავდაცვის მიზნით, თავდასხმა დაიწყეს. მაგრამ, როცა მიხვდნენ, რომ ჩემს ბედნიერებას და კმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა პროცესის მიმართ, დამშვიდდნენ და ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.**

# აქვს თუ არა ცირკის მიმდებარე ტერიტორიას საკუთარი ისტორია და ტრადიციები და რატომ აპროტესტებენ ქართველი ტრანსსექსუალები გახშირებულ რეიდებს

**– ბოლო დროს გახშირებულ რეიდებს თქვენი მცირერიცხოვანი მიტინგით პროტესტი გამოუცხადეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ და კონკრეტულად რას აპროტესტებდით?**

– ჯერ ერთი, მინდა ვთქვა, რომ ტელევიზიებმა ჩვენი პროტესტი არ გააშუქეს, რაც ადასტურებს, რომ ისინი კონტროლდებიან. რაც შეეხება ჩვენს უკმაყოფილებას, ის არის, რომ ცირკთან დგომა აგვიკრძალეს. გიჟებივით მოცვივდნენ და ისტერიული ყვირილით მოგვთხოვეს დაშლა, რის შემდეგაც გადავინაცვლეთ ტელევიზიის შენობასთან პროტესტის ხმამაღლა დასაფიქსირებლად.

**– ამას რა შედეგი მოჰყვა?**

– არანაირი. ყური არავინ შეიბერტყა. პატრული ამბობს, რომ ეს ბრძანებაა და მოქალაქეების დაცვის მიზნით ხდება. მაგრამ, ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენ არც კრიმინალები ვართ და არც საზოგადოებრივ წესრიგს ვარღვევთ. უბრალოდ, ჩვენთვის ვდგავართ და სიამოვნებასთან ერთად, ცოტა ფულსაც ვშოულობთ.

**– პროსტიტუცია ხომ კანონით აკრძალულია?**



– როგორც ვიცი, არც აკრძალულია და არც ლეგალური, მაგრამ ჩვენ ხომ ქუჩაში არ ვშვრებით? რატომ გვიზღუდავენ გადაადგილებას? თავიდან გვითხრეს, რომ ნუ გაჩერდებით. შეგიძლიათ, იაროთ, მაგრამ გაჩერებით ერთ ადგილზე არ გაჩერდეთო. მერე აღმოჩნდა, რომ აქეთიქით სიარულსაც გვიკრძალავენ და გვავიწროვებენ.

**– ამბობენ, ხშირ შემთხვევაში, ადამიანების შემოწმება უხეში ფორმებით ხდებაო და თქვენ გაყენებენ შეურაცხყოფას?**

– რასაც ხალხი შეურაცხყოფას ეძახის, ჩემთვის „იავნანასავითაა". შეგინებას შეურაცხყოფად არ მივიჩნევ, მაგრამ აშკარად აგრესიულები არიან, უბრალოდ, ხელის დარტყმისგან ძალიან იკავებენ თავს, იმიტომ რომ, იციან, ამას არ შევარჩენთ და ვუჩივლებთ. მაქვს ინფორმაცია, რომ ისინი თავიანთ ჩანაწერებს შლიან, ანუ ხელი რომ დამარტყან, შეუძლიათ, თავიანთი ჩანაწერი გააქრონ. მაგრამ ჩემს ჩანაწერს რას უზამენ?

**– ჩანაწერებს შენც აკეთებ?**

– მარტო მე კი არა, ყველა ტრანსი რთავს კამერას ან დიქტოფონს, როგორც კი პატრული უახლოვდება. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ პატრულის ყველა ეკიპაჟს ვიცნობ. ზოგიერთ მათგანს ძალიან ახლოაც და ადრე თუ გვიცავდნენ და ზრდილობიანად გველაპარაკებოდნენ, ახლა საშინლად აგრესიულები გახდნენ და ვერ ვხვდები, რატომ?

**– როდის ადრე?**

– სანამ ამ რეიდებს დაიწყებდნენ. მთავრობა რომ შეიცვალა, პატრულიც ლოიალური გახდა ჩვენ მიმართ. თუ რამე პრობლემა შეგვექმნებოდა და ვინმე შეურაცხყოფას მოგვაყენებდა, თავისუფლად ვრეკავდით „112-ში" და ჩვენს დასახმარებლად მოდიოდნენ. თავს ყველა დაცულად და თავისუფლად ვგრძნობდით. სულ იმას ვამბობდით, რომ ჩვენ უკვე თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები ვართ და ახლა რა ეტაკათ, ვერ გავიგე.

**– სხვა ტერიტორიაზე გადასვლა არ გიცდიათ?**

– რა მნიშვნელობა აქვს, სად წახვალ? სადაც არ უნდა წავიდეთ, ყველგან შეგვავიწროებენ. თუ ფიქრობენ, რომ ამით ჰომოსექსუალიზმს მოსპობენ და ცირკთან აღარავინ გავა, ძალიან ცდებიან. ეს ადგილი ისტორიულია და როგორც ჩემი დაქალი ხუმრობს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა აქ დგომის ტრადიცია და კანონები.

**– ცირკთან დგომას თავისი კანონები აქვს?**

– რა თქმა უნდა. ჩვენ ჩვენი ქცევის წესები გვაქვს, გეებს თავისი. ახალი რომ მოდის, ჯერ სპეციალური სწავლება, წვრთნა უნდა გაიაროს, ჩააბაროს გამოცდები და თუ უხუცესი ტრანსვესტიტები აღიარებენ, მაშინ ჩვენც ვაღიარებთ, როგორც ჭეშმარიტ ტრანსს ***(იცინის).*** რა მაცინებს, ორი აგური უნდა მეჭიროს და მესამეს ვეძებდე. ისედაც ამდენი უმუშევარია ქვეყანაში და ახლა ჩვენც დავრჩით მშივრები.

**– ერთგული კლიენტები არ გყავს?**

– როგორ არ მყავს, მაგრამ ისინიც დაშინებულები არიან. მანქანას ველარსად აჩერებენ და სასტუმროში კიდევ ვერ შედიან. ზოგი ისეთი კლიენტი მყავს, ძაღლი და ღორი იცნობს. ოჯახიანი კაცები არიან, თანაც ცნობილები.

**ზოგი ისეთი კლიენტი მყავს, ძაღლი და ღორი იცნობს. ოჯახიანი კაცები არიან, თანაც ცნობილები**

**– ცნობილები რა სფეროში?**

– თავიანთ სფეროში. ზოგი წარმატებული ბიზნესმენია, ზოგი – პოლიტიკოსი და ზოგიც – კარგი მამის შვილი. აქ ყველა პროფესიის ადამიანს ნახავ – დაწყებული ელიავას მუშით, დამთავრებული მაღალჩინოსნებით, ტაქსისტებზე აღარაფერს ვამბობ.

**– ტარიფები პროფესიის მიხედვით გაქვთ?**

– პროფესიის მიხედვით არა, მაგრამ ადამიანი რომ მოდის, ხომ ეტყობა, ვინ არის და რისი შესაძლებლობა აქვს? „ლენდ კრუიზერით" ან კიდევ უკეთესით რომ მოვა ადამიანი, რა თქმა უნდა, მათთვის სხვა ფასია.

**– მოთხოვნები და ფანტაზიებიც განსხვავებული აქვთ?**

– კი. რაც უფრო ფულიანია, მით მდიდარია მათი ფანტაზიები. მაგალითად, მუშათა კლასი ტიპურ მუშურ-გლეხურ სექსს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ მაღალი დონის ტიპებს ფანტაზიის დიდი უნარი აქვთ. ძირითადად, ქალის როლში ყოფნას ამჯობინებენ და ამიტომ, ჩანთაში სულ მიდევს რამდენიმე აბი ამლგზნები საშუალება. ეს კატეგორია კაცთან მისვლას ვერ ბედავს და ამიტომ თავს აჯერებს, რომ ქალთანაა. მაგრამ, ზოგჯერ ისე კნავიან და იკლაკნებიან პროცესის დროს, რომ ჩემი თავი კაი ვაჟკაცი მგონია. ისეთ ისტერიკაში ვარდებიან, რომ თავს აშკარად ზედმეტად ვგრძნობ, ლამის მოვიხსნა და სახლში გავატანო.

**– ყველაზე რთული შემთხვევა შეგიძლია, გაიხსენო?**

– ერთადერთხელ მოვიდა ისეთი ტიპი, რომელზეც დავიშოკე. მას მერე ის ბიჭი არსად მინახავს. მანქანაზე აღარაფერს ვამბობ, მაგრამ ბიჭმა მანქანა რომ გააჩერა, მომენტალურად ყველა გაჩუმდა და ენაჩავარდნილებმა დაუწყეს ყურება. მე შორიდან კარგად ვერ ვხედავ და უცებ, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ხმამაღლა დავუწყე აგრესიული ყვირილი. რას მიყურებ, თუ რამე გინდა, თქვი, თუ არა და გაიარე-მეთქი... და ტიპი გადმოვიდა, რომ დავინახე, მუხლები ჩამეკეცა, ისეთი საოცრება იყო. მაგრამ შეტევაზე გადმოვიდა და მანაც აგრესიულად, ნაგლურად დამიწყო ლაპარაკი, ოღონდ ტონი არ აუწევია. წამიერად ენა კი ჩამივარდა, მაგრამ არც მე დავუთმე და ცოტა შეველაპარაკეთ. მერე მითხრა, 150 დოლარს გაძლევ და დაეგდე მანქანაშიო. ნაგლ ტიპებზე ალერგია მაქვს, მით უმეტეს, ფული რომ აქვთ და ქვეყანა თავისი ჰგონიათ, ამიტომ უარი ვუთხარი. ცოტა შემეშინდა, ისეთი გარეგნობა ჰქონდა, თან ერთი სული მქონდა, სხეულზე შევეხებოდი, მაგრამ 300 დოლარზე რომ ავიდა, პატივმოყვარეობას გადავაბიჯე და მანქანაში ჩავუჯექი, ოღონდ 300 დოლარი მაშინვე გამოვართვი და დაქალს დავუტოვე. ვინიცობაა, მომკლას, დასამარხად მაინც გამომადგება-მეთქი. წამიყვანა სასტუმროში და ზევრი რომ აღარ გავაგრძელო, ტანსაცმელი გამხადა, თვითონ ჩაიცვა და ჩემი კოსმეტიკით მაკიაჟიც გაიკეთა. ამის მერე თავადაც მიხვდები, რასაც მთხოვდა და ბოლოს, ტაქსის ფულად 50 დოლარი მომცა, თან ისე გამომაგდო, წესიერად არც დამემშვიდობა.

**რომან საყვარელიძე**

**ჩვენს მკითხველს არაერთხელ მივაწოდეთ ინფორმაცია ნატურალური თაფლისგან დამზადებული ქართული პრეპარატის – „კამელინის“ ამპულების, კაფსულების, მალამოს, სანთლებისა და სპრეის შესახებ. დღეს მიმდინარეობს „კამელინის“ თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დიდი ხანია, „კამელინის“ სამკურნალო თვისებების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გასცდა და დღეს უკვე არაერთი ქვეყნიდან ჩამოდის დელეგაცია, რომელსაც სურს, „კამელინის“ საკუთარ ქვეყანაში დარეგისტრირება და შეტანა. ეს კი მსოფლიო მასშტაბით კიდევ უფრო მეტად ზრდის „კამელინისადმი“, როგორც 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული, ანთების საწინააღმდეგო, მარეგენირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი, ძლიერი ანტიოქსიდანტისადმი ინტერესს.**

**გარდა ამისა, რადგან ჩვენს ქალაქში მოულოდნელად აცივდა, ადამიანების დიდი ნაწილი უკვე ებრძვის გაციებასა და ვირუსებს; ამიტომ, მათ შევახსენებ, რომ, როგორც პროფილაქტიკის მიზნით, გაციებისა და გრიპოზული ვირუსებისგან თავის დასაცავად, ასევე უკვე გაციების შემთხვევაში, გამოიყენონ „კამელინის“ სხვადასხვა ფორმა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებობს „კამელინის“ ფორმა – „კამელინ ფლუ“ – სპრეი, რომელიც სწორედ გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებებისა და ანთებითი პროცესების სამკურნალოდ გამოიყენება.**

# როგორ დავიცვათ თავი „კამელინის“ დახმარებით გრიპის ვირუსისა და გაციებისგან და რატომ არის მისი გამოყენება სხვადასხვა დაავადების თავიდან ასაცილებლად ეფექტური

**კობა გურიელიძე** ***(კომპანია „კამელინის“ აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი; ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** „კამელინის“ მიღება პროფილაქტიკის მიზნითაც არ არის ურიგო. შეიძლება, ადამიანს არაფერი სჭირს, მაგრამ, იმუნიტეტის ამაღლების მიზნით, შეუძლია, წელიწადში ორჯერ ჩაიატაროს „კამელინით“ მკურნალობის კურსი: ერთი – გაზაფხულზე, მეორე – ზამთრის დადგომისას. ასევე, კარგია მისი მიღება სიმსივნის პრევენციის მიზნითაც. ქიმიური პრეპარატები დამანგრევლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, „კამელინი“ კი აბსოლუტურად უვნებელია – არ აქვს გვერდითი მოვლენები, ბუნებრივი, თაფლისგან დამზადებული პრეპარატია და მისი მიღება თავისუფლად შეიძლება პრევენციის მიზნითაც. საერთაშორისო კვლევებმაც ნათლად დაადასტურა, რომ „კამელინი“ ერთ-ერთი საუკეთესო იმუნომოდულატორია. მონრეალის „ლედი დევისის შიდსისა და ვირუსული დაავადებების ცენტრის“ კვლევებით დადგინდა, რომ პრეპარატ „კამელინის“ ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი მთლიანად აჩერებს ფერმენტის – ნეირამინიდაზას აქტივობას, რაც ვირუსის ჯანმრთელ უჯრედში შეღწევის უნარის დაკარგვას იწვევს. იმ შემთხვევაში კი, როცა ვირუსი უკვე უჯრედშია, ხელს უშლის მის გამოსვლას ინფიცირებული კერიდან და სხვა უჯრედებზე გავრცელებას. ამავე დროს, ორგანიზმის იმუნიტეტს საშუალებას აძლევს, გაანადგუროს უჯრედში ლოკალურად შეჭრილი ვირუსები. რაც ყველაზე მთავარია, „კამელინის“ საშუალებით ვირუსს ხელი ეშლება, თავისი დამანგრეველი გენეტიკური მონაცემები ჩანერგოს ორგანიზმის ჯანმრთელ უჯრედში. უკვე რამდენიმე ხანია, გასაყიდად გამოვიდა „კამელინ ფლუ“, რომელიც გამოიყენება ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორიც არის გრიპოზული, პირის ღრუსა და ყელის ჩირქოვანი, ინფექციური დაავადებები, ანთებითი პროცესები. პრეპარატში არის ის კომპონენტები, რომლებიც ლორწოვან გარსზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჩერებს პრეპარატის აქტიურ ნივთიერებებს და, შესაბამისად, ეს უფრო მეტ ეფექტურობას იწვევს. როდესაც პირის ღრუში არის ბაქტერიული, სოკოვანი კერები, „კამელინ ფლუ“ ძალიან მალე აქრობს პროცესს. ასე რომ, ამ ყველაფერის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, სპრეიში ჩაგვედო და გაგვევითარებინა ის თვისებები, რაც „კამელინის“ აქტიურ მოლეკულებს ახასიათებს: ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციული პროცესები. რაც მთავარია, როგორც „კამელინის“ სხვა ფორმებს, ასევე სპრეისაც, სხვა წამლებთან მიმართებაში უკუჩვენება არ აქვს და მისი გამოყენება შეიძლება თითქმის ყველა მედიკამენტთან ერთად. თუ კლასიკური თერაპია ამ დაავადებებს კურნავდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, „კამელინთან“ კომბინაციაში შედეგი უფრო ეფექტური იყო, გართულებები პრაქტიკულად არ ყოფილა და გამოჯანმრთელებაც უფრო მალე ხდებოდა.



**– როდესაც „კამელინზე“ ვსაუბრობთ, არ შემიძლია, არ შევეხო მის გამოყენებას ისეთი მძიმე დაავადების სამკურნალოდ, როგორიც არის სიმსივნე.**

– ჩვენი ძირითადი მომხმარებლები ონკოლოგიური პაციენტები არიან. მართალია, „კამელინი“ უკვდავების წყალი არ არის, მაგრამ, ძალიან კარგი პრეპარატია – ძლიერი იმუნომოდულატორი, ამიტომაც, ძალიან კარგი საშუალებაა პროფილაქტიკისთვის, სხვადასხვა დაავადების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად. როდესაც ადამიანის იმუნიტეტი გამოდის წყობიდან, მას არაფერი სტკივა, არაფერი აწუხებს, მაგრამ, იმუნიტეტის მდგომარეობა განსაზღვრავს კიბოს უჯრედების გაზრდა-განვითარებას ან შეჩერებას. როდესაც იმუნიტეტი მცირდება, ის კონტროლს კარგავს, ეს უჯრედები კი უსასრულოდ მრავლდება და ასე ყალიბდება პირველი სტადიის კიბო. ჩვეულებრივ შემთხვევაში, როცა იმუნიტეტი მწყობრში აქვს ადამიანს, ეს უჯრედები იზრდება, კვდება და ასე შემდეგ. მაგრამ, როცა იმუნიტეტი მცირდება, უჯრედების ზრდას ხელს ვერ უშლის, უჯრედები არ კვდება, კიბოს უჯრედების მასად ყალიბდება და ჭამს ორგანიზმს. კიბოს პირველი სტადიის ჩამოყალიბებას თითქმის 10-15 წელი სჭირდება. როდესაც ადამიანს იმუნიტეტი აქვს შემცირებული, ამ დროს ძალიან კარგია „კამელინის“ გამოყენება, რომელიც ზრდის იმუნიტეტს და ხელს უშლის დაავადების ჩამოყალიბებას.

**ნათია** ***(32 წლის):*** ჩემს დეიდას ცოტა ხნის წინ დაუსვეს კუჭის სიმსივნის დიაგნოზი. მაშინვე დაიწყო მედიკამენტებით მკურნალობა, მაგრამ, არცთუ კარგი შედეგი ჰქონდა. დიდი ხანია, თქვენი ჟურნალის მკითხველი ვარ, „კამელინის“ შესახებაც არაერთი სტატია მქონდა წაკითხული. ამიტომ, როგორც კი შევიტყვე დეიდას მდგომარეობა, მაშინვე „კამელინი“ გამახსენდა. მის მწარმოებელთან გავიარე კონსულტაცია, დეიდასაც ვკითხე და, მისი თანხმობის შემდეგ, გავუგზავნე პრეპარატი. მაშინვე დაიწყო მკურნალობა და შედეგი უკვე აქვს: აღარ აწუხებს ტკივილები, ენერგიულიც გახდა, ძალაც დაუბრუნდა და გამოჯანმრთელების იმედიც გაუჩნდა. „კამელინით“ მკურნალობის შეწყვეტას არ აპირებს. ცოტა ხანს შეისვენა და ახლა უკვე მკურნალობის მესამე კურსს იტარებს. რაც მთავარია, არანაირი გართულება არ ჰქონია, პირიქით, წინ და წინ წავიდა. ჩვეულებრივ მუშაობს, შრომისუნარიანობა აუმაღლდა, ტკივილებიც აღარ აწუხებს. კიბო ისეთი დაავადებაა, ერთი ხელის მოსმით ვერ მოერევი, ამიტომ, კიდევ განაგრძობს მკურნალობას.

68 წლის ქალბატონს 7 წლის წინ ონკოლოგიურ კლინიკაში დაუსვეს მარჯვენა ყურში სწრაფი სარკომის დიაგნოზი – ემლემის დაშლა. სხივურმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო. დაიწყო „კამელინ მ1-ის“ (ინიექციის) გამოყენება. მესამე დღიდან ყურიდან სითხის მოდინებამ შემცირება დაიწყო. მკურნალობის მეორე კურსის დაწყებიდან კი საერთოდ შეწყდა. სამი კურსის ჩატარების შემდეგ მთლიანად ალაგდა ტყემლისოდენა სიმაგრეც. პაციენტი არაფერს აღარ უჩიოდა და მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით, წელიწადში ერთხელ იტარებდა კამელინოთერაპიის კურსს.

რამდენიმე წლის წინ ბათუმელ პაციენტს დაეწყო წონის საგრძნობი კლება, ხშირი ხველა, რენტგენოგრაფიული გამოკვლევით დაუდგინდა მარჯვენა ფილტვის ქვემო ნაწილში მეტასტაზური კერა. ყველას გასაკვირად, მან უარი თქვა კონსერვატიულ მკურნალობაზე და გადაწყვიტა, ჩაეტარებინა კამელინოთერაპია. პაციენტი არავის უმხელდა, თუ რით მკურნალობდა. პირველი კურსიდანვე დაიწყო მან წონაში მომატება და სიმპტომებიც თანდათან ალაგდა, ორი თვის შემდეგ კი, ხელახალი რენტგენოგრაფიით, მეტასტაზური კერა აღარ დაფიქსირდა – ის ჩრდილი, რომელიც საკმაოდ დიდ უბანზე იყო, სრულიად გაიწმინდა. პაციენტი ექიმია და, პირადი გამოცდილებიდან, თამამად ურჩევს სხვა პაციენტებს „კამელინის“ გამოყენებას.

***P.S. მჯერა, რომ ქართული პრეპარატი „კამელინი“ კიდევ ბევრ საერთშაროსო აღიარებას მოიპოვებს და, რაც მთავარია, არაერთ ადამიანს დაუბრუნებს გამოჯანმრთელებისა და ცხოვრების იმედს. ვისაც გაქვთ „კამელინთან“ დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599-33-10-89; 599-58-09-07; 599-23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87.***

**ნათია უტიაშვილი**

**ტრიო „მანდილის“ წევრებმა, შორენა ცისკარაულმა, თათია მგელაძემ და ანი ჭინჭარაულმა, პოპულარობა უცხოეთიდან დაიწყეს და შემდეგ ქართველ მსმენელსაც შეაყვარეს თავი. შემთხვევით გადაღებული სამოყვარულო ვიდეო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა – გოგონების ვიდეო ამერიკის ერთ-ერთ ცნობილ ბლოგზე, „ჰაფინგტონპოსტზე“ განათავსეს და, არა მხოლოდ აქ, მათ სიმღერას ბერლინში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დიდ ეკრანზე უჩვენებდნენ. „ეს ქართული ფოლკლორული სიმღერა ტრანსში ჩაგაგდებთ“; „ამ გოგონების ჰარმონიული სიმღერა სხვა დროში მოგახვედრებთ“, – ამ და მსგავსი კომენტარებით აფასებდა მსოფლიო „მანდილის“ ნამღერ „აპარეკას“. ვიდეოს „იუთუბიზე“ განთავსებიდან ერთ კვირაში ნახევარ მილიონზე მეტი ნახვა ჰქონდა.**

# როგორ მოხდა ტრიო „მანდილის“ ცნობილი ვიდეოს - „აპარეკას“ გადაღება და რომელი სიმღერით ჩააგდეს გოგონებმა მსოფლიო ტრანსში

**– დიდი ხანია, იცნობთ ერთმანეთს?**

**ანი**: შორენას სკოლიდან, სულ ოთხი წელია, რაც ვიცნობ. თათიამ და შორენამ ცოტა უცნაურ სიტუაციაში გაიცნეს ერთმანეთი – ეროვნულ გამოცდებზე, შემდეგ კი სამივე დავმეგობრდით და შევქმენით ჯგუფი „მანდილი“.

**– როდის გადაწყვიტეთ ჯგუფის შექმნა, ვისი იდეა იყო?**

**თათია**: ჯგუფის შექმნის იდეა ხუთი-ექვსი თვის წინ გაჩნდა, როდესაც სტუდენტური დღეები დაიწყო. შორენა „გორგასალში" სწავლობს და მისი უნივერსიტეტის სახელით უნდა გამოვსულიყავით კონკურსზე. ასე შევქმენით ჯგუფი, რომელსაც დავარქვით „მანდილი“. ვიდრე ამ კონკურსზე გამოვიდოდით, მანამდე დავდიოდით საქველმოქმედო საღამოებზე და იქ ვმღეროდით.

**– რატომ ფოლკლორი და არა სხვა ჟანრი?**

**ანი**: სამივეს მოგვწონს ეს ჟანრი. ქართული ყველაფერი გვიყვარს და, ვეცდებით, ბოლომდე გავყვეთ ამ გზას.

**თათია**: ოთხი-ხუთი წლის წინ, დუშეთის სკოლაში გადავედი სასწავლებლად და დეიდასთან ვცხოვრობდი 2 წელი. დუშეთში ყველა ფანდურზე უკრავდა და ხალხურ სიმღერას მღეროდა. ამ ყოველივემ ჩემზე დიდი გავლენა იქონია და მეც მომანდომა ფოლკლორი. თვითონ ვისწავლე დაკვრა, ფანდურიც ძალიან ძველ ნივთებში ვიპოვე.

**– „იუთუბიზე“ შემთხვევით ატვირთულმა ვიდეომ მოგიტანათ პოპულარობა. ვინ იყო პირველი, ვინც ეს ვიდეო საკუთარ გვერდზე გააზიარა?**

**შორენა**: ამ ვიდეომ ნამდვილად მოგვიტანა წარმატება. რაც შეეხება მის ისტორიას ძალიან ჩვეულებრივია: უბრალოდ, ვერთობოდით, სპეციალურად არაფერი დაგვიგეგმავს და ეს, მგონი, კადრებშიც კარგად ჩანს. პირველად ჩვენი ვიდეო გააზიარა რუსმა ჟურნალისტმა და აქედან დაიწყო ყველაფერი. შემდეგ კი ერთ-ერთ ამერიკულ ტელეშოუშიც გავიდა. ჩვენს ვიდეოს გერმანიაში და რამდენიმე ქვეყანაში დიდ მონიტორებზე აჩვენებდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. დღეისთვის 900 000-ზე მეტი ნახვა აქვს ***(ინტერვიუ ჩაწერილია 20 სექტემბერს, – ავტორი).***

**თათია**: ვიდრე უცხოურ საიტებზე არ დაიდო ჩვენი ვიდეო, მანამდე საქართველოში ყურადღება არავინ მოგვაქცია. „ქართველი გოგონების სიმღერა ტრანსში ჩაგაგდებს,“ – ასეთი წარწერებით ავრცელებდნენ ჩვენს სიმღერას უცხოური მედიის წარმომადგენლები. თავიდან ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ყველა გვეკითხებოდა, როგორ აღმოვჩნდით გერმანიის, რუსეთის, საფრანგეთის ყურადღების ცენტრში. მერე გავიგეთ, რაც ხდებოდა სინამდვილეში.

**– ამ პოპულარული ვიდეოს გადაღების ისტორია მომიყევით.**

– მე და ანიმ გადავწყვიტეთ, შორენასთან, ცხვარიჭამიაში წავსულიყავით, ოღონდ, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. შორენა გაბრაზებული იყო ჩვენზე, რამდენიმე დღე ვალოდინეთ და არ ჩავედით მასთან, მერე კი უცებ გადავწყვიტეთ წასვლა. რომ დაგვინახა, ისეთი რეაქცია ჰქონდა, ეს აუცილებლად უნდა დამეფიქსირებინა – გაკვირვებული და შეშფოთებული იყო. გავედით სასეირნოდ, სადაც გადავიღეთ ეს ვიდეო. სულ ვიღებთ ხოლმე რაღაცეებს, მნიშვნელობა არ აქვს, გვაქვს თუ არა ინსტრუმენტი, სამახსოვროდ ვინახავთ. ვიდეოს გადამღებიც არავინ არ გვყავს და „სელფის“ რეჟიმით ვიღებთ ხოლმე. „იუთუბიზეც“ მე ავტვირთე, როდესაც შორენა არხოტში იყო, ხოლო ანი – თიანეთში.



**თათია: „თითქმის ყველა ქვეყნიდან დაგვიკავშირდნენ, ზოგი ისეთი ქვეყანაა, რუკაზეც რომ არ ვიცი, სადაა“**

**– ამ ყველაფრის შემდეგ უცხოეთიდან რა შემოთავაზებები მიიღეთ?**

– ძალიან ბევრი შემოთავაზება გვაქვს, გვეპატიჟებიან სხვადასხვა ქვეყანაში, გვთხოვენ ჩასვლას და სიმღერას. პირველი მოწვევა რუსებისგან მივიღეთ, შემდეგ მოჰყვა საფრანგეთი და გერმანია. რამდენიმე ტური იყო საფრანგეთში, მაგრამ, ჯერ ვერ მივდივართ. რაც შეეხება გამოხმაურებას, თითქმის ყველა ქვეყნიდან დაგვიკავშირდნენ. ზოგი ისეთი ქვეყანაა, რუკაზეც რომ არ ვიცი, სადაა ***(იცინის).***

**– რატომ ვერ ახერხებთ წასვლას?**

**შორენა**: ანი პატარაა – 16 წლის არის და სკოლაში დადის. მართალია, ეს არაა მთავარი მიზეზი, მაგრამ, ერთ-ერთი ფაქტორი ნამდვილად არის. სიმართლე გითხრათ, სერიოზულადაც არ ვუყურებთ ამ შემოთავაზებებს.

**– სიმღერის გარდა, რა ხდება თქვენს ცხოვრებაში?**

**ანი**: მე მეთერთმეტე კლასში ვარ, სკოლაში დავდივარ. მინდა, რომ ხელოვნების განხრით ჩავაბარო უნივერსიტეტში – ინტერიერის დიზაინი ან რამე მსგავსი ავირჩიო. ჰუმანიტარული განხრითაც სიამოვნებით წავალ.

**შორენა**: ვსწავლობ და ვმღერი. ვარ გორგასლის უნივერსიტეტის სტუდენტი, ტურიზმის ფაკულტეტზე ვსწავლობ, თუმცა, ტურიზმისგან რა მინდა, არ ვიცი ***(იცინის).*** მეტი არაფერი ხდება ჩემს ცხოვრებაში, თავისუფალ დროს სულ ვმღერი, მეტი საქმე არ მაქვს ***(იცინის).***

**თათია**: მეორეკურსელი ვარ და ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ფაკულტეტზე ვსწავლობ, თუმცა, საერთოდ არ მაქვს შეხება ამ სფეროსთან და, რა მინდა აქ, მეც არ ვიცი. ბავშვობიდან მინდოდა ჟურნალისტიკა, ბიზნესზე შემთხვევით აღმოვჩნდი. ძალიან მიყვარს ქარგვა; პროფესიონალის დონეზე ვერ ვქარგავ, მაგრამ, ცუდადაც არ გამომდის ***(იცინის).***

**– გავიგე, რომ ხევსურეთში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც სიმღერის ჩაწერა შემოგთავაზათ. ეს ერთჯერადი დახმარება იყო?**

**ანი**: ხევსურეთში, ერთ-ერთ სუფრაზე, სრულიად უცხო ადამიანმა გამოთქვა დახმარების სურვილი. ვერ დავასახელებთ ამ პიროვნებას, რადგან, თავად არ სურს, მისი სახელი და გვარი რომ ვთქვათ, ასე საიდუმლოდ ვინახავთ ***(იცინის).*** ერთს გეტყვით, რომ ცნობილი სახე არაა.

**შორენა**: ჩვენს სიმღერას პირველად რომ მოუსმინა, გაოცებული იყო. გაუკვირდა, რატომ არ გვქონდა სიმღერა ჩაწერილი. სიტუაცია რომ ავუხსენით, თავად შემოგვთავაზა დახმარება. ასევე, გვითხრა, მომავალშიც თუ რამე დაგვჭირდებოდა, დავკავშირებოდით.

**თათია**: ერთ სიმღერას საჩუქრად ჩვენი მეგობრები, დები ნაყეურები ჩაგვაწერინებენ; რადიო „დარდიმანდი“ გვიწერს იმ ცნობილ სიმღერას, რომელმაც პოპულარობა მოგვიტანა – „აპარეკას“ და ერთსაც ჩვენი ფინანსებით ვწერთ.

**– კრიტიკა ყოფილა? ძირითადად სულ კარგი მესმის თქვენზე...**

– კი, როგორ არა, ცუდ კომენტარებსაც გვიწერენ ხოლმე ***(იცინის).***

**ანი**: ცოტა არის ცუდი კომენტარი. ჩვენ პასუხს არ ვცემთ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანების მიმართ ცუდად ვართ განწყობილები, ჩვენ ისინიც გვიყვარს.

**– პოპულარობამ პირად ცხოვრებაზეც იქონია გავლენა?**

– არანაირად. როგორც ადრე ვიყავით, დღესაც ისე ვართ.

**შორენა**: პოპულარობამდეც მყავდა პიროვნება, რომელიც მიყვარს და დღესაც ჩემ გვერდითაა, ასე რომ, ჩემთვის არაფერი შეცვლილა ***(იცინის).***

**– თუმცა, თაყვანისმცემლების რიცხვი ნამდვილად მოიმატებდა...**

**თათია**: უჰ, კი ***(იცინის),*** სამივეს შემთხვევაში. პირველად გვეუნებიან, რომ კარგი ხმა გვაქვს; შემდეგ იწყებენ, როგორები ვართ ფიზიკურად, როგორი ხასიათი გვექნება და ასე გრძელდება დაუსრულებლად ***(იცინის).***

**ეთო ხურციძე**

# 132 წელი ქვეყნის სამსახურში

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის გამზირის #32-ში, „საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგში" გაერთიანებული საწარმოების: თბილისის „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის", რუსთავის „ვაგონმშენებელი კომპანიისა" და რუსთავის „მეტალურგიული კომბინატის" მიერ სერიულად წარმოებული რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, სატვირთო ვაგონებისა და წარმოებაში დასანერგად მომზადებული ახალი ტიპის ვაგონების პრეზენტაცია გაიმართა.

ჰოლდინგში შემავალი საწარმოები, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მომსახურებას უკვე 132 წელია ეწევიან და ამიერკავკასიის, შუა აზიის რესპუბლიკების რკინიგზებსა და კერძო სტრუქტურებს ემსახურებიან. ქვეყანაში ვაგონმშენებლობის განვითარების პოლიტიკას ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი წარმართავს. ჰოლდინგის დამფუძნებელ საწარმოებში, ახალი ტიპის ჩქაროსნული სამგზავრო, სატვირთო ვაგონების, ხორბალმზიდების, ვაგონცისტერნების, ნახევარვაგონების, ცემენტმზიდების, კონტეინერმზიდების წარმოებაა დანერგილი, რაც ქვეყნის მაშტაბით, სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის განახლებას, მეზობელ სახელმწიფოებში მგზავრების კომფორტულად გადაყვანას, ტვირთბრუნვისა და შესაბამისად, ბიუჯეტში შენატანების ზრდას ემსახურება.




*ბადრი წილოსანი - საქართველოს ,,ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის" პრეზიდენტი*




*მამუკა ბახტაძე - ,,საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი*




*ერნსტ ბუდეშტსკი - ქარხნის მთავარი ტექნოლოგი, ნინო წილოსანი - საქართველოს ,,ვაგონმშენებელთა ჰოლდინგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსეთისა და უკრაინის შემდეგ, საქართველო მესამე ქვეყანაა, რომელიც რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის სატვირთო ვაგონების ყველა ძირითად ტიპს აწარმოებს.

პრეზენტაციაზე, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, მასმედიის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, ეკონომიკის ექსპერტები, სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების, ბალტიისპირეთისა და საქართველოს, რკინიგზის ტრანსპორტის უფლებამოსილი სპეციალისტების საბჭოს წევრები, „ვაგონმშენებელთა ჰოლდინგში" გაერთიანებული საწარმოების მიერ, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის განახლებისთვის გამოშვებული პროდუქციის ფართო სპექტრს გაეცნენ, რამაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დღესდღეობით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ნახევარ მილიონამდე სატვირთო ვაგონების დეფიციტია, აქედან გამომდინარე, ვაგონმშენებლობა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. გატარებულია დამატებითი ღონისძიებები საწარმოო სიმძლავრეების სრულად ამოქმედებისათვის, რაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დასაქმებულთა რიცხვს 2000-დან 3 000 -მდე გაზრდის.

მიმდინარე წლისთვის, ასევე დაგეგმილია, 20-40 ფუტიანი საზღვაო კონტეინერების, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის საჭირო დაზგა-დანადგარების, ღვინის ქარხნებისათვის ცისტერნებისა და მოწყობილობების, აგრეთვე სამგზავრო და სამრეწველო ლიფტების წარმოება.

შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ქვეყანაში მძიმე მრეწველობის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისთვის.



*გიორგი არეშიძე - შპს ვაგონმშენებელი კომპანიის გენ. დირექტორი, მამუკა ბახტაძე - ,,საქართველოს რკინიგზის" გენ. დირექტორი, გურამ რატიანი - სს. ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი*






GCBH
საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგი
Georgian Carriage Builders Holding

ვაგონმშენებელი კომპანია
Carriage Building Company
VMK

0180 საქართველო, ქ. თბილისი
ცოტნე დადიანის ქ.32
ტელ. (ფაქსი): +995 32 69 92 98
www.elvagon.ge

# რა მეთოდებით ცდილობს ზოგიერთი ქალი მამაკაცის შენარჩუნებას



**არსებობენ თუ არა ქალები, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში ახერხებენ საყვარელი მამაკაცის შენარჩუნებას? დიახ, შენარჩუნებას, რადგან, კონკურენცია დიდია და, შეიძლება, მარტო სიყვარულით ფონს ვერ გახვიდე. იმიტომ არა, რომ გრძნობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, უბრალოდ, ზოგჯერ კაცები გრძნობას დამსახურებულად ირგებენ, ეჩვევიან მას და თავს ქალების გულების შემმუსვრელების როლში წარმოიდგენენ ხოლმე. მამაკაცებს ეს ახასიათებთ. ამიტომ ცდილობენ ქალები, ითამაშონ, რათა სასურველი მამაკაცი ყოველთვის „მიბმული" ჰყავდეთ, ანუ, მოიქცნენ ისე, რომ კაცს აღარ დარჩეს დრო და სურვილი, სხვა ქალისკენ გაიხედოს. რამდენად არის ეს ღალატის პრევენცია, სხვა საკითხია...**

**ლენა** ***(37 წლის):*** ყოველთვის ვამბობდი, მამაკაცის პოვნა, მისი მოხიბვლა და „შებმა" ბევრად ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება-მეთქი. პრინციპი მარტივია – კაცს ბევრი არ სჭირდება, რომ ქალით მოიხიბლოს; ამისთვის მოდელის გარეგნობაც კი არ არის საჭირო.

**– აბა, რაღაც ხრიკები უნდა იცოდეს?**

– არა, ეგ არ მიგულისხმია. თუმცა, „ხრიკები" ყველა ნამდვილ ქალს აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. აბა, რისი ქალი ხარ, თუ კაცი ვერ „შეაბი"? ხუმრობით ვამბობ ამას, თუმცა, ბოლოს მაინც „შებმა" გამოდის, დამეთანხმეთ. თანაც, მამაკაცებს თვითონვე უნდათ, რომ „შეებან" – ამას უკვე სერიოზულად ვამბობ. პრობლემები მერე იწყება, თორემ, თავიდან ყველაფერი ადვილია და სასიამოვნო: ურთიერთობაც, ერთად ყოფნაც, კამათიც კი... მივადექით ყველაზე საინტერესოს – ქალებმა „შებმა" უფრო იციან, ვიდრე შენარჩუნება და, პრინციპში, ვიცი ეს რატომ ხდება: ქალები რომ თხოვდებიან, ფიქრობენ, რომ მთავარი მიზანი მიღწეულია და უკვე შეუძლიათ, მშვიდად იცხოვრონ – ყოველგვარი ძალისხმევის, ზედმეტი მცდელობების, ტვინის ჭყლეტის გარეშე.

**– ანუ, „ტვინის ჭყლეტა" და ზედმეტი მცდელობები მერე იწყება?**

– რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ქალების უმეტესობას ეს საერთოდ არ ესმის. არ ვართ პოლიტიკოსები – ამ სიტყვის კარგი გაგებით. ოჯახური ურთიერთობებიც ხომ პოლიტიკაა და, თუ ეს არ იცი, ძნელია სრულფასოვანი თანაცხოვრება თუნდაც საყვარელ ადამიანთან. კარგად გამოგვდის ერთმანეთისთვის გულის ტკენა, ამას უკვე მექანიკურად ვაკეთებთ და არ ვფიქრობთ, როგორ გამოვასწოროთ ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა. პატიების თხოვნას ვინ ჩივის, ისიც კი ვერ ვისწავლეთ, რომ ყველაზე ჯიუტები საყვარელ ადამიანთან არ უნდა ვიყოთ. მშვიდი ცხოვრება გვინდა და საქციელით ამ მშვიდი ცხოვრების შანსს ვისპობთ.

**– ყველაფერს ქალებს ნუ დავაბრალებთ...**

– მე განა ვინმეს რამეს ვაბრალებ... ვამბობ, რომ ქალებმა არ ვიცით, როგორ მოვიწყოთ ცხოვრება ისე, რომ მისგან სიამოვნება მივიღოთ. სისულელეა, თითქოს ცოლ-ქმარს შორის კინკლაობა ჯანმრთელი ურთიერთობაა და ჰაერის ის პატარა „ყლუპი", რომელიც მათ მოწყენის საშუალებას არ აძლევს. თუ ვერ შეძელი ამ პატარა კინკლაობებისა და დაპირისპირებების მართვა, ისე მიხვალ გრანდიოზულ სკანდალამდე, თვითონაც ვერ შეამჩნევ. დიახ, რუტინა მძიმეა, მაგრამ, რაღა ჩხუბით უნდა გაახალისო?! მე ძალიან შევცდი, როცა ეს კარგი და სასიკეთო მეგონა. თავიდან თითქოს მართლა ვხალისობდით და მერე ძალიანაც ვერთობოდით იმ სულელურ საბაბებზე, რის გამოც ამ კინკლაობას ვიწყებდით. ვერც ერთმა ვერ შევნიშნეთ, როგორ შევაჩვიეთ ერთმანეთს ენა და ლანძღვაზე, შეურაცხყოფის მიყენებაზე გადავედით. უკვე ვხვდებოდი, რომ გაჩერება აუცილებელი იყო, მაგრამ, ინერციით უარესობისკენ წავედი. იქამდე მივედი, რომ ჩემი უსაყვარლესი ქმრის ყველაფერი მაღიზიანებდა. მართლა უსაყვარლესი ქმრის – მის გარეშე საერთოდ ვერ წარმომიდგენია ცხოვრება... იმ საღამოს

> **ქალებმა ის ვერ ვისწავლეთ, ყველაზე ჯიუტები საყვარელ ადამიანთან რომ არ უნდა ვიყოთ**

აგრესიის აფეთქება მოხდა. არ ვიცი, რამ გადამიკეტა ჭკუა – შეიძლება, საწოლის ქვეშ შეყრილმა ჭუჭყიანმა წინდებმა, ან, იმან, რომ ვახშმისთვის გაშლილ სუფრასთან ნახევარ საათზე მეტი ვეძახე... ერთი სიტყვით, ვიფეთქე და საშინელებები ვუთხარი. მერე რომ ვფიქრობდი, მიკვირდა, ასეთი სიტყვები როგორ ამომივიდა პირდან-მეთქი – ისე ვყვიროდი და ვლანძღავდი... მეგონა, რომ ესეც ჩაივლიდა, როგორც სხვა ასეთივე საღამოები, მაგრამ, უცებ ადგა, შემომხედა, ჩაიცვა, სახლის გასაღები მაგიდაზე დადო და წავიდა. მეხი დამეცა. იმ წუთშივე ვიგრძენი, რომ თუ უკან არ დავაბრუნებდი, ჩემი ცხოვრება დასრულდებოდა. დავჯექი იატაკზე და მთელი ხმით ავტირდი... ტელეფონს ვეცი და დავიწყე რეკვა... არ მპასუხობდა, მერე საერთოდ გამორთო ტელეფონი... დავურეკე ჩემს დაქალს, მოვიდა და, იმის მაგივრად, რომ დავემშვიდებინე, ცეცხლზე ნავთი დამისხა – ეტყობა, მაგას საყვარელი ჰყავს, ამიტომაც გაიხურა კარი ასე ადვილადო. ეს მინდოდა?! მაგრამ, როგორც უკანასკნელმა სულელმა, მესიჯი მივწერე – შენ წასვლა გინდოდა; ალბათ, სხვა გყავს უკვე და სპეციალურად მოახდინე სკანდალის პროვოცირება-მეთქი, იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მომეხადა და გულწრფელად მომენანიებინა... ორი დღე სრულ დეპრესიაში გავატარე. ვხვდებოდი, რომ ყოველი მომდევნო დილა უფრო დამიმძიმებდა მდგომარეობას, მაგრამ, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და არც ნორმალური მრჩეველი მყავდა. ისევ გადავწყვიტე, ჩემი გულისთვის დამეჯერებინა... ერთი წუთით არ მიფიქრია იმაზე, რომ ჩვენ ერთად ველარ ვიცხოვრებდით...

**– ვინმე გეუბნებოდათ, თქვენ ერთად არ იქნებითო?**

– დიახ. იყო ასეთი „რჩევებიც": ეტყობა, ხასიათებით ვერ უთავსდებით ერთმანეთს და, იქნებ, ასეც ჯობდა, სანამ ცემა-ტყეპამდე მიხვიდოდითო... ვერ დავუჯერე. სიყვარელი და მონატრება უფრო ძლიერი იყო... ერთი თვე მეყო ჩემი ენთუზიაზმი – ვირწმუნებდი თავს, რომ მის გარეშე უკეთესი იქნებოდა ჩემი ახალი ცხოვრება – არაფერი გამოვიდა.

მაშინ დავისახე მიზნად, რომ ყველა საშუალებით დამებრუნებინა ჩემი საყვარელი ადამიანი, ვიდრე მართლა შემცვლელს მომიძებნიდა.

**– ანუ, გქონდათ ამის საშიშროება?**

– როდემდე დარჩებოდა გულნატკენი კაცი ნუგეშისმცემლის გარეშე? ასეთ კაცებზე ნადირობენ ქალები. ადვილი „დასაბმელია" – მოეფერები, თავზე ხელს გადაუსვამ, ეტყვი, რომ ბევრს იმსახურებს ცხოვრებაში და – ეგ არის, შენია!

**– თქვენ რატომ არ მოიქეცით ასე?**

– ხომ გითხარით, ქართველ ქალებს გათხოვების შემდეგ თამაშის წესები გვავიწყდება-მეთქი. უნდა გამეხსენებინა ის ყველაფერი, რითიც ქორწინებამდე მოვხიბლე ჩემი ქმარი.

**– ეს შესაძლებელია? მით უმეტეს, რომ მეუღლეს თქვენი ნახვა აღარ უნდოდა.**

– უნდა მონდომებოდა... დავიწყე მის სიახლოვეს ტრიალი. მივდიოდი მის სამსახურთან, იქვე ახლოს ვჯდებოდი და ფეხს არ ვიცვლიდი. მხედავდა და არ იმჩნევდა. ბავშვები ერთხელაც არ წამიყვანია, რომ არ ეთქვა, ბავშვებით მანიპულირებსო. მერე მესიჯების გაგზავნა დავიწყე, მხოლოდ ერთი სიტყვით – „მაპატიე"... ერთი კვირა არანაირი რეაგირება არ იყო; მერე მისმა მეგობარმა დამირეკა – ბავშვივით ნუ იქცევი, ძალიან განიცდისო.

# როგორ დაკარგეს ნათესავებმა ერთმანეთი და როგორ ეძებს ბაბუა შვილიშვილებს საქართველოდან უკრაინაში

***ოლეგ მშვენიერაძე (ბაბუა) ეძებს 10 წლის ნატაშა და 9 წლის ოლეგ მშვენიერაძეებს.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემს შვილიშვილებს – დაახლოებით 10 წლის ნატაშა და 9 წლის ოლეგ მშვენიერაძეებს. მე ჩემი შვილიშვილები არასდროს მინახავს, რადგან ჩემი შვილი უკრაინაში დაქორწინდა და იქ გაუჩნდა ორი შვილი – გოგო და ბიჭი. შემდგომ ჩემი ვაჟი მეუღლეს გაშორდა და საქართველოში დაბრუნდა. შარშან ის ავად გახდა – მას მძიმე სენი შეეყარა და გარდაიცვალა, ჩვენ კი დავკარგეთ მის შვილებთან კავშირი. სამწუხაროდ, მათი ზუსტი მისამართი და ამჟამინდელი ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია, ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ შვილიშვილების მოძებნაში. გიგზავნით ჩემი ბიჭისა და მისი ყოფილი მეუღლის (ნატაშას და ოლეგის დედის) ფოტოებს. თქვენი დიდი იმედი გვაქვს.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია გადაცემულია ჩემი უკრაინელი დამხმარის დაკარგულების ბაზაში. დიდი იმედი მაქვს, რომ დაკარგული ნატაშასა და ოლეგის პოვნა როგორმე მოხერხდება.

**– გვიამბეთ თქვენი ისტორია, როგორ დაკარგეთ ერთმანეთი თქვენ და თქვენმა შვილიშვილებმა?**

– ჩემი ვაჟი, ბესიკ (ბესარიონ) მშვენიერაძე 1999 წლიდან იმყოფებოდა უკრაინაში, ქალაქ კიევში. იქ მან გაიცნო უკრაინელი გოგონა – ანია, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, არ მახსოვს. იმ პერიოდში ანია იყო დაახლოებით 19-21 წლის. 2003-2004 წელს ისინი საცხოვრებლად კიევიდან ანიას მშობლიურ მხარეში, ქალაქ ლუბნიში გადავიდნენ (ქალაქი ლუბნი ლუბენსკის რაიონში, პოლტავის მხარეშია), იქ ოფიციალურად დაქორწინდნენ და 1 წლის შემდეგ მათ შეეძინათ გოგონა – ნატაშა, ხოლო კიდევ ერთ წელიწადში – ბიჭი, რომელსაც ჩემი სახელი, ოლეგი დაარქვეს. 2007 წელს ანია და ბესიკი ოფიციალურად გაშორდნენ ერთმანეთს, თუმცა, ჩემი შვილი კვლავ განაგრძობდა ცხოვრებას ლუბნში. 2008 წელს ბესიკი იქიდან დეპორტირებულ იქნა ქალაქ ლუბნის მილიციის სამმართველოს მიერ. როგორც ჩემი ვაჟისგან ვიცი, განქორწინების შემდეგ ანია ხელმეორედ გათხოვდა – ის თავის თანაკლასელს გაჰყვა ცოლად. სამწუხაროდ, არც მისი სახელი და გვარი ვიცით. ჩემი შვილიშვილებიც, რა თქმა უნდა, დედასთან დარჩნენ. შემორჩენილი მაქვს ანიას ბავშვობის ფოტო, სადაც ის დაახლოებით 3-5 წლის უნდა იყოს. თუკი ის ნახავს თავის ფოტოს, მაშინვე გამოგვეხმაურება. იმედი მაქვს, თქვენ შეძლებთ, როგორმე დაგვეხმაროთ ამაში. ჩემთვის ცნობილია ასევე 2003-2008 წლებში ანიას საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, რომლებზეც ამჟამად სრულიად უცხო ადამიანები გვპასუხობენ და ანიას ვერანაირად ვერ ვპოულობთ. ძალიან მინდა ჩემი შვილიშვილების პოვნა და სიცოცხლეში ერთხელ მაინც ნახვა.



**– თქვენს შვილს თუ უცდია მათთან დაკავშირება?**

– ჩემი ბიჭი შარშან, 11 ივლისს, მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა. მან ვერ მოასწრო, დაეტოვებინა ჩემთვის ანიასა და ბავშვების საკონტაქტო მონაცემები. ყველაფერი, რაც მე ანიას შესახებ ვიცი, არის ის, რომ ის სამხედრო მოსამსახურის შვილი იყო და დაბადებულია უკრაინაში (მამა გარდაცვლილი ჰყავს). იმ პერიოდში კი, ანუ, 2003-2008 წლებში, ის ბებიასა და დედასთან ერთად ცხოვრობდა. მას ჰყავს უფროსი ძმა და ბიძა, რომელიც იმ წლებში ლუბნის მილიციის განყოფილებაში მუშაობდა. იმედი გვაქვს, ანია და მისი მეუღლე (მათი პოვნის შემთხვევაში) წინააღმდეგი არ იქნებიან, რომ შევხვდეთ ჩვენს შვილიშვილებს, გულში ჩავიკრათ ისინი და მოვეფეროთ. მე პირადად მინდა, მადლობა გადავუხადო ანიას მეუღლეს, რომელმეაც მძიმე ტვირთი აიღო თავის თავზე და ზრდის ორ ბავშვს.

**– როგორ ფიქრობთ, ანიას პოვნის შემთხვევაში, ის თუ დაგვთანხმდება, რომ დაგაკავშიროთ ერთმანეთს?**

– შეიძლება, ეს მოულოდნელი ამბავი არასასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდეს ანიასთვის, მაგრამ, თუ იპოვით მას, გადაეცით, რომ წელიწადზე მეტია ბესიკი ცოცხალი აღარ არის და მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ ამ მხრივ. ბესიკის შვილებმა უნდა იცოდნენ მათი წარმომავლობა, რომ მათ ჰყავთ მეორე ოჯახი საქართველოში: ბებია, ბაბუა, ახლო ნათესავები, რომლებიც ეძებენ მათ. ამჟამად რთული მდგომარეობაა უკრაინაში. თუკი ჩვენ ხმას მივაწვდენთ ჩვენს დაკარგულ შვილიშვილებს, დიდი სიამოვნებით დავეხმარებით მათ მატერიალურად და ყოველმხრივ.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ, ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

მივხვდი, რომ სწორ გზაზე ვიდექი... დამირეკა თვითონაც – არ დავბრუნდები, მაგრამ ბავშვების ნახვა მინდა და უარი არ მითხრაო. როცა მოვიდა, მე წავედი. სამჯერ გავაკეთე ასე, მეოთხედ კი მთხოვა, შენც ჩვენთან ერთად იყავიო... ხმა არ ამომიღია, ვიჯექი და ვუყურებდი. რომ მიდიოდა, ვთხოვე, შეიძლება, გაკოცო და ჩაგეხუტო? არანორმალურად მომენატრე-მეთქი. არ მჯერაო. ცრემლები მომადგა – არ მინდა უშენოდ ცხოვრება-მეთქი. შენთან რომ ვარ, მაშინ რატომ ვერ მიტანო... სიმართლეს ამბობდა და რა უნდა მეთქვა? უხმოდ გამოვეცალე... არ წავიდა, დარჩა. ერთი სიტყვა არ მითქვამს. საერთოდ არ შემიწუხებია... დილით წავიდა. მინდოდა, გამოვკიდებოდი და შემეჩერებინა, მაგრამ, რაღაც შინაგანმა ხმამ მიკარნახა, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. ორი საათის შემდეგ დაბრუნდა. ახლა მოჭიმული მშვილდივით ვარ, მეშინია, რამე არ შემეშალოს. ვერ ვიტყვი, რომ ფეხის წვერებზე დავდივარ, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ, ჩემს სიყვარულში რომ დავარწმუნო.

## ვუთხარი, შენ წასვლა გინდოდა, სხვა გყავს უკვე და სკანდალის პროვოცირებას ამიტომ მოახდინე-მეთქი

**– ანუ, რას აკეთებთ?**

– ზედმეტად არ ვაწუხებ. ვხვდები, რომ ის ისეთი უნდა მინდოდეს და მიყვარდეს, როგორიც არის. ამას უკვე აღარ ვაკეთებ ძალდატანებით. ძნელი არ არის, თუკი მართლა გიყვარს და მართლა ძვირფასია შენთვის. მე აქტიური ქალი ვარ და ემოციებიც უკონტროლო მქონდა; ახლა კი მთელი ჩემი შინაგანი რესურსი იქით მაქვს მიმართული, რომ ზედმეტი არ მომივიდეს. ვხვდები, რა არ მოსწონთ კაცებს ცოლებში – მათი სურვილი და მცდელობა, გადააკეთონ ქმრები. ცოლები აღარ ვართ ხოლმე ისეთები, როგორებიც შეყვარებულობის პერიოდში. არ მითხრათ, რომ კაცებიც აღარ არიან ისეთები. ჩვენ ახლა ამაზე არ ვსაუბრობთ. თუ გვიყვარს ქმარი, თუ მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგვიდგენია, ისე არ უნდა მოვიქცეთ, სახლიდან გაქცევის სურვილი გაუჩნდეს და, აუცილებლად გაუჩნდება, თუკი ყოველ საღამოს უწესრიგოდ დაყრილი წინდების გამო ეჩხუბებით. მას არ აწუხებს ის წინდები და არც მიაჩნია, რომ რამეს აშავებს. ამიტომ, ან უსიტყვოდ უნდა აიღოთ, ან თქვენც „დაიკიდოთ“. მე ხან ასე ვიქცევი, ხან – ისე. წარმოიდგინეთ, სასწორის ერთ პინაზე დევს მამაკაცური „ცუდი ჩვევები“, მეორეზე – თვითონ ის. გადაწონის „ცუდი ჩვევები“?! – ესე იგი, არ გყვარებიათ, – სულ ეს არის. ხომ გესმით, როგორი მარტივია! მე ვიცი, რომ სხვა კაცთან ბედნიერი ვერ ვიქნები, ამიტომ, ყველაფრით „დავაბამ“ ჩემს ქმარს, ისევ რომ არ გაიქცეს.

**დალი მიქელაძე**

---

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი მეგობარი ქმარს გაშორდა. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით და ეს ამბავი მე და ჩემმა მეუღლემ ძალიან განვიცადეთ. თუმცა ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამის შემდეგ ჩემი ქმარი უარესობისკენ შეიცვალა: სულ ეჭვიანობს და იმათი ოჯახის დანგრევაში ჩემს ერთ-ერთ დაქალს ადანაშაულებს. ზოგჯერ მეუბნება, რომ მეც არაფრით ვარ მასზე უკეთესი. ვერ გავიგე, რას მერჩის. როგორ მოვიქცე?!**

გამოხმაურება: ეს მანიპულაციაა, რასაც არ უნდა დანებდეთ. მეუღლე თქვენთვის მნიშვნელოვანია და მან ეს უნდა იგრძნოს; შეეცადეთ, დაარწმუნოთ იმაში, რომ თქვენი ოჯახი ორივესთვის ძვირფასი უნდა იყოს, მეგობრებს კი თავისი ადგილი აქვთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**რატი წითელაძის ირგვლივ არაერთი სკანდალი აგორებულა, ამჟამად კი ცნობილი სპორტსმენი და ფოტომოდელი კინოინდუსტრიით დაინტერესდა. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემდეგ მან საქართველო დატოვა და დუბაიში წავიდა, სადაც გადაიღო თავისი პირველი ფილმი, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა. რატი დღეს ამერიკაში იმყოფება და არაერთ სცენარზე მუშაობს. მომავალში ის საქართველოში ჩამოსვლას და ისეთი ფილმის გადაღებას გეგმავს, რომელსაც „ოსკარის" რომელიმე ნომინაციას მიანიჭებენ. დამწყები რეჟისორი ოფიციალურ შემოთავაზებებს ელოდება სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად.**

# რა როლს ასრულებს საკუთარ ფილმში რატი წითელაძე და მისი ცხოვრების რომელი მომენტები ემთხვევა ფილმის სიუჟეტებს

**– რატი, იყავი სპორტსმენი, ფოტომოდელი... რეჟისორობა რატომ გადაწყვიტე?**

– კინოინდუსტრიაში ყოფნა დიდი ხანია მინდოდა. უცბად არ გადამიწყვეტია რეჟისორობა. ეს ის სფეროა, სადაც შემიძლია, მაქსიმალურად დავიხარჯო. მხოლოდ მსახიობობის სურვილი არ ყოფილა ჩემში, უფრო ფართო მასშტაბებზე მინდოდა გასვლა. მსახიობს შეუძლია, სხვადასხვა ისტორია მოირგოს, მაგრამ, ეს ყოველივე რაღაც ჩარჩოებშია მოქცეული. იყო რეჟისორი – სულ სხვა რამეა, ეს უფრო ახლოსაა ჩემთან. როდესაც თავად ქმნი რაღაცას და შემდეგ ამის მიხედვით დგამ სცენარს, ეს მართლაც რომ საოცრებაა

**– ვისი იდეა იყო ფილმის გადაღება?**

– მწერალი ნინო ვარსიმაშვილია. როდესაც მიამბო ეს ისტორია, ძალიან დავინტერესდი და, გადავწყვიტე, სცენარი დამეწერა. ფილმი მოგვითხრობს ცოლქმრულ ურთიერთობაზე, როცა ყველაფერი ერთფეროვანი ხდება. მსოფლიოში უამრავ ოჯახს აქვს რთული მომენტები. სტატისტიკურად, ყოველ წელს ათასობით ადამიანი კვდება ურთიერთობის პრობლემების გამო. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, როდესაც უკვე მივიღებთ იმას, რაც გვინდა, სამწუხაროდ, გვავიწყდება დავაფასოთ ის, რაც გაგვაჩნია და მცირეოდენ ყურადღებასაც კი აღარ ვაქცევთ საყვარელ ადამიანს. ამ ფილმით იმის თქმა გვინდოდა, რომ, არ აქვს მნიშვნელობა, რა დონეზე ცუდადაა საქმე, ყოველთვისაა შესაძლებელი, თუნდაც წვრილმანი ქმედებით სიყვარულის გადარჩენა. ზოგჯერ სწორედ რომ პატარა წვრილმანი ცვლის ადამიანის მთელ ცხოვრებას. ფილმის მთავარი თემა სიყვარულია. უფრო იმიტომ დამაინტერესა ამ ისტორიამ, რომ ჩემს ცხოვრებაშიც ყოფილა მსგავსი შემთხვევები, როდესაც წვრილმანისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, თუმცა, ახლა რომ ვფიქრობ, ის წვრილმანი მაშინ მნიშვნელოვნად შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას. იყო მომენტები, როდესაც ამ, თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტებით, რაღაცას მივაღწიე, თუმცა, შემდეგ დავივიწყე, რამაც ცუდი შედეგი მომიტანა. კონკრეტულად ვერ გეტყვით, რასაც ვგულისხმობ. ასეთი რამ იყო სპორტულ კარიერაშიც, შოუ-ბიზნესშიც, ადამიანებთან ურთიერთობის დროსაც – მოკლედ, ყველაფერში. ძალიან ბევრ რამეს ვნანობ. მაშინ არ ვაქცევდი მსგავს წვრილმანებს ყურადღებას, ახლა კი ვცდილობ, უფრო ყურადღებით ვიყო. ფილმსაც „little things" ჰქვია, ანუ – „წვრილმანები“.



**სერიოზულ ფილმს გადავიღებ, რომელსაც „ოსკარზე“ ნომინაციას მიანიჭებენ**

**– ფილმის გადასაღებად დუბაი რატომ აირჩიე?**

– როდასაც პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დავტოვე, წავედი დუბაიში. ადრეც მაქვს ნათქვამი, რომ მინდოდა ჰოლივუდში წასვლა და მსახიობობა, მაგრამ, პირდაპირ ამას ვერ შევძლებდი. ამიტომ, დავიწყე საქმის ეტაპობრივად კეთება. თუ პირდაპირ ამერიკაში ჩავიდოდი, არაფერი მეცოდინებოდა – არც ენა და არც ელემენტარული რაღაცეები; შესაბამისად, მინდოდა, მომზადებული ვყოფილიყავი იქ წასასვლელად. ამიტომაც, გადავწყვიტე, რომ დუბაი იყო ჩემთვის ყველაზე კარგი საშუალება, პროფესიონალურად გავზრდილიყავი და წინ წავსულიყავი. ამ ფილმთან ერთად კიდევ მქონდა გადაღებები, რამაც დღეს აქამდე მომიყვანა. ჩემ მიერ გადაღებულმა ფილმმა ჰოლივუდში ერთ-ერთ საუკეთესო ფესტივალზე გაიმარჯვა, მას ძალიან ხშირად აჩვენებენ ამერიკის სხვადასხვა შტატში.

**– ამ ეტაპზე რითი ხარ დაკავებული?**

– კიდევ ორი ფილმი მაქვს გადაღებული, რომელთა დასრულებასაც ველოდები. ამ ფილმების პროდიუსერი ვარ და, ვცდილობ, ამერიკაში უფრო ფართო მასშტაბებზე გავიტანო. ვმუშაობ კიდევ ერთ სცენარზე; ვეცდები, ისეთი ფილმი გადავიღო, რაც საქართველოს გამოაჩენს. ველოდები ოფიცილურ შემოთავაზებებს, რომ უფრო სერიოზულ ეტაპზე გადავინაცვლო.

**– საქართველო ახსენე. ფილმის გადაღებას აქ გეგმავ? იდეის დონეზე არის რამე?**

– დიახ, არის, მაგრამ ამ ეტაპზე არ შემიძლია თქმა. ჰოლივუდი ფილმების მექაა, ამიტომ, ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღე იქ, როგორც მსახიობმაც და როგორც რეჟისორმაც და ეს ცოდნა ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო. ქართული ფილმის ინდუსტრიაში მინდა განსხვავებული რამე გავაკეთო. ყოველთვის მაქსიმალისტი ვარ, ამიტომ, ვეცდები, ბოლომდე დავიხარჯო და ხარისხიანი ფილმი გადავიღო. არ ვიცი, როდის იქნება ეს, ამას წლები სჭირდება, შეიძლება, 15 წელიც კი დამჭირდეს, მაგრამ, აუცილებლად გადავიღებ ფილმს, რომელიც საქართველოს სახელს საზღვრებს გარეთ გაიტანს.

**– როგორ წახვედი თავიდან ამერიკაში და ჰოლივუდში როგორ აღმოჩნდი?**

– კონკრეტულად ვერ გეტყვი, ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ, აქ, ამ ეტაპზე ვყოფილიყავი. ბევრი ადამიანი დამეხმარა, ჩემთვის რაღაცეებიც შესწირეს. თუ გაქვს მიზანი, ყველაფერს გააკეთებ მის განსახორციელებლად. არ ვიცი, ეს საბოლოოდ როგორ გამოდის, მაგრამ, შედეგს მაინც იღებ.

**– როგორ ფიქრობ, მოდელის კარიერა დაგეხმარა კინოინდუსტრიაში?**

– გარეგონობას, ზოგადად, ყველგან აქცევენ ყურადღებას, უფრო მეტიც – დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებენ. რადგან, პირველად ვიზუალურად აღიქვამ ადამიანს, ვფიქრობ, რომ უფრო სპორტული კარიერა და მიზანდასახულობა გამომადგა. რასაც ვამბობ, ყოველთვის გულიდან მოდის და ამას სხვა რომ ხედავს, ყოველთვის გიფასებს. მათ დაინახეს ჩემი მიზანდასახულობა და პრინციპულობა და ამ ყველაფერმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში.

**– ფოტომოდელობით აღარ ხარ დაკავებული?**

– არა, ამჯერად მხოლოდ მსახიობობით ვარ დაკავებული. აქ იმდენად დიდია კინოს სამყარო, რომ სხვა კუთხით ველარ დაკავდები, ბოლომდე გითრევს ეს საქმე

**– ანუ, პროფესიას აღარ შეიცვლი?**

– იმედია, აღარ; თუმცა, არაფერს გამოვრიცხავ ***(იცინის).*** რაც ჩამოვედი, იმ დღიდან ვმუშაობ, წუთი არ ყოფილა, რომ ამ საქმით არ ვყოფილიყავი დაკავებული; 24 საათი ვშრომობ, სხვას არაფერს ვაკეთებ. ზოგადად, ყოველთვის იმ საქმით ვარ დაკავებული, რასაც კონკრეტულ მომენტში ვაკეთებ, ამიტომ, ამ ეტაპზეც მხოლოდ ფილმებით შემოვიფარგლები.

**– საქართველოში ჩამოსვლას როდისთვის გეგმავ?**

– საქართველოში აუცილებლად ჩამოვალ და სერიოზულ ფილმს გადავიღებ, რომელსაც „ოსკარის" რომელიმე ნომინაციას მიანიჭებენ. ეს ფილმი საქართველოზე იქნება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, აუცილებლად საქართველოში იქნება გადაღებული. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. აქ კიდევ თუ მივაღწიე წარმატებას, მერე უფრო გამიადვილდება სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, ასე რომ, ჩემზეა დამოკიდებული. მინდა, როგორც პროფესიონალი, ისე დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში. თითქმის ორი წელია, აქ ვარ, მაგრამ ეს არაფერია. ჯერ რაღაც სერიოზული უნდა შევქმნა და მერე ჩამოვიდე.

**– პირველი ფილმი ვინ დაგიფინანსა?**

– რომან სიმონიანმა, ჩემმა მეობარმა – მას აქვს ყველაფერი, რაც კი შეიძლება, დაგჭირდეს ფილმის გადასაღებად; მსახიობები კი ნაცნობები იყვნენ.

**– რეალურ ისტორიაზეა აგებული ფილმის სიუჟეტი?**

– დიახ, მაგრამ, ყველაფერს შელამაზება სჭირდება; თუმცა, ასე ვთქვათ, ღერძი, რომელზეც ფილმია აგებული, რეალურია. მინდოდა, საერთაშორისო ფილმი გადამეღო და გამომივიდა კიდეც. ვინც ამ ფილმს ნახავს, ალბათ, საკუთარ თავსაც ამოიცნობს. ფილმს ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, როგორსაც ველოდი.

**– საკუთარ ფილმში თამაშობ?**

– დიახ, მთავარი როლი ცოლ-ქმარს ეკუთვნის და მე ქმრის როლის ვასრულებ. როგორც ქმრები არიან ხოლმე ურთიერთობაში პასიურები, მეც ასეთი ვარ ფილმში.

**ეთო ხურციძე**

**როგორც მომღერალი სოფო ბედია ამბობს, გასული ზაფხული მისთვის ყველაზე განსხვავებული და ბედნიერი იყო, რადგან, საყვარელ მამაკაცთან და შვილთან ერთად მოახერხა დასვენება. ის თბილისში დაბრუნების შემდეგ გაორმაგებული ძალით შეუდგა მუშაობას. დღეს ჩვენი მკითხველი შეიტყობს, თუ როდის გეგმავს სოფო ქორწილის გადახდას, რატომ არ ჩქარობს სასიყვარულო ურთიერთობის დაკანონებას თავის რჩეულთან, მიშა მესხთან და რის გამო არ ჩაიცვამს თეთრ საქორწინო კაბას.**

# რა მსხვერპლზე მიდიოდა თაკარა მზეში წოლით სოფო ბედიას საყვარელი მამაკაცი და როდის გეგმავენ ისინი ექსტრავაგანტური ქორწილის გადახდას

**სოფო ბედია:** პენსიონერული არაფერი მიყვარს და მთელი ცხოვრება ძალიან აქტიური ვარ. ზაფხულში კი მიყვარს დასვენება, რადგან, მთელი წელი ორ რესტორანში ყოველდღიური მუშაობა და დაძაბული რეჟიმი ძალიან მღლის. სულ ვოცნებობ, როდის მოვა ზაფხული, მაგრამ, ისე მალე გავიდა, ისევ მის მოსვლაზე რომ უნდა დავიწყო ფიქრი, უკვე, წინასწარ, ვნერვიულობ *(იცინის).* წელს შვილთან ერთად ბორჯომში ვისვენებდი, შემდეგ – ბათუმსა და ქობულეთში – ერთი სიტყვით, ისე გავატარე ზაფხულის სეზონი, როგორც მინდოდა. სხვათა შორის, ზაფხულთან გამოსამშვიდობებლად, ბათუმში, კლუბში დავგეგმე სოლო კონცერტი 25 აგვისტოს და, ულამაზესი, გემრიელი საღამო გამოვიდა. დასვენებულს, ძალიან მომინდა და მომენატრა სიმღერა, თან, როგორც გითხარით, პასიურობას ვერ ვიტან და, ალბათ, ამიტომაც გადავწყვიტე ამ საღამოს გამართვა და მაქსიმალურად დახარჯვა *(იცინის).* რაც ჩემს საყვარელ საქმეს ეხება, არ მეზარება. რაც არ უნდა გათანგული და დაღლილი ვიყო, სიმღერა ყოველთვის მიხარია.

**– თქვი, ბორჯომში, ბათუმსა და ქობულეთში დავისვენეო. ამ დროს შენი საყვარელი მამაკაცი სად იყო?**

– რასაკვირველია, ჩემ გვერდით! ერთი წუთითაც კი არ ვყოფილვართ მე და მიშა ცალ-ცალკე.

**– სოფო, იცი, რა მიკვირს? სულ ერთად ხართ და, რატომ არ ჩქარობთ ურთიერთობის დაკანონებას, რატომ აგვიანებთ?**

– როგორ არა, ყველაფერი გადაწყვეტილია, უბრალოდ, რაღაც-რაღაცეების დალაგებას ველოდებით. საჩქარო არაფერია, შეყვარებულობის პერიოდით ვტკბებით ჯერ. თან, გვინდა, ქორწილი ექსტრავაგანტურად ჩატარდეს. ახალი ცხოვრების დაწყება ორიგინალურად გვინდა ორივეს და, ვნახოთ; იმედია, როგორც ჩვენ გვინდა, ისე გამოვა ყველაფერი.

**– ესე იგი, თეთრი კაბის ჩაცმას აპირებ?**

– თეთრი საპატარძლო კაბა არ მიყვარს, ალბათ, სპილოსძვლისფერზე გავაკეთებ არჩევანს. ვფიქრობ, ისეთი ქორწილი მექნება, როგორზეც ვოცნებობ და, როცა იქნება, ხომ იქნება! *(იცინის)* ეს ზაფხულიც განსაკუთრებული იყო იმით, რომ ჩემს შვილთან და საყვარელ მამაკაცთან ერთად ვიყავი დასასვენებლად, ენერგია აღვიდგინე და ახლა გაორმაგებული ძალით შევუდგები მუშაობას.

**– ესე იგი, გაორმაგებული ენერგიით დაბრუნდი თბილისში?**

– დასასვენებლად წასული, არ ვიჯექი სახლში და არ ვკითხულობდი წიგნებს; ჩემთვის დასვენება დილით ზღვა, მზე და რუჯის მიღება, საღამოს კი – სეირნობა და „გაჯაზება" *(იცინის).* ძალიან მიყვარს ზაფხულის რუჯი და საღამოობით მეგობრებთან ერთად გართობა, რაც წელს ნამდვილად არ მოვიკელი.

**– მერე, მთელი დღე თაკარა მზეში ზღვის ნაპირას წოლა და რუჯის მიღება მამაკაცებს რომ არ უყვართ, მიშა როგორ უძლებდა?**

– არც მიშას უყვარს თაკარა მზეში სანაპიროზე რუჯის მიღება, მაგრამ, საყვარელი ქალისთვის მსხვერპლი გაიღო *(იცინის).* ძალიან ბედნიერი ქალი ვარ და ბედისწერისაც მჯერა, რადგან, მის გარეშე ადამიანის ცხოვრებაში არაფერი ხდება. ბედისწერა ხან ჭკუას გვასწავლის შექმნილი სიტუაციით და ხან ბედნიერებას გვჩუქნის; ის გვეხმარება, როგორ უნდა გადავდგათ გააზრებული ნაბიჯები ცხოვრებაში. ის მოვლენები კი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ვფიქრობ, უნდა მომხდარიყო და ჭკუაც უნდა მესწავლა ბევრ რამეში. იმაზე მწყდება გული, რომ, შეიძლება, წარსულში უფრო მეტად ბედნიერი ვყოფილიყავი, თუმცა, ახლა ვარ ბედნიერი და ამისთვის ღმერთს მადლობა. ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს *(იცინის).* წარსულში რომ დამაბრუნონ, რაღაც-რაღაცეებს შევცვლიდი, მაგრამ, შვილს ვერ დავთმობ. უამრავი ჭორი და სისულელე იწერებოდა ჩემზე ერთი წლის წინ, ქმარს რომ გავშორდი; ახლა კი, რაც მიშასთან ერთად ვარ, მსგავსი არაფერი გამიგია. ხალხმა მოიჭორავა კი არა, გადაიჭორავა, მაგრამ, რაც უნდათ, ის იფიქრონ, მე არ ვწუხდები. ყველაფერმა გაიარა და ცხოვრება დალაგდა – მთავარი ესაა.



**ამ ზაფხულს ჩემი საყვარელი მამაკაცი სულ ჩემს გვერდით იყო, ერთი წუთითაც კი არ ვყოფილვართ მე და მიშა ცალ-ცალკე**

**თუ მომღერალი არ დადგა კლუბის ან რესტორნის სცენაზე, ისე შემოსავალი არ ექნება; ან – ფულიანი „მფარველია" საჭირო**

**– მეც შევიტყვე ერთი ჭორი და, მინდა, შენთან გადავამოწმო: გავიგე, რომ მიშასთან ერთად უცხოეთში აპირებ ახალი ცხოვრების დაწყებას. ასეა?**

– ეს ჭორი არ არის, გეგმაში გვაქვს; უფრო სწორად, კარგი იდეაა *(იცინის).* თუ რამეს დავაპირებთ, არ დავმალავთ და ყველა გაიგებს. უცხოეთში რომ მეტი გასაქანი და მეტი შანსია ცხოვრებისა და კარიერის ასაწყობად ფაქტია. ზოგადად, კარგი იქნება ჩვენი მომავლისა და ახალი ცხოვრებისთვის, თუ წავედით. ჯერჯერობით მართლა არ მაქვს გადაწყვეტილი, სად მინდა წასვლა, მაგრამ, რომელი ქვეყანაც კარგად მიმიღებს და დამაფასებს, იქ წავალ. საქართველოში კატეგორიულად არ ვიღებ მონაწილეობას კონკურსებში, აი, უცხოეთში კი სიამოვნებით ვცდიდი ბედს. ვოკალურად გამოვცადო ჩემი თავი კონკურსზე და ქულები ვაწერინო ჩემთვის არაკომპეტენტურ ჟიურის – ეს ჩემთვის მიუღებელია. არავის ეწყინოს, ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია და მე ჩემს თავზე ვლაპარაკობ. თან, არც იმ ასაკში ვარ და არც იმ დამწყებ კატეგორიას მივეკუთვნები, რომ სცენაზე შემაფასონ – ეს არც ამბიციური განცხადებაა და არც ვინმეს შეურაცხმყოფელი. მიმაჩნია, რომ პროფესიონალი მომღერალი ვარ და არ მინდა თავის გამოცდა საქართველოს მუსიკალურ კონკურსებზე. აი, უცხოეთში, შეიძლება მივიღო მონაწილეობა კონკურსში, სადაც ჟიურიც კომპეტენტურია და, ასე თუ ისე, არც, მიკერძოებას აქვს ადგილი. საკუთარ თავზე ისედაც ყოველდღე ვმუშაობ და, ვცდილობ, შემოქმედებითად უფრო გავიზარდო.

**– ანუ, მიგაჩნია, რომ საქართველოში ვერ გაფასებენ როგორც შემოქმედს?**

– არა, უბრალოდ, ჩვენთან ყველაფერი ერთ ადგილზეა გაჩერებული, არც კონცერტები იმართება და, თუ მომღერალი არ დადგა კლუბის ან რესტორნის სცენაზე, ისე შემოსავალი არ ექნება, ან, ფულიანი „მფარველია" საჭირო. რა ვქნა, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, არასდროს ვფიქრობ ცუდზე, იმედი მაქვს, ყველაფერი გამოსწორდება და კარგისკენ შემობრუნდება. თქვენ წარმოიდგინეთ, ადრე კონცერტები ხშირადს ტარდებოდა, მაგრამ, გარკვეული „კლანები" გვბლოკავდნენ ზოგიერთ მომღერლებს; ახლა „კლანები" აღარ არიან, მაგრამ, კონცერტებიც აღარ იმართება. ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, შემოქმედი ადამიანები დაჩაგრულები არიან საქართველოში, უცხოეთში კი მეტი გასაქანია-მეთქი. თუმცა, დღეს თუ სადმე ჩატარდა რამე ღონისძიება და კონცერტი, ყოველთვის მეძახიან, მეც სიამოვნებით ვიხარჯები სცენაზე ჩემი ხალხისთვის და ამით ბედნიერი ვარ.

**ნონა დათეშიძე**

**აღზრდა დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე, თუმცა, აღზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია, რა გარემოში უწევს მას ცხოვრება, ყოფნა. ხშირად, როცა ვინმეს მშობლები საზოგადოებისთვის მიუღებელი წესებით ცხოვრობენ, მათ შვილებსაც წინასწარ აძლევენ იმავე შეფასებას და მათ დისკრედიტაციას ახდენენ. როგორია ამ ყველაფრისადმი ეკლესიის დამოკიდებულება, ამის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# როგორ განწმენდენ შვილები მშობლებს ცოდვილი მდგომარეობისგან და რა ცოცხალი კავშირი არსებობს ჭირისუფლებსა და მათ გარდაცვლილებს შორის

**– მამაო, აღზრდა ადამიანზე დიდ გავლენას ახდენს. თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოსაც, რომელშიც ის იზრდება. აღზრდა ადამიანს ცვლის, გარდაქმნის და, გარკვეულწილად, აყალიბებს მის ზნეობრივ ტემპერამენტს, აზიარებს ისეთ განწყობასთან, რომელიც მთელი ცხოვრება გაჰყვება.**

– ბავშვი პატარაობიდან როგორც აღიზრდება, მეტი ალბათობაა, მან თავისი ცხოვრებაც ასევე გააგრძელოს. თუ ოჯახში მშობლები არიან მოწოდების დონეზე – ბავშვებს ზრდიან კეთილსინდისიერად, ზნეობრივად (რელიგიაზე უკვე აღარ ვსაუბრობ, რადგან ეს, თავისთავად, აუცილებელია), ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ ბავშვის მომავალი ცხოვრების ფორმირებაში. თუ დავაკვირდებით ორ განსხვავებულად აღზრდილ ადამიანს, მათ ცხოვრებას, განათლებას, ძალიან დიდ სხვაობას აღმოვაჩენთ. ერთი შეხედვით, შეიძლება, ორივე ერთნაირი იყოს, მაგრამ, მათი ქცევა, მოძრაობა, გადაადგილებაც კი, სხვადასხვანაირი იქნება, შინაგან, სულიერ ძალებსა და მიდრეკილებებზე აღარაფერს ვამბობ. ის, რომელიც არ არის კარგად აღზრდილი, გარკვეულწილად, გაუნათლებელიც არის და მისი გრძნობები, მოქმედებები უხეში და მოუქნელია კარგად აღზრდილ და განათლებულ ადამიანთან შედარებით. ეს უკანასკნელი უფრო დახვეწილია, თუმცა, იმის თქმა არ მინდა, რომ განათლებულ ადამიანში არ არის ბრძოლები, ვნებები და მანკიერებები. უბრალოდ, ის ამ ყველაფერს უფრო კარგად ებრძვის, გონებით მოქმედებს – ჯერ ფიქრობს და მერე დგამს ნაბიჯებს. რა თქმა უნდა, განათლება ძალიან მნიშვნელოვანია – ის განსაზღვრავს ადამიანის წარმოდგენებს, მსოფლმხედველობას, ზნეობრიობას, მაგრამ, უპირველესია. აუცილებელია შვილების აღზრდა ქრისტიანული პრინციპებით, ისევე, როგორც ზნეობრივი, ადამიანური პრინციპებით.



ყველა უდიდესი საეკლესიო მოძღვარი, რომელიც შეხებია ამ თემას, ამტკიცებს, რომ ჩვენ ჩვენი წინაპრების ცოდვები არ მოგვეკითხება

**– ხშირად ამბობენ, რომ ახალდაბადებულ ადამიანზე გადმოდის პირველქმნილი ცოდვა; ისიც გამიგია, თითქოს ადამიანი საკუთარი მშობლების ცოდვების გამო ისჯება. ეს რამდენად შეესაბამება სიმართლეს?**

– არსებობს ასეთი გაგება: როდესაც ადამიანი ინათლება წმიდა სამების სახელზე, მას მაშინ მიეტევება ეს ცოდვა. ვერ ვიტყვით, რომ ეს არასწორი გაგებაა, უბრალოდ, ამ საკითხის არასწორი ინტერპრეტაცია ხდება, ეს აზრი არასწორად არის ჩამოყალიბებული. რადგან ქრისტიანობა ასწავლის, რომ ჩვენ არ მოგვეკითხება მშობლების ცოდვა, ასევე, არ მოგვეკითხება ადამისა და ევას ცოდვები. ადამიანი შინაგანად სჩადის ამას, რადგან, თავად არის შემოქმედების მთავარი ობიექტი; ამიტომ, ცუდს აკეთებს თუ კარგს, ცუდისკენ მიიხრება თუ კარგისკენ, ყველაფერს თვითონ აკეთებს, მას ამას ღმერთი არც ავალდებულებს, არც აძალებს. ღმერთი სიყვარულია, ის არავის სჯის, არავის უბიძგებს ცოდვისკენ – შენ ეს ჩაიდინე და მერე გახდები კარგიო, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ზოგადად, ადამიანის ბუნებითი მდგომარეობა არ არის ცოდვიანობა. როდესაც ადამისა და ევას დაცემის შემდეგ პირველქმნილი ცოდვა შემოვიდა კაცობრიობაში, ადამიანი დაემორჩილა ცოდვას და მთელი კაცობრიობა მოკვდავი გახდა. თუმცა, პირველცოდვის გაგება განსხვავებულია როგორც აღმოსავლეთის, ანუ ჩვენს ეკლესიაში, ასევე დასავლეთის – ლათინურ, კათოლიკურ ეკლესიებს შორის. წარმოვიდგინოთ, ადამიანი დაიბადოს ამქვეყნად და ისე ცხოვრობდეს, საერთოდ არ სცოდავდეს, მაგრამ ის მაინც დაისჯება, ოღონდ, წინაპრების, ანუ ადამისა და ევას შეცოდებებით. ამ საკითხის მართლმადიდებლური გაგება ემიჯნება დასავლურ, კათოლიკურ, პროტესტანტულ გაგებას. ჩვენი ეკლესიის მამები ამბობენ: გასაგებია, რომ შესცოდეს ადამმა და ევამ. მათი მეშვეობით ადამიანებში, მათ შთამომავლობაში შემოვიდა ცოდვა; მაგრამ, ჩვენ, ანუ შთამომავლები, ამაში არ ვართ დამნაშავენი. სწორად რომ გავიგოთ, ცოდვა პიროვნული, ინდივიდუალურია, თუმცა, ერთია, როცა შენ სცოდავ საკუთარ თავში და ეს არავის ეხება, მაგრამ, ასევე, არის ცოდვა, რომელიც ყველას ეხება – ერთი ამბობს და სხვებს გადაეცემა. ეს დაბრკოლების ერთ-ერთი სახეა. ცოდვა პიროვნული მდგომარეობაა, თუმცა ის, შეიძლება, ერთი ადამიანიდან რამდენიმეზე გავრცელდეს და ეს იმ ერთის ბრალია, რომელიც სცოდავს და არა იმათი, ვისზეც ეს ცოდვა გადავიდა. ადამიანი თავის ჩადენილ ცოდვაზე, აგებს პასუხს და არა წინაპრების ცოდვებზე. ყველა უდიდესი საეკლესიო მოძღვარი, რომელიც შეხებია ამ თემას, ამტკიცებს, რომ ჩვენ ჩვენი წინაპრების ცოდვები არ მოგვეკითხება. ეს არა მხოლოდ ახალაღთქმისეული, ქრისტიანული სწავლება, არამედ, მანამდეც, ძველ აღთქმაშიც იყო ამ საკითხზე საუბარი. უფალი ამბობს: მე არ განვიკითხავ შვილს მამის ცოდვების გამო თუნდაც იმიტომ, რომ შვილი ასრულებს ყველა ჩემს მცნებას, იმ რჯულს, რომელიც მე დავუდგინე, იმ კანონებს, რომელიც მე მივეცი. ასე რომ, შვილი მართალია ჩემ წინაშე და არ დაისჯება, მამის გამო არ დავსჯი მას და შვილის ცოდვების გამო არ დავსჯი მამას, ანუ, ყველა ადამიანი თავისი ცოდვების გამო ისჯება, მას არც ღმერთი სჯის, არც ეშმაკი და, მით უმეტეს, სხვა ადამიანის ცოდვების გამო არ ისჯება. შვილებზე არ გადმოდის მათი წინაპრების ცოდვები, მაგრამ ადამიანებზე აისახება თავისი წინაპრების ცხოვრება. საზოგადოებაში ხშირად არის გავრცელებული მოსაზრება, რომ, თუ ამ ადამიანის მამა იყო მკვლელი, ცუდი ადამიანი, ესე იგი, შვილიც ცუდი იქნება; ან, თუ დედა ჰყავდა მრუში, ამიტომ, ისიც მრუში უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს არასწორი შეხედულებაა; ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენც მათი მსგავსნი გავხდეთ, ისე გავაგრძელოთ ცხოვრება, როგორც ისინი ცხოვრობდნენ. თუ ისინი იყვნენ ცოდვაში და ისე გავიდნენ ამქვეყნიდან, მათ სახელზე უნდა ვაკეთოთ ბევრი სიკეთე, ვილოცოთ და ეს არა მხოლოდ ჩვენ წაგვადგება, არამედ, მათაც.

**მშობელი უნდა ზრუნავდეს საკუთარ შვილზე, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლომდე ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში. შეზღუდოს მისი თავისუფალი ნება**

**– ამ შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდას, შვილებისთვის სწორი მაგალითის მიცემას, რჩევას, ოღონდ, არა მათ ცხოვრებაში ხშირად მკაცრად ჩარევას, ისე, როგორც დღეს ხდება ხოლმე.**

– უფალი ღვთისკენ, სარწმუნოებისკენ ნაბიჯის ძალით გადადგმას არ ითხოვს. ის გველოდება, ყველას მოგვიწოდებს, მაგრამ, ამ ნაბიჯს ვინ როდის და როგორ გადადგამს, ეს უკვე ადამიანის გადასაწყვეტია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი შვილები პიროვნებები არიან. რა თქმა უნდა, მათზე გარკვეული უფლებები გვაქვს, რადგან, ჩვენი შვილები არიან, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, ბოლომდე ჩავერიოთ მათ ცხოვრებაში, აზროვნებაში, თავისუფლებაში. თავად უფალი არ აბრკოლებს ადამიანს თავისუფალ არჩევანში, თუმცა, აჩვენებს ორ გზას: ერთი ცხონებისკენ მიდის, მეორე – წარწყმედისკენ. ასე რომ, ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს: კი არ უნდა დააძალოს შვილს ლოცვა, ეკლესიაში სიარული, არამედ, საკუთარი ქცევით მისცეს მას მაგალითი. მშობელი, რომელიც ბავშვს აძალებს, იმარხულოს, ილოცოს მასთან ერთად, დაესწროს წირვას, მიუხედავად იმისა, შეუძლია და სულიერად მომწიფებულია თუ არის, აქვს თუ არა ამის სურვილი, რა თქმა უნდა, არასწორად იქცევა. ეს შემდეგში გამოიწვევს ამ ადამიანის ჩამოშორებას სარწმუნოებისგან. მშობელი უნდა ზრუნავდეს საკუთარ შვილზე, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლომდე ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში. შვილისგან არ უნდა მოითხოვოს სრული დამორჩილება, ის არ უნდა ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში, არ შეზღუდოს მისი თავისუფალი ნება. აღზრდის დროს მთავარია, ბავშვი გაიზარდოს დამოუკიდებელ ადამიანად. ის უნდა შეეჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებასა და გადაწყვეტილებების მიღებას, დამოუკიდებელ ცხოვრებას. ვინც მშობლებზე ბოლომდე დამორჩილებულნი გაიზარდნენ, უკვე გაზრდილნი, გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ველარ იღებენ და საზოგადოების სრულყოფილი წევრებიც ველარ ხდებიან. ლოცვა, მართლმადიდებლობა, ზნეობრივ-ქრისტიანული ცხოვრება კარგია, მაგრამ, თუ ეს შენი ნების წინააღმდეგ ხდება, ამას სარწმუნოებისადმი რადიკალური მიდგომა, თავს მოხვევა ჰქვია, რასაც უფალი არ ითხოვს ჩვენგან.

**ნათია უტიაშვილი**

# აბორტი – უმძიმესი ცოდვა

წლების წინ ამერიკის შეერთებული შტატების ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ემბრიონში სიცოცხლე იწყება ჩასახვიდან მხოლოდ მეთორმეტე კვირის შემდეგ. სწორედ ამიტომ, ამერიკაში აბორტების უმრავლესობა ორსულობის მეთორმეტე კვირამდე კეთდებოდა (ქვეყანაში აბორტების საერთო რიცხვის 91 პროცენტი). ადამიანის ცნობიერებისთვის ადვილი არაა იმის აღიარება, რომ მომავალი ადამიანი დედის სხეულში მხოლოდ ხორცის ნაჭერია, რომლისგან გათავისუფლებაც ნებისმიერ ქალს ნებაყოფლობით შეუძლია.

ამ პრობლემაზე აქტიურად მუშაობდნენ ექიმები, რომლებიც აბორტებს აკეთებდნენ და ისინიც, ვინც იძულებული იყვნენ, ეთანამშრომლათ მათთან ან, თუნდაც, დუმილით გამოეხატათ თავიანთი თანხმობა. ეს იმიტომ, რომ სიცოცხლე მეტისმეტად წმინდაა, ეს ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ცნობიერების საკითხია, ცნობიერება კი უპასუხისმგებლო ქმედებებს ვერ იტანს. მრავალ მეცნიერს აფიქრებდა საქმის ეთიკური მხარე, ამიტომ, სერიოზული კვლევების შედეგად, მათ კარგად გააცნობიერეს, თუ რა გააკეთეს. აბორტის მომხრეთა შორის მრავალი ადამიანი თავად გახდა აბორტის ყველაზე თამამი მოწინააღმდეგე. ასეთ მეცნიერთა შორის იყო ერთ-ერთი ამერიკელი ექიმი, აბორტების სპეციალური კლინიკის ყოფილი დირექტორი, მეან-გინეკოლოგი ბერნარდ ნათანსონი, რომელმაც ორი თვის განმავლობაში 60 ათასი აბორტი გააკეთა! მაგრამ, როდესაც თავისი საქციელის სისწორეს ჩაუღრმავდა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (ულტრაბგერა, ემბრიონის გულის ელექტრონული გამოკვლევა, ემბრიოსკოპია, რადიობიოლოგია და სხვა) გამოყენებით გამოიკვლია საკითხი: როგორი სიცოცხლე აქვს ემბრიონს და როდის იწყება მასში ეს სიცოცხლე?

სკრუპულოზური გამოკვლევების შედეგად, ნათანსონი მივიდა ერთ დასკვნამდე და განაცხადა: „დღეს საკითხი იმის შესახებ, რომ ემბრიონი არის ცალკე ადამიანური არსება, მთელი თავისი განსაკუთრებული პირადი თვისებებით, რწმენის საკითხი აღარ არის“. მისმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ეს უკვე მეცნიერული ჭეშმარიტებაა, რომ ემბრიონი – ჩამოყალიბებული ადამიანური არსებაა. თავისი დასკვნების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად ნათანსონმა 12-კვირიანი ნაყოფის (სამი თვის ჩანასახის) აბორტის ულტრაბგერით კინოგადაღებას მიმართა. ეს ფილმი, რომელსაც „ჩუმი ყვირილი“ ეწოდება, ამტკიცებს, რომ ჩანასახი გრძნობს მუქარას იმ ინსტრუმენტის მხრიდან, რომლითაც აბორტი კეთდება; გრძნობს საშიშროებას და ამას გამოხატავს იმით, რომ:

ა) სწრაფად და შეშფოთებული მოძრაობს;

ბ) მისი გულისცემა 140-დან 200-მდე ხშირდება;

გ) პირს ფართოდ აღებს, როგორც ყვირილისას, უხმო ყვირილისას.

ეს ფილმი ისეთ ძრწოლას იწვევს, რომ, ერთმა ექიმმა, რომელსაც პირადად 10 ათასი აბორტი ჰქონდა გაკეთებული, ფილმის ნახვის შემდეგ შეწყვიტა აბორტების კეთება. ერთმა ფემინისტმა კი, რომელიც ფილმის გადაღებაზე მუშაობდა, საკუთარი თვალით ნანახის ზემოქმედებით, მთლიანად შეცვალა თავისი შეხედულებები... ყოველივე ამის შემდეგ, გვიჩნდება სურვილი, დავსვათ კითხვა: „სად არის შუასაუკუნეობრივი სიბნელე? ვინ არის მისი წარმომადგენელი?“ ყოველ შემთხვევაში, ეს ეკლესიას არ ეხება.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ჩემ გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც კეთილებიც არიან, გაჭირვებულებსაც ეხმარებიან, თუმცა, ეკლესიაში არ დადიან. როგორ დავეხმაროთ ასეთ ადამიანებს, რომ ტაძარში მივიდნენ?**

**პასუხი:** ეცადეთ, რომ ასეთ ადამიანებს შეაგონოთ ეკლესიაში სიარულის აუცილებლობა. მაგრამ თუ რამდენიმე მცდელობის შემდეგ ისინი არ მოგისმენენ, ნუ გაალიზიანებთ. ილოცეთ მათთვის. მოვა დრო, როდესაც თავად გადაწყვეტენ ეკლესიაში მისვლას. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთი, როდესაც მას ღმერთთან მისვლის სურვილი უჩნდება.



**კითხვა: ადამიანი, რომლის ვალიც მქონდა, გარდაიცვალა. ამას ძალიან განვიცდი. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ფული დაუბრუნეთ მის ახლობლებს. თუ მას ახლობელი არ დარჩენია ან უცხოეთში ცხოვრობენ და ზუსტად არ იცით მათი საცხოვრებელი, მაშინ ეს ვალი შეჭირვებულ ადამიანებს გადაეცით ან ეკლესიას შესწირეთ.

**კითხვა: ვმუშაობ კათოლიკურ სკოლაში და ბავშვებს ხელოვნებას ვასწავლი. ცოდვად ხომ არ მეთვლება უცხო აღმსარებლობის გარემოში მოღვაწეობა?**

**პასუხი:** ეკლესია საარსებო წყაროს მოძიებას არ კრძალავს, მით უმეტეს, თუ ბავშვებს სიყვარულს, სათნოებასა და ხელოვნებას ასწავლით. ოღონდ, ნუ გაიზიარებთ უცხო აღმსარებელთა ცხოვრების წესს და ხშირად იარეთ მართლმადიდებლურ ტაძარში.

**კითხვა: მაქვს ნათლობის სამი ჯვარი. შეიძლება თუ არა, ისინი გადავანო და ერთი გავაკეთო?**

**პასუხი:** ეს კატეგორიულად დაუშვებელია. ატარეთ ერთ-ერთი ჯვარი, დანარჩენი კი სათუთად შეინახეთ.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ჟურნალისტი, რომელიც ბოროტი ზრახვით უყურებდა ყველაფერს

ერთხელ ბერთან მივიდა ჟურნალისტი, რომელშიც არ ჩერდებოდა კეთილი ზრახვა და ყველაფერს ბოროტი ზრახვით უყურებდა. მან ბერს სხვადასხვაგვარი კითხვები დაუსვა და აალელვა იგი. მერე ჰკითხა ბერს:

– ღერონდა, რატომ ზიხართ აქ შორს, უზრუნველად, სიმშვიდეში და არ მიდიხართ სოფლის დასახმარებლად, სადაც უამრავი გასაჭირია?

– შენი მანქანა გაფუჭებულია და მხოლოდ ცუდ ზრახვებს აწარმოებს. რასაც დაინახავ, რასაც გეტყვიან, მრუდედ აღიქვამ. ახლა შენ აქ მხედავ და ამბობ, რატომ არ გავდივარ სოფლის დასახმარებლად? რომ წავიდე, იტყვი – შენ, მონაზონი, რატომ დახეტიალობ სოფელში და რატომ არ ზიხარ შენთვის მდუმარედ? ამიტომ ერთ რამეს გეტყვი: გამოასწორე შენი გაფუჭებული ზრახვა და დაინახავ, რომ ერთია შუქნიშნის მუშაობა ათენის ხმაურიან ქუჩებში და სხვაა – შუქურისა უდაბურ კლდეებზე.

## თუ კეთილ ზრახვას შეინარჩუნებ – არ დამარცხდები

– ღერონდა, როდესაც სალონიკში წასვლას ვახერხებ, შემდეგ პრობლემას ვაწყდები: ქუჩაში ვხვდები მათხოვრებს, რომელთა უმეტესობა არის ბინძურხელებიანი ბოშა. ისინი ამბობენ, რომ მათ ჰყავთ ავადმყოფი ბავშვები და ითხოვენ დახმარებას. ზრახვა მკარნახობს, რომ ისინი ტყუილს ამბობენ; არ ვიცი, როგორ მოვიქცე. თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით?

– ერთხელ, – თქვა მან, – გასული ვიყავი ათონის მთიდან; ჩემთან მოვიდა ქალი ბავშვით ხელში და დახმარება მთხოვა. შემეცოდა იგი და დანაღვლიანდა ჩემი სული. ფული ძალიან ცოტა მქონდა. მივეცი მას პენდაკოსარიკო (500 დრაჰმა, ანუ 1,5 დოლარი) და გულისტკივილით ვუთხარი: „მაპატიე, მაგრამ თან არ მაქვს მეტი ფული. თუმცა, გთხოვ, გამომართვი ჩემი მისამართი და გამომიგზავნე შენი, სადაც ცხოვრობ, როდესაც მთაზე წავალ, გამოგიგზავნი“.

ქალმა გამომართვა მისამართი და მე დავინახე, რომ მას გული აუჩუყდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან გამომიგზავნა წერილი, რომელზეც უკანა მისამართი არ იყო მითითებული. შიგნით იდო პენდაკოსარიკო, რომელიც მას მაშინ მივეცი. ის პატიებას მთხოვდა, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა და მმადლობდა გულკეთილობისთვის. ასე რომ, ვფიქრობ, თუკი ამ შემთხვევაშიც კეთილ ზრახვას შეინწყნარებ, არ დამარცხდები, რადგან არის ღმერთი, რომელიც იცავს გულებს და თითოეულს სამართლიანად მიაგებს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# მარკო როისი – გერმანიის ნაკრების ახალი ლიდერი

*წლევანდელი წელი მარკო როისისთვის წარუმატებლად შეიძლება ჩაითვალოს. გერმანიის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა და „ბუნდესლიგის" კაშკაშა ვარსკვლავმა ტრავმის გამო გამოტოვა მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში, სადაც გერმანიამ 24-წლიანი პაუზის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო გუნდის სახელი დაიბრუნა. გთავაზობთ საინტერესო ფაქტებს „დორტმუნდისა" და გერმანიის ნაკრების ლიდერის შესახებ:*



* მარკო როისი დაიბადა 1989 წლის 31 მაისს, დორტმუნდის მიკრორაიონ კერნეში. მარკოს ორი უფროსი და ჰყავს – ივონა და მელანი. მისი მამა მექანიკოსად მუშაობდა, დედა კი – ოფისის მუშაკად. ფეხბურთის თამაში მარკომ 4 წლის ასაკში დაიწყო. მისი პირველი გუნდი „პოსტ ესფაუ" იყო.

* სკოლაში სწავლის პერიოდში მარკოს საყვარელი საგანი ისტორია იყო. ის სამხედრო მფრინავობაზე ოცნებობდა, თუმცა, საბოლოოდ, გაყიდვების მენეჯერის პროფესია შეისწავლა, მაგრამ, პროფესიით ფეხბურთის გამო არ უმუშავია.

* 2005 წელს მარკო როისი ფეხბურთისთვის სუსტად და უნიჭოდ ჩათვალეს, რის გამოც მას კარიერის გაგრძელება „ალენში" მოუწია, სადაც მას ნდობა გამოუცხადეს. იმ პერიოდში „ალენში" როისის თანაგუნდელი იყო მისი ამჟამინდელი თანაკლუბელი კევინ გროსკროიცი. დროის მცირე მონაკვეთში მარკოს სხეულის კუნთოვანი მასის გაზრდა მოუწია, რათა ფიზიკურად დაემტკიცებინა, რომ სუსტი არ იყო.

* მარკო როისის საყვარელი კერძია კარტოფილის პიურე და მოშუშული წითელი კომბოსტო. ფილმებიდან მას კომედიები უყვარს, განსაკუთრებით – „წვეულება ვეგასში," მეორე ნაწილი. მარკოს არ ჰყავს შინაური ცხოველები.

* „ალენიდან" მიუნჰენგლადბახის „ბორუსიაში" მარკო როისის ტრანსფერმა ერთი მილიონი ევრო შეადგინა. „დორტმუნდმა" კი მიუნჰენგლადბახური კლუბიდან როისი 17,5 მილიონ ევროდ შეიძინა. მარკო როისის ამჟამინდელი სატრანსფერო ფასი 50 მილიონ ევროს აღემატება.

* მარკო როისს სარეკლამო კონტრაქტები აქვს „პუმასთან" და „ოპელთან".

* მარკო როისის საუკეთესო მეგობრები არიან ანდრე შიურლე, მარიო გიოტცე და რომან ნოიშტეტდერი.

* მუსიკიდან მარკო როისი უპირატესობას ამერიკულ პოპ-მუსიკას ანიჭებს; ის მარკო ჯასტინ ბიბერის მსმენელია და, ასევე, მას დიჯეობა იტაცებს.

* ჩეხი ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი მარკო როისის საფეხბურთო კერპია, ხოლო, ზოგადად, სპორტსმენებიდან ის კალათბურთელ დირკ ნოვიცკის მიიჩნევს საუკეთესოდ.

* მარკო როისს სხეულზე გაკეთებული რამდენიმე ათეული ტატუირებასაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამ თემაზე ის ჟურნალისტებთან არ საუბრობს.

## იაპონური შავი ბურგერი და ხორცი – ფეკალიებისგან

კომპანია Burger King-მა წარმოადგინა აბსოლუტურად შავი ბურგერი, რომელსაც იაპონიის სასაუზმეებში გასაყიდად ოქტომბრის დასაწყისში გამოიტანენ. გოთიკური ბუტერბროდი შედგება შავი ფუნთუშის, შავი კატლეტის, შავი ყველის ნაჭრისა და შავი სოუსისგან. პირველად Kuro Burger (Kuro – შავი) იაპონურ რესტორნებში 2012 წელს გამოჩნდა, თუმცა, ნაკლებად რადიკალური – შავი იყო მხოლოდ ფუნთუშა, რომელიც ბამბუკის ნახშირით იყო შეღებილი და, კეტჩუპი, რომელშიც კალმარების მელანი იყო დამატებული. შარშან გამოვიდა მისი ახალი ინტერპრეტაცია – Kuro Ninja – ძველ ინგრედიენტებს ბეკონის ნაჭერიც დაემატა; ამჯერად კი კომპანია უფრო შორს წავიდა – ორიგინალურ ვერსიაში შავი ყველიც შედის და მას Kuro Peart (შავი მარგარიტი) დაარქვეს, რომლის ფასი 480 იენია (4,5 დოლარი). აქვე შეგიძლიათ შეუკვეთოთ „შავი ბრილიანტი", რომელსაც დამატებული აქვს ბუნებრივი ფერის პომიდორი, ხახვი და სალათის ფურცლები – ეს უკვე 6,5 დოლარი დაგიჯდებათ.

პროდუქტების დეფიციტის პრობლემის გადაჭრაში კომპანიას იაპონელი მეცნიერები ეხმარებიან – მათ გამოიგონეს ადამიანის ფეკალიებისგან ხორცის სინთეზირების მეთოდი. კომპანიამ, რომელიც მრავალმილიონიანი ტოკიოს კანალიზაციას ემსახურება, თხოვნით მიმართა მეცნიერებს, მოეძებნათ იმ გიგანტური ფეკალური მასის გამოყენების გზები, რისი საშუალებითაც ისინი საკანალიზაციო მილებს გაათავისუფლებდნენ. კვლევებმა აჩვენეს, რომ ეს ნარჩენები შეიცავს იმ ბაქტერიების მაღალ კონცენტრაციას, რომელიც ამ მასას პროტეინებად გადააქცევს; მეცნიერებმა გამოყვეს ცილები, დაამატეს რეაქციის კატალიზატორი და შესანიშნავი შედეგი მიიღეს, რადგან, მოხალისეები, რომლებმაც გარისკეს მისი გასინჯვა, ამტკიცებენ, რომ პროდუქტი გემოთი ნამდვილად ჰგავს ხორცს...

## პიკე კატალონიის დამოუკიდებლობას უჭერს მხარს

„ბარსელონისა" და ესპანეთის ნაკრების ტიტულოვანი მცველი, ჟერარდ პიკე, კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფის მომხრე აღმოჩნდა. პიკემ კატალონიის პრეზიდენტის, არტურ მასას მოსაზრებას დაუჭირა მხარი, რომ კატალონია დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გახდეს. „ჩვენ გვყავს საუკეთესო პრეზიდენტი და მას მხარი უნდა დავუჭიროთ," – ასეთი სიტყვებით მოიხსენია პიკემ არტურ მასა. ცნობილია, რომ, კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფის შემთხვევაში, ჟერარდ პიკეს გადაწყვეტილი აქვს, კარიერა ესპანეთის ნაკრებში განაგრძოს, მიუხედავად იმისა, რომ კატალონიას დამოუკიდებელი ნაკრები უკვე ჰყავს და არაოფიციალურად რამდენიმე მატჩიც აქვს ჩატარებული.

## „ჩელსის" ახალი სპონსორი

მომავალი წლიდან ლონდონის „ჩელსის" ახალი სატიტულო სპონსორი ეყოლება. ტექნიკურ გიგანტ „სამსუნგს" 2015-2016 წლების სეზონზე უმსხვილესი ავიაკომპანია „თურქიშ ეირლაინსი" ჩაანაცვლებს. რომან აბრამოვიჩის გუნდთან „სამსუნგი" 2005 წლიდან თანამშრომლობს და გუნდის უკანასკნელი დროის წარმატება სწორედ მის სახელთან ასოცირდება. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონიდან ახალი ტიტული კიდევ ერთ ინგლისურ კლუბს, „მანჩესტერ იუნაიტედსაც" შეეცვალა – გუნდი მაისურზე „შევროლეს" ლოგოთი ასპარეზობს.

## „ლეგოს" კონსტრუქტორით აწყობილი სტადიონი

ბრიტანელმა ფეხბურთის ქომაგმა სტივ რიქსმა საყვარელი გუნდის საშინაო არენის მინიასლი ააწყო. „ლეგოს" სათამაშო კონსტრუქტორის დახმარებით, მან სამ კვირაში მოახერხა საფეხბურთო კლუბ „ნორვიჩის" სტადიონის – კეროუ როუდის აწყობა, რასაც 2 000 ცალი „ლეგოს" კუბიკი დასჭირდა. ახლო მომავალში კეროუ როუდის „ლეგოს" ვერსია საქველმოქმედო აუქციონზე გაიყიდება.




## მენი პაკიაოს ახალი პროფესია

ცნობილი მოკრივე, მსოფლიოს ჩემპიონი მენი პაკიაო, საკალათბურთო კლუბ „კია სორენტოს" მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა. ახლად შექმნილი კლუბი ახალი სეზონიდან ფილიპინების ჩემპიონატში დაიწყებს ასპარეზობას. მიუხედავად იმისა, რომ მოკრივე პაკიაოს კალათბურთში მწვრთნელად მუშაობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნია, კლუბის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ისინი ამ გზით მოიზიდავენ მაყურებელს. ცნობისთვის, პაკიაო კალათბურთს ამერიკაში ვარჯიშის დროს, სამოყვარულო დონეზე თამაშობდა, პროფესიულ დონეზე კი მას ჯერ არ უთამაშია და, სხვა ფილიპინური კლუბების მოთამაშეების მტკიცებით, ცნობილ მოკრივეს ნამდვილი ჯოჯოხეთი ელოდება.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# მეფური წარმოშობისა და ებრაული გენის მქონე ბრიტანელი პოლიტიკოსი

დევიდ უილიამ დონალდ კემერონი, გაერთიანებული სამეფოს მოქმედი პრემიერ-მინისტრი და კონსერვატიული პარტიის ლიდერი დაიბადა ლონდონში, 1966 წლის 9 ოქტომბერს.

მამის მხრიდან მისი დიდი ბაბუა, ემილ ლევიტა, ებრაელი იყო. იგი მანჩესტერში გერმანიიდან 1850 წელს გადავიდა, ბრიტანული მოქალაქეობა კი მხოლოდ 1871 წელს მიიღო. მუშაობდა „ჩერტერედ ბანკის" დირექტორად ინდოეთში, ავსტრალიაში და ჩინეთში; კამერონის დედის წინაპარი კი ინგლისის მეფის, ვილჰელმ მეოთხისა და მისი ფავორიტის – დოროთი ჯორდანის შთამომავალი იყო.

* დევიდი 7 წლიდან ბერქშირში, ვინკფილდის კერძო სკოლაში სწავლობდა და ხელოვნებით იყო დაინტერესებული. შემდეგ წარჩინებით დაამთავრა ოტონის კოლეჯი და ოქსფორდის უნივერსიტეტი, სადაც შეისწავლა პოლიტიკა, ფილოსოფია და ეკონომიკა. სწორედ ოქსფორდში გაიცნო მან ლონდონის ახლანდელი მერი ბორის ჯონსონი, სახელმწიფო ხაზინის კანცლერი ჯორჯ ოსბორნი და სხვა ახლა უკვე კარგად ცნობილი პირები.

* უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კემერონმა მუშაობა დაიწყო კონსერვატიულ პარტიაში; ეხმარებოდა ჯონ მეიჯორს საზოგადოების წინაშე წარმოსათქმელი სიტყვის მომზადებაში; იყო დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრის მრჩეველი; შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი მედიაკომპანიის საბჭოში.

* დევიდ კემერონი არჩევნებში პირვ-



ელად 1997 წელს სტაფორდიდან წარადგინეს, თუმცა დამარცხდა; 2001 წელს თემთა პალატაში მოხვდა უიტნიდან; 2005 წელს, გორდონ ბრაუნის მთავრობის ხელმძღვანელის პოსტიდან წასვლის შემდეგ, მან დედოფლისგან მიიღო წინადადება მთავრობის ფორმირების შესახებ.

* სწორედ დევიდ კემერონმა, პირველად დიდი ბრიტანეთის ისტორიაში, ჩამოაყალიბა კოალიციური მმართველობა, რომელიც ლიბერალ-დემოკრატებისგან შედგებოდა. 43 წლის კემერონი კი, 1812 წლის შემდეგ (42 წლის გრაფი ლივერპული), ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრი გახდა.

* კემერონი დაქორწინებულია არისტოკრატული წარმოშობის სამანტა გვენდოლინ შეფილდზე და ჰყავს სამი შვილი – ორი გოგონა და ვაჟი. სხვათა შორის, მეორე გოგონას სახელში შედის იმ სოფლის დასახელება, სადაც კემერონების ოჯახს უყვარს დასვენება.

* 2010 წლის 5 ოქტომბერს მან ბოდიში მოუხადა თავის ამომრჩევლებს, რომ ვერ შეძლო, მთლიანად შეესრულებინა თავისი დაპირება ბავშვთა სოციალური დახმარების გაცემის შესახებ.

* 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს კამერონი მსოფლიოს მოუწოდებდა, შემოეღოთ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ და შეეჩერებინათ მისი წევრობა „დიდ რვიანში".

* დევიდს მოსწონს საჭმლის მომზადება, გატაცებულია ტენისით, ცხენოსნობით, ნადირობით, ფეხბურთით; გულშემატკივრობს საფეხბურთო კლუბ „ასტორ ვილას". პრემიერობამდე სამსახურში ველოსიპედით დადიოდა, 2006 წელს კი ამხილეს, რომ მისი ნივთები მძღოლს ავტომობილით გადაჰქონდა.

* დიდხანს ლაპარაკობდნენ კემერონზე, როდესაც მან ამერიკელ ტელეწამყვანს, ლეტერმანს ბრიტანეთის ისტორიის შესახებ დასმულ ელემენტარულ კითხვებზე ვერ გასცა პასუხი.

* 2012 წლის სექტემბერში პრემიერ-მინისტრის საიტზე გაჩნდა ინფორმაცია: „სამსახურებრივი მოვალეობის არადამაკმაყოფილებელი შესრულებისთვის, მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსის „თანამდებობიდან ჩამოაქვეითეს" კატა „ლარი", რომელმაც ამ თანამდებობაზე ყოფნისას, ანუ 6 თვის განმავლობაში, მხოლოდ ერთი თაგვი დაიჭირა; ამ თანამდებობაზე კი დაინიშნა კატა „ფრეია", რომელიც მანამდე კანცლერ ჯორჯ ოსბორნთან იმავე „თანამდებობაზე" მუშაობდა.

* 2013 წელს დევიდ კემერონი საქველმოქმედო ვიდეოკლიპში ეპიზოდურ როლში გადაიღეს.

# მხოლოდ ფაქტები

* 1952-1966 წლებში ამერიკელი რალფების ოჯახში 5 შვილი დაიბადა და, ყველა ერთსა და იმავე დღეს – 28 თებერვალს.

* 1985 წლიდან ევროპული გაერთიანების სპეციალური კომისია ყველაზე კომფორტულ და ეკოლოგიურად სუფთა პლაჟს ცისფერ დროშას ანიჭებს.

* ფრენკ სინატრამ თავისი შვილის გამოსასყიდად 240 000 დოლარი გადაუხადა ბანდიტებს.

* ინტერნეტში ყოველი მეასე გვერდი პორნოგრაფიაა.

* პენალტი – ინგლისური ტერმინია და პირველად საჯაროდ ვინმე უილიამმა გამოიყენა 1868 წლის 28 მაისს. სიტყვა კი აიღო გამოთქმიდან – Death Penalty („სიკვდილით დასჯა").

* ინგლისელი ფელდმარშლის სახელი – მონტგომერი – ჰქვია ალაბამის შტატის დედაქალაქს; ამერიკის პრეზიდენტის სახელი – ლინკოლნი – ნებრასკის შტატის დედაქალაქს; გერმანელი თავადისა და პოლიტიკოსის, ბისმარკის სახელი, – ჩრდილოეთ დაკოტას შტატისას. სამხრეთ აფრიკის ქვეყნის, კოლუმბიის სახელი – სამხრეთ კაროლინის, ხოლო ევროპული თვითმფრინავის, კონკორდის სახელი – ნიუ-ჰამპშირისა შტატის დედაქალაქს.

# „ოცნების ფაბრიკის" ყველაზე სერიოზული მსახიობი

***ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი მერილ სტრიპი არა მარტო მილიონობით ადამიანის კუმირია, არამედ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბარაკ ობამას საყვარელი მსახიობიც. ის, შეიძლება ითქვას, ჰოლივუდური ფილმების მეტრია – ფილმი, რომელშიც მერილ სტრიპი თამაშობს, აუცილებლად კარგია.***

* ახალგაზრდობაში მერილი ოფიციანტად მუშაობდა ნიუ-ჯერსის ერთ-ერთ სასტუმროში და რვა მაგიდას ემსახურებოდა. „მე ვამაყობდი ამით. პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა – ისევ რვა მაგიდა: ბავშვები, ბევრი ნათესავი, ბევრი საქმე... ჩემი ოჯახი და ჩემი საქმე – აი, ჩემი პრაიმი დღეს!" – ამბობს მერილი.

* თრილერი „ველური მდინარის" ბევრი სცენის გადაღება წყალქვეშ ხდებოდა. ერთხელ მერილი პირდაპირ ფსკერისკენ წავიდა. საბედნიეროდ, გადარჩა – მეთევზის ბადეში გაიხლართა... გონს მოეგო და მაშინვე განაგრძო გადაღება.

* მისთვის მისაბაძი მაგალითი იყო ფრანგი მსახიობი სიმონა სინიორე, რომელიც 1985 წელს, 64 წლის ასაკში გარდაიცვალა.

* იდეალური კოლეგა ჯეკ ნიკოლსონია. „საოცრად დამაჯერებლად თამაშობს თავის როლს – ისევე, როგორც სუნთქავს," – ასე აფასებს მას მერილი.

* სტრიპი ამბობს, რომ თავად ძალიან ჰგავს შონ პენს.

* 64 წლის მერილსა და მის ქმარს ოთხი შვილი ჰყავთ: ჰენრი, მერი, გრეისი და ლუიზა ჰამერები.

* ფილმისთვის „ეშმაკი ატარებს პრადას", მერილმა 8 კილოგრამი დაიკლო. სხვათა შორის, ის ამ ფილმში პარიკითაა.



* მერილ სტრიპი „ოსკარზე" 17-ჯერაა წარდგენილი და ამერიკული კინემატოგრაფიის ეს უმაღლესი ჯილდო სამჯერ აქვს მიღებული.

* პირველი „ოსკარი" მერილს ტუალეტში დარჩა. 2012 წელს კი ხელიდან აღარ გაუშვია.

* მერილს მიაჩნია, რომ მისი სილამაზე განათებაზეა დამოკიდებული.

* რამდენიმე ფილმში სტრიპი ლესბოსელს თამაშობს; ერთ-ერთ ცერემონიაზე კი სანდრა ბალოკმა გულიანად ჩაკოცნა ტუჩებში.

* „გულის მუსიკის" გადაღებების დაწყებამდე, ფილმის მწარმოებელმა დაიქირავა მასწავლებელი, რომელიც ყოველდღე მიდიოდა მერილთან სახლში და ორსაათ-ნახევრის განმავლობაში ასწავლიდა ვიოლინოზე დაკვრას.

* გაცილებით ადრე, სანამ ფილმ „რკინის ლედიში" მარგარეტ ტეტჩერის როლს შეასრულებდა, მერილმა აღიარა, რომ პოლიტიკისადმი გულგრილი არ არის.

* ბავშვობაში მერილი ინგლისის სამეფო ოჯახის წევრობაზე ოცნებობდა. ფიქრობდა, რომ, როცა გაიზრდებოდა, მოხიბლავდა პრინც ჩარლზს და არისტოკრატი გახდებოდა.

* მას არასდროს გაუკეთებია პლასტიკური ოპერაცია – ამბობს, რომ სახესა და სხეულს ამით არ გაიფუჭებს.

* მერილს უყვარს შინაურებთან ერთად სერიალ „ჭორიკანას" ყურება.

* ქორწილის დროს მერილ სტრიპს პიროტექნიკის ცეცხლით დაეწვა ხელი და სტუმრების წინაშე განაცხადა, რომ იმავეს გაუკეთებს თავის მოქანდაკე მეუღლეს, თუ ის ცუდი ქმარი გამოდგება.

* მერილი ვეგეტარიანელია.

* ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში კოლეგებმა მას რამდენიმე მეტსახელი შეარქვეს: „ქალი ათასი სახით", „მსახიობი – ქამელეონი", „ოცნების ფაბრიკის" ყველაზე სერიოზული მსახიობი".

**გვერდი მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**



### მთქნარება ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს

მთქნარება დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე: ხსნის გულის სარქველებს, აძლევს საშუალებას, შეივსოს ჟანგბადის მარაგი, ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას. მთქნარება ენერგიას ჰმატებს თავის ტვინსა და სხეულს, აუმჯობესებს საცრემლე ჯირკვლების მოქმედებას, ხსნის დაღლილობასა და ნერვულ დაძაბულობას.

მთქნარების პროცესში დუნდება საფეთქლების, ყბის, თავის, სახის, ყელის, კისრის, მხრების, მუცლისა და დიაფრაგმის კუნთები.

### მწვანილი ორგანიზმის უჯრედების აქტიურობას უწყობს ხელს

ცოცხალ პოლივიტამინებზე უკეთესი არაფერია. მათ კარგად შეითვისებს ორგანიზმი, თანაც, შემადგენლობის სიმდიდრითაც გამოირჩევა. საჭირო ვიტამინებსა და მიკროელემენტებთან ერთად, ხილი და ბოსტნეული სხვა ძვირფას ნივთიერებებსაც შეიცავს, მთავარია, იცოდეთ, სად იპოვოთ ისინი.

მწვანილი ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყაროა:

**კამა** შეიცავს 20 პროცენტით მეტ C ვიტამინს, ვიდრე ლიმონი ან ფორთოხალი. მასში ბევრია ბეტა-კაროტინი და სხვა საჭირო ვიტამინები. ამას ემატება 12 მნიშვნელოვანი მიკროელემენტიც;

**ნიახური** B ჯგუფის ვიტამინების სრულ კომპლექტს შეიცავს. ასევე, სასარგებლოა ოხრახუში და რეჰანი. თითქმის ყველა მწვანილი ამაღლებს ორგანიზმის უჯრედების აქტიურობას.

**ნიორი** კაპილარულ სისხლის მიმოქცევას აღადგენს და სახის კანზე ზრუნავს.

**კომბოსტო** შეიცავს B ჯგუფის ყველა ვიტამინს, C ვიტამინს, თუთიასა და მანგანუმს, ასევე, სხვა სასარგებლო ნივთიერებებსაც. კომბოსტო უჯრედების ზრდის ერთ-ერთი საუკეთესო ბუნებრივი სტიმულატორია. მას აღმდგენი და გამაახალგაზრდავებელი თვისებები აქვს.

წიწაკა შეიცავს ნივთიერება კაპსაიცინს, რომელიც სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. მასში ბევრია კაროტინი, C ვიტამინი, სილიციუმი, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის საერთო სიჯანსაღისთვის.

### გასტრიტის და კოლიტის დროს სვით სააფთიაქო გვირილის ნაყენი

სააფთიაქო გვირილის პრეპარატებს ახასიათებს ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური მოქმედება და აძლიერებს რეგენერაციის პროცესს.

მას ხმარობენ ბრონქული ასთმის, რევმატიზმის, ალერგიის, კოლიტების, გასტრიტების, ეგზემის, დამწვრობის სამკურნალოდ, ასევე, როგორც სპაზმოლიტურ, ნაღველმდენ და ოფლის მომგვრელ საშუალებას.

სააფთიაქო გვირილის ყვავილები საუკეთესო საშუალებაა ფიტოთერაპიაში კუჭის ლორწოვანი გარსის მწვავე და ქრონიკული ანთების სამკურნალოდ. მკურნალობის ხანგრძლივობა დაახლოებით 2 თვეა. ის, ასევე, კარგია ანგინის, ღრძილების ანთებისა და ბუასილის დროსაც.

სახლის პირობებში ნაყენი ასეთი წესით უნდა მოამზადოთ: 2 სადილის კოვზი ნედლეული ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი. მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და გააჩერეთ დაახლოებით 2 საათის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ თითო სადილის კოვზი, 3-4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

ანგინის დროს, იგივე ნაყენი, ოღონდ, თბილი, გამოივლეთ ყელში, ღრძილების ანთების დროს კი – პირის ღრუში.

### რომელი საკვები გამოირჩევა აღმგზნებ-დამამშვიდებელი ეფექტებით

მცენარეული საკვები მდიდარია უჯრედისით. ის განაპირობებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კარგად მუშაობას, იცავს ადამიანის ორგანიზმს ათეროსკლეროზისა და კიბოსგან. მასში არ არის ქოლესტერინი. მაგალითად, სოია თვითონ ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

ხილი და ბოსტნეული მდიდარია ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმუნიტეტის შესანარჩუნებლად. ფიტონციდები, რომლებიც მცენარეულ საკვებში შედის, თრგუნავს ნაწლავებში მიმდინარე ლპობის პროცესებს.

არსებობს აღმგზნები და დამამშვიდებელი ეფექტების მქონე საკვებიც. დამამშვიდებელს მიეკუთვნება: ხილი, ბოსტნეული, რძე, კარაქი, მარცვლოვანი კულტურები; ხოლო აღმგზნებია: ხორცი, თევზი, კვერცხი, სანელებლები და ალკოჰოლური სასმელები.

თუ კარგად დააკვირდებით საკუთარ ორგანიზმს, ადვილად მიხვდებით, რომელი საკვები გჭირდებათ.

### წიწიბურა პოტენციას ამაღლებს

წიწიბურა ძალიან სასარგებლო საკვებია. მას ადამიანის ორგანიზმიდან გამოაქვს რადიონუკლიდები, ზრდის კუნთების ძალასა და ამტანობას, ამაღლებს პოტენციას, აძლიერებს სისხლძარღვებსა და ნერვულ სისტემას, ეხმარება ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის განკურნებას.

წიწიბურასგან მომზადებული „კისელი“ დაგეხმარებათ სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ის აქვეითებს ქოლესტერინის დონეს და არეგულირებს წნევას.

მკურნალობისთვის საჭიროა, დღეში ორჯერ – დილით და საღამოს, მიირთვათ 100 გრამი წიწიბურას „კისელი“, რომელიც ასეთი წესით უნდა მოამზადოთ:

3 სადილის კოვზი დაფქული წიწიბურა გახსენით 1 ჩაის ჭიქა ცივ წყალში. ცალკე ჭურჭელში აადუღეთ 1 ლიტრი წყალი და ნელ-ნელა ჩაასხით შიგ გამზადებული მასა. ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში და თან ურიეთ. შეგიძლიათ, მას ცოტა ნატურალური თაფლი და ნიგოზიც ჩაუმატოთ (გემოვნების მიხედვით).

### გაიძლიერეთ მეხსიერება

მეხსიერების გასაუმჯობესებლად უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკურნალო ბალახებს, რომელთა რეცეპტებსაც ახლა შემოგთავაზებთ:

* 2 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ ასკილს შეურიეთ 1 სადილის კოვზი პიტნა, თირკმლის ჩაი და არყის ხის ფოთლები; ასევე, თითო სადილის კოვზი ოროვანდის ფესვები და გახეხილი სტაფილო. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ ნახევარი საათით წყლის ორთქლზე. გააცივეთ, გაწურეთ და დაამატეთ ანადუღარი წყალი საწყისი ოდენობის მისაღებად. მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა ნაყენი სამჯერ დღეში, ჭამის შემდეგ.
* თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს: დაქუცმაცებული ნეგო, კრაზანა, გვირილა და არყის ხის კვირტები. ჩაყარეთ მინის ჭურჭელში და თავი დაახურეთ. 4 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათი, შემდეგ გაწურეთ და საღამოს დალიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლით გაზავებული 1 ჭიქა თბილი ნაყენი. დილით შეათბეთ დარჩენილი 1 ჩაის ჭიქა ნაყენი, დაამატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და მიიღეთ უზმოზე, ერთი საათის შემდეგ კი შეგიძლიათ, ისაუზმოთ.

### ვის ემუქრება ოსტეოქონდროზი და როგორ ავიცილოთ ზურგთან დაკავშირებული პრობლემები

ოსტეოქონდროზი ემუქრება იმათ, ვინც უფრო მეტხანს ზის, ვიდრე მოძრაობს. ზურგთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ მათაც, ვისაც მძიმე ფიზიკური სამუშაო აქვთ. ოსტეოქონდროზის განვითარ-

ების ალბათობა დიდია ორსულობის პერიოდშიც, ასევე, მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითი ფაქტორიც, ანუ, თუ თქვენს წინაპრებს ჰქონდათ ოსტეოქონდროზი, ხერხემალს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოთ.

არსებობს ადამიანების განსაკუთრებული კატეგორია, რომლებსაც ოსტეოქონდროზით დაავადების საკმაოდ დიდი შანსი აქვთ. ერთ-ერთ ასეთ კატეგორიას განეკუთვნებიან მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მოყვარული ქალები. მაღალქუსლიან ფეხსაცმელში ფეხი უფრო გრძელი და ლამაზი ჩანს, ამიტომაც, ქალბატონები ხშირად დადიან წვრილქუსლიანი ფეხსაცმლით მთელი დღის განმავლობაში. ამ დროს მთელი დატვირთვა გადადის ტერფის წინა ნაწილზე და ქალი თითქოს თითის წვერებზე დადის, რაც განივი მყესების გადაძაბვასა და გამკვრივებას იწვევს.

ოსტეოქონდროზი ხშირად უვითარდებათ ნევრასთენიულ ქალებს. ზოგჯერ ასეთი პაციენტები აღნიშნავენ, რომ, როგორც კი რამეზე ინერვიულებენ, მაშინვე ეწყებათ ზურგში ტკივილი. მართლაც, სტრესი ამ დაავადების პროვოცირებას იწვევს, განსაკუთრებით კი – კისრის მალების ოსტეოქონდროზის დროს. საქმე ის არის, რომ ხერხემალთან გადის ტვინის მკვებავი სისხლძარღვები. მალთაშუა დისკების წანაცვლებისას ხდება ამ სისხლძარღვებზე ზეწოლა და ფერხდება ტვინის სისხლმომარაგება. ავადმყოფს ეწყება თავის ტკივილი, თავბრუხვევა, შედეგად კი უვითარდება დეპრესია, შიში, ხოლო შემდგომში ყველაფერი ჩაკეტილ წრეზე მოძრაობს: კისრის კუნთების დაჭიმვა იწვევს ტკივილსა და დეპრესიას, დეპრესია კი – უსიამოვნებებს.

ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკა მცირე დროს მოითხოვს, მკურნალობა კი – გაცილებით მეტს.

ეცადეთ, არ ასწიოთ მძიმე საგნები მოხრილ მდგომარეობაში, აჯობებს, ჩაიმუხლოთ. ასეთ დროს ძირითადი დატვირთვა მოდის ფეხის კუნთებზე. თუ მძიმე ტვირთს ეზიდებით, არ დაგავიწყდეთ, ხშირად გადაიტანოთ ხელიდან ხელში. ასეთ დროს არ შეიძლება ტანის მკვეთრი შებრუნება რომელიმე მხარეს.

თუ დიდხანს დგახართ ფეხზე, მაგალითად, ტრანსპორტში, ეცადეთ, დაძაბოთ მუცლისა და კუდუსუნის მიმდებარე კუნთები – ამგვარად შეამცირებთ ხერხემლის გადატვირთვას. თუ არის ამის საშუალება, მიეყრდენით კედელს.

ეცადეთ, ხშირად დაჯდეთ და მიეყრდნოთ საზურგეს. ჯდომისას ფეხები უნდა წვდებოდეს იატაკს, ან, უმჯობესია, შემოაწყოთ პატარა სკამზე ისე, რომ მუხლები თეძოსთან შედარებით ოდნავ მაღლა გქონდეთ.

დაიძინეთ მაგარ საწოლზე. საწოლი უნდა იყოს ხის განიერი დაფა, რომელზეც უნდა დააფინოთ თხელი ლეიბი.

გაუფრთხილდით ხერხემალს, ერიდეთ დაცემასა და დარტყმას.

არ გაცივდეთ, რადგან, ზოგჯერ კუნთები გადაციებაზე რეფლექსური სპაზმით რეაგირებს, მათი შეკუმშვა კი მალის წანაცვლებას იწვევს, რაც ტკივილის მიზეზი ხდება. ასეთ შემთხვევაში მოდუნება შეუძლებელია, რადგან ტკივილი აძლიერებს სპაზმს.

მოიშორეთ ზედმეტი წონა. ზედმეტი კილოგრამები ისევე ძლიერად აზიანებს ხერხემალს, როგორც ტრავმა ან ხშირი დატვირთვა.

შეასრულეთ სპეციალური ვარჯიშები. დილით, საწოლიდან ადგომისას, ცოტა ხნით დაეკიდეთ ძელზე – ეს განტვირთავს ზურგის კუნთებს. დადექით „ოთხზე“, ზურგი კატასავით გამოზნიქეთ, შემდეგ დაწექით იატაკზე და ფეხებით გააკეთეთ „ველოსიპედი“.

დაჯექით სწორად და თავით შემოხაზეთ ციფრები 0-დან 9-მდე და შემდეგ – პირიქით.

ოსტეოქონდროზის დროს სპორტის საუკეთესო სახეობაა ცურვა. ის ავითარებს იმ კუნთებს, რომლებიც საჭიროა ხერხემლის გასამაგრებლად, ასევე, მთლიანად ხსნის დატვირთვას მალთაშუა დისკებზე.



**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: როგორ მოვუარო ეგრეთ წოდებულ „ბატის კანს,“ რომ უფრო გლუვი გახდეს?**

**პასუხი:** ამ ტერმინით აღნიშნავენ უხეშ, ხორკლიან კანს. ძირითადად ასეთი კანი გენეტიკურია. გირჩევთ, მიიღოთ კანის დამარბილებელი აბაზანები და გამოიყენოთ უხეში ღრუბელი ან ქისა. ამის შემდეგ კი წაისვით კერატოლიტური კრემები, მაგალითად, ტოპიკრემი, აკერატი. ეს ნაწილობრივ გაგიუმჯობესებთ კანის სტრუქტურას.

**კითხვა: როგორ კეთდება ბიოფსია მკერდზე? მაინტერესებს, როგორი პროცესია და მტკივნეულია თუ არა?**

**პასუხი:** ბიოფსია ტარდება სპეციალური ინსტრუმენტით. პროცედურა მტკივნეული არ არის, მშვიდად ბრძანდებოდეთ.

**კითხვა: მაინტერესებს, რას ნიშნავს ტერმინი „მწეველთა კატარი“?**

**პასუხი:** „მწეველთა კატარი“, იგივე მწეველთა ბრონქიტია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძლიერი ხველა, განსაკუთრებით – დილით. ის, შესაძლოა, იყოს როგორც მშრალი, ისე პროდუქტიული.

**კითხვა: ვარ 18 წლის გოგონა. 2-3 წლის შემდეგ არასდროს არ მქონია სიცხე, 37 გრადუსიც კი. როგორც არ უნდა გავცივდე, ან ვირუსი შემეყაროს, არ მიწევს ტემპერატურა... რისი ბრალია? გამიგია, რომ ეს უფრო ცუდია ვიდრე სიცხე...**

**პასუხი:** თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სხვა არანაირი პრობლემა არ გაქვთ, ამაში საშიში არაფერია. შესაძლოა, ეს ან ორგანიზმის თერმოსარეგულაციო მექანიზმის ინდივიდუალური თავისებურებაა, ან მემკვიდრულად მიღებული თვისება, ან დასუსტებული იმუნიტეტის შედეგი.

**კითხვა: სამი თვის წინ ქვედა კბილზე გავიკეთე ბჟენი, (პლომბი) ზედაპირული კარიესის გამო (შესაბამისად, ნერვი არაა მკვდარი). ორი თვეა, მაწუხებს ამ დაბჟენილი კბილის ტკივილი, განსაკუთრებით – ცივზე და ცხელზე. როგორ მოვიქცე, რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** კვლავ სტომატოლოგს უნდა მიმართოთ. საჭიროა თავიდან მკურნალობა. ტკივილი თავისით არ გაივლის.

**კითხვა: ვარ 15 კვირის ორსული და მაქვს სიცხე – 37 გრადუსი. ეს საშიში ხომ არ არის? ვსვამ მიგ-400-ს ექიმის დანიშნულებით, თავის ტკივილის დროს; ასევე, ვიცი, რომ სიცხის დამწევი საშუალებაცაა და მშველის, თუმცა მაინტერესებს რატომ უნდა მქონდეს სიცხე, ეს ბუნებრივია თუ რამე იწვევს? ანალიზები კარგი მაქვს, მხოლოდ ტონუსია აწეული.**

**პასუხი:** ამ ვადის ორსულობისას სხეულის ტემპერატურა 37.0-37.5 გრადუსამდე ფიზიოლოგიურად ითვლება, თუ გამორიცხულია მისი მატების სხვა მიზეზები. რაც შეეხება ამ პრეპარატს, ჯობია, დაადგინოთ თავის ტკივილის გამომწვევი მიზეზი – შესაძლოა, ეს არის ფსიქოემოციური გადაძაბვა, არტერიული წნევის დაქვეითება ან მატება და ასე შემდეგ. ამიტომ, ამ პრეპარატის მიღებას ხშირად და გაუკონტროლებლად არ გირჩევთ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

# რა ინფორმაციებს იღებდა სერგო ფარაჯანოვზე ედუარდ შევარდნაძე და ვის ემუდარებოდა ის რეჟისორისთვის ხელი არ შეეშალათ

„ეს არის ჩემი ხალხი, ეს არის ჩემი ქვეყანა და თუკი რამ ხეირიანი გამიკეთებია ამქვეყნად, მხოლოდ მათი რჩევით, მათი გავლენით, მათი თანადგომით, მათი მიბაძვით, მათი სიყვარულით. ისინი ახლაც ჩემში არიან და ალბათ, შორს აღარ არის დრო, როდესაც იქაც ერთად ვიქნებით. მე მათ პირნათელი ვეახლები, ღირსეულ პასუხს გავცემ ყოველ კითხვას და ალალად ვეტყვი: რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი ხალხის სისხლი არ დამიღვრია, მაგრამ რაც ვერ შევძელი, მომიტევეთ, ყველაფერი ჩემზე არ იყო დამოკიდებული"... ორი თვე გავიდა ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებიდან. ჩვენ უკვე შემოგთავაზეთ სტატია მის პირად ცხოვრებაზე, მის შეხედულებებზე ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით და კადრები, თუ რა სცენარით ვითარდებოდა 1992 წლის საქართველოსთვის საბედისწერო მოვლენები. დღეს ედუარდ შევარდნაძის დღიურებიდან კიდევ უფრო საინტერესო ეპიზოდებს გაეცნობით: როგორ იძერწებოდა მისგან პოლიტიკოსი, როგორ დაიწყო მისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ლიდერებთან, როგორ გახდა სერგო ფარაჯანოვის ზურგი და რატომ ვერ გადაარჩინა თვითმფრინავის ბიჭები.





„1956 წელს ჩემი ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო. ხშირად მიწევდა ყოფნა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. გავიცანი ჩემი კოლეგები, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკური და საოლქო კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები... მე დამავალეს ქართველ კომკავშირელთა რაზმის მეთაურობა. რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ ყაზახეთის სტეპში. მაშინ პირველად შევხვდი იმ ადამიანებს, რომლებმაც შემდეგ თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სტრუქტურებში. ახალ ნაცნობებს შორის იყო მიხეილ გორბაჩოვიც, სტავროპოლის კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ სკკპ ცკ-ს გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი... ერთმანეთი ჯერ კიდევ მოსკოვში, ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გავიცანით. მე მასთან ბევრი რამ მაახლოებდა. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მოსკოვში, თბილისში, სტავროპოლში; ხშირი სატელეფონო ურთიერთობა გვქონდა და თანდათან, ჩვენთვისაც შეუმჩნევლად, ყველაზე იდუმალ ზრახვებს ვუმხელდით ერთმანეთს. მოკლედ, მაშინაც და მერეც, ბევრი რამ გვქონდა საერთო... გორბაჩოვთან მუდმივი შეხვედრები და საუბრები თანამოაზრეთა საუბრებად იქცა – იმ ფუნდამეტად, რომელზეც აშენდა არა მარტო ჩვენი შემდგომი დამოკიდებულებები, არამედ საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ურთიერთობანიც – რადგან წლების შემდეგ ის ქვეყნის პირველი პირი გახდა, კომპარტიის გენერალური მდივანი; მე კი, მისი მიწვევით – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ყველგან, სადაც კი ვმუშაობდი, ერთი უმთავრესი პრობლემა მქონდა – პიროვნული და თანამდებობრივი დამოუკიდებლობა, ეს იყო ჩემი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. მე, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, შემდეგ კი სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ხშირად უმარტივესი საკითხის გადაჭრაც კი არ შემეძლო თუ ცენტრში ქედს არ მოვიდრეკდი. მოსკოვის დაუკითხავად, მისი ნებართვის გარეშე, ნაბიჯსაც კი ვერ ვდგამდი... ერთი ჩემი ნათქვამი მახსენდება, რომელსაც ჩემი თანამემამულეებმა დიდხანს ვერ მაპატიეს... თავის დროზე გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით ვთქვი: საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდა-მეთქი. ერთი ამბავი ატყდა, არადა, ეს იყო ერეკლე მეორის მრჩევლის, სოლომონ ლეონიძის იმ სიტყვების პერიფრაზი, რომლითაც მან ერეკლე მეფე დაიტირა: შენ აირჩიე გზა ჩრდილოეთისა და მზე ჩრდილოეთისა. ეს რუსეთის გასაგონად ვთქვი, რათა საქართველოში შემძლებოდა ბევრი ეროვნული საქმის გაკეთება. ასეთ დროში ვცხოვრობდით: მუდმივი ლავირება მჭირდებოდა ისევ ქართველი ერის, ქართული კულტურის, ქართული ენის გადასარჩენად.



ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადიმერ სჩერბიცკიმ გამაფრთხილა: უკრაინაში ვინმე თბილისელი ფარაჯანოვი იხდის სასჯელს და შეიძლება, ის ვადამდე ადრე გაათავისუფლონო. ისიც დაამატა, რომ ფარაჯანოვი განსაკუთრებულ აღრიცხვაზეა საკავშირო ორგანოებში და ცალკეული უკრაინელი მოდისიდენტო შემოქმედი მასთან გარკვეულ ურთიერთობაშიაო. ლაპარაკი იყო სერგო ფარაჯანოვზე, შემდგომში მსოფლიოში აღიარებულ დიდ ხელოვანზე. ეს მისი მეორე პატიმრობა იყო... ჩემი მეგობრებისგან ვიცოდი, ვინ იყო ფარაჯანოვი... მე ვენდობოდი ამ ადამიანებს და მართალია, მაშინ პირადად მას არ ვიცნობდი, მიმაჩნდა, რომ უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში და აქ გაეგრძელებინა შემოქმედებითი მოღვაწეობა. საქართველოს უშიშროების სამსახური კატეგორიული წინააღმდეგი იყო მისი დაბრუნებისა, ვიცოდი, რომ ისინი მოსკოვშიც ელაპარაკებოდნენ მაღალ თანამდებობის პირებს... მოკლედ, მალე ფარაჯანოვი თბილისში ჩამოვიდა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ფარაჯანოვი მარტო უშიშროების ყურადღების ცენტრში არ იყო, ის ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც მოექცა... ჩემთან ფარაჯანოვზე ორი წყაროდან მოდიოდა ინფორმაცია: უშიშროების სამსახურიდან და ჩემი მეგობრებისგან – კინოს, თეატრისა და ლიტერატურის მოღვაწეებისგან. შესაბამის ორგანოებს მიაჩნდათ, რომ ფარაჯანოვის გამოსწორება შეუძლებელი იყო და სწორიც იყვნენ – სერგო არ გამოსწორდებოდა და კიდევ კარგი, რომ არც გამოსწორებულა. ჩემი თხოვნით, საქართველოს კინოსტუდიაში როგორც კინორეჟისორს, სამუშაო მისცეს. მალე უარყოფითი იმპულსები საკავშირო კინემატოგრაფიის კომიტეტიდანაც წამოვიდა. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ საქმე ცუდად დამთავრდებოდა. ისევ საჭირო იყო ჩარევა. მაშინ კომპარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში პასუხისმგებელ თანამდებობაზე ერთი შედარებით ლიბერალი კაცი, გვარად შაურო მუშაობდა, საქართველოს კულტურაზე დიდად შეყვარებული პიროვნება. დავურეკე და ვთხოვე, ზეგავლენა მოეხდინა საკავშირო კინოკომიტეტზე, ხელი არ შეეშალათ ფარაჯანოვისთვის. ისიც ვუთხარი, რომ მის ქუჩაში ყოფნას, ისევ ჩვენივე მხედველობის არეში ყოფნა ჯობდა... ერთხანს სერგოსთვის ხელი მართლაც აღარ შეუშლიათ. საერთოდ, მოსკოვში შეგუებულნი იყვნენ, რომ საქართველოში შეიძლებოდა იმის გადაღება, დაბეჭვდა თუ დადგმა, რაც სხვაგან, საბჭოთა კავშირში, დღის სინათლესაც ვერ იხილავდა... მაგრამ დავუბრუნდეთ სერგო ფარაჯანოვს, რომლის გარშემო სიტუაცია კვლავ დაიძაბა. 1980 წელს, მოსკოვში, პოპულარული რუსი ბარდისა და მსახიობის, ვლადიმირ ვისოცკის დაკრძალვის შემდეგ, სერგო ფარაჯანოვმა პოეტის სიკვდილში ხელისუფლება დაადანაშაულა. ეს უკვე აშკარა გამოწვევა იყო... ფარაჯანოვთან ახლო ურთიერთობა არ მქონია. სულ ერთხელ ვარ მასთან სახლში ნამყოფი, თბილისის ძველ უბანში, მთაწმინდაზე კოტე მესხის ქუჩაზე... შეიძლება, ახლა ძნელი დასაჯერებელი იყოს, მაგრამ მაშინ საქართველოს უშიშროების მინისტრი ინაური წინასწარ გავაფრთხილე, რომ ფარაჯანოვთან შინ ვაპირებდი მისვლას. მერე ერთი-ორჯერ მასთან კინოსტუდიაშიც ვიყავი. ეგ იყო და ეგ. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მართალია შეფარვით, მაგრამ მა-





ინც შევძელი კრიზისულ მომენტში მას დავხმარებოდი და თუნდაც კულისებიდან მომეხდინა გავლენა მისი ბედის სასიკეთოდ გადაწყვეტაზე...

... როსტროპოვიჩი, მართლაც უდიდესი მუსიკოსი, ბრწყინვალე პიროვნება და საზოგადო მოღვაწე, ჩემს გონებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა ერთი სიმბოლური სურათით, რომელიც კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფიას სცილდება... 1991 წლის აგვისტოში, მოსკოვში კონტრევოლუცია გვიტევდა. ჩემს მეგობრებთან ერთად თეთრ სახლში ვიყავი. პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახში შევედი და ვხედავ როსტროპოვიჩს. სავარძელში ჩასძინებია და კალთაში მისთვის ჩვეული ვიოლონჩელის ნაცვლად, კალაშნიკოვის ავტომატი უდევს, საოცარი სურათი იყო...

ზემოთ გორბაჩოვი ვახსენე. ჩვენ ორივე ვგრძნობდით და ვსაუბრობდით კიდეც ამაზე, რომ საბჭოთა კავშირის შექმნაში თავიდანვე იყო ჩადებული გადაულახავი წინაალმდეგობანი... წარსული უნდა დაგვეძლია, ისტორიული ფასეულობანი უნდა გადაგვეფასებინა. როგორ? 70-იან წლებში მე ეს არ ვიცოდი. დავიწყე გამოსავალის ძიება – თუნდაც მხოლოდ ეკონომიკური, თუნდაც მხოლოდ ერთი რაიონის მასშტაბით: საქართველოს რეგიონის – აბაშისა და ქალაქ ფოთის გახმაურებული ეკონომიკური ექსპერიმენტები მაქვს მხედველობაში... საქართველოში ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, გორბაჩოვი აბაშაში წავიყვანე ერთი გამრჯე გლეხის კაცის, ომის ინვალიდის ფერმაში. გაგიჟდა გორბაჩოვი, მისი ძროხები რომ ნახა. არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ეს ამ ერთი კაცის საკუთრება იყო. ბალახი კოლხეთში ბევრი და რძიანია – უთხრა გლეხმა გორბაჩოვს, – პროდუქციის ოთხმოც პროცენტს სახელმწიფო ყიდულობს, ოცი პროცენტი მე მრჩებაო. გორბაჩოვმა გადმომხედა და მითხრა: ხომ იცი, რომ ამის გამო შეიძლება მოგხსნან. თუ კარგი საქმისთვის მომხსნიან, მომხნან, – ვუპასუხე. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსი კოსიგინმაც მოისურვა საკუთარი თვალით ენახა რაში იყო საქმე. ბიჭვინთაში შვებულება დაუმთავრდა, მთხოვა: საქართველო დამათვალიერებინე. თუ ხვალ დილით აქ



იქნები, ერთად ვიმოგზაუროთ და დარწმუნებული ვარ, ბევრ საინტერესო რამეს ვნახავთო... ორსაათ-ნახევარი ვისეირნეთ ლიკანის შესანიშნავ პარკში, სტალინზე მელაპარაკა, ბერიაზეც ბევრი ისაუბრა... მსოფლიოში საუკეთესო ხალხმა და ამ საუკეთესო ქვეყანამ ასეთი გველი როგორ შობაო?! სეირნობის დროს კოსიგინმა ყურადღება მიაქცია ერთ-ერთი ლამაზი შენობის, რომანოვების სახლის კედელზე უადგილო ადგილას მიჭედებულ დიდ ლურსმანს – რა არისო. არ ვიცი-მეთქი. თანამშრომელს დავუძახე და მან განგვიმარტა: აქ თავის დროზე, სტალინი რომ ისვენებდა, ჩაქუჩი და ლურსმანი მომატანინა, მერე ჩააჭედა და ქუდი დაჰკიდა. სეირნობისას აქ ჰკიდებდა ქუდს და უქუდოდ სეირნობდაო. ბევრი იცინა კოსიგინმა და გვითხრა: ძალიან გთხოვთ, ხელი არ ახლოთ ამ ლურსმანს. რომ ვკითხე, აქამდე რატომ არ ამოაძრეთ-მეთქი, მიპასუხეს, გვეშინოდაო. თუ არ ვცდები, ის ლურსმანი დღესაც იქ არის. რამდენადაც ვიცი, ერთი ასეთი ლურსმანი იქვე, ლიკანში საწერ მაგიდაზეცაა მიჭედებული, ისიცი ქუდის დასაკიდად...

პოლიტიკოსის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა კონფლიქტების დროულად აღკვეთა და განმუხტვაა, იქნებ ამიტომაც მახსენდება ის კონფლიქტები, რომლის მოგვარებაც ვერ შევძელი. მახსენდება არა მხოლოდ საკუთარი მარცხის, არამედ იმ ტკივილის გამოც, რომელიც მათ მოუტანეს ქვეყანას, საზოგადოებას, კონკრეტულ ადამიანებს... ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტური სიტუაცია თვითმფრინავის ბიჭებს უკავშირდება. მისი მოგვარება გარკვეული ეტაპის შემდეგ გასცილდა ჩემს უფლებამოსილებას და სიტუაციას. მთლიანად მოსკოვი აკონტროლებდა. როცა კონფლიქტში მესამე ძალაა ჩართული, იმ კონფლიქტის ჩაქრობა ძალზე ძნელი, ხშირად შეუძლებელიცაა. თბილისის აეროპორტიც მოსკოვის ქვედანაყოფი იყო... მართალია, მაშინ ბევრმა მომმართა თხოვნით, სასიკვდილო განაჩენი ამეცილებინა მათთვის, ვინც გადარჩა, მაგრამ უძლური აღმოვჩნდი – მე აღარაფერი შემეძლო. არაფერი შემეძლო,



როგორც თანამდებობის პირს და როგორც მოქალაქეს... ვერ შევძელი, ისინი დამერწმუნებინა, შეგუებოდნენ დამარცხებას და ჩაბარებულიყვნენ, ვერ შევძელი... მოვლენებს მე აღარ ვმართავდი... ეს ჩემი მარცხი და მოუშუშებელი ტკივილია!“

**ეკა პატარაია**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

**ხშირად, ადამიანებს ინტუიცია და გამძაფრებული წინათგრძნობა უმართლდებათ. ბევრი ამას მეექვსე გრძნობის გააქტიურებას მიაწერს, ზოგიც უბრალო დამთხვევას, მაგრამ ფაქტია, მოვლენათა წინასწარ დანახვის უნარი ბევრს აქვს. თუმცა, ამას ხშირად არ ვაქცევთ ყურადღებას. როგორც ჩვენი დღევანდელი რუბრიკის სტუმარი, ეზოთერიკოსი, ბატონი აკაკი ამბობს, ირეალურ სამყაროში მოხვედრა ნებისმიერს შეუძლია და ინტუიცია გარკვეულ პერიოდში აქტიურდება, ზღვარს აღწევს, რის შემდეგაც ადვილად შეგვიძლია მომავლის პროგნოზირება.**

# როგორ ადამიანებს მფარველობენ გარდაცვალების შემდეგ დედამიწაზე დარჩენილი სულები და რა პერიოდში ვხედავთ გამაფრთხილებელ სიზმრებს

აკაკი: ყოველდღიურად გვიწევს ცხოვრებისეული გამოცდების ჩაბარება. ამიტომ, თვავად ადამიანი უნდა ეცადოს, შეცვალოს ცხოვრება. მას ეს არ უნდა და ჯიუტად იჩემებს თავისას. ეს მისი პრობლემაა და არა გარშემო მყოფების. საერთოდ, არ უნდა ფიქრობდეთ ცუდზე, ბოროტებაზე, სხვისი უბედურება არ უნდა გიხაროდეთ, რადგან ცხოვრებაში ყველაფერი თუნდაც, აზრის დონეზე, ბუმერანგივით უკან გიბრუნდებათ.

**– ამბობენ, ნებისმიერს აქვს პერიოდები, როცა მისი ინტუიცია ზღვარს აღწევს და ამ დროს მომავლის პროგნოზი, ანუ ფაქტების წინასწარმეტყველება, საკმაოდ ადვილიაო. თქვენ რას იტყვით?**

– მართალია, ასეთი პერიოდები ადამიანს ხშირად აქვს და ინტუიციურად იმდენად ზუსტად ხვდება – სად არის მისი ადგილი, საიდან ელის საფრთხე და რომელი ადამიანისგან უნდა ელოდოს სიკეთეს თუ ბოროტებას, რომ ამაში შეცდომის დაშვება, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. სამწუხაროდ, შინაგან ხმას ადამიანები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. მაგალითად, გაქვთ წინათგრძნობა, მაგრამ თავს იკავებთ, ან საპირისპიროს აკეთებთ, ამ დროს წინაპართა ცოდვების კოდი აქტიურდება თქვენში და ეს შესაძლოა, საკმაოდ ცუდად დასრულდეს. ინტუიციის იგნორირება არ შეიძლება. ბევრი მეუბნება, საერთოდ, არ მიგრძნია რაიმე წინასწარ ჩემს ცხოვრებაზეო. მათ გასაგონად კიდევ ერთხელ ვამბობ, ხომ არსებობს გამაფრთხილებელი სიზმრები. მაგალითად, როცა გესიზმრება და თან, სიზმარშივე განიცდი მოსალოდნელ საფრთხეს, ან პირიქით, დიდი ბედნიერების მოლოდინში ხარ. გამოღვიძებულს კი ეს გრძნობა გამოყოლილი გაქვს ღამის წინასწარმეტყველებიდან. ეს მინიშნებებია და ამის იგნორირება, ჩემი აზრით, არ შეიძლება. სხვათა შორის, ბევრი იმასაც მეკითხება, იმქვეყნიურ სამყაროსთან კონტაქტი თუ არის შესაძლებელიო. იმქვეყნიურ სამყაროსთან კონტაქტი ნამდვილად შესაძლებელია. დედამიწაზე ცხოვრობენ დაკარგული სულები, რომლებიც არც სამოთხეში მიიღეს და არც ჯოჯოხეთში, ანუ არც იქით არიან და არც აქეთ. ისინი დედამიწაზე თავისი მისიის დასამთავრებლად დარჩნენ. იკარგებიან ისეთი ადამიანის სულები, ვინც მოკლეს, ავარიით დაიღუპა ან თავი მოიკლა. დედამიწაზე რჩება ის სული, რომელსაც სასიკეთო მისია აქვს დასასრულებელი. მათი არ უნდა შეგვეშინდეს, ისინი მფარველობენ ადამიანს – ლანდების სახით გვეცხადებიან, რათა შეგვახსენონ თავი.



**– და როგორ ადამიანებს უწევენ მფარველობას?**

– ისინი მფარველობენ მას, ვისაც მისიის დასრულება შეუძლია. ახლა რასაც ვამბობ, ბევრისთვის ზღაპარია და არ სჯერა, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ასეა. დედამიწაზე დაკარგული სულები არ მფარველობენ და ერიდებიან ისეთ ადამიანებს, ვისაც საგვარეულო წყევლა, ჯადო ან ცოდვები აქვთ. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ვისზეც წინაპართა ცოდვებია, მისი ბედი ბეწვზე ჰკიდია და სიცოცხლე გამუდმებით საფრთხეშია. წინაპართა ცოდვები კი თაობებს გადაეცემა და თუ მისი მოხსნა არ მოხდა, ძნელია შედეგებზე საუბარი. ეს ახალი არ არის. მსგავს თემებზე ნებისმიერი ადამიანი დაგელაპარაკებოდათ, საუკუნის წინ რომ დაბადებულიყავით. მისტიკური ნიშნები და ზოგი წეს-ჩვეულებაც ხომ წინაპრებისგან შემონახული დაკვირვებებია. ის, რომ უხილავი ენერგეტიკული სამყარო ჩვენს გარშემოა, ამის შესახებ დიდი ბებიისგან შევიტყვე. დღეს ბევრს ლაპარაკობენ გაუმართლებელ სიყვარულზე, წყვილებს შორის უთანხმოებაზე, განქორწინებებზე და ასე შემდეგ. ოჯახში დაწყებული უსიამოვნებები და განქორწინებებიც კი, უხილავი ენერგეტიკული სამყაროს შედეგია, რომელიც თითოეული ადამიანის გარშემო ტრიალებს. ამ საკითხით, საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში დავინტერესდი, ბევრი კვლევა

## იმქვეყნიურ სამყაროსთან კონტაქტი ნამდვილად შესაძლებელია

ჩავატარე. მსოფლიოში გამოცდილი მეცნიერების, ეზოთერიკოსებისა თუ პარაფსიქოლოგების კვლევა-ანალიზიც წაკითხული მაქვს მსგავს თემებზე და ამიტომ, ვაცხადებ ასე თამამად და ხმამაღლა – ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველია პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმა, როცა ორ ადამიანს შორის ერთი საერთო ენერგოველი წარმოიქმნება. ეს მათ კიდევ უფრო აახლოებს და იცავს გარშემო მიმდინარე ნეგატიური ენერგიების ზემოქმედებისგან. ამიტომ, ჯობია, სანამ მარტო დარჩებით, გილალატებენ და საყვარელი ადამიანისგან მიტოვებულს გული გეტკინებათ, ყურადღებით მოეკიდოთ მომავალი სასიყვარულო პარტნიორის ენერგეტიკული ველის თავისებურებას.

**– იქნებ გვითხრათ, როგორ მივხვდეთ, რომელი ადამიანია ჩვენთვის ენერგეტიკულიად მისაღები სასიყვარულო ურთიერთობებისთვის?**

– აი, ამაშიც გამძაფრებული ინტუიცია და ის წინათგრძნობები დაგეხმარებათ, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ისე კი, ამის გარკვევა არცთუ ისე რთული საქმეა. ერთ-ერთი საშიში სიმპტომია, როცა თქვენს რჩეულთან ურთიერთობისას, ილღებით, გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ ან შინაგანი ფორიაქი გეწყებათ. თუ ეს სიტუაცია სისტემატურ ხასიათს მიიღებს, აუცილებლად დაფიქრდით, რა იწვევს ამას. თუმცა, სანამ დაფიქრდებით და მიხვდებით, მე გაგცემთ პასუხს: ეს იმაზე მიუთითებს, რომ თქვენი პარტნიორი ენერგეტიკულად აბსოლუტურად განსხვავდება თქვენგან. ეს კი ნიშნავს, რომ თქვენი რჩეული თქვენგან გაცილებით მეტ ენერგიას იღებს, იმაზე მეტს, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ გაუზიაროთ. მისგან წამოსული ენერგია კი იმაზე მეტია, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ, მიიღოთ და ეს თქვენში არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს. დროთა განმავლობაში, ორ ადამიანს შორის ენერგეტიკულ დონეზე შეუთავსებლობა იწვევს კონფლიქტებს, გაუგებრობას, დაძაბულ სიტუაციებს და ამიტომაც იზრდება, ასე კატასტროფულად, განქორწინებათა რიცხვი. შეყვარებულთა შორის შეუთავსებლობის მეორე მიზეზი კი კარმაა. ამ დროს საქმე უფრო რთულადაა. თუ ერთ-ერთს წინაპართა ვალები დიდი რაოდენობით გადმოეცა მემკვიდრეობით, მას უიღბლობის კოდი აქვს ჩართული. ეს კი გამუდმებით უქმნის პრობლემას სიყვარულში. ზოგადად, კარმულად ცოდვილი ადამიანების შთამომავლები უიღბლოები და წარუმატებლები არიან. ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბედნიერი ქორწინების საფუძველია პარტნიორების ენერგეტიკული ველის ისეთი შერწყმა, როცა საერთო ენერგოველი, საერთო აურა წარმოიქმნება, ასეთ შემთხვევაში, ოჯახიც მყარია და მეუღლეებიც თავს ერთმანეთის გვერდით მშვიდად და დაცულად გრძნობენ.

**ნონა დათეშიძე**

## ქალები და კაცები...

საყვარელ მამაკაცთან დიდხანს და ბედნიერად რომ იცხოვრო, კარგად უნდა გაიცნო ის და, ისიც დაინახო, რა განასხვავებს მას შენგან. დიახ, ძლიერი სქესი ჩვენ არ გვგავს – ეს ფაქტია. შეიძლება, ამაში ქრომოსომების რაოდენობაა „დამნაშავე“ ან ჰორმონები... ასეა თუ ისე, ყოველგვარი მითებისა და სტერეოტიპების გარეშე...

* ქალები სამჯერ უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე კაცები. ამას მეცნიერული ახსნაც აქვს – ქალის ტვინის ის ნაწილი, რომელიც საუბრისა და მოსმენის იმპულსებზეა პასუხისმგებელი, 12 პროცენტით უფრო დიდია, ვიდრე კაცის, ანუ, რაც მეტად უხვსიტყვიანია ქალი, მით უფრო ჯანმრთელი ფსიქიკის არის ის (საუბარი არ არის პათოლოგიებზე).

* შურისმაძიებელი ორივეა – ქალიც და კაციც, მაგრამ ასეთ დროს ქალს სპონტანურობა ახასიათებს – მოქმედებს ემოციისა და გულის კარნახით. კაცი ჯერ ყველაფერს კარგად აწონ-დაწონის, ყველა მოსალოდნელ შედეგს გაითვალისწინებს, გეგმას დასახავს და მხოლოდ ამის მერე დაიწყებს შურისძიებას.

* ქალი და კაცი განსხვავებულები არიან სტრესთან მიმართებაშიც: ქალს მაშინვე „ჩაერთვება“ ხოლმე ემოცია და იწყებს ტირილს, აქტიურდება და იწყებს ქმედებას; მამაკაცი ჯერ მოწევს სიგარეტს, მერე პირველივე შემხვედრზე „გამოუშვებს“ ორთქლს და, შეიძლება, ამან დეპრესიაშიც ჩააგდოს. აქტიურ ქმედებებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

* ქალი უფრო ხშირად უდგება საკუთარ გარეგნობას კრიტიკულად, ვიდრე მამაკაცი. კაცებს საკუთარ პერსონაზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ.

* მამაკაცს საკმაოდ მახვილი სმენა აქვს, მაგრამ, როცა რამის გაგონება არ უნდა, „არ ესმის“ – ეს მათი იმუნიტეტია ქალების ზედმეტი ლაპარაკისგან დასაცავად.

## მთავარი ვარ... მე!

ბედნიერებას ვერ პოულობენ ის ქალები, რომლებსაც საკუთარი თავის რწმენა აკლიათ და არ სჯერათ, რომ დასახულ მიზანს მიაღწევენ. მოქმედება... მუდმივად განახლებისკენ სწრაფვა... ახლისა და ღირებულის კეთება... ხელისშემშლელი გარემოებების წინააღმდეგ ბრძოლა და გამარჯვების სიხარულის განცდა – თუ ქალს ეს ყველაფერი შეუძლია, ის აუცილებლად გამარჯვებული იქნება.

წუწუნი მხოლოდ გვაფერხებს და წინსვლაში გვიშლის ხელს. დავიწყოთ იმით, რომ უნდა ვიპოვოთ საყვარელი საქმე. როცა საყვარელ საქმეს აკეთებ, ანუ, იმით ხარ დაკავებული, რაც თქვენთვის საინტერესო და სასიამოვნოა, არც ავად ხდები, არც სიძნელეები გაშინებს და სტრესიც არ გემუქრება. ყოველ შემთხვევაში, ყოველდღიურად სიხარული მეტი გექნებათ, ვიდრე უსიამოვნება და ეს უკვე დიდი პოზიტივია. იფიქრეთ იმაზე, რომ საკუთარი თავი უნდა გიყვარდეთ და ეს არ არის ეგოიზმი. „მთავარი ვარ მე!“ – იმას ნიშნავს, რომ ახლობლების ფასიც კარგად იცით და, ისიც გესმით, რომ თქვენ ერთმანეთს სჭირდებით. დრო თანაბრად და გონივრულად გაანაწილეთ. დასვენებაც აუცილებელია, გართობაც, შოპინგიც, სალონიც და გასეირნებაც. გულმა ქალაქგარეთ გაგიწიათ? – ნუ იტყვით ამ პატარა სიხარულზე უარს. გადადეთ საქმე და თამამად გაეშურეთ სიამოვნების მისაღებად. დარწმუნებული იყავით, რომ საქმეს, რომელიც სულ ცოტა ხნით გადადეთ, პოზიტივით დამუხტული გაცილებით უკეთ გაართმევთ თავს. იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე. ჰაინე ამბობდა – ერთადერთი სილამაზე, რომელსაც მე ვიცნობ და ვაღიარებ, ჯანმრთელობააო და ეს ლიტონი სიტყვები არ არის. რთულია, იყო ლამაზი, თუ ჯეროვნად არ ზრუნავ ჯანმრთელობაზე. არავითარი ჭარბი წონა! მოუვლელი კანი, გამოუძინებლობა და სიარულის ცუდი მანერა – ეს ყოველგვარ ხიბლს დაგიკარგავთ... ანუ, მთავარი ხარ შენ! – გახსოვდეთ ეს და იზრუნეთ საკუთარ თავზე!

## იყავი შეყვარებული!

ქალისთვის მამაკაცის აღფრთოვანებული მზერა ყველაფერია – ის ქალს ბევრად უკეთ ალავსებს ენერგიითა და სიხარულით, ვიდრე ნებისმიერი წამალი... ხანგრძლივი კოცნაობისას წუთში 26 კალორია იწვება და ეს საუკეთესო დიეტაა. კიდევ ერთი: ფიზიკურ ტკივილს ამცირებს და შიშსა და დაძაბულობას ხსნის საყვარელ ადამიანთან ხელიხელჩაკიდებული დგომა – ეს დამტკიცებულია. კიდევ უფრო დიდი ძალა აქვს ჩახუტებას – ის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკსაც კი ამცირებს.

საკმარისია, შეგიყვარდეთ, რომ (მით უფრო, თუ ეს სიყვარული ორმხრივი იქნება), არა მხოლოდ დიდ სიხარულსა და ბედნიერებას იგრძნობთ, ავადაც რომ იყოთ, გამოჯანმრთელდებით. ეს მარტო ფსიქოლოგიური კი არა, ფიზიოლოგიური რეალობაც არის: უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა, რეგულირდება პულსი, ორგანიზმი უფრო აქტიურდება, შესაბამისად, უმჯობესდება იმუნიტეტი და, რაც მთავარია, ახალგაზრდავდებით და ეს არ არის მითი... სიყვარულს კი ხშირად მოჰყვება ქორწინება და ოჯახი. სხვათა შორის, სოკრატე – დიახ, სწორედ ის ბრძენი ფილოსოფოსი სოკრატე – ამბობდა: გულახდილები რომ ვიყოთ, ქორწინება ბოროტებაა, მაგრამ, აუცილებელი ბოროტებაო. არც ის იფიქროთ, რომ ქორწინება კლავს სიყვარულს – არა! თუ ამ გრძნობას გაუფრთხილდებით, ის დიდხანს გაგილამაზებთ ცხოვრებას; თანაც, გათხოვილი ქალი თავს უფრო დაცულად გრძნობს, დაქორწინებული მამაკაცი კი რეგულარულად იკვებება, რეგულარული აქვს სექსიც და, საერთოდაც, მოწესრიგებული რეჟიმით ცხოვრობს, რაც მისი ჯანმრთელი, ხანგრძლივი ცხოვრების გარანტია. გარდა ამისა, განებივრებულია სიურპრიზებით, რომანტიკული, გემრიელი ვახშმით...

მზრუნველი, შეყვარებული ცოლი მუდმივად უწყობს ხელს ქმრის განვითარებასა და სრულყოფას. ცოლ-ქმარი, რომლებიც სახლიდან გასვლის წინ ერთმანეთს ჰკოცნიან, უფრო პროდუქტიულები არიან სამსახურში და მინიმუმ 5 წლით მეტსაც ცოცხლობენ...

## გიყვარდეს სიხარული...

არასოდეს იფიქროთ იმაზე, რომ თქვენთვის სიხარული მიუღწეველი ოცნებაა. სიხარულის უფლება აქვს ყველას, ნებისმიერ ადამიანს და, შეუძლებელი არაფერია. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ, თუ სიხა რულს შეიყვარებ, ის შენი მუდმივი თანამგზავრი იქნება. მაგალითად, რატომ არ შეიძლება, ყურში მუდამ საყვარელი მუსიკა ჟღერდეს და სასიამოვნო მოგონებები გახალისებდეთ?!

საქმის კეთებისას, მგზავრობისას, იფიქრეთ მხოლოდ პოზიტივზე. მოიზიდეთ სიხარული და ის სულ თქვენთან იქნება. ერთხელ თუ შეძლებთ ამას, მერე აღარ გაგიჭირდებათ. წაიცეკვეთ კიდეც საყვარელ მუსიკაზე – ფიზიკური აქტივობა, მით უფრო, სასიამოვნო მელოდიის თანხლებით, ერთიორად გაზრდის თქვენს სასიცოცხლო ტონუსს. სიმღერაც ძალიან დიდი პოზიტივია, ამიტომ, ხშირად წაიღიღინეთ. კარგი მუსიკის მოსმენა აუმჯობესებს არა მარტო განწყობას, არამედ მადასაც; ააქტიურებს და, იმავდროულად, ასვენებს გონებას, აწესრიგებს მის მუშაობას და აუმჯობესებს მეხსიერებას; მოკლედ, მუსიკა სიხარულის თანმხლებია. საერთოდაც, ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული: გინდათ, იყოთ გახარებული და ბედნიერი? მაშინ, დააფასეთ ის, რაც გაქვთ. კარგად მიიხედ-მოიხედეთ გარშემო და დარწმუნდებით, რომ სიხარულისთვის უამრავი მიზეზი გაქვთ. ის თქვენთან არის და, არც არსად წავა, თუკი თავად არ დააფრთხობთ მას...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# როგორ ვიკვებოთ ჯანმრთელად

წინა ნომერში ჩვენ შემოგთავაზეთ მცენარეული დიეტა, დღეს კი გაგაცნობთ დოქტორ კოლინ კემპბელის კვლევების შედეგს, რომელიც დაგეხმარებათ, ახლებურად შეხედოთ სწორი კვების მეთოდებს. ეს რჩევები გამოადგება ყველას, ვისაც სურს, უკეთესობისკენ შეცვალოს რაციონი და კვებითი ჩვევები.

გასაკვირი არ არის, რომ წიგნი „ჩინური კვლევები" მსოფლიო ბესტსელერად იქცა. მასში აღწერილია ცხოველური ცილებისა და ქრონიკული დაავადებების (ონკოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა, შაქრიანი დიაბეტის, ჭარბი წონის) ურთიერთთანაფარდობის შედეგები და მიღებულია კვების თავისებურებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ურთიერთკავშირის 8 000 დასკვნა. ეს კვლევა ტარდებოდა ჩინეთის 65 ოლქში, გრძელდებოდა 10 წლის განმავლობაში და შედეგი იყო ერთმნიშვნელოვანი: ვინც უპირატესობას ანიჭებს ვეგეტარიანულ კვებას, მას ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლის მეტი შანსი აქვს, თანაც, ჭარბი წონის გარეშე.



ზაფხულსა და შემოდგომაზე ხილისა და ბოსტნეულის მრავალფეროვანი არჩევანი კი ამ ცდის ჩატარებას საგრძნობლად აადვილებს.

ჩინური კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია ზოგიერთი დაავადების განვითარებასა და სისხლში ქოლესტერინის დონეს შორის ურთიერთკავშირის დადგენა: თურმე, ქოლესტერინის დონის 4,4 ერთეულიდან 2,3-მდე დაწევის შემთხვევაში, საგრძნობლად იკლებდა ლეიკემიის, ღვიძლის, სწორი ნაწლავის, მსხვილი ნაწლავის, ფილტვების, სარძევე ჯირკვლების, ტვინისა და კუჭის კიბოს წარმოქმნის სიხშირე.

ყოველივე ამის შემდეგ, დოქტორმა კოლინ კემპბელმა შეიმუშავა ჯანმრთელი კვების 8 პრინციპი, რომლებსაც დღეს გთავაზობთ.

### პირველი პრინციპი

კვება წარმოადგენს საკვებში არსებული ურიცხვი ნივთიერებების ერთობლივ ზემოქმედებას ორგანიზმზე. კვების დროს ჩვენ „ვრთავთ" ორგანიზმში მიმდებარე ქიმიური რეაქციების რთულ სისტემას, რათა საკვები პროდუქტებისგან მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი იმ სახით, რომლითაც ის ბუნებაში არსებობს. რომელიმე ერთი კონკრეტული საკვები ნივთიერების უპირატესობის გამოცხადება სხვა ნივთიერებებთან მისი ურთიერთქმედების განხილვის გარეშე – ძალზე პრიმიტიული მეთოდია.

### მეორე პრინციპი

ვიტამინების დამატება ჯანმრთელობისთვის პანაცეა არ არის.

„თუ გსურთ, მიიღოთ ვიტამინი C ან ბეტა-კაროტინი, შეეშვით დრაჟეებსა და აბებს, მიმართეთ ხილსა და მწვანეფოთლიან ბოსტნეულს", – გვირჩევს დოქტორი კემპბელი. მაგრამ, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც; მაგალითად, ვეგეტარიანელებისთვის სასარგებლოა, საკვები დანამატის სახით მიიღონ ვიტამინი $B_{12}$ (ექიმთან კონსულტაციის შემდეგ); ასევე, რეკომენდებულია D ვიტამინის მიღება მათთვის, ვინც დიდ დროს ატარებს შენობაში ან ცხოვრობს ჩრდილოეთის კლიმატში.

### მესამე პრინციპი

თითქმის ყველა საკვები ნივთიერება უკეთესად არის წარმოდგენილი მცენარეულ პროდუქტებში – მათში თავმოყრილია ანტიოქსიდანტები, უჯრედისები და მინერალები.

### მეოთხე პრინციპი

კვება გადამწყვეტ როლს ასრულებს იმაში, თუ როგორი გენები წარმოიქმნება – „ცუდი" თუ „კარგი".

### მეხუთე პრინციპი

კვების დახმარებით შეგიძლიათ აკონტროლოთ ორგანიზმზე მავნე ქიმიური ნივთიერებების არასასურველი ზემოქმედება.

### მეექვსე პრინციპი

კვებას, რომელიც ამარცხებს დაავადებას ადრეულ სტადიაზე (დიაგნოზის დასმამდე), შეუძლია, შეაფერხოს მისი განვითარება და განკურნოს კიდეც, გაცილებით უფრო დაგვიანებულ ეტაპზე.

### მეშვიდე პრინციპი

კვების რაციონი, რომელიც სასარგებლოა ერთი ქრონიკული დაავადების დროს, კარგი პროფილაქტიკა შეიძლება აღმოჩნდეს ბევრი სხვა დაავადების შემთხვევაშიც.

### მერვე პრინციპი

სწორი კვება სასარგებლოა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთვის, რადგან ისინი მუდმივად ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან; ანუ, ჯანმრთელი კვების კონცეფცია ხელს უწყობს ფიზიკურ აქტივობას და უზრუნველყოფს ემოციურ და ინტელექტუალურ ჯანმრთელობას.

როგორც ხედავთ, ჩვენი ჯანმრთელობის ძირიადი წყარო მცენარეებშია. გასაკვირი არ არის, რომ ძალიან ბევრს გაუჭირდება ცხოველური წარმოშობის საკვების გარეშე არსებობა, მაგრამ, ნამდვილად ბევრს მოიგებთ, თუ წელიწადში 3-4-ჯერ, თითო თვის განმავლობაში მაინც გახდებით ვეგეტარიანელი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალურად შეზღუდავთ ცხოველურ საკვებს.

ვეგეტარიანული დიეტის დადებით ზემოქმედებაში დასარწმუნებლად, გაიკეთეთ ანალიზები დიეტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ; ასევე, არ დაგავიწყდეთ აწონვა – შედეგი ნამდვილად გასაოცარი იქნება.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, რა ფერის თმაა აქტუალური შემოდგომა-ზამთრის სეზონზე?**

**პასუხი:** სტილისტები გვირჩევენ: თუ ახალი სეზონისთვის თმის ფერის შეცვლა გადაწყვიტეთ, აირჩიეთ მკვეთრი, მსუყე ფერები, რადგან, ბუნებრივი, ნატურალური პალიტრა მოდურად აღარ ითვლება.

**კითხვა: ნებისმიერ დიეტაში გამოიყენება უნიკალური ბოსტნეული – ბულგარული წიწაკა. რომელი სახეობის ჩართვაა დიეტის დროს მენიუში მიზანშეწონილი – წითელი, მწვანე თუ ყვითელი ბულგარული წიწაკის?**

**პასუხი:** დიეტის დროს შეგიძლიათ გამოიყენოთ სამივე ფერის ბულგარული წიწაკა, ერთად ან მონაცვლეობით. გაცნობებთ, რომ წითელი შეიცავს ყველაზე მეტ კაროტინსა და A ვიტამინს; ერთი ცალი ყვითელი ბულგარული წიწაკა შეიცავს C ვიტამინის მთელი დღის საჭირო რაოდენობას; მწვანე წიწაკა კი არის ერთ-ერთი ყველაზე დეფიციტური K ვიტამინის ნამდვილი საბადო. ეს ვიტამინი ამაგრებს სისხლძარღვებს.

**კითხვა: თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ წინა ნომერში წერდით, რამდენი გელი ან მკვებავი უნდა წაისვათ სახეზე. მაინტერესებს, ნიღბების გაკეთების დროს თუ არის განსაზღვრული წასასმელი მასის რაოდენობა?**

**პასუხი:** ნიღბის გაკეთების დროს მეტი თავისუფლება გენიჭებათ – ოპტიმალურია პინგ-პონგის ბურთის მოცულობის რაოდენობა, ანუ, შეგიძლიათ, ნიღაბი სქლად წაისვათ



სახეზე, რადგან, სქელი ფენა ქმნის თერმოეფექტს, რაც ხელს უწყობს აქტიური კომპონენტების კანში უფრო ღრმად შეღწევას.

ნიღაბი უნდა წაისვათ მთელ სახეზე, ოღონდ, არა თვალების გარშემო, რადგან ამ უბანზე კანი განსაკუთრებით ნაზი და მგრძნობიარეა და, თან, განსხვავებული სტრუქტურა აქვს, ამიტომ, მისი ინტენსიური კვება მიზანშეწონილი არ არის.

ზოგიერთი ნიღბის ჩამობანა ხდება თბილი ან გრილი წყლით, ზოგიერთის – სველი და გაწურული ბამბის ან დოლბანდის ტამპონით. ამის შესახებ ინსტრუქციაშია მითითებული, თუკი მზა ნიღაბს ყიდულობთ; ხოლო, თუ თქვენი კოსმეტოლოგი გიმზადებთ (ან თქვენ თვითონ ამზადებთ), ის თვითონ გასწავლით, როგორ უნდა მოიქცეთ.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

## მერჩივნა, ჩემი ქმარი მაშინ მომკვდარიყო, როცა მიყვარდა

უკვე მოზრდილი შვილები მყავს და, სულ რამდენიმე წლის წინ გავიგე, რომ ქმარი მთელი ცხოვრება მღალატობდა. უფრო სწორად კი, ახალგაზრდობის პერიოდშიც მირეკავდნენ „კეთილისმსურველები“ და მეუბნებოდნენ, შენი ქმარი ახლა ამა და ამ ადგილას არისო და იმ ქალების სახელებსაც მეუბნებოდნენ, მაგრამ იმდენად ვენდობოდი და, ზოგადად, იმდენად არ ვიყავი ეჭვიანი, რომ არ ვიჯერებდი; მათ „მზრუნველ“ შეტყობინებებს იმდენად არაფრად ვაგდებდი, რომ ჩემს ქმარს არც კი ვეუბნებოდი, რომ დამირეკეს და ასეთი რამეები მითხრეს-მეთქი. მანაც ძალიან კარგად იცოდა ჩემი მიმნდობი ხასიათი და, თურმე, მართლა დაგულაობდა აღმა-დაღმა; მაგრამ, ესეც არ იკმარა – თავისი ბოზები სახლში მოჰყავდა და, ხან ბიძაშვილად და დეიდაშვილად ასაღებდა, ხან – თანაკლასელად, ხან – თანამშრომლად, მე კი, რადგან მართლა ნათესავი და ბავშვობის მეგოობარი მეგონა, სუფრებს ვუშლიდი, ვემსახურებოდი და თან ვყვებოდი. ის კი არა, ხანდახან ღამითაც რჩებოდნენ ჩვენთან და, ან ჩემ გვერდით ეძინათ, ან – ბავშვების ოთახში.

იმ „კეთილისმყოფელების“ ინფორმაცია სრული სიმართლე რომ იყო, მაშინ დავრწმუნდი, როცა ყველაფერი გამიყიდა და მიმატოვა. მაშინ პირველად ვუთხარი ქმარს ყველაფერი ვიცი-მეთქი. ის კი იმდენად თავხედი და უსინდისო აღმოჩნდა, რომ არაფერი უარყო და აქეთ დამადანაშაულა – შენ რომ შტერი, გამოთაყვანებული და ბრმა იყავი, ვისი რა ბრალიაო. არადა, მაფრთხილებდა ხოლმე საწყალი დედაჩემი – არც შენი ქმრის ახუნტრუცება მომწონს და არც იმ ძუძუებგადმოყრილი ქალების შენს სახლში სიარული. ცოტა თვალი გაახილე და ყურები გამოიქექე, თორემ, ისე გადაგივლის თავზე ეგ ვაჟბატონი, საკუთარ თავსა და თავის ბოზებს (მაპატიეთ, ამდენ უხამს სიტყვას რომ ვწერ) არაფერს მოაკლებს, შენ და შენს შვილებს კი ქუჩაში დაგტოვებთო. მე კი არც დედას ვუჯერებდი და, ერთხელ, როცა დედაჩემმა ბავშვების ოთახში წაასწრო თავის სიძეს ჯერ მოსამსახურესთან, მერე კი ჩემს უახლოეს მეზობელთან, რომელთან ერთადაც გავიზარდე და შავი დღე აყარა, ჩემმა ქმარმა, მოსამსახურემაც და მეზობელმაც აქეთ გალანძღეს დედაჩემი, ეჭვიანობით შეპყრობილი დედაბერი, შიზოფრენიკი, მოლანდებებიანი ალქაჯი და რა აღარ უწოდეს. მე სულელმაც, მათი მხარე დავიჭირე (თუმცა, დედა არ გამილანძღავს, მაგრამ, არც მათ ვუთხარი საყვედური ასეთი სიტყვების გამო, რასაც დღეს საშინლად ვნანობ). დედაჩემი მართლაც იყო ბუნებით ეჭვიანი და თავის დროზე მამაჩემზეც ძალიან ეჭვიანობდა, ამიტომაც არ დავუჯერე და სწორედ ამიტომაც არ დავუჯერე, მაგრამ მისი ნათქვამი ყოველი სიტყვა ამიხდა: იმ ქუჩის ქალებს ზოგს ბინა უყიდა, ზოგს – მანქანა, ზოგს – ბრილიანტები; თვითონაც არ დაიკლო გრიალი და ტაშფანდური, მერე კი ჩემი მშობლების ნაჩუქარი ბინა გაყიდა და ის ფული სად წაიღო, არ ვიცი. ალბათ, იმ ძუნძგლიანებს გაუნაწილა, მე კი მითხრა, ბანკის დიდი ვალი დამედო და ბინა თუ არ გავყიდეთ, ან მომკლავენ, არ დამიჭერენო. მეც, ოღონდ კი ეს არაკაცი მყოლოდა კარგად, ყველაფერზე თანახმა ვიყავი და ჩემი მშობლების ჩუმად დავთანხმდი. ასე აღმოვჩნდი ქუჩაში შვილებთან ერთად. მან კი, როცა მიხვდა, რომ ჩემგან გამოსარჩენი აღარაფერი ჰქონდა, მიმატოვა. რამდენიმე წელი საერთოდ არ შემხმიანებია, მერე კი, როცა ის ფული მთლიანად გამოელია, იმ ბოზებმაც კუკუ ამოჰკრეს და გამოაგდეს, მაგრამ, არსად რომ აღარ ჰქონდა წასასვლელი, ისევ მე მომადგა – უფულოს და გაღლეტილს. გაახსენდა, რომ შვილები ჰყავდა და, თურმე, იმ შვილებს მამა სჭირდებოდათ. მე არ მინდოდა, სახლში შემომეშვა, მაგრამ, ჩემმა ბიჭმა მითხრა, არ მინდა, მთელი უბნის სალაპარაკო გავხდეთო და, მაიძულა, კიდევ ერთხელ დამეთმო.



ახლა კი დამდევს კუდში, თვალებში შემომციცინებს, ლამის სარეცხი გარეცხოს, გაფინოს და გააუთოოს. სულ „ჩემო სიცოცხლეს“ მეძახის და აღარ იცის რით მასიამოვნოს, მაგრამ, ერთდროულად მძულს და მებრალება. ჩემ თვალწინ რომ მოკვდეს, ალბათ, ცრემლიც არ გადმომივარდება.

არ ვიცი, გამამტყუნებს თუ არა მკითხველი ამ სიტყვების გამო, მაგრამ მერჩივნა, მაშინ მოვმკვდარიყო, როცა მიყვარდა – სხვა თუ არაფერი, ის მაინც მეგონებოდა, რომ კაცი დააკლდა ჩემს ოჯახს.

ყველაზე საშინელი კი ის არის ჩემთვის, რომ ჩემმა შვილებმაც ყველაფერი გაიგეს მამის შესახებ და მაინც მე მამტყუნებენ.

**თინა, 48 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# რატომ ავიდა ირაკლი შიხიაშვილი ზესხოზე და ვინ ვერ „გადაიბირა" ის ამერიკაში

(მე-14 გვერდიდან)

მათი დანახვა და გაცნობა გვჭირდება. დაე, იფიქროს, ვისაც რა უნდა. მე არ ვარ ის ტიპი, ვინც გაფაციცებული აკვირდება, მასზე ვინ რას იტყვის.

– **„გამოიბრძმედეთ"?**

– დიახ. მე ის ადამიანი ვარ, რომელსაც აწუხებს მიზანი და ვეგუები იმას, რომ, თუ ბრძოლაა, დარტყმებიც იქნება. ამ დარტყმებს არ დაგიდევთ, მთავარია, მიზანთან მივიდე. ადამიანურად, რა თქმა უნდა, რთულია საკუთარ თავზე ამდენი რამ გაიგონო. ამ ქალაქში დავიბადე, გავიზარდე, უამრავი მეგობარი მყავს და ამ ხალხმა კარგად იცის, ჩემი სიმართლე. 16 წლის ვიყავი, როცა ჩე გევარას ისტორია წავიკითხე. კაცმა იმდენი გადაიტანა და, როცა გაეროს ტრიბუნაზე გამოსულს ამერიკელმა ჟურნალისტმა ჰკითხა, რა ძალამ შეგაძლებინათ გაუსაძლის პირობებში, ჯუნგლებში, ტყვეებისთვის გაგეძლოთ ყველაფრისთვისო, მან ერთი სიტყვით უპასუხა – სიყვარულმაო. სიყვარულია ის, რაც ამ ყველაფერს გაგაძლებინებს. კიდევ ერთ ისტორიას გიამბობთ: როცა გამგებლის მოადგილე ვიყავი, რამდენიმე უსახლკარო ოჯახს თავშესაფარი გადავეცით – ეს ბინები გადამალული ჰქონდათ სახლმმართველებს. გამიხარდა, რომ კარგი საქმე გავაკეთე და ბავშვები გაყინვას გადაურჩნენ, მაგრამ, მერე დაიწყეს ლაპარაკი, შიხიაშვილმა თითოეულ ოჯახს 5-5 ათასი დოლარი გამოართვაო. ადამიანურად მეწყინა ეს ამბავი, გული დამწყდა. მამაოს მოვუყევი და მითხრა: შემთხვევით, ილია ჭავჭავაძეზე მეტი ხომ არ გაგიკეთებია, კაცს ტყვია დაახალესო. მე იდეალების კაცი ვარ, ასე რომ, ეს ხმაური ჩემ ირგვლივ ბევრს არაფერს ცვლის; უფრო მეტიც, ეს ყველაფერი უფრო ავსებს ჩემს ცხოვრებას. ჩემი ოჯახი შეჩვეულია ამ პერიპეტიებს, ჩემმა მეუღლემ ჩემთან ერთად ბევრი სირთულე გადაიტანა ამ წლებში. მასაც თავისებურად მოუწია ყოფნა იმ ბრძოლებში, რაც საქართველოს ისტორიის ბოლო წლებში იყო. მე ერთადერთი რამის შემრცხვება მის წინაშე: ღალატისა და გაქცევის – ის არ გაჰყოლია კაცს, რომელიც გარბის.

– **მის საყვედურებს მაშინაც არ იღებთ, როცა თქვენს თავზე შავი ღრუბლები გროვდება?**

– არა, ასეთ დროს მით უმეტეს ცდილობს საერთოდ არ მელაპარაკოს, სახლში ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვთან, გაბრიელთან მშვიდად ვიყო. ახლა უკვე პატარა შვილიშვილიც გყვავს, პაპა ვარ. ამ პატარა ციცქნა კატომ სულ თავდაყირა დააყენა ყველაფერი, ისეთი საყვარელია; ყველაფერი მრგვალი აქვს. მისი და 5 წლის ბიძის ურთიერთობასა და ჟღურტულს რომ ვუყურებ, ჩემზე ბედნიერი არავინაა. სახლში რომ შევდივარ და კარს რომ შევიკეტავ, გარედან „ხმაური" აღარ შემოდის. ტელევიზორში მარტო კარგ გადაცემებს ვუყურებ – მთელი ჩემი დღე საინფორმაციო პროგრამაა და კიდევ საინფორმაციო მინდა?! ***(იცინის)*** სხვათა შორის, ამ აჟიოტაჟს სულ არ უმოქმედია, ეს ორი თვე ძალიან კარგად გამოვიყენე – ვნახე დიდი ხნის უნახავი მეგობრები; ისინი ამერიკაში ცხოვრობენ და ხშირად ვერ ახერხებენ აქ ჩამოსვლას. სულ ჩემს „გადაბირებას" ცდილობენ ხოლმე იქით, სულ ამერიკისკენ მექაჩებიან. ჩავედი კიდეც, მაგრამ, ოთხ-ხუთ დღეში უკან გამოქცევაზე ვიყავი; სამ დღეში წუწუნი დავიწყე – იქ ზესხო არაა. ახლა მე და ჩემმა მეგობრებმა ერთად მოვიარეთ ჩვენი ქვეყნის კუთხე-კუნჭული, ალპინისტების ბანაკშიც ვიცხოვრე, ზესხოზეც ავედი. ფიზიკური ძალა მერჩის – გარეგნობაზეც ხომ მეტყობა? არ ვუშინდები სიმაღლეებს. შატილში რომ ახვალ, ქვა რომ იყოს ისიც შეტოკდება. იქ აღარც ის გახსოვს, „რუსთავი 2" შენზე რას ყვება, და არც ის, თუ როგორ „გამკობენ" ვიღაც-ვიღაცეები და ამაზე უკეთესი მალამო იარებისთვის არ არსებობს ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

# ეძიე კაცი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №31-39(718)

„მინი პოდიუმი" ორ-სამ საათს გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა, რაც უნდა ჩაეცვა, შესაფერისი ფეხსაცმელი და ჩანთაც შეურჩია და სამკაულიც დააწყო ტრილიაჟზე – ამჯერად, რატომღაც, ვერცხლის განწყობაზე იყო.

სალამომდე კიდევ კარგა ხანი ჰქონდა დარჩენილი. თმასაც და მაკიაჟსაც თვითონ მიხედავდა – არ უნდოდა, ტომასს ეფიქრა, რომ მის გამო იჯდა სალონში რამდენიმე საათი; ისედაც არ უყვარდა ძალიან „პოდიუმურად" დავარცხნილ-დახატული ქალები, მით უფრო, რომ კლასიკურ ტანსაცმელს სადა ვარცხნილობა და მაკიაჟი უფრო მოუხდებოდა.

ჩაცმა-დახურვის საკითხი რომ მოაგვარა, საათს დახედა. ჯერ 3 საათი იყო, ტომასს კი 8 საათზე უნდა შეხვედროდა რესტორანში. სხვათა შორის, შესთავაზა, ტაქსით მოგაკითხავო, მაგრამ მიამ უარი უთხრა – არ უნდოდა, ჯერ კიდევ უცნობ და, მით უმეტეს, გადამთიელ მამაკაცს მისი მისამართი სცოდნოდა. შეიძლება, ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, თავი დაიზღვია. თან, გულში მაინც იმას ფიქრობდა, როგორ ეფექტს მოახდენდა იმ თავდაჯერებულ ამერიკელზე, როცა „მარიოტის" დარბაზში შეაბიჯებდა.

„სანამ ბიჭები კალათბურთიდან დაბრუნდებიან, ცოტა წაძინებასაც მოვასწრებ", – გაიფიქრა მიამ და დივანზე ბალიში და პლედი დააწყო. თუ სადმე მნიშვნელოვან შეხვედრაზე ან წვეულებაზე მიდიოდა, წასვლამდე აუცილებლად უნდა წაეძინა ერთი საათი მაინც – ეს ჩვევა ბებიამ გამოუმუშავა, პატარაობიდანვე მიაჩვია ამას და, თუ მია გაუძალიანდებოდა – არ მინდა დაძინებაო, ბებია მოთმინებით უმეორებდა ერთსა და იმავეს: „ერთი საათის ძილი აღადგენს ენერგიას, აუმჯობესებს სახის კანის ფერს და უფრო სხივიანს ხდის თვალებს, ეს ყველაფერი ერთად კი უდრის ქალის სილამაზეს. ხომ გინდა, რომ ყველაზე ლამაზი იყო, ბებო გენაცვალოს?!"

ჰოდა, მიაც მიეჩვია. ამიტომ, მორჩილად დაწვა, გვერდით მობილური დაიდო და მშვიდად დაიძინა. მანამდე კი ის გაიფიქრა, რომ გაიღვიძებდა, დედასთვის დაერეკა და ბავშვებთან დარჩენა ეთხოვა.

***

– სალომე, ერთი საათის წინ გოგიტამ დარეკა და შენ გიკითხა, – უთხრა დედამ სამსახურიდან დაბრუნებულ შვილს.

– მართლა?! – ირონიულად შეიცხადა სალომემ, – რა დაემართა, ცუდი სიზმარი ნახა?

– ნუ ხარ შენ ასეთი აუტანელი ხასიათის! – გაბრაზდა ქალბატონი ნანა, – თუ არ დარეკა – არ ვახსოვარ და ფეხებზე ვკიდივარო; თუ დარეკა – ცუდი სიზმარი ნახაო... „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებიო" გამოგდის.

– რა გინდა, დედა, რატომ ცდილობ, ნერვები ამიშალო? – გაღიზიანდა სალომე.

– შენი ნერვების აშლას კი არ ვცდილობ, მინდა, რომ შერიგდეთ. უყვარხარ იმ ბიჭს, შვილი უნდა შენგან და სრულყოფილ ოჯახზე ოცნებობს – რა არის ამაში უჩვეულო და გასაოცარი?

– რა?! – თვალები შუბლზე აუვიდა სალომეს, – თვითონ გითხრა თუ შენ შეთხზე ასე სახელდახელოდ ეს ზღაპარი?

– თვითონ მითხრა. ბოდიშიც მომიხადა და პატიებაც მთხოვა, – კმაყოფილი სახით უპასუხა დედამ.

– მერე, გაგიხარდა და აპატიე?

– დიახაც. შეცდომას ყველა უშვებს, მთავარია, ხვდება თუ არა ამას და როგორ ცდილობს მის გამოსწორებას. თუ ადამიანი ნანობს, რაც ჩაიდინა, უნდა მისცე შანსი, რომ გამოასწოროს, თორემ, მერე ძალიან ინანებ, მაგრამ, უკვე გვიან იქნება – ამას ჩემი გამოცდილებიდან გეუბნები, – ნანას ცრემლით აევსო თვალები.

– შეცდომასაც გააჩნია, დედა. არის შეცდომა, რომლის პატიებაც შეუძლებელია.

– სხვათა შორის, უფალი ადამიანს თვითმკვლელობის გარდა ყველა ცოდვას მიუტევებს, თუკი მოინანია, – შეახსენა დედამ, ხატისკენ გაიხედა და პირჯვარი გადაიწერა.

– ვიცი, მაგრამ, მე ღმერთი არ ვარ, მე ჩვეულებრივი ქალი ვარ, რომელმაც მთლიანად მიუძღვნა ქმარს თავიც, სულიც, გულიც, მაგრამ, იმან რა ქნა?! ყველანაირად გამომიყენა, მომატყუა, სულში ჩამაფურთხა და, რაც მთავარია, მკვლელი გამხადა! – ისტერიკა დაემართა სალომეს, – თქვენ რა გგონიათ, ხმას რომ არ ვიღებ და არაფერს ვიმჩნევ, ყველაფერმა გამიარა და ყველაფერი დამავიწყდა?!



– რა მკვლელი გაგხადა, შვილო, რას ამბობ, გაგიჟდი? – გადაირია ნანა.

– რა მკვლელი და, ორჯერ მაიძულა აბორტის გაკეთება – ჯერ არ ვართ მზად შვილისთვის, ცოტა ფეხზე დავდგეთ და მერე რამდენიც გინდა, გააჩინეო. რა, პირველად გესმის? სხვათა შორის, არც შენ იყავი მაშინ ამის წინააღმდეგი – ჯერ ძალიან პატარები ხართ, შვილებს ყოველთვის მოესწრებითო, – ჩურჩულით თქვა სალომემ და სახე ხელებში ჩარგო.

– მე რა ვიცოდი, რომ ამის მერე ასე მალე გაეყრებოდით? – თავი იმართლა ნანამ, – ან, რომ მეთქვა კიდეც, დამიჯერებდი? შენ ხომ მარტო იმას აკეთებდი, რასაც ქმარი გეუბნებოდა! ვინმეს რამედ გაგდებდი? მონასავით შეჰყურებდი თვალებში, ყველა ხუშტურს უსრულებდი და მერე უცებ ადექი და სახლიდან გააგდე... არც გათხოვება გკითხავს ჩვენთვის და არც ოჯახის დანგრევა. ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, ახლა ამ დღეში არ იქნებოდი – შვილიც გეყოლებოდა, კარგი ქმარიც და ნორმალური ოჯახიც გექნებოდა. ვის ჰგავხარ ასეთი ჯიუტი და თავისნათქვამა, ვერ ვიგებ. ნუკა სულ სხვანაირია, ფეხს არ დგამს ჩემთან შეთანხმების გარეშე. არადა, ერთნაირად გაგზარდეთ და, ასეთი განსხვავებულები როგორ გამოხვედით, წარმოდგენა არ მაქვს, – ხელები გაშალა ქალმა და შვილს შეხედა: – ახლა რას აპირებ?

– რა უნდა დავაპირო, დედა? რადგან შენ დაგირეკა და ბოდიში მოგიხადა, ამიტომ უნდა გავიქცე და კისერზე ჩამოვეკიდო?

– აბა, რა გინდა, ასე მარტომ იარო სიცოცხლის ბოლომდე? რამდენი შეცდომა უნდა დაუშვა ცხოვრებაში? ისე გზრდიდით ორივეს, იდეალური ქალები უნდა გამოსულიყავით, თქვენ კი... – ხელი ჩაიქნია ნანამ, მერე მაცივრის თავიდან სიგარეტი და საფერფლე აიღო და მოუკიდა.

– იცი, რას გეტყვი, დედა? – ძალიან გაღიზიანდა სალომე, – სიმართლე გითხრა, ორგანულად ვერ ვიტან იდეალურ ადამიანებს, იდეალურთან მიახლოებულებსაც კი, რადგან, იდეალური ადამიანი თეორიულადაც კი არ არსებობს... ვერ ვიტან ყოველთვის მოწესრიგებულ, ყოველთვის მოღიმარ, ყოველთვის ტაქტიან და თავშეკავებულ, ყოველთვის ზრდილობიან, ყოველთვის წესიერ და პატიოსან ვერც ქალს და ვერც კაცს, იმიტომ, რომ ისინი არაბუნებრივები არიან, ხელოვნურები, რადგან, სინამდვილეში, მართლა ასეთები კი არ ბრძანდებიან, თამაშობენ, ყველას ნაცარს აყრიან თვალებში; ამ ყველაფრის უკან კი, დარწმუნებული ვარ, ისეთი ურჩხული და ვამპირი იმალება, ჯოჯოხეთს რომ დაამშვენებს. აი, რაც შეეხება შეცდომებს, დედა, შენგან გამიგია, რომ უშეცდომო ადამიანი არ არსებობს და თავისი წილი შეცდომა ყველამ უნდა დაუშვას – ისე ვერ წავა ამქვეყნიდანო. რა, შენ არ დაგიშვია სერიოზული შეცდომები?

– როგორ არ დამიშვია, – დაფიქრებით თქვა ნანამ და ბოლი ჭერისკენ გაუშვა, – მაგრამ, გამოუსწორებელი შეცდომა არც ერთი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ვუჯერებდი დედაჩემს, რომ ნაკლები შეცდომა დამეშვა. აი, ნუკა, მაგალითად, მიჯერებს და...

– დედა, გეხვეწები, ნუკას შენ წინაშე მონური მორჩილება მაგალითად ნუ მოგვ-

ავს. გეფიცები, თუ არ მეცოდებოდეს შენს ხელში. რაც შემეხება მე, ძალიან გთხოვ, თავი დამანებე და დამაშვებინე ჩემი წილი შეცდომები. სულაც არ მინდა ყველაფერზე ჭკუის სწავლება, არ-მინ-და! გაიგე?

– ჩემს ხელში გეცოდება? რატომ? მე თქვენზე თანგადაყოლილი დედა ვარ და, შეიძლება, რომ შვილისთვის ცუდი მინდოდეს?

– ცუდი კი არ გინდა, მაგრამ, იმდენად აქტიურად ერევი მის ცხოვრებაში, რომ ამხელა ქალი მთლიანად შენზე დამოკიდებული გახადე; მალე, ალბათ, ტუალეტში რომ მოუნდეს შესვლა, იმაზეც შენგან აიღებს ნებართვას და, რაც მთვარია, შენ ამას სწორ საქციელად ჩაუთვლი. მაგრამ, მარტო ნუკა აღარ გყოფნის და ახლა ჩემზე გადმოხვედი.

– შენ რომ არასდროს  მიჯერებდი და არასდროს არაფერს მეკითხებოდი, იმიტომაც გაგექცა ქმარი!

– ჯერ ერთი, კი არ გამექცა, მე თვითონ გავაგდე, რადგან, არ შეიძლებოდა იმის პატიება, რაც იმან მე გამიკეთა; მეორეც, რადგან არც მასზე გათხოვება მიკითხავს შენთვის და არც მასთან გაყრა, ანუ, ჩემი ბრალია, რაც დამემართა, თვითონაც რომ გამქცეოდა, ამ ყველაფერს ისევ საკუთარ თავს დავაბრალებდი და არა შენ ან სხვას; ნუკას კი შენ გაუგდე ქმარი სახლიდან და, თან, დარწმუნებული ხარ, რომ სწორად მოიქეცი, არადა, ეს საქციელი ერთ-ერთი ყველაზე გამოუსწორებელი შეცდომაა, რაც კი ოდესმე ჩაგიდენია.

– მაინც, რატომ? – გაბრაზდა ნანა, – მე ნუკა დავიცავი და ძალიანაც სწორად მოვიქეცი. აბა, იმ უზრდელი ხეპრესთვის უნდა შემეჭმევინებინა ხელისგულზე გაზრდილი ბავშვი? არ ვაპატიე, უკადრისად რომ მოექცა ჩემს შვილს. ის ახლა თავისუფალი და ბედნიერია და, ღვთის წყალობით, შეხვდება, ვინმე წესიერ კაცს, რომელიც დააფასებს, პატივს სცემს და თავმოყვარეობას არ შეულახავს – ეს არის მთავარი. მე თვითონ მოვუძებნი მას ისეთ კაცს, რომელიც ჩვენი ოჯახის ღირსი იქნება.

– აბა, ნუკას ჰკითხე, თუ არის ბედნიერი! ავი იყო თუ კარგი, ჩემს დას თავისი ქმარი უყვარდა ისეთი, როგორიც იყო, შენ კი მას სიყვარულის უფლება წაართვი და ახლა არჩევნის უფლებასაც ართმევ. ცდილობ, ორივე დაგვარწმუნო, თავმოყვარეობაა მთავარიო... ვისი თავმოყვარეობა, დედა, პირადად შენი ხომ არა?

– დიახაც, არც ეს არის მეორეხარისხოვანი. მე მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, უფრო სწორად, შემაგინა და ამას არასდროს ვაპატიებ! – ამაყად გამოაცხადა ნანამ.

– მართალია, ცუდად მოიქცა, მაგრამ, როგორც მახსოვს, შენ მოუწყვე პროვოცირება.

– არაფერიც, მე მხოლოდ შენიშვნა მივეცი. შოთიკომ ძალიან კარგად იცოდა, რომ ჩემს სახლში მთვრალი არ უნდა მოსულიყო, თანაც, თავის ლოთბაზარა ძმაკაცთან ერთად, მან კი მაინც გაბედა ამის გაკეთება, – თავის მართლებას შეეცადა ნანა.

– დედა, მხოლოდ შენიშვნა რომ მიგეცა, ესეც არ იქნებოდა შენი მხრიდან სწორი საქციელი, მაგრამ, შენ შენიშვნა კი არ მიეცი, ძმაკაცის თანდასწრებით გალანძღე და დასცინე, ის კი ნასვამი იყო, ვეღარ მოითმინა და შეგაგინა.

– ცოლი თუ უყვარდა, მისი დედისთვის ეს არ უნდა ეკადრებინა!

– მაგრამ, შენც თუ გიყვარს შვილი, ამ მიზეზით არ უნდა დაუნგრიო ოჯახი. რას ერჩოდი იმ ბიჭს, მოვიდა კარგ ხასიათზე, სამივეს ყვავილები მოგვართვა, სიყვარულს გვიხსნიდა...

– შენ ვერ გაგაგებინე ვერაფერი, თორემ, ნუკა სულაც არ მამტყუნებს, პირიქით, მიხვდა, რომ აქამდე მირაჟში ცხოვრობდა, ახლა კი რეალობას დაუბრუნდა და ძალიანაც ბედნიერად გრძნობს თავს.

– გეხვეწები, დაანებე ნუკას თავი, ნუ აქციე შენს მარიონეტად. ის ყველაფერზე თავს გიქნევს და გეთანხმება, მაგრამ, ძალიან უბედურია, რადგან, კაცი, რომელიც უყვარდა და ახლაც უყვარს, გვერდით აღარ ჰყავს და ეს შენი წყალობით მოხდა, დედა! არ მიჯერებდი და იმიტომ დაგემართა ასეო, რომ მეუბნები, ნუკა თუ გიჯერებდა, რით არის ჩემზე უკეთეს დღეში? პირიქით, მე გაცილებით უფრო კარგ მდგომარეობაში ვარ...

– რითი ხარ უფრო კარგ მდგომარეობაში, უფრო გრძელი ენა რომ გაქვს? – გამწარდა ნანა.

– ჰო, თუნდაც მაგით, მაგრამ, უფრო იმით, რომ, მე რაც დამემართა, შემიძლია, მხოლოდ საკუთარ თავს დავაბრალო და არავისზე არ ვიყო გულნატკენი, ნუკა კი ვერ გიბედავს თქმას, რომ შენი ბრალია მისი ცხოვრების არევა და ამით უფრო იტანჯება. შენი რომ არ ეშინოდეს, დღესვე გაიქცეოდა შოთიკოსთან და შეურიგდებოდა. თვითონაც არ გაქვს იოლი ცხოვრება გამოვლილი და, მით უფრო უნდა გაფრთხილებოდი შვილის ოჯახს.

– შენ გაუფრთხილდი შენს ოჯახს? რატომ გააგდე ის ბიჭი სახლიდან, აბორტი რომ გაგაკეთებინა, იმიტომ? მარტო ეს არის მიზეზი? კი ბატონო, შეეშალა, მაგრამ, ამის გამო უნდა მოკლა? თუ გიყვარდა, როგორ შეელიე? – ნანა არ იყო მიჩვეული შვილებისგან ასეთ წინააღმდეგობას, მით უმეტეს – ასეთ თამამ ბრალდებას და, მიხვდა, რომ დამარცხდა. მაინც შეეცადა, იხტიბარი არ გაეტეხა და რაღაც მწარე ეთქვა, მაგრამ უცებ კარზე ზარის ხმა გაისმა.

– ვინმეს ელოდები? – ჰკითხა სალომემ და კარის გასაღებად გაემართა.

– არა, – დაიბნა ქალი და ისევ სიგარეტს წაეტანა, – ალბათ, მეზობელია.

მაგრამ კარში გოგიტა იდგა ვარდების თაიგულით ხელში და იღიმებოდა. სალომეს არყის სუნი ეცა და სახე შეეჭმუხნა. „სიმხნევისთვის დალია“, – მიხვდა მაშინვე. რამდენიმე წამს დამცინავად უყურა ყოფილ ქმარს, მერე ოთახში შებრუნდა და დედას გასძახა:

– დედა! შენთან არიან!

– ვინ არის? – იკითხა ნანამ, თუმცა, ძალიან კარგად იცოდა, ვინც იყო, რადგან, თვითონვე დართო ნება ყოფილ სიძეს, მათთან მისულიყო და სალომესთან შერიგება ეცადა.

– ვიღაც მთვრალი კაცია. დგას ვარდებით ხელში, სულელივით იღიმება და ხმას არ იღებს, – წაიგესლა სალომე.

– ააა... გამარჯობა, გოგიტა. შემოდი, გენაცვალე! რა ქარმა გადმოგაგდო, რამდენი ხანია, აღარ გამოჩენილხარ, სად დაგვეკარგე? – ნანა ისე დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა და როგორ მოქცეულიყო.

– ჰო, რა ვიცი... დილით რომ დაგირეკეთ და რომ მითხარით, გამოიარეო... – წამოაყრანტალა არანაკლებ დაბნეულმა გოგიტამ და უხერხულად გაჩერდა ჰოლში.

– აჰა, ესე იგი, უკვე მოგილაპარაკებიათ ყველაფერზე, – თვალების მოწკურვით გადახედა სალომემ ორივეს, – ანუ, ჩვენი შერიგება გადაწყვიტე, არა, დედა?!

– კარგი, რა, სალომე! თუნდაც ასე იყოს, რა არის ამაში ცუდი, ვერ ვხვდები, – თქვა ნანამ და გოგიტას მიუბრუნდა: – ოთახში შემოდი, შვილო, დავსხდეთ და დავილაპარაკოთ.

გოგიტა ბარბაცით შევიდა, თაიგული ჟურნალების მაგიდაზე დადო და თვითონ სავარძელში ჩაჯდა.

– ყავას ხომ დალევ? – მაშინვე შესთავაზა ნანამ.

– ამას ახლა „ბორჯომი“ ურჩევნია – კარგად გამოიყვანს პახმელიაზე, – სალომე მეორე სავარძელში მოკალათდა და გოგიტა დამცინავად შეათვალიერა, – შენ არ იცოდი, რომ შენი ყოფილი სიდედრი მთვრალ კაცებს სახლში არ უშვებს?

– სალომე! – ხმა გაიმკაცრა ნანამ, – ელემანტარული ტაქტი იქონიე!

– ამასთან ვიქონიო ტაქტი? ესეც ხომ მთვრალია, რატომ შემოუშვი სახლში? თუ, მარტო შოთიკოსთვის არ შეიძლებოდა, ნასვამი მოსულიყო? რით დაიმსახურა ასეთი პრივილეგიები ამ ვაჟბატონმა?

– სალომე, გოგიტას უნდა, რომ შეგირიგდეს... და, მეც მინდა, რომ ერთად იყოთ. ამიტომ დავრთე ნება, აქ მოსულიყო. დაწყნარდი, მშვიდად დაილაპარაკეთ, აპატიეთ ერთმანეთს, რაც საპატიებელია და შერიგდით. ჯერ ახალგაზრდები ხართ და, შეგიძლიათ, ყველაფერი თავიდან დაიწყოთ...

– ვითომ არც არაფერი მომხდარა, არა? – შეაწყვეტინა შვილმა, – რაც საპატიებელი არ არის, იმას რა ვუყოთ? ან, ამან მე


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



რა უნდა მაპატიოს, მე გავაჩინე სხვისგან შვილები?

– რა შვილები? – ვერ მიხვდა ნანა.

– შენ თვითონ ეტყვი თუ მე ვთქვა? – მიუბრუნდა სალომე ყოფილ ქმარს, – სიმართლე გითხრა, არც არასდროს ვიტყოდი ამას ხმამაღლა, მაგრამ, რადგან გეყო თავხედობა, რომ ჯერ დედაჩემთან დაგერეკა და მერე შესარიგებლად თუ საპატიებლად მოსულიყავი, იძულებული ვარ, ვთქვა, უფრო სწორად, გკითხო: როგორ არიან შენი შვილები?

გოგიტა სკოლის მოსწავლესავით გაწითლდა და თავი ჩაღუნა. ნანა იჯდა მათ წინ და გაოგნებული უყურებდა ხან ერთს, ხან – მეორეს, ბოლოს, როგორც იქნა, დაუბრუნდა მეტყველების უნარი და ჩურჩულით ჰკითხა ყოფილ სიძეს:

– შენ რა, ცოლ-შვილი გყავს?!

გოგიტა ისევ დუმდა და თვალს ვერ უსწორებდა მასპინძლებს.

– ამას რას ეკითხები, ჩემი არ გჯერა? – განაგრძო სალომემ, – ცოლისა რა მოგახსენო – არ ვიცი, ხელი მოაწერა თუ არა იმ ქალთან, მაგრამ, შვილები ნამდვილად ჰყავს, თანაც – ორი; თან, იცი, როდის გაუჩნდა? ერთი – ერთი თვით ადრე, სანამ პირველ აბორტს გამაკეთებინებდა; მეორე კი – ჩემი მეორე აბორტიდან ერთ კვირაში. მე კი მეუბნებოდა, ჯერ ძალიან ახალგაზრდები ვართ, ჯერ მზად არ ვართ, ჯერ კარგად დავდგეთ ფეხზეო... ასე არ იყო?

– მერე, რატომ არ მითხარი თავის დროზე? – აღშფოთდა ნანა, – ახლა, სამი წლის შემდეგ უნდა ვიგებდე ჩემი ოჯახის თავის მოჭრას და ჩემი შვილის დამცირებას? და, ამის შემდეგ ბედავ და შერიგებას ითხოვ? – მოუბრუნდა ყოფილ სიძეს, – ახლავე წაბრძანდი ჩემი სახლიდან! – ნანა წამოდგა და თითი კარისკენ გაიშვირა.

– ახლა ხომ გაიგე, დედა, რატომაც გავაგდე? სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ძალიან გვიან შევიტყვე, როცა უმცროსი შვილი უკვე ორი წლის ჰყავდა და, გული იმაზე მწყდება, რომ დამატებით კიდევ ორი წელი ვადებილებინე თავი.

გოგიტა უხმოდ ადგა და ნაცემი ძაღლივით გავიდა. სალომემ მაგიდაზე დადებულ ვარდებს დაავლო ხელი, სადარბაზოში გავარდა, ყოფილ ქმარს, რომელიც მძიმე ნაბიჯებით ჩადიოდა კიბეებზე, მთელი ძალით ესროლა და მიაძახა:

– ეს ცოცხი დაგრჩა! წაიღე, რამეში გამოგადგება!

გოგიტამ მექანიკურად აიხედა ზემოთ. სწორედ ამ დროს მოხვდა თაიგული სახეში და ვარდების ეკლებმა კანი დაუკაწრა.

– თქვენი დედაც!.. – შეაგინა ქალებს ხმამაღლა და სადარბაზოდან გავიდა. ნანა გულშემოყრილი მიესვენა სავარძელში, სალომემ კი ფანჯრიდან გადაიხედა და დაინახა, როგორ იწმენდდა სახიდან სისხლს ცხვირსახოცით გოგიტა და ბოროტი კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

– კიდევ კარგა ხანს გემახსოვრება დღევანდელი ვიზიტი, ნაბიჭვარო!... – მერე ატირებულ ნანასთან მივიდა, მის წინ დაიჩოქა, კალთაში თავი ჩაუდო და სთხოვა: – დედა, გეხვეწები, მომეფერე, ბავშვობაში რომ მეფერებოდი, ისე...

აცრემლებულმა ნანამ წამოაყენა შვილი, ამხელა ქალი კალთაში ჩაისვა და გულში ჩაიხუტა.

– თქვენ მოგიკვდეთ დედა, რა დღეში მყავხართ ორივე, – სლუკუნით თქვა და მის მკერდში სახეჩარგულ და კატასავით გატრუნულ სალომეს ისე შემოაჭდო ხელები, თითქოს ვინმე წართმევას უპირებდა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სალომემ პირველად იგრძნო, როგორ ძალიან ჰყვარებია დედას და გული აუჩუყდა.

***

მიას ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა საქმე ჰქონდა კატოს, ამიტომ, ძლივს გაძლო შაბათამდე. რომ მივიდა, ქეთა, რუსა და ლიკაც იქ დახვდნენ. გაუხარდა, როცა ნახა, რომ კატო მივარდნილ მდგომარეობაში არ დახვდა.

– კაფეში აღარ მივდივართ, აქ ვილაპარაკოთ, – კატომ ოთხი ყავა და სიგარეტი შემოიტანა, – დღეს მეტი არავინ მოვა.

– ლიანა როგორ არის? – ჰკითხა მიამ.

– სამზარეულოში ტრიალებს. ხომ იცი, რა ტიპია, არავის დაანახვებს თავის დარდს.

– ჰო, მაგარი ქალია. შენ რას შვრები, ცოტათი არ გამოიდარე?

– ჰო. რაღაც მაქვს ჩაფიქრებული და, მაინტერესებს, თქვენ რას მეტყვით, – პირდაპირ საქმეზე გადავიდა კატო, – ძალიან ბევრი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე, სუფრა გავაკეთო და გაგას ეგრეთ წოდებული ძმაკაცები დავპატიჟო...

– რატომ, ძალიან პატივნაცემი ხარ ყველასგან და მადლობა გინდა, უთხრა? – უცებ აფეთქდა მია.

– არა, ბოლომდე მათქმევინე... შენც იცი, გაგა გადაყოლილი იყო თითოეულ მათგანზე, მაგრამ, როცა თვითონ გაუჭირდა, უფრო სწორად, როცა კვდებოდა და იცოდნენ, რომ მის გადასარჩენად ძალიან დიდი თანხა იყო საჭირო და ჩვენ ეს თანხა არ გაგვაჩნდა, ერთი წამლის ფული არავის მოუწოდებია, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთს ისე არ უჭირდა, ასი ლარი მაინც გაემეტებინა; თუმცა, გამეტებაშიც არ არის საქმე, მათ უმრავლესობას გაგას ვალი ჰქონდა – ზოგს ათასი დოლარი, ზოგს სამი ათასი, ზოგს ხუთი ათასი – ეს, რაც მე ვიცი თან, იმ დახმარებებს არ ვგულისხმობ, სუფთა ვალზე ვლაპარაკობ, მაგრამ, ყველა გაიტრუნა და გაისუსა, არც ერთმა არ ინამუსა, ვალი მაინც დაებრუნებინათ, რომ, იქნებ, იმით მაინც შეგროვილიყო თანხის რაღაც ნაწილი... გარდა ამისა, იმ დღიდან, რაც გაგა ავად გახდა და კაპიკ-კაპიკ ვაგროვებდი ფულს, ყველა გაოცებული მეკითხებოდა: კი მაგრამ, მეგობრები არ ჰყავს? ასეთ დროს სამეგობრო კისრულობს ხოლმე თანხასო. ეს სიტყვები კიდევ უფრო მიკლავდა გულს და შეურაცხყოფილიც ვიყავი, რადგან, ვინც ჩემს ქმარს არ იცნობდა, ცხადია, ეჭვი გაუჩნდებოდა – ეტყობა, არ დაიმსახურა და იმიტომ მიატოვეს ძმაკაცებმაო.

რამდენჯერ ვთხოვე გაგას, უკვე ძალიან ცუდად რომ იყო, მაშინ – იმათ მაინც დაურეკე, ვისაც შენი ვალი აქვს და უთხარი, მოგიტანონ, ამაზე მეტი საჭიროება როდისღა გვექნება-მეთქი. თავიდან მეუბნებოდა, დარეკვა რა საჭიროა, ეტყობა, არ აქვთ, თორემ, ხომ იციან, რა მდგომარეობაშიც ვარ და, რომ ჰქონდეთ, თვითონ მოიტანდნენო; ბოლოს კი, უკვე ძალიან ცუდად რომ იყო, მითხრა: ფული მოიტანონ კი არა, ხომ ხედავ, სანახავადაც არავინ მოდის, ტელეფონითაც არავინ მკითხულობსო; მერე თვალები დახუჭა და პირველად და უკანასკნელად თქვა – ეტყობა, არასწორად ვიცხოვრეო... – კატომ ტირილი დაიწყო, მერე ცოტა სული მოითქვა და განაგრძო: – შენ ხომ კარგად მიცნობ, მე ძალიან ბევრი რამის პატიება შემიძლია, მაგრამ, ღმერთი არა ვარ, რომ ყველას აბსოლუტურად ყველაფერი ვაპატიო... შეიძლება, ის საჭირო თანხა და იმაზე მეტიც რომ მოეტანათ მის მეგობრებს, მაინც ვერ გადაგვერჩინა, მაგრამ, ვერც ერთს ვერ ვაპატიებ, ჩემს გულში, რა თქმა უნდა, იმ ტკივილსა და იმედგაცრუებას, რაც ჩემმა გაგამ თან წაიღო... – კატო ხმამაღლა ატირდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

***ჩაწერა ხდება წინასწარ.***

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**



# როგორ შეხვდა შობის დღესასწაულს სტალინი რუსეთის პატრიარქთან ერთად

1945 წლის დადგომას სტალინი ბრწყინვალე განწყობით შეხვდა. ისე იყო გახალისებული, მისი შემხედვარე იფიქრებდით, მეორე სუნთქვა გაეხსნაო და თუმცა ახალგაზრდული ასაკიდან უკვე კარგა ხნის გამოსული იყო, მაინც შესანიშნავად გამოიყურებოდა. საბჭოთა არმია უკვე ევროპაში ანადგურებდა ფაშისტებს, დიდი ბელადი კი გათავისუფლებული ევროპის ახლებურად მოწყობაზე ინტენსიურად მუშაობდა. საბჭოთა პარტნომენკლატურასა და უშიშროებას აუარებელი, თავზე საყრელი სამუშაო დაუნაწილა. 6 იანვარს, 18 საათზე, სტალინმა ვლასიკს უბრძანა, ელოხოვის ღვთის გამოცხადების სახელობის ტაძარში წასასვლელად მოვმზადებულიყავით. ვლასიკმა თვალები ჭყიტა, მაგრამ არაფერი უკითხავს. დიდ ბელადს ეს გაოცება არ გაკვირვებია და მიუგო: „დღეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური საშობაო ლოცვა იწყება და ხვალ, უდიდესი დღესასწაულია მართლმადიდებლებისთვის. იყო დრო, როდესაც ღამეებს ვათენებდი ტაძარში და სტიქაროსნობისას მღვდელს ვეხმარებოდი. შენ თუ გილოცია ოდესმე?“ – მოულოდნელად ჰკითხა, ისედაც დაბნეულ ვლასიკს სტალინმა და თან დასძინა: „პირჯვრის სწორად გადაწერა თუ იცი“. ვლასიკი მალევე გამოერკვა და სხაპასხუპით, პატარა ბავშვს რომ გააზეპირებენ, ისე მიუგო: „ამხანაგო სტალინ, მე ულმერთო ვარ და არავინ მწამს“. სტალინს გაეღიმა და კვლავ ჰკითხა: „არც კომუნიზმის და ჩემი“? ვლასიკი გაფითრდა, ენა ჩაუვარდა და წაიბოდიალა: „არა... რა თქმა უნდა, მწამს, მაგრამ ღმერთის კი არა, თქვენი...“ სტალინს კვლავ გაეღიმა, თუმცა თემა შეცვალა და ისევ საქმეზე გადავიდა: „მიშა (ლაპარაკი ჩემზე იყო) „ჩისტი პერეულოკში“ (ამ მისამართზე მდებარეობდა რუსეთის პატრიარქ სერგის ახალი რეზიდენცია, სადაც ადრე გერმანიის ელჩი, შულენბურგი ცხოვრობდა), გააგზავნე და პატრიარქ სერგის აუწყოს, რომ წირვა-ლოცვაზე ვაპირებ მცირე ხნით მისვლას. შემდეგ კი მასთან ერთად ჩემს აგარაკზე გავემგზავრებით და საშობაო ლიტურგიის გასაგრძელებლად ვინმე შეიგულოს წინასწარ“. როდესაც ვლასიკმა სტალინის ბრძანება გადმომცა, უმალვე მის შესასრულებლად გავეშურე და პატრიარქ სერგის სწორედ ბეწვზე მივუსწარი, ტაძრისკენ მიემართებოდა ფეხით. მაშინ, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც კი არ მქონდა, როგორ უნდა მიმემართა სასულიერო პირისთვის და ასე დავიწყე: „ამხანაგო სერგი, ამხანაგმა სტალინმა დამიბარა, გადმოგცეთ, რომ ტაძარში წირვა-ლოცვაზე მოვა. შემდეგ კი თქვენთან ერთად კუნცევოში აქვს გადაწყვეტილი გამგზავრება და გავალებთ, თქვენი შემცვლელი მოძებნოთ საშობაო ლოცვისთვის“. მეუფე სერგი დიდი სიდინჯით მისმენდა, შემდეგ გაეღიმა, პირჯვარი გამომსახა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაულაპარაკა მის თანმხლებ მიტროპოლიტ ალექსის: „მეუფეო, ტაძარში შენ შემცვლი ლოცვისას“. მე თავი დავუკარი მათ და კრემლში გამოვბრუნდი. ვლასიკმა რომ დამინახა, მანიშნა და ორთავენი დიდ ბელადს ვეახელით. სტალინმა გულდასმით მომისმინა და როცა თხრობა დავამთავრე, მითხრა: „პატრიარქი პარტიული არაა, ამხანაგი რომ უწოდო, სასულიერო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელია და მისთვის მეუფე უნდა დაგეძახა“. ღვთის გამოცხადების ტაძარში რომ მივედით, იქაურობა მრევლით იყო გაჭედილი. თუმცა, ჩვენები ყველაფერს აკონტროლებდნენ. ვლასიკის ბრძანებით, ყოველი კუთხე-კუნჭული უნდა ყოფილიყო დაცული. ამდენი მორწმუნე-ქრისტიანის ხილვამ გულწრფელად გამაოცა. ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩვენს დიად ქვეყანაში ასეთი რამ კიდევ იყო შესაძლებელი. ტაძარში შესვლამდე სტალინმა მკაცრად გაგვაფრთხილა: „არანაირი აქტიურობა არ დავინახო თქვენი მხრიდან, მორწმუნეებს ნუ შეავიწროებთ. ნუ გეშინიათ, ეს ადგილი ისევე უსაფრთხოა, როგორც კრემლი ან კუნცევო“. ტაძარში შესვლისას დიდ ბელადს პირჯვარი არ გადაუწერია. თუმცა, შევამჩნიე, რომ აშკარად რაღაცას ამბობდა გუნებაში და რატომღაც ვიფიქრე: ლოცულობს-მეთქი. მრევლი თავდაპირველად ისე იყო ლოცვაში ჩართული, რომ სტალინი არავის შეუმჩნევია. შემდეგ ვიღაცამ დაინახა, მიაჩერდა და გვერდით მდგომს ჯერ მუჯლუგუნი გაჰკრა, შემდეგ კი გადაულაპარაკა, სტალინიო. ამგვარად, სულ რაღაც ხუთიოდ წუთში, მთელი მრევლი დიდ ბელადს მისჩერებოდა და ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ. ამასობაში, პატრიარქი სერგი წირვა-ლოცვას ატარებდა და თან ეტყობოდა, რომ დიდი ბელადის ნიშანს ელოდებოდა, რათა ლოცვა გადაებარებინა და სტალინთან ერთად კუნცევოში გამომგზავრებულიყო.

**ჩვენ ხალხს პატრიარქად ვამზადებთ, ისინი კი გენერალური მდივნები ხდებიან**

როგორც კი პატრიარქი საკურთხეველში შევიდა, მე, სტალინის ბრძანებით, მასთან მივედი და მოწიწებით, უკვე კარგი მორწმუნესავით, მივმართე: „მეუფეო, ამხანაგი სტალინი მანქანაში გელოდებათ“. სტალინს მთელი გზა მანქანის შუშა აწეული ჰქონდა და არაფერი მესმოდა, რაზე ესაუბრებოდა პატრიარქს. აგარაკზე რომ მივედით, ავტომობილიდან გადმოვხტი, რათა სტალინისთვის კარი გამეღო, მაგრამ მან თვალით მანიშნა, პატრიარქს მიხედეო – დიდ ბელადს კარი გავუღე, ავტომობილს შემოვუარე, პატრიარქს გადმოსვლაში მოვეხმარე, მკლავზე ხელი მოვკიდე და ისე შევუძეხი აგარაკის შენობაში. დიდ სასადილოში, სადაც ბელადი, ჩვეულებისამებრ, სტუმრებს იღებდა, უკვე შეკრებილიყვნენ: ბერია, მოლოტოვი, მიქოიანი, ვოროშილოვი, ჟდანოვი, კალინინი და კაგანოვიჩი. სტალინი და მოხუცი პატრიარქი ერთდროულად შევიდნენ ოთახში და ყველამ, ბერიას გარდა, საკმაოდ გაოცებულმა შეხედა უჩვეულო წყვილს. დიდმა ბელადმა, მოხუცი პატრიარქი სუფრის თავში დასვა და თავად გვერდით მიუჯდა. მეორე თავში კი ბერია გაამწესა და ტრადიციულად, თამადობა დაავალა. სანამ ბერია ჭიქას ასწევდა, სტალინმა წითელი ღვინით სავსე ბოკალი აიღო და წარმოთქვა: „რუსეთი ტრადიციული ქვეყანაა, ხალხს დღემდე სჯერა ღმერთის და, ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, ქვეყანაში მართლმადიდებლობა რომ აღვადგინეთ და მრევლს თავისუფალი არჩევნის საშუალება მივეცით. ვფიქრობ, რუსეთის პატრიარქი სერგი ღირსეულ მამობას გაუწევს ყველა მორწმუნეს. დღეგრძელი და ჯანმრთელი იყავით, მეუფეო!“ სტალინმა მოხუც პატრიარქს ბოკალი მიუჭახუნა და ბოლომდე გამოსცალა სასმისი. იგივე გააკეთეს სუფრის სხვა წევრებმაც. სანამ მეუფე სერგი რამეს იტყოდა, ჯერ სუფრა აკურთხა და მხოლოდ ამის შემდეგ დალია სამადლობელი, რომელიც ასე დაასრულა: „გამარჯვება ახლოა და გარწმუნებთ, ჩვენი ხალხის, მხედრობისა და მთავრობის შეუპოვარი, გმირული საქმიანობის მიღმა, უფალი დგას, რომელმაც ეს ყოველივე შეგვაძლებინა“. ხმა არავის ამოუღია ხრუშჩოვის გარდა, რომელმაც, აშკარად მაამებლობის გამო წამოაყრანტალა: „რა შუაშია ღმერთი, რომელიც არ არსებობს, როდესაც ჩვენი ხატი და სალოცავი ამხანაგი სტალინია,“ – კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ დიდი ბელადის პირქუშ სახეს წააწყდა და ენა ჩაუვარდა. სუფრაზე, ზოგადი საუბარი მიმდინარეობდა, რომელშიაც აქა-იქ რელიგიური თემაც გამოერეოდა. არც ერთ თანამესუფრეს, ხრუშჩოვისნაირი სისულელის ნატამალიც კი არ უთქვამს და ცდილობდნენ, არ ჩართულიყვნენ საუბარში. სტალინი აშკარად დაინტერესებული იყო ამ საკითხით და პატრიარქს სხვადასხვა კითხვას აძლევდა: „თქვენ კადრები ახსენეთ და საინტერესოა, სად წავიდნენ ისინი?“ – ჰკითხა სტალინმა სერგის. პატრიარქს ჯერ ჩაეღიმა, რადგან სასულიერო კადრების დიდი ნაწილი რეპრესიებს შეეწირა, შემდეგ კი უპასუხა: „ჩვენ ხალხს პატრიარქად ვამზადებთ, ისინი კი გენერალური მდივნები ხდებიან“. ამით, სერგიმ სტალინზე მიანიშნა, რომელიც ადრე სემინარისტი იყო. სტალინს გაეღიმა, თავი გააქნია და ჩაილაპარაკა: „დედაჩემს სიცოცხლის ბოლომდე უნდოდა, რომ მღვდელი ვყოფილიყავი“. თანამესუფრეებს ჩაეღიმათ. ერთი საათის შემდეგ კი პატრიარქმა შობა მოგვილოცა და სასადილო ოთახი დატოვა, რათა მოსკოვში გამგზავრებულიყო. მეუფე სერგი თავად სტალინმა მიაცილა მანქანამდე.

**სტალინის დაცვის უფროსის მოადგილის მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

# როგორ დავგეგმოთ პირადი ცხოვრება საკუთარ ზოდიაქოს ნიშანზე დაკვირვებით



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
**მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***ყველას აინტერესებს, რა ელის სამომავლოდ სასიყვარულო-რომანტიკულ თუ ინტიმურ ურთიერთობებში. ასტროლოგიურად ნამდვილად შესაძლებელია ამის გაგება, რადგან, ამ კუთხით, ზოდიაქოს თითოეული ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს თავისი დამახასიათებელი შტრიხი აქვს. ასე რომ, დააკვირდით თქვენს ზოდიაქოს ნიშანს და გაარკვიეთ, რით გამოირჩევით სასიყვარულო ურთიერთობაში და რა იზიდავს თქვენში საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს ყველაზე მეტად. ეროტიკული ჰოროსკოპი კი, არა მარტო შესაბამისი პარტნიორის არჩევაში დაგეხმარებათ, არამედ, საშუალებას მოგცემთ, უკეთ შეიცნოთ საკუთარი თავი და გაერკვეთ თქვენს იდუმალ სურვილებში.***

**ვერძის** ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს მამაკაცთან ურთიერთობისას უყვართ გარკვეული ინიციატივების გამოვლენა. მათ ადვილად შეუძლიათ მამაკაცთან საერთო ენის გამონახვა და ამის გამო არც თაყვანისმცემლების ნაკლებობას განიცდიან. ამ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს ინტიმური კავშირის დროსაც კი არ სიამოვნებთ მამაკაცზე დამოკიდებულება და, არ არის გამორიცხული, ამ დროს ეგოისტურადაც მოიქცნენ.

**კუროს** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ძალიან მგრძნობიარეები არიან, თუმცა, პრეტენზიულები და მომთხოვნები, მაგალითად, საყვარელი მამაკაცისგან ხშირად ითხოვენ ძვირფას საჩუქრებს. ინტიმურ ურთიერთობებში თავიანთი რჩეულების მიმართ თბილები, მოსიყვარულეები და გულღიები არიან, მაგრამ, მათ უყვართ ახალი შეგრძნებების ძიება და მალევე ჰბეზრდებათ ერთფეროვანი სასიყვარულო ურთიერთობები.

**ტყუპების** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები სექსუალურ ურთიერთობებში გონებამახვილობითა და ჭკუით გამოირჩევიან. ერთი შეხედვით შიფრავენ მამაკაცებს და ზუსტად ხვდებიან, რას ითხოვენ ისინი მათგან, ეს თვისება კი მათ ეხმარებათ იდეალური პარტნიორის არჩევისას. უყვართ, როცა დამოკიდებულები არიან საყვარელ ადამიანზე და მათ ენდობიან.

**კირჩხიბის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები შინაგანად ვნებიანები არიან, მაგრამ, ამას არ ამჟღავნებენ. ბევრ მათგანს სჯერა, რომ სექსუალური სურვილების გამოვლენა სისუსტის მაჩვენებელია და ამიტომ თავშეკავებას ამჯობინებენ. უყვართ საყვარელ მამაკაცზე დამოკიდებულება, თუმცა, თუ მათში ვერ დაინახეს ის თვისებები, რასაც ელიან, განშორების ინიციატორები თავად ხდებიან.

**ლომის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები არასდროს აძლევენ საშუალებას გრძნობას, მათზე გავლენა მოახდინოს. მათი უხეშობა მამაკაცთან ინტიმური ურთიერთობის დროს იმით აიხსნება, რომ მათ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ ინტიმურ კავშირზე. ლომები ყოველ ახალ თაყვანისმცემელს ისე აღიქვამენ, როგორც პოტენციურ საქმროს, რაც სასიყვარულო ურთიერთობაში ხელის შემშლელ ფაქტორად ევლინებათ.

**ქალწულის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ქალურობის იდეალები არიან და მამაკაცებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ამ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალი ყველაფერში ენდობა მამაკაცს, მათ შორის – ინტიმურ ურთიერთობაშიც. თუმცა, ნუ ეცდებით მის გამოყენებას, რადგან ის ამას ადვილად მიხვდება და მალე დაგშორდებათ.

**სასწორის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები მეტად ძლიერი პარტნიორები არიან სექსში, გამოირჩევიან მოზღვავებული ტემპერამენტით, თუმცა, რეალურად, ისინი ძალიან ნაკლებ ყურადღებასა და მნიშვნელობას ანიჭებენ ინტიმურ ცხოვრებას.

**მორიელის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ცდილობენ, ჭკვიანურად აირჩიონ სასურველი პარტნიორი და მის გვერდით თავი მშვიდად იგრძნონ. შეუძლიათ ნებისმიერი სიტუაციის კონტროლი, თუმცა, ყოველგვარ კანონსა და წესს ივიწყებენ, როცა საქმე ინტიმურ ურთიერთობას ეხება – ამ დროს ისინი უკომპლექსოები და თავისუფლები არიან. ასევე, ისინი ერთგულებას იჩენენ საყვარელი მამაკაცის მიმართ და, ამიტომ, ყოველთვის შეგიძლიათ, მათ ენდოთ.

**მშვილდოსნის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალების ინტიმურ ურთიერთობებში ფანტაზია უსაზღვროა. მათ შესწევთ უნარი, დატკბნენ ცხოვრებით და ინტიმური ურთიერთობებიდანაც მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ. თუმცა, მათი ნდობა არ ღირს, რადგან, მარტივად შეუძლიათ, მიატოვონ საყვარელი ადამიანი და ზურგი აქციონ მას.

**თხის რქის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალები ყოველთვის ცდილობენ, ჩარჩოში მოექცნენ და არ გასცდნენ მას; თუმცა, ამავდროულად, მეტად მოსიყვარულეები და სექსუალურები არიან და უყვართ ინტიმურ ურთიერთობებში ინიციატივის გამოვლენა, მაგრამ, საშინლად ვერ იტანენ ღალატს და, ამის გამო, შესაძლოა, შურიც კი იძიონ საყვარელ ადამიანზე.

**მერწყულის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალებისთვის აუცილებელია, გვერდით ჰყავდეთ ისეთი მამაკაცი, რომელიც მათ გაუგებს და აჰყვება, ინტიმური ურთიერთობა კი მათთვის მეორეხარისხოვანია; მაგრამ, სამაგიეროდ, მათთვის მნიშვნელოვანია რომანტიკა და სენტიმენტები. ისინი ძალიან აფასებენ ასეთ თვისებებს მამაკაცებში.

**თევზების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებს უადვილდებათ მიზნის დასახვა, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევენ მიზანს. ისინი საკუთარ პარტნიორს აღმერთებენ, რაც ინტიმური ურთიერთობისას მაქსიმალური სიამოვნების მიღებაში უშლით ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალბატონები ბევრი დადებითი თვისებით გამოირჩევიან, მამაკაცები ხშირად აქცევენ ხოლმე მათ ზურგს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1999 წლის 29 ოქტომბერს. რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და რომელ პროფესიაში მელის მეტი წარმატებები ბარიერების გარეშე?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, მაგრამ, ზოგადად, ის საშუალოა. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე; ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, შვედეთის ჩრდილოეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინიის შტატი; თურქეთის დასავლეთი ნაწილი და ბელორუსია. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, პედაგოგიური სფერო, ლინგვისტიკა, უცხო ენები, მთარგმნელობითი საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა, მედიცინა, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 6-7 საათზე. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია დედამიწაზე?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, გამოავლინოთ ხასიათში საუკეთესო თვისებები. რაც მეტად იქნებით აქტიური, ენერგიული, მიზანსწრაფული, მებრძოლი და უშიშარი, მით უკეთ შეძლებთ საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების გამოვლენას; ამავდროულად, თუ იქნებით კეთილშობილი და ოპტიმისტი, დაეყრდნობით ცოდნის ბაზას, მეტად შეასრულებთ თქვენს კარმულ მისიას და მიაღწევთ წარმატებას. ასევე, იყავით მაქსიმალისტი, მიუდექით საქმეს მეტი სერიოზულობით, გამოავლინეთ პასუხისმგებლობა, ხარჯეთ ფული ყაირათიანად და გახადეთ ურთიერთობები სტაბილური.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

7 ოქტომბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„პარირა"** - (ბილეთის ფასი - 7, 8, 9, 10, 12, 15 ლარი), (დიდი სცენა), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ქორეოგრაფიული წარმოდგენა. იდეის ავტორი და დამდგმელი ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე. მონაწილეობენ: ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ქეთევან ხიტირი, ლევან ხურცია, დავით ანანიაშვილი, თამთა ბახტაძე, ეკატერინე ლომინაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

8 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ასული"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12, 15, 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, მანანა გამცემლიძე, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ზაზა ლებანიძე, ნანა ლორთქიფანიძე, ეკა მინდიაშვილი, მარიკა ჭიჭინაძე, დარეჯან ხარშილაძე, მარინა ჯანაშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - მონოსპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

11 ოქტომბერი, **შაბათი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

12 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

7 ოქტომბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯულიეტა, ჯულიეტა"** - (ბილეთის ფასი - 6, 7 ლარი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - პიესის ავტორი და რეჟისორი: იარი იატინენი. მონაწილეობს: ანი ალადაშვილი;

8 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 ოქტომბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

10-11 ოქტომბერი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა. ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

12 ოქტომბერი, **კვირა** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

6 ოქტომბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (მცირე სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - თიყარტრო, თურქეთი. რეჟისორი: ემრე ერდემი. მონაწილეობს - ჰილმი დემირერი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 ოქტომბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„მოსკოვი-პეტუშკი"** - (მცირე სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - სანქტ-პეტერბურგის თეატრი - სახელოსნო, რუსეთი. რეჟისორები: გრეგორი კაზლოვი, ევგენი პერევალოვი, ალიონა არტიომოვა. მონაწილეობენ: ევგენი პერევალოვი, ალიონა არტიომოვა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

8 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ლამბალო და ყაშა"** - (დიდი სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ქუთაისი. რეჟისორები: მამუკა ცერცვაძე. მონაწილეობენ: გოჩა აბაშიძე, როდერ ჩაჩანიძე, ქეთევან შარიქაძე, არჩილ ხვედელიძე, გიორგი ჩაჩანიძე, გიორგი კენჭოშვილი, ამირან ნასყიდაშვილი, თინა მიქაუტიძე, ანზორ ცაბაძე, თამაზ ფანჩულიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

8 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„150 მიზეზი რატომ არ უნდა დაიცვა შენი სამშობლო"** - (მცირე სცენა) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - თეატრი.დოკ, რუსეთი. რეჟისორი: ელენა გრემინა. მონაწილეობენ: ანნა კოტოვა - დერიაბინა, ტატიანა პარშინა, ანასტასია პალტაი, ნატალია საპეტსკაია, ვარვარა ფაერი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966.**

8 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ეჭვი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9, 12 ოქტომბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

10 ოქტომბერი, **პარასკევი** 20.00 - **„შეხვდებით სამოთხეში"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

6 ოქტომბერი, **ორშაბათი** 21.00 - **„ტკივილი არის ახალგაზრდობა"** - (ბილეთის ფასი - 15 ლარი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - სამეფო უბნის თეატრი, თბილისი. რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: თორნიკე გოგრიჭიანი, პაატა ინაური, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

6 ოქტომბერი, **ორშაბათი** 17.00 - **„მაკბეტი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი: იოანე (ვანო) ხუციშვილი. მონაწილეობენ: ევა ხუტუნაშვილი, კახაბერ შარტავა, გაგი შენგელია, ბაჩო ჩაჩიბაია, ნინო ჭოლაძე, თამთა გაბუნია, დავით როინიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, რევაზ ქაროსანიძე, გიორგი ზანგური, სულხან გოგოლაშვილი, აბელ სოსელია, ნიკოლოზ ჯანგავაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

7 ოქტომბერი, **სამშაბათი** 18.00 - **„უფროსი ვაჟი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5 ლარი) - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატურგიული თეატრი. რეჟისორი: გიორგი (გოგი) მარგველაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, ლაშა გურგენიძე, დიმიტრი მერაბიშვილი, ვალერი ხარიუტჩენკო, ალექსანდრე ლუზინეცი, ივანე ქურასბედიანი, მარიამ კიტია, სოფიო ლომჯარია, ინა ვორობიოვა, მედეა მუმლაძე, ნინა კალატოზიშვილი, ქრისტოფორე ფილიევი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 ოქტომბერი, **ოთხშაბათი** 18.00 - **„ჰამლეტი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2014 - ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი, ფოთი. რეჟისორი: დავით მღებრიშვილი. მონაწილეობენ: გიორგი სურმავა, ნიარა ჭიჭინაძე, ჩიტო პატარიძე, რამინ კილასონია, ნოდარ ბჟალავა, თამარ ჭუბაბრია, გენადი შონია, ელგუჯა ქარაია, ალექსანდრე გუჯაბიძე, ომგერ როხვაძე, მარიკა ბუკია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ორშაბათი 6 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ლოლა-ვინ ხარ შენ ლოლა?"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** მხ/ფ **"უცოლო"** **17.00** "ქართული ჯარი" **17.30** "ჩემი წიგნი" **18.30** ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** "არენა" **2014-15** წლის სატელევიზიო სეზონის **23.30** მხ/ფ **"ანჯელას ფერფლი"** **01.50** დ/ფ"მსოფლიო ქალაქები".

**07.30" 08.05" 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **7** სერ. **22.00, 23.00** სერ. **"შუა ქალაქში — 4"**. **00.00** მხ/ფ **"ფართო ნაბიჯით"** **00.00** მხ/ფ **"ძლიერი წვიმა"** (კ.სლეიტერი) **01.50** მხ/ფ **"დრაივი"**.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** გააცინე და მოიგე **23.30** ქ.სერ. **"ქაღალდის ტყვია"** **00.30** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"მაგდანას ლურჯა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი". **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **13.35** კონცერტი - ტრიო "თბილისი" **15.05** აქტუალური თემა **15.25** სპექტაკლი - **"შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი"** **16.50** დ/ფ "პალესტინის სიძველეთა საიდუმლო" **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"რაჭა, ჩემი სიყვარული"** **20.40** ძილი ნებისა **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** წმინდა მეფე აშოტ კუროპალატი **22.25** დ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "შურიმშინე" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანა და მეფე"** I ნაწ. **01.15** ირაო.

**7.00, 1.20** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40** ინ-ფაქტი **18.45** **სერიალი "ნარჩიტა"** **19.50** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.25** ინ-ფაქტი **23.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.20** **სერიალი "დაკარგული ქალაქი"**.

## სამშაბათი 7 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ლოლა-ვინ ხარ შენ ლოლა?"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** "თეატრის დრო" **18.00** "ტელებლოგი" **18.30** ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** **21.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **22.30** მხ/ფ **"კამერა"** (ფ.დანაუეი) **00.20** მხ/ფ **"წვეულება ვეგასში"** **02.10** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"მტრის საწოლში"** **02.00** მხ/ფ **"ძლიერი წვიმა"** (კ.სლეიტერი).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** ქ.სერ. **"ქაღალდის ტყვია"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ **"ანა და მეფე"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი". **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35** დ/ფ "შურიმშინე" **11.10** პატერიკი **11.15** დ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"რაჭა, ჩემი სიყვარული"** **13.25** კონცერტი -ორი ნანა და კვარტეტი **15.05** აქტუალური თემა **15.25** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **15.55** მხ/ფ **"ადამიანთა სევდა"** **17.25** ქვიშით ნაამბობი **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მოკ./ფ **"კირილეს ოდისეა"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი ფონდი" მამა ზურაბ ცხოვრებაძე სიონის ივერიის ღვთისმშობლის ხატი. გვანცელაძე **23.25** დ/ფ "ძველი ქართული საგალობლები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ანა და მეფე"** II ნაწ. **02.15** ირაო.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05** **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30** ბიზნეს კონტაქტი **13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05** **სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45** **სერიალი "ნარჩიტა"** **19.50** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.20** **სერიალი "დაკარგული ქალაქი"**.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**6 – 12 ოქტომბერი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00 - **„მონსტრების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
17.30, 22.30 - **„ანაბელი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
20.00 - **„ლაბირინთში მორბენალი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„სიმინდის კუნძული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30, 19.45, 22.30 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
17.15 - **„მონსტრების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.40 - **„ლაბირინთში მორბენალი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*
17.45, 22.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
20.00 - **„ანაბელი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.40, 20.15 - **„ანაბელი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
17.45, 22.30 - **„ლაბირინთში მორბენალი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)..

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.30, 15.00 - **„მონსტრების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
17.30, 20.00, 22.30 - **„ანაბელი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 20.00 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
14.30 - **„ანაბელი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
17.00 - **„მონსტრების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
22.30 - **„სიმინდის კუნძული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ანაბელი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
14.30 - **„ჯადოსნობა მთვარის შუქზე"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
17.30 - **„ლუსი"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
20.00 - **„ლუსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„ანაბელი"** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.
ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# სპაგეტი ქათმის ღვიძლით











**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქათმის ღვიძლი, 150 გრამი ქამა სოკო, ნახევარი ყაბაყი, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, ოხრახუში, ქონდარი, 5-6 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, სუნელები – შავი პილპილი, კორიანდრი, ორეგანო, ზეთი.

**მომზადების წესი:** ქათმის ღვიძლი დაჭერით და მოშუშეთ ტაფაზე, ცოტა ზეთში; ცალკე დაჭერით სოკო, ყაბაყი დაჭერით კუბიკებად, ხახვი კი – თხელ ნახევარრგოლებად და ყველაფერი ჩაუმატეთ ღვიძლს. შეურიეთ დანაყილი ნიორი, სუნელები, ძალიან წვრილად დაჭრილი მწვანილი, კარგად ამოურიეთ და მოშუშეთ.

ცალკე მოხარშეთ სპაგეტი, ზემოდან მოასხით ბოსტნეულის სოუსი და გემრიელი სადილი მზადაა.

# გოგრის ალადები ვაშლით








**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი გოგრა, 1 ცალი ვაშლი, 0,5 ჭიქა წყალი ან რძე, 4 სავსე სადილის კოვზი ფქვილი, 1 ცალი კვერცხი, მარილი – გემოვნებით, ცოტა ზეთი.

**მომზადების წესი:** გოგრა (რბილობი) და ვაშლი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე, ერთად მოათავსეთ ქვაბში. დაასხით წყალი ან რძე და ჩახარშეთ საშუალო ცეცხლზე. გააცივეთ და შეაზილეთ ფქვილი, კვერცხი, მარილი და გამოაცხვეთ ზეთიან ტაფაზე, როგორც ალადები.

ძალიან გემრიელიცაა და სასარგებლოც. მიირთვით თაფლითა და დარიჩინით.

* იდეალური ტემპერატურა ხილის, ბოსტნეულისა და მწვანილის შესანახად, არის -18, -21 გრადუსი. -8 გრადუსზე პროდუქტი და კონსერვები მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ინახება.





# ხორცის რულეტი

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი საქონლის ხორცის ფარში, 2 ცალი ხახვი, 1 ცალი კარტოფილი, 1 ცალი კვერცხი, 50 გრამი ფუნთუშა (არა ტკბილი), 2 კბილი ნიორი, 4 ცალი ძალიან დიდი ზომის ნიჟარა-მაკარონი, 100 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი სტაფილო, 4 ცალი (კუნწულა) ბროკოლი, 4 სადილის კოვზი 10-პროცენტიანი ნაღები, 50 გრამი მაგარი ყველი, მარილი – გემოვნებით, პილპილი, ზეთი.

**მომზადების წესი:** ხახვი და სოკო ძალიან წვრილად დაჭერით. სტაფილო და ყველი ცალ-ცალკე გახეხეთ. ბროკოლი დააქუცმაცეთ. ხახვი მოშუშეთ ზეთში, დაბალ ცეცხლზე, ჩაუმატეთ სოკო და ერთად მოხრაკეთ. შემდეგ დაუმატეთ გახეხილი სტაფილო და ბროკოლი, მოშუშეთ, ჩაუმატეთ ნაღები, უყავით ცოტა მარილი, მოაყარეთ გახეხილი ყველი და ამოურიეთ.

გიგანტური მაკარონები ამოტენეთ ამ ფარშით.

ხორცის ფარშს კი შეურიეთ: ხახვი, ნიორი, კარტოფილი, რძეში ან წყალში დამბალი ფუნთუშა. შემდეგ – კვერცხი, უყავით მარილი და პილპილი (ხახვი, კარტოფილი და ნიორი წვრილად უნდა გახეხოთ). ფარში კარგად აზილეთ, გაშალეთ საკვებ ცელოფანზე და მიეცით ოთხკუთხა ფორმა. ზემოდან ერთმანეთის გვერდით დააწყვეთ ბოსტნეულით ამოვსებული მაკარონები და რულეტივით გადაახვიეთ.

მოათავსეთ ზეთწასმულ ტაფაზე და გამოაცხვეთ 180-200 გრადუსზე, ერთი საათის განმავლობაში... მაკარონი ორთქლში მოიხარშება და მზად არის.



# სუფლე სოკოთი

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 2 ცალი კვერცხი, 2 სავსე სადილის კოვზი ფქვილი, 2 სადილის კოვზი მაიონეზი, 2 სადილის კოვზი არაჟანი, 2 სადილის კოვზი ნაღები, 500 მილილიტრი რძე, მარილი – გემოვნებით, ზეთი, 50 გრამი მაგარი ყველი.



**მომზადების წესი:** სოკო დაჭერით (რამდენიმე ცალი მოსართავად დატოვეთ) და გამოაშრეთ აირღუმელში 3 წუთის განმავლობაში. წვრილად დაჭერით ხახვი, მოშუშეთ ცოტა ზეთში, ჩაუმატეთ დაჭრილი სოკო, მოშუშეთ თავდახურულ ჭურჭელში და უყავით მარილი.

ცალკე მოამზადეთ სოუსი (მაიონეზი, რძე, არაჟანი, ნაღები, კვერცხი, ფქვილი და ცოტა მარილი, ძალიან კარგად ათქვიფეთ); მოშუშული ბოსტნეული გადაიტანეთ ფორმაში ისე, რომ სითხე არ გააყოლოთ და მოასხით სოუსი (თითქმის უნდა დაიფაროს), მოაყარეთ გახეხილი ყველი და ზედაპირი გაულამაზეთ ცალკე მოტოვებული სოკოებით. გამოაცხვეთ 200 გრადუსზე. 20-25 წუთში მზად იქნება.



# გამომცხვარი ორაგული ბექა ონიანისგან



*როგორც ყველა მამაკაცს, მეც მიყვარს გემრიელად ჭამა. უპირატესობას გემრიელ და ხორციან კერძებს ვანიჭებ, მაგრამ, ფიგურასაც ვუფრთხილდები და, ამის გამო, ვცდილობ, ზედმეტად ცხიმიანი საკვები არ მივირთვა. გამომცხვარი ორაგული კი ის კერძია, რომელიც გემრიელიცაა, მსუბუქიც და, ამავდროულად, ვიზუალურადაც მადის აღმძვრელი.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ორაგულის ფილე (კანის გარეშე), 3/4 ჭიქა თეთრი მშრალი ღვინო, 50 გრამი კარაქი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 ჩაის კოვზი პაპრიკა, 0,5 ჩაის კოვზი პროვანსული ბალახების ნაკრები, 1 სადილის კოვზი ყავისფერი შაქარი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ღუმელი გაახურეთ 180 გრადუსამდე. ღვინოში აურიეთ პროვანსული ბალახების ნაკრები, პაპრიკა, კარაქი და 3 წუთი ადუღეთ. თევზის ფილეს მოაყარეთ მარილი და პილპილი. თევზი დადეთ თუნუქის ფურცელზე, დაასხით ადუღებული ღვინო და ღუმელში 8-10 წუთი აცხვეთ, შემდეგ გამოიღეთ, თუნუქის ფურცელზე დარჩენილ წვენს შეურიეთ მდოგვი და შაქარი, მოასხით თევზის ნაჭრებს და 3 წუთით ისევ შეაბრუნეთ ღუმელში, სანამ დაიბრაწება.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სტაფილოს ჩიფსები

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი დიდი სტაფილო, 0,5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** აირღუმელი გაახურეთ 170 გრადუსზე. სტაფილო გარეცხეთ და გათალეთ, შემდეგ კარტოფილის სათლელით ან ბოსტნეულის სახეხის მსხვილი პირით თხელ, მრგვალ ფირფიტებად დაჭერით. გადაანაწილეთ ქაღალდჩაფენილ თუნუქის ფურცელზე, მოასხით ზეთი და მოაყარეთ მარილი. აცხვეთ 15-20 წუთის განმავლობაში.

# მსუბუქი წვნიანი



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 დიდი თავი ხახვი, 2 სადილის კოვზი ზეთი, 3 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 700 გრამი დაჭყლეტილი პომიდორი, 2 ლიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 5 სადილის კოვზი არაყი, 250 მილილიტრი არაჟანი, მწიკვი შაქარი, მარილი, წიწაკა და ტაბასკოს სოუსი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი გაფცქვენით და წვრილად დაჭერით. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და მოშუშეთ ხახვი. დაუმატეთ ტომატ-პასტა და ურიეთ 1 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ პომიდორი და ბლენდერით დააქუცმაცეთ. დაასხით ბულიონი, დააფარეთ თავსახური და დაბალ ცეცხლზე ხარშეთ 40 წუთის განმავლობაში. სუფრაზე მიტანის წინ დაუმატეთ არაყი. შაქარი, ტაბასკოს სოუსი, მარილი და წიწაკა არაჟანში ათქვიფეთ და ჭამის წინ ჩაუმატეთ წვნიანს.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო




## ორიგინალური „ფარდაგი“

ამ ფარდაგების გაკეთება ძალიან იოლია, თანაც ოჯახში ძალიან გამოსადეგი ნივთია.

დაგჭირდებათ პულვერიზატორიანი სილიკონი-წებო და დეკორატიული კენჭები.

ფარდაგი ნებისმიერი ფორმის შეგიძლიათ გააკეთოთ.

აიღეთ ყველაზე უბრალო ქილოფის საფენი. წაუსვით წებო-სილიკონი და ლამაზად, მჭიდროდ დააწებეთ მასზე დეკორატიული ქვები. მერე, როცა კარგად გაშრება და ქვებიც მყარად ჩამაგრდება, შეღებეთ და – მზად არის.

## ჯინსი-წინსაფარი

ძველი ჯინსის შარვალი თითქმის ყველას გვაქვს გარდერობში. ნუ იჩქარებთ მის გადაგდებას, ჯობია, მშვენიერი, ორიგინალური წინსაფარი შეკეროთ მისგან.

უბრალოდ, კარგად დააკვირდით სურათებს და მიხვდებით, ეს როგორ უნდა გააკეთოთ. შეგიძლიათ, სარჩულად რბილი პოლიეთილენი გამოაკეროთ, მაქმანი კი ნებისმიერი შეურჩიეთ.



ბარდა და ლობიო მაშინ უნდა დაამარილოთ, როცა დარბილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარცვლები არ მოიხარშება.

42-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 8 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "აშენე უფრო დიდი" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ლოლა-ვინ ხარ შენ ლოლა?"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** მხ/ფ **"გაგიჟებული"** **17.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **18.30** ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** მხ/ფ **"ამავე დროს მომავალ წელს"** **00.00** მხ/ფ **"ძმები გრიმების ზღაპრები"** **01.40** დ/ფ "დაოს გზა ანუ უკვდავების ხელოვნება".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **00.00** სერ. **"შუა ქალაქში - 4"** **01.00** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **01.40** მხ/ფ **"ჩე"**.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** "ნანუკას შოუ" **23.30** ქ.სერ. **"ქაღალდის ტყვია"** **00.30** კიმონო **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ **"ანა და მეფე"** II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი". **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ **"კირილეს ოდისეა"** **13.30** კონცერტი - თბილისური ავტოგრაფი **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** აქტუალური თემა **15.20** დ/ფ "იმრავლეით ჩემ გურჯებო" **16.35** დიდ ხარ შენ, უფალო **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" I ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"კასაბლანკა"**.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"კატის თვალი"** **8.15** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **19.50 სერიალი "ქუჩები და გუნები"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერია-ლი "კურტ სეიტი და შურა"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.20 სერიალი "დაკარგული ქალაქი"**.

## ხუთშაბათი 9 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ლოლა-ვინ ხარ შენ ლოლა?"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **18.00** დ/ფ"დიდებული სასახლეები" **18.30** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** "ქართული დოკუმენტა-ლისტიკა" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ **"გამოცხადება"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00, 23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში — 4"** **01.00** მხ/ფ **"წინასწარმეტყველი"** (ტ.რაჰიმი) **03.35** მხ/ფ **"ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი"** (ტიტ.).

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **00.00** სოციალური ცელი **00.30** ქ.სერ. **"ქაღალდის ტყვია"** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** მხ/ფ **"კასაბლანკა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი". **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.40** ჩვენი ფონდი. გვანცელაძე **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება"** **13.10** ივერიის ეკლესია **13.25** კონცერტი - სვიმონ ჯანგულაშვილი - მუსიკალური ცენტრი **15.05** აქტუალური თემა **15.25** მხ/ფ **"თხუნელა"** **17.05** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **17.35** დიდ ხარ შენ, უფალო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ **"თეთრი ქვები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** დ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნეოფიტე ურბნელი" **21.50** "თვენი"ივერიის ღვთისმშობლის ხატის ჩამობრძანება **22.25** დ/ფ "ღმერთს ებარებოდეთ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ჯვარსახოვანი გზა" II ნაწ. **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"მისი მსახურის და"**.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"ბროლის ნილაბი"** **8.10** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30, 13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **19.50 სერიალი "ქუჩები და გუნები"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინ-ფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.20 სერიალი "დაკარგული ქალაქი"**.

## პარასკევი 10 ოქტომბერი

**08.00** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **09.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ლოლა-ვინ ხარ შენ ლოლა?"** **12.30** ტ/სერ. **"ტკბილი" მწარე ცხოვრება"** **14.00** დ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** მხ/ფ **"ბიჭები"** **18.30** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"მოდი ავჯანყდეთ!"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა. **10.05** სერ.**"ბედის ანაბარა"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** რეაქცია (პ/ე) **00.00** სერ. **"შუა ქალაქში — 4"** **01.00** მხ/ფ **"რეალური სამყარო"**(ა.ჰიუსტონი) **02.50** მხ/ფ **"წინასწარმეტყველი"**.

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** ბრავო **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ "**მისი მსახურის და**" **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი". **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.35** დ/ფ "ღმერთს ებარებოდეთ" **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ "**თეთრი ქვები**" **13.20** კონცერტი - "ელ დივო" **15.05** აქტუალური თემა **15.20** მხ/ფ "**ვინ შეკაზმავას ცხენს**" **16.40** დიდ ხარ შენ, უფალო **16.55** კვირიაკე **16.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მოცურავე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**საბრინა**".

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**ბროლის ნიღაბი**" **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **8.40, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** მაესტრო **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** (ახალი ამბები) **9.30** ბიზნეს კონტაქტი დილის გამოშვება **9.50** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.05, 11.05 სერიალი "სიყვარული და ღირსება"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.30** ბიზნეს კონტაქტი **13.00** მაესტრო **13.00** (ახალი ამბები) პ/ე **13.03** ბიზნეს კონტაქტი **13.30, 14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **14.03** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.05, 17.05 სერიალი "1001 ღამე"** **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **19.50 სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "კურტ სეიტი და შურა"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.20 სერიალი "დაკარგული ქალაქი"**.

## შაბათი 11 ოქტომბერი

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **09.00** ანიმაც/ფილმი: "ჭიანჭველების რისხვა" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ლოლა-ვინ ხარ შენ ლოლა?**" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30 კონცერტი**: "აღდგომიდან ამაღლებამდე **13.30** "გურმანია" **14.00** მხ/ფ "**სასახლის არომატები**" **16.30** ქართ. მხ/ფ "**ალყა**" **18.00** დ/ფ "რევოლუცია და მოდა" **19.00** "ეტალონი" **19.53 ფეხბურთი**. ევროპის **2016** წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: **საქართველო – შოტლანდია** (პ/რ) **22.00** მხ/ფ "**მოკრივე**" **23.50** მხ/ფ "**უპირობო სიყვარული**" (რ.ევერეტი) **01.50** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

**07.30** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **1** სერ. **08.00** მხ/ფ "**სავსე მთვარის სამეფო**" **10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00, 22.00** სერ. "**შუა ქალაქში — 4**" **13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.35** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.45, 19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **23.00** შალვა რამიშვილის შოუ **00.00** მხ/ფ "**შემზარავი წინათგრძნობა**" **01.40** მხ/ფ "**რეალური სამყარო**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** კომედი შოუ **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** გააცინე და მოიგე **15.30** პროფილი **18.00** კურიერი **18.40** ვინ დაამარცხებს ვასოს **19.40** იღბლიანი ბორბალი **22.30** განსხვავებული აქცენტები **23.30** რა? სად? როდის? **00.30** ქ.მხ/ფ "**გასეირნება ყარაბაღში 2**" **02.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** დ/ფ "ყველაზე,ყველაზე" **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართულ მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**მოცურავე**" **13.30** დ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - გერი **18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** დ/ფ "თუჯი" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**გაქცევა შოუშენკოდან**" I ნაწ.

**7.00, 1.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მებრძოლი**" **9.00 სერიალი "ასი"** **10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** "პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა პ/ე **11.50, 14.50, 17.50, 18.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **13.05** მხჰფ "**ვედრება**" **15.30** ოთარ ტატიშვილის შოუ **16.30** SV **11** მაესტროზე **17.30** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **18.30** "აბების/ კვირის ანეკდოტები **19.00 სერიალი "ნარჩიტა"** **20.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **22.00 სერიალი "რვაფეხა"** **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **0.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.00** ახალი ამბები **1.20** მხჰფ "**მთამსვლელი**".

## კვირა 12 ოქტომბერი

**08.00** ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" და "გამოიცანი" **09.00** მხ/ფ "**იქ, სადაც მონსტრები ცხოვრობენ**" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**ლოლა-ვინ ხარ შენ ლოლა?**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ვაშინგტონი დღეს" **13.00** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **13.30** "გურმანია" **14.00** მხ/ფ "**ოცნების მოედანი**" (კ.კოსტნერი) **16.30** ქართ. მხ/ფ "**ორფეოსის სიკვდილი**" **18.00 კონცერტი**: ნანა მესხის შემოქმედებითი საღამო **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ჩემი წიგნი" **22.00** მხ/ფ "**თარგმანში დაკარგულნი**" (ბ.მიურეი) **23.40** მხ/ფ "**ძალაუფლება**" (რ.გირი).

**07.30** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **2-3-4** სერ. **09.00** მხ/ფ "**მილიონები**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ბასტი ბუბუ **12.00, 20.55, 22.00, 23.00** სერ. "**შუა ქალაქში - 4**" **13.00** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **14.35** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **16.30** იდენტიფიკაცია **17.50** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.00** მხ/ფ "**დღის ცივი შუქი**" **01.35** მხ/ფ "**შემზარავი წინათგრძნობა**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** "სახლი" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ბრავო **18.40** ექიმები **19.40** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **23.30** ქ.მხ/ფ "**სახლი რომელიც ფანჯრიდან გაიპარა**" **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" **10.15, 19.00, 22.00** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.25** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**სინემა**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.25** დ/ფ "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** "ჩვენი ამბავი" **19.35** მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მოქვი" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ "**გაქცევა შოუშენკოდან**" II ნაწ.

**7.00, 1.00** ახალი ამბები **7.20** ფარული კამერა **7.40** მულტფილმი "**მებრძოლი**" **9.00 სერიალი "ასი"** **10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** ჟურნალისტური გამოძიება "მონიტორი" **11.25** უცნობი ისტორიები **11.50, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "იდ" **13.05** მხჰფ "**მიდიოდა მატარებელი**" **15.30** სუბიექტური აზრი **16.30** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე **17.30** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში **18.30** "ქალაქი და ადამიანი/დოკუმენტური სერიალი **19.00 სერიალი "ნარჩიტა"** **20.15** TV **11** მაესტროზე **22.00 სერიალი "რვაფეხა"** **23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.20** მხჰფ "**იპმანი-2**".

## ვერძი

გააკონტროლეთ ხარჯები და ეცადეთ, ხელმომჭირნეთ ხარჯოთ ფული. მოერიდეთ კოლეგებთან კონფლიქტს. კარგია მოგზაურობა, შეხვედრები, გადაადგილებები, ახალი კავშირების დამყარება. მეტად ყურადღებიანი გახდით საყვარელი ადამიანების მიმართ.

## კურო

მიზანდასახულობა და თვითკონტროლი წარმატებებს გპირდებათ. გაიზრდება სიცოცხლის ხალისი. ქირურგიული ოპერაციები ამ კვირაში არ დაგეგმოთ. ნუ ენდობით უცხოეთში მცხოვრებ, უცნობ ადამიანებს, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ პირად ცხოვრებაში.

## ტყუპები

იყავით მეტად აქტიური. მოერიდეთ გარშემო მყოფებთან დაპირისპირებას და კამათს. ახალ საქმიან შემოთავაზებას კი უფრო ყურადღებით მოეკიდეთ და ისე გააკეთეთ არჩევანი. გაიზრდება თქვენი მომხიბვლელობა და ვნებიანობა. მოერიდეთ უცხო ადამიანებთან კონტაქტს.

## კირჩხიბი

გაიზრდება დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მოგინდებათ თქვენს ჭკუაზე ცხოვრება და მუშაობა. გაიზრდება შემოსავალიც, თუმცა ამისთვის, არ არის გამორიცხული, დამატებითი საქმის შესრულება მოგიწიოთ. იყავით სამართლიანი და ტაქტიანი. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, გართობა და დასვენება.

## ლომი

თავს სტაბილურად იგრძნობთ. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებაში ნიჭის გამოვლენა. იმოქმედეთ დასახული მიზნებით, შეიტანეთ პირად ცხოვრებაში მეტი სიახლე და სიხალისე. მოიცალეთ საყვარელი ადამიანისთვის და მიანიჭეთ მას ბედნიერი წამები. მოგზაურობა კი, ჯობია, დროებით გადადოთ.

## ქალწული

მოერიდეთ ექსპერიმენტებს. მოთმინებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საქმეებს – ასე ადვილად დაძლევთ ბარიერებს. კარგია ცოდნის გაღრმავება და გადაადგილებები. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კამათს, რადგან ნერვიულობა ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე.

## სასწორი

ნიჭი და ენერგია მიმართეთ პროფესიონალური საქმიანობისკენ. ფანტაზიის უნარი დაგეხმარებათ ნებისმიერი სიტუაციიდან თავის დაძვრენაში. ფინანსური ოპერაციები ახლობლების რჩევის გათვალისწინებით დაგეგმეთ. იყავით მეტად დიპლომატიური საყვარელი ადამიანის მიმართ.

## მორიელი

კარგია დასვენება და ოჯახური პრობლემების მოგვარება. სასიყვარულო სფეროში კი, არ არის გამორიცხული, უსიმოვნო ფაქტებს ჰქონდეს ადგილი. ამიტომ, ნუ აჩქარდებით და ნუ დაიწყებთ საყვარელ ადამიანთან საქმის გარჩევას.

## მშვილდოსანი

პროფესიონალურ საქმეში, ჯობია, კოლეგები დაიხმაროთ. წარმატების მისაღწევად დაუჯერეთ ინტუიციას. გაიზრდება კონტაქტებისა და გადაადგილებების რიცხვიც. გამონახეთ დრო ოჯახის წევრებთან ურთიერთობებისთვის. სასიყვარულო სფეროში არსებული პრობლემები კი დიპლომატიურად გადაჭერით.

## თხის რქა

წარმატების მისაღწევად იმოქმედეთ დამოუკიდებლად. ნუ შეგეშინდებათ კრიტიკის და გაითვალისწინეთ სხვების რჩევები. ნურავის მოატყუებთ. საყვარელ ადამიანს კი დაეხმარეთ და მეტი დრო გამონახეთ მის გვერდით გასატარებლად. კარგია მოგზაურობა.

## მერწყული

კარგი გუნება-განწყობა ოპტიმიზმს შეგმატებთ. ადვილად მიიზიდავთ გარშემო მყოფების ყურადღებას. კარგია უცხოელებთან კონტაქტი და საქმიანი კავშირების დამყარება. არ გარისკოთ ფინანსურ საკითხებში. პერიოდულად განმარტოვდით და დაისვენეთ.

## თევზები

მოიმატებს ოპტიმიზმი და თავდაჯერებულობა. მეგობრები მხარში დაგიდგებიან. მომხიბვლელობის წყალობით ბევრი საქმის მოგვარებას შეძლებთ. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. შინაგან დაძაბულობას ბუნებაში გასვლით მოიხსნით. თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა კი, სხვების განხილვის საგნად იქცევა.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 24 ოქტომბერი 21:15 სთ.**

### ორშაბათი

ნუ აჩქარდებით, იმოქმედეთ მშვიდად და დაკვირვებულად. მოერიდეთ საიდუმლო საქმეებს, სასიყვარულო კავშირებს. ატარეთ მწვანე, იისფერი, ლურჯი, ფირუზისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი ან ალექსანდრიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, შემოქმედებითი მუშაობა, უცხოელებთან კონტაქტი. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, კაპიტალდაბანდება, სასიყვარულო ურთიერთობები. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, ვერცხლისფერი, იისფერი, წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ამეთვისტო, მარჯანი, გიშერი, ლალი, იაგუნდი, ძოწი ან იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. იყავით ყურადღებით ცხოვრებისეული ცვლილებების მიმართ. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ხელშეკრულების დადებას. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა და მთვარის დაბნელება – მძიმე, დაძაბული ენერგიებისა და მოვლენების დღე. მაღალია აგრესიის გამოვლენის, კონფლიქტების, ტრავმების, ავარიების, ცდუნებების, შეცდომების დაშვების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობა. ამიტომ, იყავით ფრთხილად და ყურადღებით. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს; მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, თმის შეჭრას. ატარეთ თეთრი, იისფერი, ლურჯი ან წითელი სამოსი; ქვებიდან კი – ამეთვისტო, გიშერი, ლალი ან ძოწი. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### ხუთშაბათი

მოიმატებს ენერგია, ოპტიმიზმი, აქტიური მოქმედების სურვილი. არ გირჩევთ ფინანსურ ოპერაციებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, ხელშეკრულებების დადებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ცისფერი, ყავისფერი, მწვანე, ლურჯი ან ლიმონისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, მალაქიტი, იაგუნდი, იასპი ან ძოწი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი ან მარგალიტი. ყურადღება მიქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ რისკს, აკონტროლეთ ხარჯები. კარგია სასიყავრულო ურთიერთობები, მეგობრებთან კონტაქტი, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, მოგზაურობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინულ ისისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი

აკონტროლეთ ხასიათში წყენა და ეჭვიანობა. კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, ახალი ნაცნობობა. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, მწვანე იასპი, ქრიზოპრაზი ან ლაბრადორი. ყურადღება მიქციეთ სიზმრებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გართობა, ადრე დაწყებული საქმეების დასრულება, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული და სასუნთქი სისტემები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

კარგია მეგობრული კონტაქტები, სწავლა, შემოქმედებითი მუშაობა, მოგზაურობა. მოერიდეთ თმის შეჭრას, რემონტის დაწყებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, კრემისფერი, ცისფერი ან იასამნისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ნეფრიტი, სარდიონი, აკვამარინი ან ამაზონიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ბაბაჯანაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბაბაჯანა**, რომელიც შედგენილი სახელია.

1721 წელს ლუარსაბ ვარაზაშვილის ყმად მოიხსენიება ბერუა **ბაბაჯანაშვილი**.

საქართველოში 23 **ბაბაჯანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 8, ლაგოდეხში – 4, გარდაბანში – 3. არიან სხვაგანაც.

### ბერძენაშვილი

გვარის ფუძეა ეთნონიმად ქცეული სახელი – **ბერძენი**; ასევე, გვხვდება მეტსახელი – **ბერძენა**.

1721 წელს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ვინმე **ბერძენა** ჯვარშეიშვილი.

1638 წელს მოსე მაღალაძის მიერ თავის განაყოფ სახლთუხუცესის, გიორგი მაღალაძისთვის მიცემულ ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ვინმე **ბერძენა**.

1721 წელს ალგეთში ცხოვრობდა აზნაური ოთარ **ბერძენაშვილი**, რომელიც სახლთუხუცესი და თავად ამილღაბარ გოსტაბაშვილის მემამულე იყო.

იორდანე **ბერძენაშვილი** 1843 წელს ცხოვრობდა ყვარელში.

ამავე ძირისაა გვარები: **ბერძენიშვილი, ბერძენიძე, ბერძენაძე, ბერძული.**

საქართველოში 2 662 **ბერძენაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 1 050, ჩოხატაურში – 319, რუსთავში – 146. არიან სხვაგანაც.

### აფხაზიშვილი – აფხაზაშვილი

**აფხაზი** – ტომის აღმნიშვნელი სიტყვაა, აქედან კი მომდინარეობს გვარები: **აფხაზი, აფხაზავა, აფხაზიშვილი, აფხაზაშვილი.**

„სატომო სახელთაგან ზოგი ისევე წმინდა ფუძით გვხვდება გვარად, როგორც ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგალითად: **აფხაზი**, ბერძენი, დვალი, ლაშხი, მესხი, სვანი და ასე შემდეგ“.




„თავადი **აფხაზიშვილი** – ესენი არიან **აფხაზეთიდან** მოსულნი, ოდეს იწყეს მამადინობა **აფხაზთა**. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიიღო თავადობისა ხარისხითა **აფხაზად** წოდებულნი, რომელნიც იწოდებიან აწ **აფხაზისშვილებად** და უბოძა კარდენახს სახასო მამულნი და ყმანი და მუნ სცხოვრობენ. მუნ ჟამიდან წელსა 1636-სა არიან ერთ სახლად“.

ალგეთში, დვალათას ხევის მარჯვენა მხარეს, ბოღრანეთის სამხრეთით, ხორბუკის აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით, 1654 წელს მოიხსენიება მებატონე **აფხაზი**.

საქართველოში 151 **აფხაზიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 101, გარდაბანში – 28, გურჯაანში – 9. არიან სხვაგანაც.

95 **აფხაზაშვილი**.

### ბაბუხარდია

ამ გვართან დაკავშირებით, ხალხში შემონახულ თქმულებებში, წინაპრებიდან მეხსიერებით გადმოცემული ძალიან ბევრი საინტერესო მასალაა შემონახული.

მაგალითად, **ბაბუხარდიათა** გვარის შესახებ, ბატონი შალვა **ბაბუხარდია** ასეთ ინფორმაციას გვაწვდის:

„მეცხრამეტე საუკუნეში, სვანეთში, კერძოდ, მესტიაში, ცხოვრობდა ორი ძმა – გელოვანი. დედ-მამა ადრე გარდაეცვალათ და ბაბუა ზრდიდა. ერთ დღეს, რომელიღაც მეზობელმა ბავშვებს ბაბუა მოუკლა და ობლები მეზობლების ანაბარა დატოვა. როცა ბიჭები წამოიზარდნენ, ერთ-ერთმა მეზობელმა მიანიშნა მათ ბაბუის მკვლელზე – მას თქვენი სისხლი ჰმართებსო. ტრადიციამ თავისი გავლენა მოახდინა ძმებზე და მათ მკვლელის ოჯახის რამდენიმე წევრი მოკლეს, შემდეგ გაიქცნენ იმ ადგილიდან და ერთი ძმა იმერეთს შეეხიზნა, მეორე კი კახეთში გადავიდა. იმერეთში გადასახლებულმა ძმამ ნამდვილი გვარი დამალა და გვარად **ბაბუა** დაირქვა. ამ თქმულების მიხედვით, მას სოფელში **ბაბუხარდი** შეარქვეს. გვარმა დროთა განმავლობაში სახე იცვალა და **ბაბუხარდია** გახდა. კახეთში გადასული ძმა კი გელოვანის გვარით დასახლდა. იქ დღესაც ცხოვრობენ გელოვანის გვარის წარმომადგენლები“.

**ბაბუხარდიები** დღეს სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ. ტყიბულის რაიონში არის სოფელი კითხიჯი, რომელიც მთლიანად **ბაბუხარდიებით** არის დასახლებული; ასევე, **ბაბუხარდიები** ცხოვრობენ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთშიც.

საქართველოში 453 **ბაბუხარდია** ცხოვრობს: ქუთაისში – 175, ტყიბულში – 113, თბილისში – 69. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# როგორ იყოფა სვანეთში ქონება და რატომ ამაყობს ამით სოსო ჯაჭვლიანი

(მე-12 გვერდიდან)

მართლით: მამას ჰყავს ოთხი ვაჟი და უნდა გაუყოს ქონება. ამას ისე აკეთებს, გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება, გენიოსების მოგონილია. მამა ეუბნება უფროს ვაჟს – გაყავი ქონება ოთხ ნაწილადო. ისიც ყოფს, მაგრამ, პირველად ქონების ერთ-ერთ ნაწილს ირჩევს უმცროსი, მერე – დანარჩენები და, მხოლოდ ბოლოს იღებს უფროსი იმას, რაც დარჩება. ხვდები, რაშია ამ წესის გენიალურობა? უფროსმა არასდროს არ იცის, რომელი ნაწილი შეხვდება, რაც დარჩება, ის არის მისი. თუ პრეტენზიას გამოთქვამს, მამა ეტყვის – შვილო, შენ არ გაყავიო? ამიტომ, თავი უნდა მოიკლას და თანაბრად გაყოს.

**– გოგოს რომ არ აძლევენ სვანები ქონებას?**

– გოგომ სხვა გვარი უნდა გაამრავლოს და ამიტომ იმას არ სვამდნენ ქონების წილში, მაგრამ, ატანდნენ მზითევს – ძალიან კარგად ატანდნენ, რისი საშუალებაც ჰქონდათ...

უამრავი ქართული სიტყვის მნიშვნელობა მხოლოდ სვანურით იშიფრება. ისეთი სიტყვები, სულ რომ გესმით, მაგრამ, არსს ვერ ხვდებით. მაგალითად – „ქორწილი." ხომ ვერ ამიხსნით მის მნიშვნელობას? სვანი სვანს რომ ელაპარაკება და ეტყვის ქორწილი, მას ასე ესმის – „ქორ“ არის სახლი და „წილი" – წილია... ქალიც სახლის წილს დებს და კაციც, სახლის წილია ეს. სვანურად წყალს ჰქვია „ლიცი“, აქედან არის სიტყვა „ლიცლიცი". ვიჯექი და წინ წყალი ლიცლიცებდაო... ღორს სვანურად ეძახიან „ხამ“ – აქედან მოდის „ხამი კაცი" – ღორიაო, რა!.. ასე რომ, გაგვიფრთხილდით სვანებს *(იცინის)* – ბრილიანტებს.

ვილნიუსში, სწორედ იმ დარბაზში, სადაც სამიტი გაიმართა და ქართველებს „შალახო" დაგვიკრეს, მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა მკლავჭიდში და თოთხმეტჯერ დავაკვრევინეთ ნაკრებმა საქართველოს ჰიმნი. ამ დროს, მკლავჭიდელებს დაფინანსება გვაქვს ნული ლარი. ზომიერების გრძნობა გვაკლია ქართველებს და საქმის ერთგულება. გამოვლენ, დადგებიან და იწყებენ: „დღევანდელი პლურალიზმის დროს, არ გვინდა მენტორული ლაპარაკი, თორემ, სტაგნაციაში ჩავარდება საზოგადოება და ლავირებას ვერ გაუკეთებს საღ აზრებს... საღი აზრების იმპლიმენტაცია რომ მოხდეს, ამისთვის საჭიროა"... – ვუსმენ და ვფიქრობ: ჩემს ენაზე მელაპარაკე, შენი დედაც... ან აქეთ იყავი, ან იქით, რას ტრიალებ...

**– პარლამენტშია ასე?**

– სამწუხაროდ, ყველგან ასეა და პარლამენტშიც. როცა ვატყობ, ამ კაცისგან არაფერი გამოდის, მე ვამბობ პირდაპირ – წადი, შენი დედა-მეთქი. ასეთები ვართ სვანები... ქართველობაც არის ძალიან ძნელი... უცებ რუსლან მიქაბერიძის ერთი ფუნაგორია გამახსენდა: „გასწრება არის ძალიან ძნელი, წინ როცა მიჰქრის „დაცუნი“ და უკან მოგაძაგძაგებს „ზაპოროჟეცი“ კაცური“. „ზაპოროჟეცის“ მდგომარეობაში რომ იყოს ქვეყანა, რა გვიჭირს...

ზურა ქაფიანიძე ამბობდა, ხუთი ათასი წლის ისტორია აქვს ღვინოსა და სადღეგრძელოსო მე ვეუბნებოდი – არა, სამი ათასი, სამი ათას ხუთასის-მეთქი. ხუთასი წლის ისტორიაც რომ ჰქონდეს, ხუთასი წელი ადამიანი სადღეგრძელოთი გეუბნება, წესიერად მოიქეციო და შენ მაინც ასე უწესოდ იქცევი, რა დონის „გამოსირებული“ ხარ... მარადიული მარტო ის ღირებულებებია, რომლებიც მორალით არის აღჭურვილი. თუ ეს არ არის, მაშინ ჩემთვის კანონი ნულის ტოლი ხდება... მარადიული არის უფალი და სამშობლო, დანარჩენი ყველაფერი წარმავალია... გულწრფელობას ვუსურვებ ყველა ქართველს. მოკლემეტრაჟიანი ფილმის სცენარზე კონკურსი გამოცხადდა პირველ სიყვარულზე. ყველამ გოგოსა და ბიჭის სიყვარულზე დაწერა. მე კი დავწერე: ჩემი პირველი სიყვარული ველოსიპედი იყო და პირველად მუშაობაც იმიტომ დავიწყე, რომ მეყიდა-მეთქი. ჩემმა სცენარმა გაიმარჯვა – გულწრფელი იყო და იმიტომ...

**ნინო წულუკიძე**

# რაც გაცვია – ის ხარ!

*დიდი მნიშვნელობა აქვს, რა გაცვიათ. მარტო იმიტომ არა, რომ რესპექტაბელურად გამოიყურებოდეთ; უბრალოდ, ჩაცმის სტილი თქვენს ხასიათზეც მეტყველებს.*

**1. ცდილობთ, ყოველ სეზონზე თქვენს გარდერობს რაღაც ახალი და მოდური შეჰმატოთ, თუნდაც ამის აუცილებლობა არ არსებობდეს?**

დიახ – 3 ქულა; არა – 0 ქულა.

**2. რომელ ქსოვილს ანიჭებთ უპირატესობას?**

ა) ძირითადად ერთს – სადა ტონებში უნდა იყოს – 3 ქულა;
ბ) გარდამავალ ფერებში – 2 ქულა;
გ) მნიშვნელობა არა აქვს – 0 ქულა.

**3. რომელ სტილს ანიჭებთ უპირატესობას?**

ა) კლასიკურს – 0 ქულა;
ბ) სპორტულს – 3 ქულა;
გ) იმას, რომელიც მოდაშია – 5 ქულა;
დ) ულტრამოდურსა და უჩვეულოს – 7 ქულა.

**4. გყოფნით სითამამე, ჩაიცვათ რადიკალურად ექსტრავაგანტური სამოსი?**

ა) დიახ – 5 ქულა;
ბ) გააჩნია სიტუაციას – 3 ქულა;
გ) არა – 0 ქულა.

**5. მოგწონთ მჭახე, თამამი ფერები?**

ა) დიახ – 5 ქულა;
ბ) იშვიათად – 3 ქულა;
გ) არა – 1 ქულა.

**6. გიყვართ და ხშირად იცვამთ:**

ა) სპორტულ მაისურებს – 3 ქულა;
ა) მკაცრი სტილის კოსტიუმებს – 2 ქულა;
გ) რაც ხელში მოგხვდებათ – 1 ქულა.

**7. იხურავთ ქუდს ან შლაპას?**

ა) დიახ, ყველაზე მოდურს – 7 ქულა;
ბ) იშვიათად – 4 ქულა;
ა) არა – 0 ქულა.

**8. როგორი სტილის ჩანთები მოგწონთ?**

ა) ძირითადად, ზანდუკის ფორმის, სამგზავრო – 4 ქულა;
ბ) სპორტული სტილის – 3 ქულა;



გ) „კეისები“ – 0 ქულა.

**9. გიყვართ, როცა ბევრი და სხვადასხვა სტილის ფეხსაცმელი გაქვთ?**

ა) დიახ – 3 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**10. არის თუ არა თქვენს გარდერობში თუნდაც ერთი „ჰენდ-მეიქი“?**

ა) დიახ – 3 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**11. სახლში ძირითადად რა გაცვიათ?**

ა) შარვალი და ჯემპრი – 5 ქულა;
ბ) სპორტული კოსტიუმი – 3 ქულა;
გ) ძველი ტანსაცმელი – 0 ქულა.

**12. გიყვართ აქსესუარები?**

ა) დიახ, ძალიან – 7 ქულა;
ბ) არც ისე, მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა – 5 ქულა;
გ) მხოლოდ საათი – 3 ქულა.
დ) არა – 1 ქულა.

**13. რომელი ნახატი მოგწონთ ქსოვილზე?**

ა) ყვავილები – 7 ქულა;
ბ) ზოლები – 5 ქულა;
გ) გეომეტრიული ფიგურები – 3 ქულა.

**ნახეთ შედეგები**

*5-11 ქულა: დაკვირვებული ადამიანი ხართ. გიყვართ სიმშვიდე და სტაბილურობა. არ ხართ ძალიან გახსნილი, ახალ ნაცნობთან ურთიერთობას ძნელად იწყებთ. გამოირჩევით პასუხისმგებლობით.*

*12-25 ქულა: წინააღმდეგობრივი ხასიათი გაქვთ: უმიზეზოდ ხან კარგ გუნებაზე ხართ, ხანაც – ცუდზე. საქმეში გამოირჩევით სისწრაფითა და სისხარტით, თუმცა, გახასიათებთ აპათიურობაც.*

*26-37 ქულა: „ოქროს შუალედი“ გაქვთ ყველაფერში. კარგად ფლობთ საკუთარ თავს. კეთილგანწყობას მანამდე ავლენთ, სანამ წინ ვინმე გადაგეღობებათ და მაშინ სასტიკიც კი ხდებით; თუმცა, მეგობრებისთვის საიმედო დასაყრდენი ხართ.*

*37 ქულაზე მეტი: ასაკის მიუხედავად, მუდმივად ახალგაზრდა ხართ. გაუტეხელი, ოპტიმისტი და შეუპოვარი; მგრძნობიარე და ემოციურიც ხართ, გაქვთ ფანტაზიის კარგი უნარი და, საერთოდაც, გიყვართ სიცოცხლე...*

# უნიკალური მკვლელი

ზვიგენი პლანეტის ერთ-ერთი უნიკალური ბინადარია. ამ თევზმა წარმატებით გაუძლო გამყინვარების პერიოდს და კიდევ უამრავ კატაკლიზმს, რაც ვერ შეძლეს, მაგალითად, დინოზავრებმა. ზვიგენი ისეა აგებული, რომ კიდევ ბევრ უბედურებას გაუძლებს, განსხვავებით ადამიანისგან...



ორგანიზმი ისე აქვს მოწყობილი, რომ ზვიგენს თავად შეუძლია არეგულიროს ოკეანის წყალში მარილის შემცველობის დონე. ამიტომაც ანტარქტიკის მასობრივი ლღობა მას არ აშინებს. ჟანგბადის დეფიციტი კი ვერანაირ პრობლემას ვერ შეუქმნის, რადგან ზვიგენს და მხოლოდ მას აქვს უნარი, ნებისმიერ დროს „გამორთოს“ ტვინის ნახევარი და „მიიძინოს“ უკეთესი პერიოდის დადგომამდე. ზვიგენს უნიკალური მხედველობა აქვს, კატებზე გაცილებით კარგი. შესანიშნავად ხედავს ძალიან მღვრიე წყალშიც, 15 მეტრის დაშორებით. წამში არჩევს 45 კადრს, მაშინ, როცა ადამიანს, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ 24 კადრის გარჩევა შეუძლია. სულ ახლახან კი გაირკვა, რომ ზვიგენი სამყაროს ფერადად აღიქვამს. ზვიგენი მშვენივრად ორიენტირებს დახუჭული თვალებითაც სრულ სიბნელეში. ამაში მას თითქმის უნიკალური სმენა ეხმარება. მას მარტო ყურებით კი არა, მთელი თავის ქალით „ესმის“. რაც შეეხება ყნოსვას, ის ზვიგენს ორმაგად საშიშს ხდის – ისინი სისხლის სუნს წყალშიც კი შეიგრძნობენ. აქვს 27 000 გემოს რეცეპტორი. ასევე, შეუცდომლად პოულობს თევზების ქარავანს. ზვიგენის გარშემო ყოველთვის ზემგრძნობიარე ელექტრული ველია შექმნილი. გრენლანდიის ზვიგენებს თვალები და თავის ნახევარი უნათებთ.

ნადირობის თავისებური მეთოდი აქვს ზვიგენ-მელიას, რომელსაც მთელი ტორსის ნახევარზე მეტი კუდი აქვს და ამ კუდის მოქნევა საკმაოდ დიდ დიამეტრზე შეუძლია. სწორედ კუდის დარტყმით ანადგურებს თავის მსხვერპლს. ოკეანეში ყველაზე დიდი თევზი სწორედ ზვიგენის ნაირსახეობას განეკუთვნება. ეს არის ვეშაპის მსგავსი ზვიგენი. მაგრამ ზვიგენი არც ისეთი სისხლისმსმელია, როგორი წარმოდგენაც აქვთ მასზე. მაგალითად, ორი საუკუნის განმავლობაში თეთრი ზვიგენი 244-ჯერ დაესხა თავს ადამიანს და აქედან მხოლოდ 65 შემთხვევა დასრულდა ტრაგედიით.

**გვერდი მოამზადა ელენე წულუკიძემ**

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-39(718)**

თიკომ ამოიოხრა და ვიწრო, მოკლე კაბა მუხლისთავებისკენ ჩამოიქაჩა... ის ვილაც ბეჟანი უკვე ათი წუთი იყო, რაც ალოდინებდა. გუშინ საღამოს ლენუკამ დაურეკა და გააფრთხილა, ბეჟანი გელოდება და არ დააგვიანო. კარგად მოემზადე, შენ რომ იცი, ისე; უნდა მოეწონო... შენი იმედი მაქვს და არ დამალალატოო. ნერვები ეშლებოდა, როცა იმაზე ფიქრობდა, ბეჟანისთვის თავი რომ უნდა მოეწონებინა...

– თქვენ ხართ თიკო? – მოესმა მამაკაცის შემპარავი ხმა და თავი ასწია. კაბინეტის ღია კარში საშუალო სიმაღლის, საფეთქლებთან ოდნავ თმაშევერცხლილი მამაკაცი იდგა და ულიმოდა. პირველი, რაც მაშინვე შეამჩნია და ჯეროვნადაც დააფასა, ბეჟანის უზადო კოსტიუმი და გემოვნებით შერჩეული ფეხსაცმელი იყო. გაიფიქრა, ნეტავი, ბეჟანი ვინ დაარქვაო და კეკლუცად წამოდგა ფეხზე.

– დიიახ, – გაწელა სიტყვა და ხელი გრაციოზულად გაუწოდა.

– ლენოჩკა მელაპარაკა თქვენ შესახებ, მაგრამ, არ უთქვამს, ასეთ მშვენიერ ქმნილებასთან თუ მექნებოდა საქმე... სამსახურს ეძებთ, ხომ?..

თიკო დაიბნა. რა ეთქვა, არანაირ სამსახურს არ ვეძებ, ლენუკას ახირების შესასრულებლად ვარ აქ მოსულიო?! ამიტომ, რაც ენაზე მოადგა, ის წამოროშა:

– იცით, რაშია საქმე? მინდა, მეტი ვიცოდე საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, ადამიანები გავიცნო, ურთიერთობები დავამყარო... ერთფეროვნება მბეზრდება ხოლმე და...

– ვიცი, ვხვდები... მეც ზუსტად თქვენნაირ თანამშრომელს ვეძებდი. ძალიან გამიმართლა. ლენუკასთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. შემობრძანდით, კაბინეტში ვისაუბროთ. ყავასაც ახლავე მოგვიტანენ...



„აჰა, ესე იგი, ყავის მომდუღებელი უკვე ჰყავს. საინტერესოა, მე რა თანამდებობას მიმზადებს. მართლა დამლაგებლობას ხომ არ მიპირებს?“ – გაიფიქრა თიკომ და გემოვნებით მოწყობილი კაბინეტი კმაყოფილი ღიმილით შეათვალიერა.

– კარგი გარემოა თქვენთან, საქმიანი...

– მოგწონთ? მიხარია. თქვენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რატომ გელიმებათ, ჩემი არ გჯერათ?

– პირიქით, – გაიბადრა თიკო, – არ მოველოდი, აქ ასეთი გარემო თუ დამხვდებოდა და, სიმართლე გითხრათ, ცოტას ვყოყმანობდი კიდეც, მოვსულიყავი თუ არა, როცა ლენუკამ დამირეკა...

– ანუ, შეიძლებოდა, არ მოსულიყავით? – კაცის ხმაში შეშფოთებამ გაიჟღერა.

– მთავარი ის არის, რომ მოვედი, – თიკო ხალისიანად აკისკისდა. თანდათან სულ უფრო მოსწონდა ბეჟანი, რომელიც უკვე აშკარად ეფლირტავებოდა.

– ჰო, გეთანხმებით... აი, ყავაც მოგვიტანეს.

– ბატონო ბეჟან, საქმეზე ხომ არ გადავიდეთ? – ჰკითხა უცებ თიკომ. ბეჟანს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს – მისი აღტკინება ერთბაშად ჩაცხრა და მოიწყინა.

– მე კი თქვენთვის ჩემი საფირმო კოქტეილის მომზადებას ვაპირებდი...

– ბატონო ბეჟან, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენთ ჩემი პერსონის მიმართ. მე კი მინდა, ვიცოდე, რისი გაკეთება მომიწევს.

– ძალიან მონდომებული ხართ და ეს კარგია... კოქტეილს კი მე ყველას არ ვთავაზობ.

– მესმის და ვაფასებ თქვენს სტუმართმასპინძლობას, გულწრფელად გეუბნებით, მაგრამ, ბოროტად ვერ ვისარგებლებ.

– კარგი. გეტყვით, რაც მაინტერესებს. სამსახურში მიღებული ხართ. თანაშემწე მჭირდება და, ვფიქრობ, ამ ვაკანსიაზე თქვენზე უკეთესს ვერავის მივიღებ.

– თქვენი თანაშემწე? – თიკომ გაოცებით ასწია წარბები, – კი მაგრამ, რა უნდა გავაკეთო?

– მე ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს. ბევრი სტუმარი ჩამომდის და თქვენ უნდა დამეხმაროთ – დახვდეთ, დააბინავოთ. მძღოლიც გეყოლებათ და კიდევ დაგეხმარებით რაღაცეებში. ჰო, ალბათ, გაინტერესებთ, ანაზღაურება რამდენი გექნებათ... დასაწყისისთვის ათას ორას ლარზე გაგიფორმებთ კონტრაქტს – ხელზე აიღებთ ამდენს, მერე ვნახოთ...

თიკომ ყურებს არ დაუჯერა – ასეთ შემოთავაზებაზე ვერც იოცნებებდა. თავი ხელში აიყვანა, სიხარული რომ არ გამოემჟღავნებინა. გუნებაში ლენუკას მადლობა შეუთვალა და დანაზებული ხმით იკითხა:

– რამე არასწორად რომ გავაკეთო? თქვენი სტუმრები, ალბათ, უცხოელები არიან.

– დიახ, უცხოელები არიან, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდანაც მყავს პარტნიორები. საკმაოდ სერიოზული კომპანია ვართ. ჩვენს აშენებულ ბინებზე დიდი მოთხოვნაა. ალბათ, მივლინებებში მოგვიწევს წასვლა... ერთი სიტყვით, მოსაწყენად ნამდვილად არ გეცლებათ, მეც არ დავუშვებ ამას...

თიკოსთვის უკვე ყველაფერი გასაგები იყო. ეს კაცი აშკარად „აბამდა“, მაგრამ, ისიც აღმოაჩინა, რომ ცოტათი მოსწონდა კიდეც ეს ამბავი. კარგად გავერთობიო, იფიქრა, ხელფასმა ხომ, საერთოდ, აღაფრთოვანა.

– როდის შემიძლია, შევუდგე მუშაობას?

– ხვალიდანვე. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს შესანიშნავად გაართმევთ თავს. კოქტეილზე ისევ უარს მეუბნებით?

– სხვა დროს იყოს. საჭესთან ვარ და...

– თუ მხოლოდ ეგ არის პრობლემა, თქვენი მანქანა აქ დატოვეთ, სადგომზე და სახლში ჩემი მძღოლი წაგიყვანთ. დილითაც მოგაკითხავთ...

– მადლობელი ვარ, მაგრამ, დღეს არანაირად არ გამოვა. მეგობარს უნდა გავაუარო.

– აა, ლენუკას, ხომ? – სიცილით დაუქნია თითი ბეჟანმა, – რა ხართ ეს ქალები... უკვე ვიცი, რაზეც ილაპარაკებთ და, იმედი მაქვს, ჩემთვის კეთილ სიტყვას არ დაინანებთ. კარგი, ხვალ გელოდებით.

ბეჟანმა თიკო კარამდე მიაცილა, ხელზე აკოცა და დიდხანს უყურებდა მიმავალს...

***

ლენუკამ სავარძელში ფეხმორთხმით მოიკალათა, ყავა ნეტარებით მოსვა და თიკოს მიაშტერდა.

– მიდი, დროზე მოყევი, მოგეწონა ბეჟანი? გაუგეთ ერთმანეთს? რა უნდა გააკეთო?

– მომათქმევინე სული, – თიკომ ფეხსაცმელები და ხელჩანთა შემოსასვლელში დაყარა, დივანზე ჩამოჯდა და ნეტარებით გაიზმორა:

– უჰ, დავიღალე. ვერ ვიტან მაღალ ქუსლებსა და ვიწრო ქვედაბოლოებს...

– ისე, ძალიან მოგინდომებია, კარგად გამოიყურები, – ტუჩები მოწონებით მოპრუწა ლენკუამ, – გადარიე ბეჟანი?

– შენ იცინი და, უკვე მეფლირტავება... ისე, კარგი ტიპია, რომ არ ველოდი, ისეთი... რატომ არ მითხარი, ასეთი სიმპათიური თუ იყო?

– ვინ, ბეჟანი? მართლა სიმპათიურია? შენ ასე ფიქრობ? ხომ არ მოგეწონა და შეგიყვარდა?

– ჰმ, ძალიან გამხიარულდი. ახლა მე მკითხე, რა ვქნა. მინდა-არ მინდა, უნდა დავიწყო მასთან მუშაობა, რაც დიდად არ მხიბლავს – ამდენი თავისუფალი დრო კი აღარ მექნება!

– ნუ წუწუნებ. ყავის მოდუღებას რა უნდა.

– რა? ყავის მოდუღება? ძალიან გეშლება და საერთოდ არ აფასებ ჩემს შესაძლებლობებს, – ამაყად განუცხადა თიკომ და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

– მოიცა, ამით რისი თქმა გინდა... ბეჟანს ხომ არ უნდა ვეჩხუბო? გოგო, რა გაცინებს, მართლა დამლაგებლობა შემოგთავაზა? მოვკლავ მაგას!

– თავი დაანებე ბეჟანს. სხვათა შორის, საკმაოდ სწორად მიხვდა, რა მინდოდა ყოველთვის და, ისეთი რაღაც შემომთავაზა, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი...

– თიკო, ნუ დამაწყვიტე ნერვები!

– კარგი, გეტყვი – თავის თანაშემწედ ამიყვანა... ვოტ!

– მოიცა, ეგ რას ნიშნავს? – დაბნეული მზერა მიაპყრო ლენუკამ მოღიმარ თიკოს.

– ვაიმე, რა ვერ გაიგე? არ იცი, დიდი და წარმატებული მმართველის თანაშემწეობა რას ნიშნავს? მის კომპანიებს, ინვესტორებს უნდა შევხვდე; მივლინებებში ვიარო; მძღოლიც მომემსახურება და, საერთოდ, ხვალიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ. იცი, ხელფასი რამდენი მექნება? ათას ორასი ლარი და ეს – დასაწყისისთვის...

ლენუკამ ტუჩები აიბზუა:

– შენ ხომ არ დაგავიწყდა, რისთვის მიგიყვანე მანდ? რაღაც, ძალიან ხარ აღფრთოვანებული... იცოდე, იმედი არ გამიცრუო.

– კარგი რა, ლენუკა, ნუ იცი ხოლმე „პრაზნიკის" ჩაშხამება. ხომ უნდა მოვირგო ჩემი როლი, პირდაპირ ხომ არ მივუვარდები იმ ქალს – გამიცანი და დამიმეგობრდი-მეთქი? თანაც, მომწონს, ჩემი ფული რომ მექნება.

– ეს „ჩემი ფული" რას ნიშნავს, აქამდე არ გქონდა ფული? რაღაც, არ მახსენდება, ამ საკითხზე დაგეწუწუნოს.

– ფული ბევრი და ზედმეტი არასდროს არის – ეს ერთი და, მეორეც – სიახლეები, თანაც, პოზიტიური სიახლეები, ყოველთვის სასიამოვნოა.

– მე კი გეუბნები, შენი მთავარი ამოცანა არ დაგავიწყდეს-მეთქი. დრო ახლა გვაქვს, სანამ კოტე აქ არ არის.

– ჰო, მართლა... დაგირეკა ქმარმა? როგორ არის სანდრო?

– დამირეკა, როგორ არა... – წყენით ჩაილაპარაკა ლენუკამ, – თუ მე თვითონ არ დავურეკე, არც გაახსენდება, რომ მათი ამბავი მაინტერესებს.

– მერე, დაურეკე, რას ელოდები?

– ვაცდი ჯერ... ილაპარაკოს მამა-შვილმა. წარმომიდგენია, რა ხდება მათ შორის. სანდრო უკან არ დაიხევს – როცა რამე ძალიან უნდა, შეუვალია: კოტეც გადაირევა... მოკლედ, რა... – ხელი ჩაიქნია ლენუკამ, – მაგ კაცის ვერაფერი გავიგე. ან, ასე უცებ რატომ გავარდა, ან რატომ დათვრა... რას დავაბრალო, არ ვიცი... შენი იმედიღა მაქვს, რა... როგორმე მალე უნდა გამირკვიო ყველაფერი.

– ჰო, მესმის, მაგრამ, ხვალვე ხომ ვერ დავეტაკები, დრო დამჭირდება.

– ვაიმე, შენ ახლა ბეჟანთან ფლირტში არ გაერთო და საერთოდ არ გადაგავიწყდე, თანაც, თუ მივლინებებში ივლი და ოფისში არ იქნები, თამრიკოს როგორ გაიცნობ და დაუმეგობრდები? – აწუწუნდა ლენუკა.

– მოვახერხებ რაღაცას, ნუ ვიშვიშებ, ძალიან გთხოვ. აჯობებს, შენს შვილს დაურეკო და გაიგო, იქ რა ხდება.

ლენუკამ თავი გააქნია:

– არა, მოცდა მირჩევნია. ხვალ დავურეკავ... უყურე ბეჟანს?! ესე იგი, ეგრევე არშიყი დაგიწყო, ხომ? რომ ჰკითხო, ჩემზე გიჟდება... საზიზღარი! – გაბრაზდა ერთბაშად.

– ნუ, „მეარშიყება" – ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. მე ვიტყოდი, თავაზიანობა გამოიჩინა და მსუბუქად წამეფლირტავა... შენ რა, ხომ არ ეჭვიანობ? – გადაიკისკისა თიკომ.

– არა, გოგო, მაგრამ, რაღაცნაირად მეწყინა, – გაეცინა ლენუკასაც, – მეუბნებოდა, ისე მიყვარხარ, ცოლს შენ გამო გავცილდიო.

– ანუ, ცოლი არ ჰყავს? – მოუთმენლად იკითხა თიკომ და მაშინვე ინანა, რადგან ლენუკამ წყრომით დაუბრიალა თვალები:

– შენ ახლა უკე მაფიქრებ, ხომ არ გინდა, ცოლად გაჰყვე? მერე, ის შენი რაინდი რას გეტყვის? თუ, ბეჟანი უკეთესი ვარიანტია?

– რანაირი ლაპარაკი იცი, ცოლად გაყოლა რა შუაშია? ისე, უბრალოდ ვიკითხე.

– შენ იცი, თაყვანისმცემელი არ ამახიო... – გაიცინა ლენუკამ და სიგარეტს მოუკიდა, – ყავას ხომ დალევ? სალათაც გააკეთა მარიკამ. წავალ, ვეტყვი, სუფრა გაშალოს.

– უარს არ ვიტყვი, ამასობაში მომშივდა. იცი, რა მინდოდა, მეკითხა? კოტე როცა არ არის, ეგ თამრიკო სამსახურში მაინც დადის?

– მგონი, ჰო... სიმართლე გითხრა, ზუსტად არ ვიცი. იქ არ მიხვალ? შენ თვითონ ნახავ. ჰო, მართლა, სამსახურში როდიდან გადიხარ?

– ხვალიდან. მალე უნდა წავიდე სახლში და მოვემზადო. ადრე მომიწევს ადგომა – პირველივე სამუშაო დღეს ხომ არ დავაგვიანებ?!

– ოჰო, შენ უკვე შეიფერე თანამდებობა. ფრთხილად იყავი, ძალიან არ შეხვიდე როლში... – ირონიულად ჩაიცინა ლენუკამ და სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დაასრისა...

***

კოტემ ბარგი დადო და ბინა შეათვალიერა:

– არა უშავს, კარგად მოწყობილხარ... გამარჯობა, ტომი! მე კოტე ვარ, სანდროს მამა...

– გელოდებოდით! – ხელი ჩამოართვა ტომასმა და გაეღიმა, – ზუსტად ასეთი წარმომედგინეთ.

– მართლა? საინტერესოა, ისეთს რას გიყვებოდა სანდრო ჩემ შესახებ, რომ წარმოდგენაც კი შეგექმნა? – თქვა კოტემ და სანდროს მიუბრუნდა, – ბიჭო, რა კარგი მეგობარი გყავს. ამის ხათრით მაინც არ გინდა ირლანდიაში დარჩენა?

– მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ვახშმის შემდეგ. დედა როგორ არის?

– ლენუკაზე მეკითხები? თითქოს დედაშენს არ იცნობდე – დადის მაღაზიებში, ფლანგავს ჩემს ფულს და ამქვეყნად არაფერი ადარდებს.

– ასე ნუ ლაპარაკობ დედაზე. მე ვადარდებ.

– ჰო, შენ კი ადარდებ, ნამდვილად. წამოსვლა უნდოდა, დარჩი-მეთქი და ცოტა გამიბრაზდა. მის გარეშე ჩვენ უკეთ დავილაპარაკებთ. უნდა ვიცოდე, რას აპირებ.

– ხომ გითხარი, რასაც ვაპირებ – ლონდონში მინდა გადასვლა სასწავლებლად. გადაწყვეტილია უკვე ეს ამბავი, – გადაჭრით და მტკიცედ მიუგო სანდრომ.

კოტემ წარბის აწევით შეხედა შვილს:

– ასეთი ტონით ლაპარაკს არ გირჩევ, რა ულტიმატუმია და რა უაზრო სიჯიუტე? მე არგუმენტები მჭირდება, რატომ აღარ გინდა აქ და გინდა იქ. რამე პრობლემა გაქვს?

– არა, პრობლემა არ მაქვს.

– კარგი, ეს გავიგე. ახლა ტომასს უთხარი, სადმე ნორმალურ რესტორანში წაგვიყვანოს, რომ გემრიელად ვივახშმოთ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.



სანდრომ ტომასს უთარგმნა კოტეს ნათქვამი. ტომასმა ხელები მოიფშვნიტა:

– უკვე ვშიშობდი, რომ ამას აღარასდროს მეტყოდი. რომელ რესტორანში წავიდეთ თუ ჩვენი პაბი აჯობებს? მამაშენს რა უყვარს?

– რა ვიცი... კოტე, ტომასი კითხულობს, მამაშენს რა უყვარსო.

– ყველაფერი მიყვარს, რაც გემრიელია.

– მაშინ შემწვარი კანჭები მივირთვათ და საუკეთესო ლუდი დავლიოთ. ჰა, რას იტყვი?

– წავიდეთ, კარგი აზრია, – მხრები აიჩეჩა სანდრომ და კოტეს მიუბრუნდა: – ჩვენ დავდივართ ხოლმე, კარგი პაბია, მოგეწონება.

– პაბი? სენდვიჩებზე არ გადამატაროთ, არ ვარ მე მაგის კაცი, – შეიჭმუხნა კოტე.

– არა, მაგარი კანჭი აქვთ და საუკეთესო ლუდი, მოგეწონება.

– კარგი, ტანსაცმელს გამოვიცვლი, მოვწესრიგდები და წავიდეთ, – კოტე ადგა. ჩანთას ხელი მოჰკიდა და მეორე ოთახში გავიდა.

– შენ დეაზე არაფერი წამოგცდეს, – მომენტით ისარგებლა და მეგობარი გააფრთხილა სანდრომ.

ტომასმა მხრები აიჩეჩა:

– ვერ ვხვდები, დასამალი რა არის, მით უმეტეს, რომ სერიოზულად ფიქრობ იმ გოგოზე. ასე მამაშენი დარწმუნდება, რომ შეყვარებული ხარ და უფრო ადვილად დაითანხმებ ლონდონში გადასვლაზე.

– არა... მე უკეთ ვიცნობ მამაჩემს, ჯერ არ მინდა, დეას შესახებ რამე იცოდეს. შევთანხმდით?

– ეს შენი გადასაწყვეტია. შევთანხმდით, – თავი დაუქნია ტომასმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.

დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.

მოქმედებს შეღავათები.

**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **ჩემმა ლავანდამ მოიწყინა. იქნებ ამიხსნათ, როგორი სინათლე და ტემპერატურაა მისთვის საჭირო?**

პასუხი: ლავანდას უყვარს კაშკაშა სინათლე. ის მზის მწველ სხივებსაც კი აიტანს. რაც შეეხება ტემპერატურას, მისთვის იდეალურია 16-18 გრადუსი მთელი წლის განმავლობაში, თუმცა, ზამთარში მინიმუმ 2-3 გრადუსსაც აიტანს.

კითხვა: **რა სიხშირით უნდა მოვრწყა მონსტერა?**

პასუხი: ზაფხულობით, ზრდის პერიოდში, მონსტერა რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი – პირიქით. გაითვალისწინეთ, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მას მით მეტი ტენი სჭირდება, რათა ფოთლებს ბოლოები არ გაუყავისფრდეს.

კითხვა: **მინდა პელარგონიუმის შეძენა. როგორ მოვუარო, რომ კარგად გაიხაროს?**

პასუხი: პელარგონიუმს აუცილებლად მოაშორეთ ხოლმე დამჭკნარი ყვავილები, მიწა კი რეგულარულად გაანოყიერეთ. თუ გსურთ, რომ მცენარემ კომპაქტური ფორმა მიიღოს, გაზაფხულზე კარგად გაკრიჭეთ. ის ადვილად მრავლდება ტოტების დაფესვიანებით.

კითხვა: **ბინაში მაქვს ნემათანტუსი, რომელიც ძალიან პატარაა. მაინტერესებს, რა ზომის შეიძლება გაიზარდოს?**

პასუხი: ნემათანტუსი მომცრო, ბუჩქოვანი მცენარეა, თუმცა მისი ტოტები თანდათან იზრდება და ქოთნიდან ან საკიდი კალათიდან 60 სანტიმეტრზე ან უფრო გრძლადაც გადმოეშვება. სიმაღლეში მან, შეიძლება, 35 სანტიმეტრს მიაღწიოს.

კითხვა: **ყველაზე მეტად რომელი ადგილი უყვარს კალამონდინს და ვნებს თუ არა მას გარეთ ყოფნა?**

პასუხი: თუ ზაფხულში ქარიან ადგილს მოარიდებთ, მას არგებს გარეთ ყოფნა. გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი, სასურველია, ეს მცენარე ღამით გარეთ არ დატოვოთ. მისთვის კარგი ადგილი ზამთრის ბაღია.

კითხვა: **როგორ პირობებში ხარობს უკეთ აკალიფა?**

პასუხი: აკალიფა ტენიან პირობებში ხარობს, ამიტომ, გირჩევთ, გვერდით კიდევ ორი-სამი აკალიფა ან სხვა მცენარეები მიუდგათ, რათა ლოკალური ტენიანობის მაღალი დონე შეუნარჩუნოთ. სიცხეში ხშირად დაუნამეთ ფოთლები, აქტიური ზრდის პერიოდში კი ხშირად მორწყეთ. ზამთრის თვეებში მორწყვა შედარებით შეამცირეთ, ოღონდ, მიწა ძალიან არ უნდა გაუშრეს.

კითხვა: **როგორ მოვუარო კორდილინას?**

პასუხი: კორდილინას უყვარს ნათელი ადგილი, ამიტომ, დადგით ძალიან ნათელ ადგილას. დღეში ორი-სამი საათით მწველ მზეში ყოფნასაც აიტანს. ზაფხულში ნიადაგი ტენიანი უნდა ჰქონდეს. თუ ზამთარში ტემპერატურა დაბალია, იშვიათად მორწყეთ და მიწა მხოლოდ ოდნავ დაატენიანეთ. ამ იოლად მოსავლელ მცენარეს მინიმალური ყურადღებაც ჰყოფნის. ძველი, დამჭკნარი-დაჭმუჭნილი ფოთლები მოაშორეთ. ზაფხულობით მიწა რეგულარულად გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით, რათა ფოთლებმა ფერი შეინარჩუნოს. მცენარისთვის იდეალურია 18-24 გრადუსი ტემპერატურა, თუმცა, თითქმის ნულოვან ტემპერატურასაც გაუძლებს. კარგი იქნება, თუ ამ მცენარეს ზამთრის ბაღში გაზრდით – ასეთ ადგილას უკეთ გაიხარებს.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **დაბარებული ვარ სასამართლოში როგორც ნაფიცი მსაჯული. გთხოვთ, განმიმარტოთ, ითვალისწინებს თუ არა კანონი რაიმე სახის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ არ გამოვცხადდები სასამართლოში დანიშნულ დროს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ მსგავს შემთხვევებში გარკვეული ადმინისტრაციული სანქციებია დაწესებული ნაფიცი მსაჯულების მიმართ. კერძოდ, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა სასამართლოში განსაზღვრულ დროს, გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1 000 ლარამდე. ნაფიცი მსაჯულის საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლობა არსებითი სასამართლო განხილვისას, გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000-დან 1 500 ლარამდე, ხოლო ნაფიცი მსაჯულის მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000-დან 1 500 ლარამდე.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, არსებობს თუ არა ზოგადად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისთვის დაწესებული შემამსუბუქებელი გარემოებები და რა შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებლად?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება: ბრალეულის გულწრფელი მონანიება; ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით, ან მძიმე პირად თუ ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო; სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება, გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია, შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან რა ვადაში უნდა დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება, დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

# რატომ არის საწვავის სისტემის პრობლემები რთულად მისაგნები



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

***ჟრიალი, გაურკვეველი „ჯიკაობა,” დაქოქვის შემდეგ ავტომობილის ისეთი მდგომარეობა, თითქოს ჩაქრობის პირასაა – ყველა ამ გაუმართაობას სხვადასხვა მიზეზი აქვს. მევლუდ მელაძე აგვიხსნის, რა მითითებები უნდა მივცეთ ხელოსანს, რომ ჩვენმა ავტომობილმა უცნაური ქმედება შეწყვიტოს:*** საწვავთან დაკავშირებით ავტომობილს ხშირად ექმნება ისეთი პრობლემა, რომლის მიზეზის დადგენა და აღმოფხვრა ხელოსნებს ძალიან უჭირთ. ყველა რაღაც ნაწილს ცვლის და შედეგი არ არის. თანამედროვე, ვგულისხმობ, 1990 წელს ზემოთ გამოსულ ავტომობილს, რომელიც კარბურატორის ნაცვლად, ინჟექტორებიანი სისტემითაა აღჭურვილი, აქვს კომპიუტერი, რომელიც საწვავის მიწოდებას არეგულირებს. 2000 წელს ზემოთ გამოშვებულ ავტომობილს კი, აქვს მოწყობილობა, რომელიც ხელსაწყოების დაფაზე ანთებს ეგრეთ წოდებულ „ჩეკ ენჯინს”. ეს ნიშნავს, რომ კომპიუტერზე შეერთების დროს, უნდა იწერებოდეს, თუ რა სჭირს ავტომობილს, ანუ ახდენდეს მის დიაგნოსტიკას. მაგრამ, საწვავის მოწოდებასთან დაკავშირებით, არის ისეთი პრობლემებიც, რომელსაც კომპიუტერი არ წერს – ვერ კითხულობს. შესაბამისად, მექანიკურად გვიწევს პრობლემის მოძებნა. მაგალითად, როცა აწვებით გაზს, მაგრამ ავტომობილი ჯიკაობით, შეფერხებებით მიდის, თითქოს საწვავის გატანა უჭირს, ან საწვავი იცლება და ცოტა ხანში ჩაქრება. მალე ისევ კარგად მიდის, მაგრამ მერე იგივე ეწყება. მოკლედ, გაწვალებთ. ასეთ შემთხვევაში, უპირველესად ცვლიან საწვავის ფილტრს. მიზეზი, რა თქმა უნდა, ესეც შეიძლება იყოს. პრობლემა, ნებისმიერ შემთხვევაში, ნაპერწკლის მიწოდების მექანიკურ სისტემაშია, რომლის ერთ-ერთი ეტაპიც დაზიანებულია. სწორედ იმ კონკრეტულ დეტალს უნდა მიაგნოთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– მექანიკური პრობლემის ძებნას მხოლოდ მაშინ ვიწყებთ, თუ „ჩეკ ენჯინი” არ აანთო?**

– კი. თუ აანთო, კომპიუტერი პრობლემის დიაგნოსტირებას იოლად შეძლებს, რაც მაქსიმუმ, ოცდახუთი ლარი ღირს. თუ არ აინთო, სწორედ მაშინ არის პრობლემა, რადგან თავად უნდა იპოვოთ მიზეზი. ავტომობილი უნდა მიიყვანოთ ინჟექტორების მწმენდ ხელოსანთან ან სერვისცენტრში. მაგალითად, „თეგეტა მოტორსში”, რომელიც ყველა საჭირო ხელსაწყოთია აღჭურვილი, თან, არც სერვისია ძვირი. თავდაპირველად, ამოწმებინებთ ბენზინის წნევას. თუ წნევა დავარდნილია, შემდეგ უნდა შეამოწმოთ წნევა ბენზინის ფილტრამდე. თუ ორივეგან დაბალია წნევა, მაშინ ფილტრი არაფერ შუაშია და ის არც უნდა შეიცვალოს. ამის მიზეზი ბენზინის „ნასოსია”, რომელიც ინჟექტორიან მანქანებში ავზში, ან მის გარეთ დგას, მაგრამ არა ძრავასთან ახლოს. თუ წნევა ფილტრამდე კარგია და მის შემდეგ იწევს დაბლა, მხოლოდ ამ შემთხვევაში იცვლება ფილტრი. თუ ორივე მხარეს წნევა მწყობრშია, ხელოსანი აუცილებლად გეტყვით, მიზეზი მაინც „ნასოსი” იქნებაო და არ დაუჯეროთ ***(იცინის).*** თუ წნევა გამოირიცხა, ამის შემდეგ ამოწმებთ, ეგრეთ წოდებულ „აბრატნი კლაპანს”, ანუ უკან დამაბრუნებელ სარქველს, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის ძრავადან უკან, ავზში დაბრუნებას. „ბენზონასოსმა” რომ უკეთ იმუშაოს, ამისთვის სპეციალური მოწყობილობაა დამონტაჟებული, რომელიც ზედმეტ საწვავს უკან, ავზში აბრუნებს. შეიძლება, ის დაზიანებული იყოს და ამის გასაგებად, შეამოწმეთ რა სიდიდის წნევას იჭერს „აბრატნი კლაპანი”. თუ ეს მოწყობილობაც მწყობრშია, მაშინ საწვავის სისტემას თავს ანებებთ, ის ავტომობილის შეფერხებებით მუშაობის მიზეზი არ არის. ამის შემდეგ ამოწმებთ „სვეჩას” და თუ ისიც მწყობრშია, უნდა შემოწმდეს ეგრეთ წოდებული „ვოზდუხამერი” – ჰაერის მზომი. ეს მოწყობილობა ჰაერის ფილტრის შემდეგ დგას. თუ იქამდეც მიხვედით, ჰაერის ფილტრიც დაფერთხეთ. ჰაერის ფილტრი მწყობრიდან ხშირად გამოდის და მისი გამოცვლა ძალიან იოლია. ჰაერის ფილტრის გამოცვლის შემდეგ, თუ პრობლემა კვლავ არის, ერთი მიზეზი დარჩება – რომელიმე მილიდან ჰაერი იპარება. უნდა იპოვოთ ეს მილი და გამოცვალოთ. ამ თანმიმდევრობას და გამორიცხვის ამ მეთოდებს იმიტომ გირჩევთ, რომ წვრილმანი გაუმართაობის პოვნა, ხელოსნებს ძალიან უჭირთ. სიჩქარეთა კოლოფის ჩაშლას ყველა მიხვდება. ასეთი უცნაური მიზეზის გაგება კი მართლაც რთულია.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა
სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: აცრიდან რამდენ ხანში შეიძლება, ძაღლის დაბანა?**

**პასუხი**: აცრიდან აუცილებლად 2 კვირა უნდა იყოს გასული. თუ ამ პერიოდში ძაღლი დაბანეთ, შეიძლება, გაიცივდეს და მოხდეს ვაქცინის გართულება.

**კითხვა: განსაკუთრებით რას უნდა მივაქციოთ ყურადღება შემოდგომაზე, როცა სახლში ძაღლი გვყავს?**

**პასუხი**: ძაღლს წელიწადის ყველა დროს უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება. თვეში ერთხელ უნდა დავამუშაოთ ძაღლი სპეციალური საშუალებით, მკბენარები რომ არ განვითარდეს. ათასნაირი საშუალება არსებობს და რომელიც უკეთ იმოქმედებს, ის მოიხმარეთ.

**კითხვა: ძაღლი მყავს საოპერაციო. მაინტერესებს ანესთეზიის საკითხი. აუცილებელია პრეპარატზე სინჯის გაკეთება, თუ პირდაპირ ხდება ანესთეზიის საშუალების ორგანიზმში შეყვანა?**

**პასუხი**: აუცილებლად უნდა გაკეთდეს სინჯი. როგორც ადამიანებშია ალერგიული ფონი, ასევეა ცხოველებშიც. რა საანესთეზიო საშუალებასაც ვიყენებთ, იმის მიხედვით კეთდება სინჯიც. ამის მერე, 15-20 წუთის განმავლობაში, ხდება დაკვირვება რეაქციაზე და იმის მიხედვით კეთდება ოპერაცია. თუ ცხოველი კონკრეტულ პრეპარატზე ალერგიულია, მაშინ სხვა საშუალებებს უნდა მიმართოთ. ცხოველი შეიძლება ერთ პრეპარატზე ალერგიული იყოს, მეორეზე კი არა.

**კითხვა: როცა ჩემი ძაღლი სასეირნოდ გამყავს, ხშირ შემთხვევაში, ის ბალახს ჭამს. ეს რამეს ნიშნავს თუ უბრალოდ, ჩვევაა?**

**პასუხი**: ეს შემთხვევით ნამდვილად არ ხდება. შეიძლება, შინაგანი პარაზიტები ჰყავს, ან ცხიმიანი საჭმელია ამის მიზეზი. როცა რაღაც არ სიამოვნებს და კუჭში ან ნაწლავებში, არასასიამოვნო ფაქტორია, ცხოველი ინსტიქტურად ჭამს ბალახს, რათა გული აირიოს და ორგანიზმი გაიწმინდოს.

**კითხვა: მაინტერესებს, მერამდენე თვეში ეცქვიტება ნაგაზს ყურები?**

**პასუხი**: ეს ინდივიდუალურად ხდება. შეიძლება, თვე-ნახევრისამ დაცქვიტოს, მაგრამ ისე, 6 თვემდეა რეგლამენტრებული. შეიძლება, ისეც მოხდეს, ნაგაზს საერთოდ არ აეცქვიტოს ყურები, რადგან ზოგჯერ ხდება, რომ ნიჟარებია სუსტი ან მოტეხილობაა. როცა ნაგაზი ყურებს ცქვიტავს, მას ყურებზე მანამდე არ უნდა მოეფეროთ, სანამ არ გაუმაგრდება ხტილოვანი სტრუქტურა, რაც ყურს აყენებს.

**კითხვა: რატომ არ შეიძლება ძაღლის წვიმიან ამინდში სეირნობა?**

**პასუხი**: ეს მცდარი აზრია, რადგან წვიმიან ამინდში ძაღლის სეირნობა შეიძლება. არ შეიძლება მხოლოდ იმ ძაღლების გასეირნება, რომელთაც ხშირად აბანავებთ, თან თუ ცივა. მაგალითად, ქუჩის ძაღლები წვიმაშიც გარეთ არიან და თოვლშიც, მაგრამ არ ცივდებიან.

**მოამზადა
მარიკა ხიდურელმა**

# კაცობრიობის გადასარჩენად

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №29-39(718)**

თხრობა შევწყვიტე, რადგან ნასტიას სახეზე ფერი აღარ ედო, მთელი ტანით ცახცახებდა და თვალს არ მაშორებდა.

– მერე... მერე! – სულის მოთქმა არ მაცალა. მეც განვაგრძე:

– 25 მეტრიც არ ექნებოდა გაცურული, რომ მოულოდნელად დიდი ტალღა წამოვიდა, აიქოჩრა და თავზე გადაევლო... ის მამაცი და ჯიუტი გოგონა წყალმა ყაჩლაპა! ტალღა წინამორბედი ზვირთების მიერ დასველებულ ნაპირს გვარიანად გამოსცდა და გაშლილ პირსახოცებს გადაევლო. მიშველეთ! აღარ ჩანს!.. – კიოდა გამწარებული ქალი და ნაპირს აქეთ-იქით აწყდებოდა. არც დავფიქრებულვარ, ბობოქარ ზღვაში თავით გადავეშვი და ორ წუთში იმ ადგილას ვიყავი, სადაც გოგონა ტალღამ ჩაითრია. ორ-სამჯერ ჩავყვინთე, მაგრამ მღვრიე წყალში ვერაფერი დავლანდე. არ ვნებდებოდი – კვლავ და კვლავ



ჩავისუნთქავდი ჰაერს და სტიქიას ვებრძოდი. მეგონა, წყალი დამძიმდა და მეც მკლავები დამეღალა... სამი წუთი მაინც ვიწვალე ასე. მოულოდნელად ფეხზე რბილად რაღაც გამომედო; არ დავიბენი, ჩავყვინთე, ხელებით აქეთ-იქით მოვსინჯე, მოვძებნე და როგორც იქნა – გაუჩინარებულ გოგონას მივაკვლიე. წყლიდან რომ ამოვიყვანე, სულ გალურჯებული იყო და არ სუნთქავდა. მეგონა, დავაგვიანე... მაგრამ შეჯგუფებული ხალხი ვიღაცამ ხელების ქნევით გააპო და დაიძახა – ექიმი ვარ, მიმიშვით! ხელოვნური სუნთქვის ჩატარების მერე გოგონამ ამოახველა და გონს მოვიდა... როცა დავინახე, როგორ გადმოაბრუნეს გვერდზე და გადარჩაო, დაიძახეს, იქაურობას გავეცალე, რადგან ათასი მადლობის მოსმენის გუნებაზე არ ვიყავი.

მას შემდეგ დიდმა დრომ ჩაიარა... გოგონას სახე ჩემს მოგონებებში გაფერმკრთალდა, მხოლოდ მის მკერდთან ამოტვიფრული პატარა პეპელა ჩამრჩა მეხსიერებაში... სწორედ ისეთი, როგორიც შენ გაქვს! – დავამთავრე მოყოლა და ნასტიას შევხედე. ის კი იჯდა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ღაწვებზე. ასეთი ემოცია არასდროს განმიცდია – გული გამალებით მიცემდა, ყურში ვგრძნობდი მის პულსაციას. ჭიქა პირთამდე გავავსე და სულმოუთქმელად გამოვცალე.

– შეუძლებელია!.. დაუჯერებელია! – ჩურჩულებდა გრძნობამორეული, – ნუთუ ის შენ ხარ... ის ბიჭი, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა?! მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, მენახა, მაგრამ მისი არც სახელი ვიცოდი, არც გვარი და არც სახე! ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე შევხვდებოდი და შემიყვარდებოდა ის, ვისაც სიცოცხლეს უნდა ვუმადლოდე!

– რა თქვი, ნასტია?! – მეგონა, მომეჩვენა. მაგრამ ნასტია ფეხზე წამოდგა, თვალები შეიმშრალა და დამშვიდებული ხმით მითხრა:

– ჰო, ალექსანდრ, ასეა – მიყვარხარ! მაშინაც მიყვარდი, როცა გეუბნებოდი, ჩვენ შორის ფლირტი დაუშვებელია-მეთქი.

– რას ამბობ, მაშინ თითქმის არც კი მიცნობდი! – მაინც ვერ დავიჯერე, რადგან ვიფიქრე, რომ განცდილმა ემოციამ იმოქმედა მასზე.

– თუ გინდა, ნუ დამიჯერებ, – მიმიხვდა ფიქრს და დაამატა: – გეფიცები, სრულ სიმართლეს გეუბნები...

იმ ღამის გადაგორება ძალიან გამიჭირდა; გამიჭირდა, სასურველი ქალის მხოლოდ მსუბუქი ალერსით შემოვფარგლულიყავი. ბოლოს გადავწყვიტეთ, ცალ-ცალკე ოთახებში დაგვეძინა... „ძილი ნებისა“ ვუსურვე და მისი ოთახიდან გამოვედი. თვითონაც „ღამე მშვიდობისაო“, – დამემშვიდობა... მაგრამ რა მშვიდობიანი ღამე უნდა ჰქონდეს იმ მამაკაცს, ვისაც საყვარელი ქალი 5 მეტრის სიახლოვეს უწევს და თვითონ კი ცარიელ ლოგინში გვერდიდან გვერდზე ბორგავს.

***

შაბათს, 9 საათზე უკვე რიმსკის საცხოვრებელ კომუნასთან ვიყავი. ჩემი „ნისანი“ ეზოში გავაჩერე და „სხვისი ტაძრის“ წინამძღოლის ბრონირებულ „მერსედესში” დიდთავა რომა აკოინიკოვი შევნიშნე, რომელიც საჭესთან იჯდა. შენობაში შევედი და მეორე სართულზე ხის კიბით ავედი. „მოძღვრის“ ოთახის კარზე ფრთხილად დავაკაკუნე. კარი ვლადმა გააღო და – დამელოდე, 5 წუთში გამოვალო, მითხრა. კიბეზე ჩამოსვლისას ვკითხე, თქვენი მძღოლი არსად ჩანს და თქვენს მანქანაში რომა აკოინიკოვი ზის-მეთქი. ვალდებული ვიყავი, მეთქვა, რადგან ნებისმიერი ცვლილება უნდა შემემჩნია, რაც ჩემი დაცვის ობიექტის ირგვლივ ხდებოდა, უმნიშვნელოც კი.

– კუზმა ორი დღით გავათავისუფლე, მძღოლის მოვალეობას რომა შეასრულებს, – მითხრა და გასასვლელში, როგორც წესი, პირველი მე გამატარა. საეჭვო არაფერი შემინიშნავს, „სახალხო მკურნალს“ მანქანის უკანა კარი გამოვუღე და ძველი საკალათბურთო დარბაზისკენ გავემართეთ, სადაც „მამა“ ვლადი შაბათობით საყოველთაო ქადაგებებს ატარებდა.

მისმა სიტყვამ ორ საათს მაინც გასტანა. სიტყვის ბოლოს, როცა ხალხი ფეხზე წამოიშალა, „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლმა ხელი მაღლა შემართა და, ჩვეულებისამებრ, მოწოდებებით დაიწყო, რომელსაც ბრბოც ჰყვებოდა.

– მოვედით, რომ ვიაროთ ღვთისკენ! – დაიყვირა რიმსკიმ.

– მოვედით, რომ ვიაროთ ღვთისკენ! – აგუგუნდა დარბაზიც.

– გავთავისუფლდეთ ამქვეყნიური ვალდებულებებისგან!.. გავერიდოთ შვილს, რომელიც არ გვისმენს!... გავერიდოთ ცოლს, რომელიც არ მოგვდევს!.. გავერიდოთ ქმარს, რომელიც რწმენაში გვზღუდავს!... თუ ურწმუნოს სურს გაყრა, დაე, გაეყაროს, რადგან მშვიდობისკენ მოგვიწოდა ღმერთმა! ამინ!

– ამინ! – დაიგრგვინა მასამაც და ამ სიტყვით დასრულდა რიმსკის კიდევ ერთი ქადაგება, რომელთა მოსმენაც უკვე ისე მქონდა ყელში ამოსული, რომ მის გვერდით დგომას ამ დროს ყველაფერი მერჩივნა. იმ დღეს ყველაზე ცუდად ვიგრძენი თავი. ივლისი იდგა, დახურულ დარბაზში საკმაოდ ცხელოდა, მე კი იძულებული ვიყავი, პიჯაკით ვმდგარიყავი, რადგან უკან, მხარიღლივ გადაკიდებულ ტყავის საზურგეზე, პისტოლეტი მქონდა მიმაგრებული.

კიდევ კარგი, თეთრთავა აკოინიკოვმა მიკროფონში გამოაცხადა, რომ იმ დღეს „განკურნების ცერემონია“ არ ჩატარდებოდა, რადგან „მამა“ ვლადს გადაუდებელი საქმე გამოუჩნდაო. მაგრამ, უკმაყოფილო და დაჟინებული რამდენიმე ათეული კაცი ჩვენს კვალს მაინც გამოჰყვა. გარეთაც 20 კაცამდე უცდიდა. დაინახეს თუ არა, შემოეხვივნენ და არაადამიანური ძალისხმევა დამჭირდა, რომ რიმსკი როგორმე მანქანაში ჩამესვა. ამისთვის ერთი ახმახისთვის მუშტის ჩარტყმაც მომიხდა, რომელიც წინ გადაგვიდგა და არაფრით არ უნდოდა, სულიერი მოძღვრის კურთხევის გარეშე იქაურობას გასცლოდა. როგორც იქნა, ჩვენმა კორტეჟმა – ბრონირებულმა „მერსედესმა“ და სამმა მსუბუქმა ავტომანქანამ, რომლებშიც „წითელი კარვის“ წევრები ისხდნენ, დარბაზიდან გამოსული ხალხის ნაკადი ჩამოიტოვა და ყოფილი სინაგოგის შენობისკენ აიღო გეზი.

ვლად რიმსკის ოფისში, სადაც სახელდახელო საუზმე მოემზადებინათ ელიტჯგუფის წევრ სამ ქალბატონს და მათ შორის ვარვარა ტრავიანსკაიას, ცოტა წავიხემსეთ და რიმგოროდისკენ გავემართეთ სამმანქანიანი ესკორტით.

მთელი გზა ჩუმად ვისხედით. „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლი უკანა სავარძელზე თვლემდე, ეტყობოდა, რომ ხანგრძლივმა სიტყვამ დაღალა და ისვენებდა. რომა აკოინიკოვი საჭეს მდუმარედ მართავადა და, როგორც სჩვეოდა, ღამურასავით ამოკარკლულ თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა. 4-საათიანი მგზავრობის შემდეგ ტრასიდან ღორღიან გზაზე გადაუხვია. მანქანაში კონდინციონერი ჩართული არ გვქონდა, რადგან ჩაწეული ფანჯრებიდან გრილი, არყის ხეების ამონასუნთქით გაჯერებული ჰაერი შემოდიოდა. მაგრამ, როგორც კი ღორღიან გზაზე გადავუხვიეთ, მტვრის ბული ავარდა, ღილაკს დავაწექი და შუშები ბოლომდე ამოვწიე. მერე კონდიციონერის ჩამრთველი მოვძებნე სენსორულ მონიტორზე. რომა აკოინიკოვს ცინიკურად გაეღიმა და გესლიანად მკითხა:

– ხომ არ დაგცხა, ალექსანდრ?

– შენ რა გენაღვლება, ჩემსავით პიჯაკი ხომ არ გაცვია?! – გადავხედე რომას, რომელსაც თხელი საზაფხულო პერანგი ეცვა. კიდევ რამე რომ ეთქვა, ვაპირებდი, მისი ადგილი მიმეჩინა, მაგრამ გაქნილი ტურა იყო, მიხვდა და ხმა აღარ ამოუღია. ნახევარ საათში რიმგოროდში ვიყავით, რომელიც დაახლოებით 9 ათას კვადრატულ მეტრზე იყო გაშენებული. ერთ კვირაში კიდევ ორი კოტეჯი დაესრულებინათ. მშენებარე ქალაქში მხოლოდ მუშები და ვლად რიმსკის მრევლიდან ენთუზიასტები დაგვხვდნენ. „მოძღვარმა“ მშენებლობა დაათვალიერა, მუშებს ინსტრუქციები მისცა და, როცა სამშენებლო მასალები ჩამოიტანეს, თეთრი ტანსაცმელი გამოიცვალა და მათთან ერთად ეზიდებოდა ხის მორებს. ეს ერთგვარი ტაქტიკური სვლა იყო, რომელიც მრევლთან დაახლოებაში ეხმარებოდა. საღამოს რიმსკიმ მუშებთან ერთად ივახშმა და დასასვენებლად ცალკე კოტეჯში მოათავსეს, სადაც მე მისი ოთახის გვერდით, ღია აივანზე მეძინა.

მშენებარე რიმგოროდში ორ დღეს დავრჩით. ვლად რიმსკი კმაყოფილებას ვერ მალავდა – ქალაქი მალე 1 000-ზე მეტ ადამიანს დაიტევსო, გვითხრა წამოსვლისას.

მოსკოვში ორშაბათს, საღამოს დავბრუნდით. „მამა“ ვლადი საცხოვრებელ კომუნამდე მივაცილე და ის-ის იყო, ჩემს მანქანაში გადავჯექი, რომ ნასტიამ დამირეკა.

– მარტო ხარ? – მკითხა ისე, რომ არც მომსალმებია.

– შეგიძლია ილაპარაკო... მოხდა რამე?

– შენ რა, არაფერი გაგიგია?! მთელი დღეა, საინფორმაციოები გადმოსცემენ, რომ ბერმა სერაფიმმა, სავარაუდოდ, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

– რაო?! – ეს შეუძლებელია! ძარღვებში

სისხლი გამეყინა და ეჭვმა გამისერა გონება, მაგრამ რომა აკოინიკოვი მთელი ეს პერიოდი ჩვენ გვერდით იყო რიმგოროდში. თუმცა, ეგორ კაზაკოვის თვითმკვლელობის ვერსია აბსურდულად მეჩვენა.

– ორ საათში მიხაილი შენთან ამოვა, დანარჩენს მისგან შეიტყობ.

– შენ როდის განახავ, ნასტენკა, მომენატრე.

– მამას ვერ დავტოვებ, კლინიკიდან გამოვიყვანეთ. ორ დღეში დაგირეკავ, – მითხრა და ტელეფონი გათიშა.

მიხაილ კირსანოვი ღამის 12 საათზე მოვიდა. ერთმანეთს გადავეხვიეთ და ურთიერთმოკითხვის შემდეგ ვკითხე:

– რა ხდება, მიხაილ, „დევნის ჯგუფში“?

– ახალი დავალება გვაქვს, ალექსანდრ.

– რა დავალება?

– საჭიროა მოქმედებაზე გადავიდეთ!

– მათი აზრით, მთელი ეს პერიოდი რას ვაკეთებდი?

– მოკლედ, ღამის საათებში რიმსკის მობილურზე ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, კალიფორნიიდან, ზარი განხორციელდა. საუბრის ტექსტი გაიშიფრა და დადგინდა, რომ „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლი აგვისტოს მიწურულს ინდოეთში გამგზავრებას გეგმავს. როგორ გგონია, სად მიიწვიეს?

– ალბათ, „შეფთან“...

– ჰო, ჩვენც ასე ვფიქრობთ. ამიტომ, ყოველი ღონე უნდა იხმარო, რომ გამყოლად შენ აგირჩიოს და არა სხვა ვინმე... თუნდაც, რომა აკოინიკოვი.

– გასაგებია, – ვუპასუხე და იმაზე ჩავფიქრდი, თუ როგორ უნდა მომეხერხებინა ეს.

– თუ ეს შანსი ხელიდან გავუშვით, იცოდე, კიდევ დიდხანს მოგიწევს რიმსკის დაცვაში ყოფნა.

– რატომ?

– რატომ და იმიტომ, რომ ქურუმი წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ ხვდება თავის მოსწავლეებს, ასე ვთქვათ, მათი უნარიანობის ასამაღლებლად, ანუ, უბრალო ენით რომ ვთქვათ, აკუმულატორებივით ტვირთავს...

– ერთი ან ორი წელი?! – ვერაფერს იტყვი, ძალიან „სასიხარულო“ პერსპექტივაა.

– თანაც, როგორ გგონია, ერთ წელიწადში კიდევ რამდენის გადაბირებას მოახერხებს ჩვენი „მოძღვარი“?

– ძალიან ბევრის.

– ჰოდა, როგორც ხედავ, დრო არ ითმენს „ფესიქიუთთან“ მე მექნება კავშირი და ყოველი შენი ფეხის ნაბიჯი უნდა იცოდნენ, რათა სამომავლო გეგმა შეიმუშაონ.

– საინტერესოა, ვინ დაურეკა კალიფორნიიდან ჩვენს „მჭევრმეტყველს“?

– არ ვიცი, მაგრამ კალიფორნიულ სექტას, რომელიც 5 წლის წინ შეიქმნა, ცუდი რეპუტაცია აქვს და, რომ არა ერთი საბედისწერო შემთხვევა, დიდი ხნის ისტორიაც ექნებოდა.

– რა შემთხვევა? – ვკითხე ჩაფიქრებულ მიხაილს, რომელმაც თავისი საყვარელი სასმელი კონიაკი გადაჰკრა და განაგრძო:

– მოკლედ, ერთ-ერთმა კალიფორნიელმა მოქალაქემ, ტომას ჯოისმა, 1973 წელს შექმნა ახალი მოძღვრება, ეგრეთ წოდებული „სამოციქულო სოციალიზმი“, რომელიც ახლოს იყო ქრისტიანობასთან. მის ოფისთან ყოველთვის უამრავი ხალხი იყო – ადამიანებს მოსწონდათ აღთქმული ქვეყნის იდეა... მიწიერ სამოთხეში ცხოვრებაზე ოცნებობდნენ, რომელსაც ჯოისი გაიანას ამაზონის ჯუნგლებში აშენებდა. მას ჰყავდა გამორჩეული ჯგუფი, რომელიც მართვაში ეხმარებოდა. ქალები, რომლებიც ამ „ელიტაში“ ერთიანდებოდნენ, იდეალისტები იყვნენ და, როგორც ცნობილია, ტომას ჯოისს მათთან სქესობრივი კავშირიც ჰქონდა. ხომ არაფერს გაგონებს, ალექსანდრ? – მოულოდნელად მკითხა მიხაილმა.

– ჰო, პარალელები ძალიან მკაფიოა, – ვუთხარი და მოუთმენლად ვკითხე: – მერე?

– მერე ის, რომ გაიანას ჯუნგლებში გაშენებულ ქალაქში, რომელსაც ჯოისთაუნი დაარქვეს, ტომასმა თავისი რელიგიურ-სოციალისტური სექტის წევრები დაასახლა. მათ იქ კარგად კვებავდნენ და აცმევდნენ, მაგრამ ჭორები დადიოდა, რომ ურჩებს აწამებდნენ კიდეც. ამის გამოსააშკარავებლად გაიანას ჯუნგლებში ერთ-ერთი კონგრესმენი და „ემ-ბი-სის“ ჟურნალისტები ვერტმფრენით გაემგზავრნენ. მათ აღთქმული ქალაქი დაათვალიერეს, ინტერვიუ აიღეს ტომას ჯოისისგან და, როცა უკან ბრუნდებოდნენ, მათთან მივიდა 16 ადამიანი, რომელთაც ეშინოდათ მამა ტომასისა და იქიდან წამოყვანას სთხოვდნენ. ტომას ჯოისი პარანოიამ შეიპყრო და ადამიანთა უმადურობაზე დაიწყო საუბარი. როცა ჯუნგლებიდან აეროდრომზე ბრუნდებოდნენ, ვერტმფრენთან მათ თავს დაესხნენ ჯოისის შეიარაღებული თანამოაზრენი და ცეცხლი გაუხსნეს ავტომატური იარაღიდან. ყველანი ჩახოცეს – კონგრესმენი, ჟურნალისტები და ის 16 გაქცეული ადამიანიც ზედ მიაყოლეს.

1976 წელი იდგა. გაიანას ჯუნგლებისკენ სპეცდანიშნულების რაზმები და პოლიცია გადაისროლეს. მათ კი ჯოისთაუნში საზარელი სანახაობა დახვდათ: დაახლოებით 913 მკვდარი ადამიანი, მათ შორის კი 219 ბავშვი იყო, რომელთაც ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდათ. მკვდრებს შორის ტომას ჯოისიც იყო. როგორც გაირკვა, მან მასობრივი თვითმკვლელობისკენ უბიძგა ხალხს და ხილის წვენში გარეული შხამი დაალევინა. ამ მოვლენას ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში უწოდეს „რევოლუციური თვითმკვლელობა“... – მიხაილი თხრობას მორჩა და მკითხა.

– როგორ ფიქრობ, რა ფსიქოლოგიურ ძალას უნდა ფლობდეს პერსონა, რომ ამდენ ადამიანს სიტყვიერი მოწოდებით თვითმკვლელობა აიძულოს?!

მე კი რიმსკის მიერ გამოსაცდელად შემოთავაზებული ციანიდიანი „კოქტეილი“ გამახსენდა და მბოლავი საკრალური ჩხირები...

– როგორც ვხედავთ, ერთი სქემაა.. და ერთი სათავე – ქურუმი! მე ამ ქურუმზე უნდა გავიდე, რადაც უნდა დამიჯდეს!

– ხედავ, რამდენი მსხვერპლი შეიძლება, მოჰყვეს ცრუმეტყველთა ნებაზე მიშვებას?! – ჩაილაპარაკა კვლავ მიხაილმა. მსხვერპლის ხსენებაზე კვლავ ბერი სერაფიმი გამახსენდა და მიხაილს ვკითხე:

– შენც ასე ფიქრობ, რომ ეგორ კაზაკოვი მოკლეს?

– რა თქმა უნდა! ის მოკლეს და ხელში „ბრაუნინგი“ ჩაუდეს. როგორ გგონია, ადამიანი, რომელსაც თვითმკვლელობა აქვს გადაწყვეტილი, პირველ ტყვიას მკერდში დაიხლის და მეორე, საკონტროლო გასროლით შუბლს გაიხვრეტს?

– ჰო, ამას მხოლოდ ბრიყვი დაიჯერებს... მაგრამ, რომა აკოინიკოვზე ეჭვი არ მაქვს, ის მთელი ორი დღე რიმგოროდში ჩვენთან ერთად იყო.

მიხაილი ჩაფიქრდა და მცირე ფიქრის შემდეგ ჩაილაპარაკა:

– არ ვიცი, ვინ მოკლა ეგორ კაზაკოვი, მაგრამ ის კი ვიცი, ბერი სერაფიმის სიკვდილი ვის აძლევდა ხელს...

– რა თქმა უნდა – ამ წყეულ სექტანტებს! – დავეთანხმე და გულში დავიფიცე, რომ ყველაფერს ვიღონებდი, რათა ამ ჭირის სათავემდე როგორმე მიმეღწია.

***

ორშაბათს ვლად რიმსკი ყოფილი სინაგოგის შენობაში მდებარე მის კაბინეტში შევაცილე, გამოვედი და, როგორც ყოველთვის, მოსაცდელში, სავარძელში ჩავეშვი. თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა, როგორ მომეხერხებინა, ვლად რიმსკისთვის ყველაზე თავგამოდებული და მისი მარჯვენა ხელი, რომა აკოინიკოვი ჩამომეშორებინა... რადგან, თუ ასე გაგრძელდებოდა, ინდოეთში რიმსკი სწორედ მასთან ერთად გაემგზავრებოდა. ფიქრში გართულმა დავინახე, რომ ამ ფიქრის „ობიექტიც“ გამოჩნდა და „სახალხო ტაძრის“ წინამძღოლის ოთახში შეაბიჯა. ცოტა ხანში იქიდან რიმსკის ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა.

„ოჰო, – გავიფიქრე, – მგონი განგება თვითონ აგვარებს ჩემს პრობლემას!“

მერე საუბარი კვლავ მიჩუმდა. მაგრამ 5 წუთის შემდეგ ვლად რიმსკის ყვირილი და ყრუ ბრახუნის ხმა შემომესმა. სწრაფად წამოვდექი და კარი დაუკაკუნებლად შევაღე. რიმსკის პირისპირ მჯდომი რომა აკოინიკოვი დაუფარავი ბრაზით მომაჩერდა.

– შენ აქ ვინმემ მოგიხმო?! – მკითხა რისხვით.

– ჭკუას მოუხმე! – უკმეხად მივუგდე, მივედი, სკამი გამოვწიე და ჩამოვჯექი, – ჩემი ვალია, მამა ვლადი დავიცვა... თუ საჭირო იქნება, შენგანაც კი.

რომა აკოინიკოვმა ვლად რიმსკის გადახედა. მან კი თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და საუბარი ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად გააგრძელა:

– კარგად იცი, რომ არავისთან ალიანსი არ მჭირდება, მით უმეტეს, კრიმინალებთან!

– მაგრამ, მამაო... – აკოინიკოვი შეყოვნდა, კვლავ მე გადმომხედა და ძალდატანებით განაგრძო: – ამით მეტ მხარდაჭერას შევიძენთ და, რაც უფრო მეტი მეგობარი გვეყოლება, მით ძლიერები ვიქნებით.

– უკვე გითხარი, რიმგოროდი მხოლოდ ჩვენი ერთგული მრევლისთვის არის ღია. მით უმეტეს, დახურულია ის ბოლშევიკ-რევოლუციონერების მიერ შექმნილი ქურდული სამყაროსთვის!

– სულ რაღაც ორი დღით, მამაო! – ხვეწნაზე გადავიდა აკოინიკოვი.

– არც ერთი საათით და არც ერთი წუთით! – რიმსკიმ მაგიდას მუშტი დასცხო და ფეხზე წამოიჭრა.

„აი, თურმე რა ბრახუნი მომესმა. ეტყობა, საქმე სერიოზულადაა. ძალიან კარგი!“ – გავიფიქრე და ის-ის იყო, რომა აკოინიკოვმა კვლავ პირი გააღო რაღაცის სათქმელად, რომ წამოვდექი და რომას ბრაზით დავაჩერდი:

– შენ რა, ვერ გაიგე, მამა ვლადმა რა თქვა?! ადგები და გახვალ, თუ მე გაგიყვანო?!

რომა აკოინიკოვმა იმ ლეშისმჭამელი მტაცებლის თვალებით შემომხედა, რომელსაც წინიდან მძორი ააცალეს. წამოდგა და რიმსკის კაბინეტი ჩქარი ნაბიჯით დატოვა.

– წარმოგიდგენია! – ვლად რიმსკი აღშფოთებას ვერ მალავდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, – კანონიერი ქურდების „კონგრესისთვის“ თუ რაღაც შეხვედრისთვის რიმგოროდის კოტეჯები მოითხოვა, თანაც 2-3 დღით! ეს რომ ვინმემ შეიტყოს, მორჩა... ჩვენი მრევლის თვალში ჩვენი იმიჯი დაეცემა!

– კი მაგრამ, რომა აკოინიკოვს რა კავშირი აქვს კანონიერ ქურდებთან? – გაკვირვება ვერ დავმალე.

– როგორც ვიცი, ის ავადსახსენებელი ცნობილი ქურდი, გოშა არანჟევი, მისი ბიძაშვილია.

როცა ვლად რიმსკის კაბინეტიდან გამოვედი, რომა აღარსად დამილანდავს, სადღაც გაუჩინარდა. სამაგიეროდ, ვარვარა ანტონოვნა მოვიდა და, სანამ „მამა“ ვლადის ოთახში შევიდოდა, შეშფოთებული სახით წამჩურჩულა:

– ალექსანდრ, ვიცი, ეგორი ვინ მოკლა! დღეს საღამოს რამეს მოვიმიზეზებ და სახლში დაგელოდები.

– მოვალ, – მეც გადავუჩურჩულე და მართლაც, ღამის 11 საათზე ვლად რიმსკი კოტეჯამდე მივაცილე, ჩემს მანქანაში გადავჯექი



და დაახლოებით 12 საათზე მეტრო „სპორტივნაიასთან“ ვიყავი. ჩემი „ნისანი“ თოთხმეტსართულიან შენობასთან, ავტოსადგომზე გავაჩერე და სადარბაზოში შევედი. ლიფტთან ახალგაზრდა ქალ-ვაჟი იდგა, ამიტომ არ შევჩერებულვარ და მეხუთე სართულზე ფეხით ავედი. თეთრად შეღებილ კარზე ზარი ორჯერ გაბმულად დავრეკე. ბინიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, თუმცა სათვალთვალო ჭრილში სინათლე დავლანდე. ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა და რატომღაც კარის სახელური დავწიე. ის ღია იყო. ზღურბლთან შევჩერდი, ვერ გადამეწყვიტა, შევსულიყავი თუ არა... მაინც გადავადგი ნაბიჯი და ვარვარას დავუძახე. არავინ მიპასუხა. მისაღებში სინათლე ენთო. პირდაპირ შევედი და ადგილზე გავხევდი – ვარვარა იატაკზე პირქვე ეგდო. ვიფიქრე, ცუდად ხომ არ არის-მეთქი, სასწრაფოდ მივვარდი და გადმოვაბრუნე. თვალები გახელილი დარჩენოდა... ყელთან არტერიაზე თითები მივადე – არ უფეთქავდა... ის მკვდარი იყო. ზაფრამ მთელ ტანში დამიარა. „მახეში გამაბეს!“ – გავიფიქრე, წამოვდექი და იქაურობა სწრაფად დავტოვე. როგორ მივედი სადგომთან, აღარ მახსოვს, ფრუნზენსკაიაზე გავედი და მანქანა მდინარე მოსკოვის სანაპიროზე გავაჩერე; გადავედი და გახურებული შუბლი მდინარიდან მონაქროლ გრილ ჰაერს შევუშვირე. შოკის მდგომარეობამდე ცოტაღა მაკლდა. „ეს ვინ გააკეთა, ან რატომ?! – ეს კითხვები მიტრიალებდა თავში: ვის რაში სჭირდებოდა ამ ქალის სიკვდილი? იქნებ ვარვარა შემთხვევით შეესწრო საუბარს, რომელიც არ უნდა მოესმინა და ამის გამო მოიშორეს... მაგრამ ვინ, ვინ იყო ის... ალბათ, იგივე პიროვნება, ვინც ეგორ კაზაკოვი მოკლა“. ვარვარას ბინაში ნანახი დაწვრილებით აღვიდგინე. ქალს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა, არც ხელჩართული ბრძოლის ველს ჰგავდა იქაურობა; პირიქით, მაგიდაზე ორი ჭიქა, ხილით სავსე ვაზა და შოკოლადის გახსნილი ბომბონერი ეწყო... ჰო... კიდევ ხილის წვენი გრაფინით... ის მოწამლეს! – გამიელვა თავში და ეს ერთადერთ სარწმუნო ვერსიად მივიჩნიე. რაც უნდა იყოს, მკვლელს ვარვარა ანტონოვნა ახლოს იცნობდა, რადგან კარი გაუღო და გაუმასპინძლდა კიდეც.

ერთსაათიანი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი მისია საფრთხეში არ ჩამეგდო, მომხდარის შესახებ არავისთვის არაფერი მეთქვა და მოვლენების განვითარებას დავლოდებოდი.

***

სამშაბათიდან ჩვეულებისამებრ შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას, თითქმის არაფერი მომხდარა. ორი დღე ისე გავიდა, ვარვარა ტრავიანსკაია არავის უხსენებია... ისე კი ძალიან მაკვირვებდა. რომა აკოინიკოვს რამდენჯერმე პირისპირ შევეჩეხე, ვითომც აქ არაფერიიო, მომესალმა და თავისი გზა განაგრძო. ამან უფრო გაამძაფრა ჩემი ეჭვები, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია, სახეზე გულგრილობის ნიღაბი მქონდა აფარებული.

ხუთშაბათს საღამოს ნასტია კოვალენკომ დამირეკა; თუმცა მასთან ყოფნის სურვილი მკლავდა, მაგრამ მთელი ნებისყოფა მოვიკრიბე და ვუთხარი, საქმე სერიოზულადაა, ამ დღეებში თვითონ დაგირეკავ-მეთქი. შევატყვე, ეწყინა, მაგრამ – კარგიო, მითხრა.

პარასკევს, დილით, ვლად რიმსკის ოფისში ორი სამართალდამცველი მოვიდა, საბუთები მოვთხოვე და, როცა დავრწმუნდი, ნამდვილად მილიციელები იყვნენ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის კაბინეტში შევუშვი. მივხვდი, საქმე ვარვარას მკვლელობას ეხებოდა. მათი საუბრის შინაარსი ვერ გავიგე, მხოლოდ, როცა რიმსკიმ ის ორი კაბინეტიდან გამოაცილა, შეწუხებული სახით გადმომილაპარაკა:

– ვარვარა ანტონოვნა მოკლეს! ორი დღე ყოფილა ბინაში მკვდარი... მეზობელს უნახავს.

– მოძღვარო, ეს როგორ უნდა მომხდარიყო? ვარვარა ვის უნდა მოეკლა?! – შეშფოთებული სახე მივიღე და შევეცადე, გამერკვია, ვისზე ჰქონდათ ეჭვი.

– წარმოდგენა არ მაქვს, ალექსანდრ. არა მგონია, ეს ვინმე ჩვენიანს ჩაედინა, – თქვა და გუნებაწამხდარი, კაბინეტში ჩაიკეტა.

რატომღაც გავიფიქრე, რომ ვლად რიმსკიმ, მართლაც, არ იცოდა, ვინ იყო ვარვარა ანტონოვნას მკვლელი... სამაგიეროდ, ის იცოდა, ვინ მოკლა ბერი სერაფიმი. შესაძლოა, ეჭვობდა კიდეც რამეს... მაგრამ, ვარვარას მკვლელი რომც სცოდნოდა, დარწმუნებული ვიყავი, არავითარ შემთხვევაში არ გაამხელდა, რადგან მას ეს ფაქტი ხელს არ აძლევდა.

მისაღებში კონდიციონერი არ იყო, სიცხემ შემაწუხა, პიჯაკი გავიხადე, დივანის საზურგეს თავი მივაყრდენი და მკვდარივით ჩამეძინა ორი ღამის უძინარს.

როცა თვალი გავახილე, 5 საათი ხდებოდა. ოფისის დარბაზი ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით. 6 საათზე რიმსკის სავსე დარბაზში შევყევი. ქადაგების გუნებაზე არ ჩანდა და „სახალხო მკურნალმა“ თავის სიტყვას მხოლოდ 45 წუთი მოანდომა. როცა მსმენელები წავიდნენ, ვლად რიმსკიმ ელიტჯგუფის 10 კაცი თავის კაბინეტში დაიბარა, მე კი მისაღებში ვუცდიდი. მივხვდი, საიდუმლო თათბირი ვარვარას მკვლელობას ეხებოდა. ერთი სული მქონდა, როდის გავთავისუფლდებოდი, რომ იმ კოშმარული ღამის შემდეგ ცოტა გონება მომეკრიბა და შინ კარგად დამესვენა. მაგრამ რიმსკიმ მხოლოდ 11 საათისთვის ინება საცხოვრებელ კომუნაში დაბრუნება.

უჩვეულო სიცხე იყო, ნიავი არ იძვროდა. კორპუსის სადგომზე გავაჩერე მანქანა, გადავედი და სადარბაზოსკენ გავემართე. ეზოში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. ცოტა უჩვეულოდ მომეჩვენა, რომ სადარბაზოში ბნელოდა. ვიფიქრე, ალბათ, ნათურა გადაიწვა-მეთქი და ის-ის იყო, ლიფტის ღილაკს მივაჭირე თითი, რომ კიბეზე ჩამომავალი ნაბიჯების ხმა მომესმა, სიბნელეს ლანდი გამოეყო და პირდაპირ ჩემ წინ აიტუზა.

– ლიფტი არ მუშაობს? – ეს სიტყვები, თუმცა სრულიად ნეიტრალური კონტექსტის შემცველი იყო, მაგრამ მათში შეფარული მუქარა ამოვიკითხე, ამიტომ ხელი, ყოველი შემთხვევისთვის, ზურგს უკან დაკიდებული იარაღისკენ გავიპარე... მაგრამ მაშინვე შუბლზე ცივი ლითონის შეხება ვიგრძენი და იმ უცნობმა კბილებში გამოსცრა: ხელები მაღლა, თორემ შუბლს გაგიხვრეტ!

გონებაში გამიელვა, რომ შემეძლო ელვისებური მოძრაობით მისთვის ხელი ამეკრა, თანადროულად იარაღი მომემარჯვებინა და გასროლა მომეხდინა, ვიცოდი, ამას მოვახერხებდი, მაგრამ ამ დროს უკან კიდევ ვილაცები ამომიდგნენ და ახლა ზურგზე ვიგრძენი მკვრივი საგანი. მივხვდი, თითიც რომ გამენძრია, სიცოცხლეს საფრთხეში ჩავიგდებდი და ხელები მაღლა ავწიე.

– გაჩხრიკე! – უბრძანა იმ პირველმა, რომელიც კიბიდან ჩამოვიდა.

– გავასუფთავე! – მიიღო პასუხად და იარაღი და მობილური ამომაცალა.

– ხელები უკან შეუკარით! – კვლავ პირველი თავდამსხმელის ხმა გაისმა.

ხელებზე რაღაც წებოვანი ლენტი, უფრო სკოჩი, დამახვიეს და სადარბაზოდან გამიყვანეს. სამნი იყვნენ – ერთი უკან მომყვებოდა, ორნი – აქეთ-იქიდან. იარაღის ლულა ახლა გვერდზე მქონდა მოდებული... ასე „საპატიოდ“ მიმიყვანეს „ბეემვეს“ მარკის მანქანასთან და ხელისკვრით შემაგდეს სალონში. მანქანა დიდი სისწრაფით დაიძრა.

– ვინ ხართ, ბიჭებო და რა გინდათ?! – ვკითხე, როცა მანქანა მოსკოვის გარეუბანს გასცდა.

– მოკეტე, შენი...! – შემაგინა წინ მჯდომმა, რომელმაც შუბლზე იარაღი მომადო და უკან მჯდომებს უბრძანა – თავზე შლემი ჩამოაცვით!

შავი, სქელი და მჭიდრო ნაქსოვი ნაჭერი კისრამდე ჩამომაცვეს... ველარაფერს ვხედავდი. გონებაში აზრები ერთმანეთში მერეოდა – ნეტავ, ვინ არიან, ნუთუ გამშიფრეს-მეთქი... თანაც, რიმსკის საიდუმლო თათბირი გამახსენდა. მაგრამ, „სახალხო ტაძრის“ წინამძღვრისთვის საეჭვო და ირიბი არაფერი შემიმჩნევია... „ნუთუ ამას რამე კავშირი აქვს ეგორისა და ვარვარას მკვლელობასთან?!“– ვფიქრობდი და ერთი სული მქონდა, როდის შევიტყობდი, სად მივყავდი და რა უნდოდათ.

ჩემი ვარაუდით, საათ-ნახევარი მაინც ვიარეთ ტრასაზე. მერე ჯანჯღარით მივხვდი, რომ მანქანა ოღროჩოღრო, მოუწყობელ გზაზე გავიდა. დაახლოებით ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, გავჩერდით. მანქანიდან გადამათრიეს, სადღაც შემიყვანეს და შლემი მომხსნეს. ოთახი ყურადღებით მოვათვალიერე – სადღაც ძველ, რუსული სტილის, მოუწყობელ „ხატაში“ ვიყავი. მაგიდას, რომელზეც არაყი, დაჭრილი ძეხვი და შავი პური ელაგა, ერთი ჭაღარა მამაკაცი ეჯდა და დაკვირვებით მიყურებდა. ოთახს ძლივს ანათებდა 25 ან 40-ვატიანი ნათურა.

– ჩემი იარაღი მომეცი! – ჩემმა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა მეორეს მიმართა. ამ უკანასკნელმა მძიმედ ამოიღო „მაკაროვის“ პისტოლეტი და მიაწოდა. პირველმა, დაბალმა და უშნო ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც რაღაცით ვირთხა მომაგონა, ოთახი დატოვა. მივხვდი, „დასაზვერად“ გაუშვეს.

ორნი, ისინი, ვინც იმ ქოხში მიმიყვანეს, იქვე დარჩნენ.

– დაჯექი! – მიბრძანა მაგიდასთან მჯდომმა, ასაკოვანმა თმაჭაღარამ, რომელიც ასე, 60 წლის უნდა ყოფილიყო და შეიძლება – უფრო მეტისაც.

მეც მის წინ, მოშორებით მდგომ ხის სკამზე ჩამოვჯექი.

– აი, ამ დამპლის იარაღი! – შავგვრემანმა და გამხდარმა, ზურგში მოხრილმა ტიპმა იმ ასაკოვანს მაგიდაზე ჩემი „გლოკი“ დაუდო.

– მაშ, ეს შენ ხარ ის ინგლისელი, იმ სექტანტს რომ იცავს?! – მკითხა და თვალი თვალში გამიყარა. – ესე იგი, შენ ჩაშალე საქმე, არა?!

– არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ? – მივუგე მშვიდად და მზერა გავუსწორე.

– აი, ახლა რო ცოცხლად გაგატყავებ, მერე გაიხსენებ, შენი დედაც..! – წამოხტა ის, რომელიც ბნელ სადარბაზოში კიბიდან დამესხა თავს.

– გოშა, ადგილზე დაჯექი! – გაისმა კვლავ ჩემ წინ მჯდომის ხმა.

გოშაო! – უცბად გონება გამინათდა და აზრები თავისთავად დალაგდა: გამახსენდა ვლად რიმსკისა და რომა აკოინიკოვის საუბარი. ნუთუ ეს გოშა არანჟევია, იმ სურიკატას ბიძაშვილი?! – ყურადღებით დავაკვირდი იმ აგრესიულ პერსონას და აღმოვაჩინე, რომ, მართლაც წითური თმა ჰქონდა. მივხვდი, რომა აკოინიკოვმა გამაბა მახეში!

– რა, სასამართლო ხომ არ უნდა მოვუწყოთ, დავბრიდოთ და ეგ იქნება! – ამ სიტყვებით სკამს დაუბრუნდა წითური.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# დამღუპველი სიყვარული

**რობერტ კოლბი**

ჯერი ჰოლანდი მაშინვე მიხვდა, რომ კლიენტი მთვრალი იყო – სასტუმროდან ბარბაცით გამოვიდა და მკერდზე მოზრდილი პორტფელი ჰქონდა მიხუტებული. ტაქსის კარი გამოაღო და ჩაჯდა. ჯერის დასანახავად სძულდა მთვრალი კლიენტები. მათგან პრობლემები უფრო მეტი იყო, ვიდრე სარგებელი და, ამიტომ, ცდილობდა, კონტაქტში საერთოდ არ შესულიყო. კლიენტი ცოტა ხანს ჩუმად იჯდა, მერე კი სლოკინით ჰკითხა:

– შენ რა, მუნჯი ხარ? ტაქსისტებს, ზოგადად, უყვართ ლაპარაკი.

– გააჩნია, როგორ განწყობაზე ვარ. ახლა ჩუმად ჯდომა მირჩევნია. თქვენც გირჩევთ, სერ, წყნარად იჯდეთ, სანამ დანიშნულების ადგილამდე მიგიყვანთ.

კლიენტმა გაოცებისგან პირი დააღო:

– შენ როგორი თავხედი ყოფილხარ... დავურეკავ თქვენს ფირმას და ვეტყვი, ჭკუა გასწავლონ.

ჰოლანდმა მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა და კლიენტს მიუბრუნდა. თვალებანთებული და მხარბეჭიანი საკმაოდ საშიში შესახედავი იყო.

– ახლავე გადადით აქედან და, სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთ!

კლიენტი დაფრთხა. ჩანთა უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე და ჩაილაპარაკა:

– მიმიყვანეთ სახლში. მაპატიეთ, ცოტა ზედმეტი მომივიდა დალევა. ფეხით ვერ მივაღწევ იქამდე...

ჰოლანდმა ჩუმად დაძრა მანქანა... როცა კლიენტი მანქანიდან გადავიდა, ჰოლანდმა დაინახა, რომ მან სავარძელზე ოცდოლარიანი დააგდო. ხურდა ეკუთვნოდა – ექვსი დოლარი, მაგრამ, კლიენტი უკვე შევიდა წითელი აგურით ნაშენებ, ცოტათი განმარტოებით მდგარ სახლში... ჰოლანდმაც გადაიფიქრა მიბრუნება. ორი წუთის შემდეგ კი რაღაცამ შეაწუხა. უკან მიიხედა და სავარძელზე ის პორტფელი დაინახა, კლიენტს მკერდზე რომ ჰქონდა მიხუტებული... უმისამართოდ შეიგინა და მანქანა შემოაბრუნა... როცა ნახევრად ჩაბნელებული სახლის სადარბაზოს მიუახლოვდა, რევოლვერიდან გასროლის ხმა გაიგონა. აშკარად სახლში გაისროლეს, თანაც ორჯერ. რაღაც ძალამ აიძულა, კარისკენ გადაედგა რამდენიმე ნაბიჯი და ზარი დაერეკა... ფრანგული სარკმლიდან კი დაინახა, როგორ გამოემართა სასტუმრო ოთახიდან კარისკენ ახალგაზრდა ქალი... დამფრთხალი ნელა მოძრაობდა და ჯერის მოეჩვენა, რომ თითქმის საუკუნე გავიდა, სანამ კარს გაუღებდა...

„ღმერთო, რა ლამაზია!" – სწორედ ეს გაიფიქრა პირველად, როცა კარი გაიღო და ზღურბლზე აღმართულ ქალს შეხედა.

– წელან აქ მამაკაცი მოვიყვანე, მანქანაში საბუთებიანი პორტფელი დარჩა, უნდა გადავცე. თუ არ შეწუხდებით, დაუძახეთ...

– ანუ, ტაქსის მძღოლი ხართ? მომეცით პორტფელი და მე გადავცემ.

– თქვენ მისი მეუღლე ხართ? – ჰკითხა ჰოლანდმა, თან მისი ცქერით ტკბებოდა.

– არა, ოჯახის მეგობარი ვარ. მისი მეუღლე საავადმყოფოშია. მომეცით პორტფელი.

– არა, არ გამოვა. პორტფელი პირადად უნდა გადავცე. თუ არ სცალია, შემოვალ და დაველოდები.

სანამ ქერა ლამაზმანი პასუხის გაცემას მოახერხებდა, ჰოლანდი სახლში შევიდა და სასტუმრო ოთახისკენ დაიძრა. ქალიშვილმა შეჰკივლა და წინ გადაუდგა:

– რას აკეთებთ? ახლავე წაეთრიეთ აქედან!

განრისხებულიც კი ისეთი შეუდარებლად მომხიბვლელი იყო, რომ ჯერიმ იგრძნო, როგორ გაუთბა გულში რაღაც, მაგრამ, მაინც მოახერხა, თავი ხელში აიყვანა...

– მომისმინეთ, ქალიშვილო! გარკვევით გავიგონე, როგორ გაისროლა ამ სახლში ვიღაცამ. ვინ მოკალით?

ქალიშვილი წაბარბაცდა და სავარძელზე დაეცა:

– ღმერთო! ეს უბედური შემთხვევა იყო...

– მოვრჩეთ ამ სპექტაკლს. უბედური შემთხვევა სამი გასროლით? საინტერესოა, რას იტყვის ამაზე პოლიცია.

– ო, არა! ოღონდ პოლიცია არა... მე მხოლოდ თავს ვიცავდი... ვანდერგრიფტი ნამდვილი ურჩხული იყო, ერთი წლის განმავლობაში ძალადობდა ჩემზე... მისი ცოლის მომვლელი და კომპანიონი ვიყავი. მპირდებოდა, ჩემი ცოლი რომ გარდაიცვლება, შენ შეგირთავო, მაგრამ, მე ცუდად ვგრძნობდი თავს მის გვერდით... მძულდა. გადავწყვიტე, წავსულიყავი. მიპოვა და ძალით მომათრია უკან, ჩამკეტა და სადღაც წავიდა. მთვრალი დაბრუნდა, მეცა და მაგიდაზე გადამაწვინა... უჯრიდან რევოლვერი ამოვიღე და ვესროლე... ერთხელ, მეორედ... არ მინდოდა მისი მოკვლა, მაგრამ, სინდისი არ მაწუხებს ამის გამო.

სილამაზე საშიში რამეა. ჯერიც უძლები აღმოჩნდა მის წინაშე.

– ვინმემ იცის, აქ რომ ხართ? – ჰკითხა აცრემლებულ ქალიშვილს.

– არა, არავინ.

– სასწრაფოდ შებრუნდით ოთახში, გაწმინდეთ ყველაფერი, რასაც კი შეეხეთ და წამოდით... რევოლვერიც გაწმინდეთ... მე სახლში წაგიყვანთ... სად ცხოვრობთ?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჩემზე რაც ნაკლები გეცოდინებათ, მით უკეთესი იქნება თქვენთვის.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქალიშვილი ჯერის მანქანაში იჯდა.

– გვამს მალე ვერ იპოვიან... დამშვიდდით, – გაამხნევა ჰოლანდმა.

– მშვიდად ვარ.

– რა გქვიათ?

– ხომ გითხარით, ჩემზე რაც ნაკლები გეცოდინებათ, თქვენთვის უკეთესი იქნება-მეთქი. სილვია დამიძახეთ. შეეცადეთ, აღარსად მნახოთ.

– იცით, რომ ძალიან ლამაზი ხართ?

ქალიშვილმა ამოიოხრა და თავი გადააქნია:

– არა, თქვენ მხოლოდ გეჩვენებათ, რომ ლამაზი ვარ. აქ გამიჩერეთ..

– აქ სახლები არ არის...

– გამიჩერეთ! – თითქმის უბრძანა ქალიშვილმა და ჰოლანდიც დაემორჩილა, თუმცა, შორს არსად წასულა, შორიახლოს გაჩერდა. როგორც კი სილვიამ სხვა ტაქსი გააჩერა, უკან გაჰყვა და დაინახა, რომელ სახლში შევიდა... მეორე დღეს, საღამოს, იქ იყო. ამ ქალისკენ რაღაც უხილავი ძალა ეწეოდა. პირველივე ბინის კარი შეღებული იყო და მან ოქროსფერ მაისურსა და მოკლე შორტში გამოწყობილი სილვია დაინახა...

– თქვენ აქ რა გინდათ, – შეცბა ქალიშვილი, – მითვალთვალებდით?

– დიახ. იმიტომ, რომ შენი ნახვა მინდოდა... რას იტყვი, ერთად რომ ვივახშმოთ? შევეცდები, ყველაფერი დაგავიწყო.

ქალიშვილმა ხელები აიქნია:

– წადი, წადი აქედან და დამივიწყე... ფული გინდა? თუ გინდა, ფულს მოგცემ, ოღონდა, ქედან უკანმოუხედავად უნდა წახვიდე...

– სილვია, მომისმინე...

– მას ლუარა ჰქვია, – ჰოლანდი შემობრუნდა, – მის წინ ბრგე, უხეშნაკვთებიანი ახალგაზრდა კაცი იდგა, ხელში რევოლვერით, – შენ ხომ გითხრეს, უკან არ დაბრუნებულიყავი... გინდა, სიმართლე იცოდე? კარგი, გეტყვი, მაგრამ ეს იქნება ბოლო სიმართლე, რომელსაც შენს სიცოცხლეში გაიგონებ. ის იდიოტი მე მოვკალი. მანამდე მოვასწარით და მისი ფულის დიდი ნაწილი ჩავიჯიბეთ. მეტსაც გეტყვით, სილვია დაოსტატებულია მდიდარი და სულელი მამაკაცების გაყვლეფაში – მას ეს კარგად გამოსდის. ჯობდა, ჩვენ შესახებ საერთოდ არაფერი გცოდნოდა... მშვიდობით...

ერთადერთი ტყვია ჰოლანდს პირდაპირ გულში მოხვდა; მეორე, საკონტროლო – შუბლში...

– იმ ღამესვე უნდა მოგვეკლა, ვანდერგრიფტთან ერთად და იქვე დაგვეტოვებინა, მაშინ პოლიცია იფიქრებდა, რომ მათ ერთმანეთი დახოცეს. ახლა გვამის მოშორება იოლი არ იქნება. თუ ჩვენ შესახებ მოუყვა ვინმეს, მაშინ, ასი პროცენტით „დამწვრები" ვართ.

ქალიშვილმა თავი გადააქნია და სევდიანი სახით დააშტერდა ჰოლანდის უსულო სხეულს.

– მგონი, მართლა შევუყვარდი... ჩვენ შესახებ მოუყვა? არა, ჩემ შესახებ შეეძლო, მოეყოლა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ გაუკეთებია... თუმცა, გამორიცხული არაფერია.

– გეყოფა სენტიმენტები... მოხვეტე შენი ძონძები და წავიდეთ აქედან. ჩვენი წასვლა უფრო შეუმჩნეველი იქნება, ვიდრე ამხელა გვამის გატანა...

– მგონი, მართლა შევუყვარდი... – ჩუმად გაიმეორა ქალმა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# მაფიის შვილობილი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-39(718)**

მერაბი და გულბათი ჩქარი ნაბიჯებით შევიდნენ ეზოში და სახლის კიბეებთან შედგნენ. ერთად შეჯგუფებულ მაღალჩინოსან მილიციელებს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ჩვეულ სტილში, მკაცრად ელაპარაკებოდა. ახალმოსულები რომ შენიშნა, პირველად მერაბს ჩამოართვა ხელი, შემდეგ კი გულბათს. იგივე გაიმეორეს სხვებმაც. მისალმების პროცედურა რომ დასრულდა, გენერალმა გამრეკელი მოიკითხა და ბოლოს უთხრა:

– თქვენთვის არც უქმე არსებობს, არც შვებულება და არც თაფლობის თვე? მაინც საქმისკენ გამოგიწიათ გულმა, მაიორო, ხომ?

მერაბს არც მინისტრი დაუპატიჟებია ქორწილში და არც სოხუმის მილიციის სამმართველოს უფროსი, რადგან ისინი თავის ახლობლებად არ მიაჩნდა. მლიქვნელობა კი არ შეეძლო. ამიტომ, გენერლის სიტყვებში ფარული ბოღმა შენიშნა, თუმცა, არ შეიმჩნია და მიუგო:

– თუ სწორად მაცნობეს, ძალიან სერიოზულ დანაშაულთან – სამმაგ მკვლელობასთან გვაქვს საქმე. თანაც, ჩვენი კოლეგაა მოკლული.

– სამწუხაროდ, ასეა. ცოლ-ქმარ ბუთბების გარდა, ექსპერტი ჯონდო სარიაცაა მოკლული. პირველადი მონაცემებით, მათ ერთმანეთი დახოცეს, – თქვა მინისტრმა, და მხრები აიჩეჩა, – მაინც ვერ ვხვდები, აქ სარიას რა უნდოდა.

– უკაცრავად, ამხანაგო გენერალო, უნდა დაგტოვოთ და სახლში შევიდეთ.

„ლაწირაკი! რა ამის საქმეა აქაურ ამბებში ცხვირის ჩაყოფა. გამომივიდა შერლოკ ჰოლმსი“, – გულში გაიფიქრა დაბოღმილმა გენერალმა, გამრეკელს კი გაუღიმა და უთხრა:

– რა თქმა უნდა, მაიორო, მიბრძანდით. შიგნით ექსპერტები და გამომძიებლები მუშაობენ. ნესტორიც, ალბათ, მალე მოვა. მას დავაწერე ეს საქმე და, იქნებ, ერთად შეიმუშავოთ ვერსიები.

კიბეებზე რომ ადიოდნენ, გულბათმა მერაბს უთხრა:

– თუჯის თავი ექნება ახლა ნესტორს – საშინელი პახმელია იცის და, რა მოკვლევისა და ვერსიების თავი ექნება მაგას?

– რატომ?

– იმიტომ, რომ წუხელ ერთად ვიქეიფეთ ყალიჩავასთან. ისეთი მთვრალი იყო, ისეთი, რომ ფეხზე ვერ იდგა. სანამ მე ტუალეტში ვიყავი, ჩაჯდა მანქანაში და სუფრიდან გაეპარა, – გაეცინა მარგიანს, – მეც მაგრად ვიყავი, მაგრამ, იმდენი მაინც მოვახერხე, რომ სახლში მისვლისთანავე სოხუმში, სახლში დავურეკე და, მისმა ცოლმა მითხრა, მკვდარივით სძინავსო.

– შევიდეთ, ვნახოთ, რა მოხდა, – თქვა მერაბმა და ღია კარის ზღურბლზე გადააბიჯა.

ერთსართულიან, ოროთახიან სახლში ოცამდე ადამიანი იმყოფებოდა. ექსპერტი ჯონდო სარია და დაურ ბუთბას მეუღლე, ცირა ეხვაია, ორადგილიან საწოლზე ეყარნენ. ქალს ტყვია მარცხენა თვალში ჰქონდა მორტყმული; ჯონდო სარიას კი, ერთი ტყვია მარჯვენა ბარძაყში, ერთიც – თავში. დაურ ბუთბა საწოლიდან ორი მეტრის მოშორებით ეგდო და ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი. სარიასაც და ბუთბასაც „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტები ეკავათ ხელში.

ოთახში შეკრებილებმა მერაბი და გულბათი რომ დაინახეს, საქმიანობა შეწყვიტეს და ახალმოსულებს მიაჩერდნენ. მერაბმა ყურადღებით შეათვალიერა მოკლულები და ჩაფიქრდა. მას ოცდათხუთმეტიოდე წლის მამაკაცი მიუახლოვდა და უთხრა:

– გამარჯობა, ბატონო მერაბ. მე ბონდო გვალია ვარ, ექსპერტ-კრიმინალისტი.

– გაგიმარჯოს! – მაიორმა ხელი ჩამოართვა გვალიას და სმენად იქცა.

– ბატონო მერაბ, სურათებიც გადავიღეთ და სიტყვიერი აღწერაც მზად მაქვს უკვე, მაგრამ, გამომძიებლის გარეშე მაინც არ გავატანეთ მორგს გვამები. პესკასელს აწერია ეს საქმე და ნახოს ნესტორმაც. რას ფიქრობთ ამ მკვლელობებზე?

– თქვენ რას ფიქრობთ? – კითხვა შეუბრუნა მერაბმა.

– აშკარაა, რომ პირველმა ბუთბამ გაისროლა და თავისი ცოლი მოკლა, შემდეგ ჯონდოს ბარძაყში მოარტყა; ბოლოს კი ბუთბამ და ჯონდომ ერთდროულად გაისროლეს და ერთმანეთი დახოცეს, – თქვა გვალიამ, – შეუსწორო, ეტყობა, დაურმა ცოლს ჯონდოსთან და შური იძია – ასე ვფიქრობ მე. სხვა ვერსია გამორიცხულია თითქმის. ასე არაა, ბატონო მერაბ?



გამრეკელმა პასუხს თავი აარიდა, გვალიას დაურ ბუთბასა და ჯონდო სარიას „მაკაროვების“ ნომრები დაუსახელა და ჰკითხა:

– სწორია? ბუთბასა და სარიას „მაკაროვებს“ ეს ნომრები აქვთ?

– ზეპირად არ მახსოვს, ახლავე ვნახავ, – მიუგო გვალიამ. შემდეგ ოქმში ჩაიხედა, თან მერაბს პისტოლეტების ნომრები გაამეორებინა და გაოცებული სახით ჰკითხა:

– საიდან იცით, ბატონო მერაბ? ნომრები ზუსტად ემთხვევა!

მერაბ გამრეკელს „გადაღეჭილი“ ჰქონდა წართმეული პისტოლეტების საქმეები, რომლებიც სერგისა და დანარჩენ მკვლელობებთან იყო დაკავშირებული. მას ამ საქმეების ყველა წვრილმანი ახსოვდა, თანაც, გვალიასგან განსხვავებით, საკუთარი ვერსია გააჩნდა ამ სამმაგ მკვლელობაზე. მაიორმა პაუზა გააკეთა და გვალიას უთხრა:

– ეს მკვლელობები ერთი დიდი საქმის ნაწილია. ის საქმე კი საფუძვლიანად მაქვს შესასწავლი და ყველა დეტალი მახსოვს.

– გასაგებია, ბატონო მერაბ, – თქვა გვალიამ, – აი, ნესტორიც მოვიდა.

მაიორი ნესტორ პესკასელი მძიმე ნაბიჯებით და „მჟავე“ სახით შევიდა ოთახში. ჯერ გულბათს ჩამოართვა ხელი, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა და უჩურჩულა: „ისეთი გატიალებული ვიყავი წუხელ, რომ არაფრის ტრაკი არ მქონდა. არა, რა, მეტს აღარ დავლევ“, – შემდეგ მერაბს მიუახლოვდა, კეთილგანწყობილად გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

– როგორ ხარ, მერაბ? რამდენი ხანია, არ მინახავხარ. რაც თანამდებობაზე დაგნიშნეს, ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ.

– შენ როგორ ხარ?

– ისე ცუდად, რომ ხუჟე ნეკუდა, – წაუჩურჩულა პესკასელმა და დაამატა: – წუხელ ისე გამოვთვერი ყალიჩავასთან, სახლში როგორ მივედი, მიკვირს. კიდევ კარგი, ან ზღვაში არ გადავიჩეხე, ან ავარიაში არ მოვყევი. არა, რა, მეტს აღარ დავლევ...

– ღვინო ჭურს ხეთქავს, – ღიმილით თქვა მერაბმა.

– ეგრეა, – დაეთანხმა პესკასელი, ხელი ჩაიქნია, მძიმედ ამოისუნთქა და ჰკითხა, – რა მოხდა აქ, რა საშინელებაა...

– აი, შენ თვითონ ნახე, – მერაბმა მოკლულებისკენ გაიშვირა ხელი.

პესკასელმა სამიოდე წუთი ათვალიერა მოკლულები, შემდეგ ექსპერტი ბონდო გვალია იხმო და უთხრა:

– ბუთბამ ჯერ ცირას ესროლა თვალში და ადგილზევე მოკლა, შემდეგ ჯონდოს მოარტყა ბარძაყში, ბოლოს კი ბუთბამ და ჯონდომ ერთდროულად ესროლეს ერთმანეთს და სასიკვდილოდ ჭრილობები მიაყენეს. ასეა?

– მეც ზუსტად ასე ვფიქრობ, სხვა ვარიანტი აქ გამორიცხულია, – დაეთანხმა გვალია პესკასელს.

– პისტოლეტები და მასრები ახლავე დალუქე და ბალისტიკაზე გაუშვი სასწრაფოდ. მოგვიანებით კი მორგიდანაც წაიღე ოთხი ტყვია და ისინიც გაუშვი. ჩქარა ქენი, ბონდო, ჩქარა, უსერიოზულესი „ჩეპე“ და დრო არ ითმენს!

– ახლავე, – მიუგო გვალიამ და საქმიანობას შეუდგა. პესკასელმა კი პათანატომს დაუძახა და ჰკითხა:

– რომელ საათზე მოხდა ეს საშინელება?

– ღამის პირველიდან ორამდე, – მტკიცედ მიუგო პათანატომმა.

– თუ არ მეშლება, ოთხივე ტყვია სხეულში აქვთ მოკლულებს.

– კი, ასეა, – დაუდასტურა პათანატომმა პესკასელს.

– რაც შეიძლება მალე გაკვეთე და ტყვი-

ები ბონდოს გაატანე. დასკვნებიც სასწრაფოდ მჭირდება. უსერიოზულესი „ჩეპეა“. პირადად მინისტრი კურირებს ამ საქმეს და, აბა, შენ იცი!

პათანატომმა თავი დაუქნია პესკასელს. შემდეგ სანიტრები იხმო და სამივე გვამი საკაცეებით გაატანინა, თან, სანიტარ შოპენას შეუღრინა, რომელიც ოპერა „კარმენის“ მელოდიას უსტვენდა და მოკლულ ჯონდო სარიას მხიარული სახით უმზერდა.

– როგორ აკლია შოპენას – თავი გააქნია გულბათ მარგიანმა, – ჯონდო სულ დასცინოდა მაგას და, მკვდარს რომ უყურებს, უხარია, მგონია.

პესკასელმა გამომძიებლები იხმო და მეზობლების გამოკითხვის შესახებ ჰკითხა. გაარკვია, რომ ამ მკვლელობებს არც თვითმხილველი ჰყოლია და არც გასროლების ხმა გაუგონია ვინმეს.

– ამხანაგო მაიორო, – უთხრა პესკასელს ერთ-ერთმა გამომძიებელმა, – არცაა გასაკვირი, რომ გასროლების ხმა არავის გაუგია. ჯერ ერთი, ეს სახლი მოშორებით დგას სხვა სახლებისგან; მეორე ის, რომ აქ მუშა ხალხი ცხოვრობს, დილით ადრე დგებიან და ღამის პირველ საათზე უკვე ყველას სძინავს. თანაც, აქ რკინიგზა გადის, მატარებლები ინტენსიურად მოძრაობენ და ისეთი ხმაურია, რომ ზარბაზნის გასროლასაც კი ჩაახშობს.

– გასაგებია. ოქმები სამმართველოში მიიტანეთ და, რომ დავბრუნდები, საქმეში ჩავაკრავ, – უთხრა პესკასელმა ხელქვეითებს და გაისტუმრა. გავიდა გულბათიც, რადგან ერთ-ერთ გამომძიებელთან რაღაც პირადი საქმე ჰქონდა და ოთახში მხოლოდ მერაბი და ნესტორი დარჩნენ. პესკასელმა სიგარეტი გააბოლა, უკიდურესად დამწუხრებული სახე მიიღო და ჩაილაპარაკა:

– ჰმ... გადაირევა ფატი. ცირა მისი დეიდაშვილია, ძალიან უყვარდა და, მის უბედურებას რომ შეიტყობს, ცას შეძრავს კივილით. რა ვქნა, არ ვიცი, როგორ შევატყობინო ჩემს ცოლს ეს ამბავი.

– რას ფიქრობ, ნესტორ, რა მოხდა წუხელ აქ, რა ვერსიას წარუდგენ მინისტრს? – ჰკითხა მერაბმა პესკასელს.

– რას და, ჯონდოსა და ცირას დედა რომ ვატირე, იმას, – გამწარებით თქვა პესკასელმა და დაამატა: – რაც არ უნდა ვეცადო, რომ ეს ამბავი დავმალო, მაინც არაფერი გამოვა. საყვარლები იყვნენ ჯონდო და ცირა. ბოზობდა, როგორც ეტყობა, ჩემი ცოლის დეიდაშვილი, იმ კაციჭამიამ კი ყველაფერი შეიტყო, თავზე წამოადგა და, ისინიც დახოცა და თვითონაც ჩაძაღლდა. შურისძიების ვერსიას ვერსად გავექცევი და სწორედ ამის მრცხვენია მე. რაღა მაინცდამაინც მე შემომტენა მინისტრმა ეს საქმე?

– ჯონდო სარიას „მაკაროვზე“ რას იტყვი?

– რა უნდა ვთქვა! იმ ცინიკოს ნაბოზარს უკანონო იარაღი ჰქონია მფლობელობაში. ეშინოდა, ეტყობა, კაციჭამია დაურ ბუთბასი და, მის ცოლთან შესახვედრად როცა მიდიოდა, პისტოლეტიც თან დაჰქონდა. ისე, იმ პისტოლეტის კვალს უნდა გავყვე და გამოვააშკარავო, ვისგან იყიდა „მაკაროვი“ – ესეც ძალიან სერიოზული ამბავია და დედა უნდა ვუტირო ამის მქნელს.

მერაბმა მშვიდად მოუსმინა პესკასელს და უთხრა:

– დაურ ბუთბა სერგი შამბას ტაბელური „მაკაროვითაა“ მოკლული, ჯონდო სარია კი იმ „მაკაროვით“, რომლიდანაც სამი ტყვია ესროლეს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში სერგი შამბას.



მერაბ გამრეკელის სიტყვებზე პესკასელს სახე ეცვალა, გაოცებული მზერა ესროლა მას და ჰკითხა:

– შენ საიდან იცი?

– ეგ საქმეები უწვრილმანეს დეტალებამდე მაქვს შესწავლილი და პისტოლეტის ნომრებით მივხვდი.

– ხომ არ გეშლება, მერაბ?

– არა, – თავი გააქნია გამრეკელმა, – სწორედ ასეა და წყალი არ გაუვა.

პესკასელი ჩაფიქრდა, ორიოდე წუთის შემდეგ კი მერაბს უთხრა:

– წარმოუდგენელი რამ გამოდის. თუ მართლა ისეა, როგორც შენ ამბობ, მაშინ, ის მოუხელთებელი ფანტომი ჯონდო სარია ყოფილა.

– კი, ასეა, – დაუდასტურა მერაბმა.

– როგორ, რუბენ ჩოჩიანი, ტიტე კალანდია და ვიტალი ტარკილი მან დახოცა და სერგის მკვლელობაშიც ჯონდო იყო გარეული, ანუ, ის ორგანიზებული ბანდის მეთაური იყო?

– როგორც ჩანს, – მიუგო მერაბმა.

– დაუჯერებელია, დაუჯერებელი... – იმეორებდა პესკასელი.

– მაგრამ, ფაქტია, ფაქტებს კი ვერსად გავექცევით, – დაამატა მერაბმა.

პესკასელმა სიგარეტი გააბოლა. შემდეგ ოთახში გაიარ-გამოიარა და თან იმეორებდა:

– კრეტინები ვართ, კრეტინები: ის ნაძირალა სამი წლის განმავლობაში ჩვენ ცხვირწინ ასეთ რამეებს სჩადიოდა და ჩვენ კი ტყემალზე ვისხედით. გახსოვს, რომ მითხარი, ფანტომი ან მილიციელია, ან ჩვენს საქმიანობაში კარგად ჩახედული ადამიანიო? თურმე, მართალი ყოფილხარ. მაგრამ, ჯონდო სარიაზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი ამას, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი...

– ეშმაკი სწორედ ამიტომაა ეშმაკი, რომ ეშმაკობას ვერ მიუხვდე. როგორც ჩანს, ჯონდო უფრო ფართო ასპარეზზე მოქმედებდა და, იმედია, სხვა საქმეებზეც გავალთ, – თქვა მერაბმა.

– მდაა... ხუჟე ნეკუდა, – თავი გააქნია პესკასელმა, მერაბის წინ შეჩერდა და უთხრა: – მერაბ, ერთი რამ უნდა გითხრა და ნუ მიწყენ.

– თქვი, ნესტორ.

– მერაბ, ძმობა გვაქვს ერთმანეთში ნათქვამი, ძმებში კი გაურკვევლობა არ უნდა არსებობდეს.

„საიდან მოიტანა ჩვენი ძმობა“, – გუნებაში გაიფიქრა მერაბმა, ნესტორ პესკასელმა კი განაგრძო:

– ამიტომ, ჩემო მერაბ, პირდაპირ უნდა გითხრა: ხომ ჩემზე გქონდა ეჭვი?

– რისი ეჭვი?

– ფანტომი ხომ მე გეგონე?

– ეჭვი ყველაზე მქონდა – ასეთია ჩვენი პროფესია. მაგრამ, რატომ გგონია, რომ ფანტომი მაინცდამაინც შენ მეგონე? – ჰკითხა მერაბმა პესკასელს.

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ინტუიცია მკარნახობდა ამას. თანაც, არც სკალებზე წასვლის ამბავი მითხარი, თუმცა, წინა ღამეს ერთმანეთს შევხვდით ძია ასთამურის სახლში და ვილაპარაკეთ; არც ტრასაზე დადებული სარკის ამბავი მოგიყოლია ჩემთვის, რაც მე სრულიად შემთხვევით შევიყტვე – უბრალოდ, ეს ამბავი ჩვენმა თანამშრომლებმა მითხრეს, იმათ, ვინც შენ სოხუმიდან გაგრაში წაგიყვანა. იმ ღამეს, როდესაც მე და შენ ჩემს ოჯახში ვიქეიფეთ და, ჩემდა სამარცხვინოდ, სტუმარი კაცი მარტო გამოგიშვი შუაღამისას.

– არა, ნესტორ, გეშლება, ამჯერად ინტუიციამ გიმტყუნა. რაც შეეხება სკალაზე წასვლას, მე შენ მაშინვე აგიხსენი, რატომაც არ ჩაგაყენე წინასწარ საქმის კურსში. მე რომ წინასწარ მეთქვა ეს შენთვის და იქ ტარკილის გვამი არ დაგვხვედროდა, სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, მე კი ეს არ მინდოდა. სარკის ამბავი ხომ, საერთოდ არაა


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**



სათვალავში – ვილაც იდიოტმა რაღაც სისულელე ჩაიდინა და, რა კავშირი აქვს ამას ან ფანტომთან, ან შენთან?

– როგორ, რა კავშირი?

– ჰო, რა კავშირი აქვს სარკეს ამ ყველაფერთან? – მხრები აიჩეჩა მერაბმა და პესკასელს გაოცებით შეხედა.

– შენ რა, მართლა არ იცი, რას ნიშნავს ღამით ტრასაზე დადებული სარკე?

– დაახლოებით ვხვდები ახლა, მაგრამ, შენ მითხარი, რას ფიქრობ.

– ღამით, ტრასაზე რომ სარკეს დაუდებ მძღოლს, თანაც, სოხუმი-გაგრის ტრასაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დაღუპვა გინდა – ეს „კაგებეს“ მეთოდია და ზუსტად ვიცი. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სარკე შენს მოსაკლავად იყო იქ დადებული.

– სიმართლე გითხრა, ამაზე არც მიფიქრია, – იცრუა მერაბმა, – შენ რომ ფანტომი ყოფილიყავი, ხომ არ გადაფრინდებოდი და სარკეს ისე ხომ არ დამიდებდი? იმ ღამეს არც მე ვიყავი ფხიზელი, მაგრამ, შენ ისეთი მთვრალი იყავი, რომ ოთახიდან ოთახში გასვლა გიჭირდა, არათუ ტრასაზე სარკის დადება.

– მაგაში მართალი ხარ, – გაეცინა პესკასელს, – წუხელაც მასეთ დღეში ვიყავი – გზას ძლივს ვხედავდი და კინაღამ ზღვაში გადავიჩეხე.

– ასე რომ, ჩემო ნესტორ, სარკის ისტორია მაინც შემთხვევითობა მგონია.

– არა, მერაბ, არა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სარკე ჯონდო სარიამ დაგიდო. მიხვდა ის დამპალი, რომ კუდზე აჯექი. გამოაშკარავების შეეშინდა და გიჩალიჩებდა.

– ამას ახლა ველარ დაამტკიცებ. მთავარია, რომ ფანტომი გაიშიფრა. სამწუხარო ისაა, რომ ის ცოცხალი აღარ არის და ჩვენებას ვერ მოგვცემს.

– სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო... – დაეთანხმა პესკასელი მერაბს, – ეს უკვე გავარკვიეთ, ახლა კი მეორე და მთავარი, ყოველ შემთხვევაში, მთავარი – ჩემთვის.

– კიდევ რამეა, კაცო? – გაეღიმა მერაბს.

– უმთავრესი, ჩემო მერაბ. ჩვენში, ძმებში რომ ხინჯი არ იყოს, ეს მომენტიც უნდა გაირკვეს, – თქვა პესკასელმა, ამოიხვნეშა და დაამატა: – პირველ რიგში, გილოცავ დაოჯახებას და გისურვებ დიდ ბედნიერებას, სიხარულს, სიყვარულსა და გამრავლებას!

– მადლობა, ნესტორ.

– ჩემო მერაბ, – პესკასელმა ოფლი მოიწმინდა, – დარწმუნებული ვარ, იცი, რომ მე თამარი მიყვარდა; რომ მისი ხელის სათხოვნელად ქალბატონ მართასთან მივედი და რომ ამის გამო მე და ცხონებულ სერგის კონფლიქტი მოგვივიდა ერთმანეთში.

– ვიცი, მერე რა?

– მინდა, იცოდე, მერაბ, რომ თამარი ჩემი დაა, შენ კი – ძმა. ალბათ, ამიტომაც არ დამპატიჟე შენს ქორწილში და, ცოლ-შვილს გეფიცები, არ მწყენია.

– არ იფიქრო, რომ ვიეჭვიანე; მეუხერხულა რატომღაც.

– მესმის შენი. მეც ზუსტად ასე მოვიქცეოდი, – გაუღიმა პესკასელმა მერაბს, – ყველაფერი გითხარი, რისი თქმაც მინდოდა და გულზეც მომეშვა. დღეიდან ჩვენში გაურკვევლობა აღარ არსებობს და ძმები ვართ.

– არანაირი გაურკვევლობა. კაცები ვართ და კაცებად დავრჩებით, არაკაცები კი საკადრისს მიიღებენ.

– გაიხარე, მერაბ, ძმაო, – მიუგო ნესტორმა და გამრეკელს გადაეხვია. შემდეგ თავი გააქნია და დაამატა: – ფატის რა ვუყო? ცირას ამბავს რომ გაიგებს, არ გადამერიოს.

– ნესტორ, მინისტრი გეძახის, – უთხრა ოთახში შემოსულმა ოფიცერმა პესკასელს, რომელიც მერაბთან ერთად გარეთ გავიდა.

პესკასელი მინისტრს გამოეჯგიმა და მოკვლევის შედეგები მოახსენა, თუმცა, ფანტომზე სიტყვაც არ დასცდენია და ბოლოს უთხრა:

– ამხანაგო გენერალო, ეს საქმე ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების ქვემდებარეა და მათ მიაქვთ. ნება მიბოძეთ, გადავაბარო!

მინისტრს სულაც არ ეპიტნავებოდა ახალი განყოფილება, რომელიც მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდა მას, ფაქტობრივად კი, მისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა და თბილისიდან იმართებოდა. თუმცა, ვერაფერს გააწყობდა ამის წინააღმდეგ და ხმას არ იღებდა. მან პესკასელს გაუღიმა და მიუგო:

– არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, გადაეცით.

– არის, ამხანაგო გენერალო! – ისევ გამოეჯგიმა პესკასელი მინისტრს და აფხაზეთის ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების უფროსისკენ გაემართა, რომელიც მოშორებით იდგა.

მინისტრმა მერაბს ხელი ჩამოართვა, „ვოლგაში“ ჩაჯდა და წავიდა, მერაბი და გულბათი კი პესკასელსა და თავიანთი განყოფილების სოხუმელ კურატორს მიუახლოვდნენ. გამრეკელმა მოუბოდიშა, ლაპარაკი შეაწყვეტინა მათ და თავის ხელქვეითს უთხრა:

– როგორც კი ექსპერტიზის პასუხებიც მოვა, მთელი საქმის ასლები სამინისტროში გადმოგზავნეთ!

– არის, ამხანაგო მაიორო! – გამოეჯგიმა მერაბს სოხუმელი კურატორი, რომელსაც გამრეკელმა ხელი ჩამოართვა და გამოემშვიდობა.

– უკვე მიემგზავრები, მერაბ? – ჰკითხა პესკასელმა გამრეკელს.

– დიახ, ჯერ ლენინგრადში მივფრინავთ, იქიდან კი – თბილისში. თუმცა, ხშირად ჩამოგაკითხავთ ხოლმე, – მიუგო მერაბმა პესკასელს და ხელი გაუწოდა.

ნესტორ პესკასელმა ჯერ ხელი ჩამოართვა მერაბს, შემდეგ გადაეხვია და უთხრა:

– ბედნიერი მგზავრობა, მერაბ. არ დაგვივიწყო!

მერაბი და გულბათი მარგიანის სამსახურებრივი „ვოლგით“ გაემგზავრნენ გაგრაში და გულბათმა მაიორს ჰკითხა:

– რომელ საათზე მიფრინავთ?

– ოთხზე უკვე ადლერში უნდა ვიყოთ, – მიუგო მერაბმა.

– ჯერ თორმეტიც არაა, მოვასწრებთ. მე წაგიყვანთ, – თქვა გულბათმა და მერაბს ჰკითხა, – შენს „ვოლგას“ ვინ წაიყვანს თბილისში?

– ჩემი მოადგილე, კოტე სოხაძე. დღეს ჩამოდის სოხუმში. ჰო, მართლა, გულბათ, იქნებ დახვდე და წამოიყვანო, ჩემებთან დარჩება.

– რაზეა ლაპარაკი, – გაეცინა მარგიანს, – დავხვდები კიდეც და ყალიჩავასთან ისე ვაქეიფებ, რომ არასდროს დაავიწყდება.

– ოღონდ, არ გადააჭარბოთ. ხომ ნახე, რა დღეში იყო ნესტორი.

– ჰოო... – ნესტორის ხსენებაზე სიცილი აუტყდა მარგიანს, – დაოთხილი დადიოდა მაიორი და სამარცხვინოდ გამეპარა სუფრიდან.

– რომელი საათი ·იყო, სუფრიდან რომ გაგეპარა?

– არ იყო გვიან, ათი... მაქსიმუმ, თერთმეტის ნახევარი.

– ორნი იყავით?

– კი, ორნი. ნესტორი ამიტყდა, ძალიან მშიერი ვარ და ვივახშმოთო. მაგრამ, ხომ იცი, ერთ ბოთლს რომ დაცლი, მერე გეხსნება და, მიდის და მიდის სასმელი.

– გამოდის, რომ ნესტორმა დაგპატიჟა ყალიჩავასთან, თვითონ კი გაგეპარა და სუფრა შენი გადასახდელი გახდა?

გულბათ მარგიანს უხერხულად გაეღიმა და მერაბს უთხრა:

– შენთან დასამალი რა მაქვს და მე მგონი, ყალიჩავა ფულს არ ახდევინებს ნესტორს.

– „მე მგონი” თუ, არ ახდევინებს?

– ალბათ, არ ახდევინებს. ჯიბეზე რომ გავიკარი ხელი, ყალიჩავამ მითხრა – გადახდილია, ჩემი და ნესტორის დუქანი რამ გაყოო.

– ნესტორი რა, დუქნის წილშია?

– ეგ არ ვიცი, მაგრამ, ასე თქვა.

– გულბათ, ძმაო, ხომ იცი, როგორ გენდობი. წილები, ქრთამები და სხვა მსგავსი რამ ჩვენს განყოფილებაში გამორიცხულია. ვინმე რომ ასეთ ამბავში გაებას, ან, თუნდაც ასეთი ინფორმაცია მოვიდეს, უპირობოდ გავაგდებ.

– რას ამბობ, მერაბ, ჩემთან ეს გამორიცხულია, სხვა კი, არ ვიცი, – მიუგო მარგიანმა და ჰკითხა: – როგორ ფიქრობ, ჯონდო სარია მართლა ამდენ მკვლელობას ჩაიდენდა?

– შენ როგორ ფიქრობ? – კითხვა შეუბრუნა მერაბმა.

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ, ეჭვი მეპარება.

– ფაქტები რომ საპირისპიროზე მეტყველებს?

– ეგ მართალია, მაგრამ, მაინც არ მჯერა.

– რატომ?

– არ ვიცი. უბრალოდ, არ მჯერა და მომკალი, – თქვა გულბათმა და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა, – შეიძლება, იმიტომ, რომ ჯონდოსთან ახლო ურთიერთობა მქონდა.

– ნესტორიც ახლობლობდა სარიასთან?

– არა მარტო ნესტორი, ჯონდოსთან ყველა კარგად იყო.

ჯონდო სარიას ფანტომობის არც მერაბ გამრეკელს სჯეროდა, მაგრამ, ამ თემაზე საუბარი შეგნებულად აღარ გააგრძელა და გულბათს უთხრა:

– კოტე თავართქილაძეს საკავშირო მინისტრმა დაურეკა და ჩვენი განყოფილების მუშაობის გამო პირადი მადლობა გადაუხადა, მე კი თქვენ გიხდით მადლობას.

– ჯერ სამადლობელი არაფერი გაგვიკეთებია, მერაბ. თუმცა, თავს არ ვზოგავთ და, მზად ვართ, თავიც კი შევწიროთ ჩვენს საქმეს, – გულწრფელად მიუგო მარგიანმა მერაბს და არ დაკვირვებია, რომ მაიორმა შეგნებულად შეცვალა სალაპარაკო თემა.

– ძალიან მწყდება გული, რომ აქედან მივემგზავრები, თუმცა, იმედია, მალე დავბრუნდები. ყოველ შემთხვევაში, სამსახურში ნებისმიერ საბაბს გამოვიყენებ აფხაზეთში სამივლინებოდ, – უთხრა მერაბმა გულბათს. ამასობაში გაგრის მთავარი ქუჩა გაიარეს და მარგიანმა „ვოლგა“ ანჩაბაძეების სახლთან გააჩერა.

– მერაბ, შვილო, რა მოულოდნელად გადაგიწყვეტიათ ლენინგრადში გამგზავრება, – უთხრა მართამ სიძეს, – ისე შევეჩვიე თქვენს აქ ყოფნას, რომ, არ ვიცი, მარტო რა გამაძლებინებს.

– ნუ დარდობთ, ქალბატონო მართა, ხშირად გესტუმრებით ხოლმე, – მიუგო მერაბმა სიდედრს და თავზე აკოცა, შემდეგ ასთამურისა და გულბათისკენ გაიშვირა ხელი და დაამატა, – თანაც, ძია ასთამური და გულბათიც ხომ აქ არიან; არც ლია და მერაბი დაგივიწყებენ.

– კარგი, რა, დედა, – ჩაერთო თამარი, – თუ ასე განიცდი ჩვენს გამგზავრებას, საერთოდ არ მოვიცვლი აქედან ფეხს.

– ნუ სულელობ, თამარ! რას ჰქვია, ფეხს არ მოიცვლი? დედა ვარ, ორივე მიყვარხართ და, მინდა, რომ ხშირად გხედავდეთ. ეგ სიტყვები კი აღარ გაიმეორო. სადაც შენი ქმარი გეტყვის, იქ წახვალ და ისე მოიქცევი, როგორც მას მოესურვება, – თქვა მართამ და დაამატა, – მერაბ, გულბათ, სუფრა გაშლილი მაქვს და ვისადილოთ.

სადილს რომ მორჩნენ, გამგზავრების დროც მოვიდა. ცოლ-ქმარი მართამ და ასთამურმაც გააცილეს ადლერამდე და, მანამდე არ მოიცვალეს ფეხი აეროპორტიდან, სანამ თვითმფრინავი არ გაფრინდა.

ახალდაქორწინებულებმა ორი რომანტიკული დღე გაატარეს ნევისპირა ქალაქში და შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ თბილისში. მერაბის დედამ ღვიძლი შვილივით მიიღო თამარი და თავს ევლებოდა. მერაბი სამსახურში გავიდა, ჩვეულ საქმიანობას შეუდგა და ცდილობდა, ადრე მისულიყო ხოლმე სახლში, მაგრამ, ყოველთვის ვერ ახერხებდა. როდესაც იგვიანებდა, თამარი და დედა მას ფეხზე ხვდებოდნენ და მანამდე არ წვებოდნენ, სანამ მას არ დააპურებდნენ.

მაიორ გამრეკელის განყოფილება დღითი დღე იკრებდა ძალებს, უფრო და უფრო მეტ წარმატებებს აღწევდა და ოქტომბრის მიწურულს ის მოსკოვში, საკავშირო სამინისტროში გამოიძახეს.

– მინისტრი გიბარებს საგანგებო ოპერატიულ თათბირზე და სამი დღე მოსკოვში იქნები, – აცნობა მერაბს გახარებულმა კოტე თავართქილაძემ, – ყოჩაღ, შვილო! ნამდვილად არ მეგონა, ასე მოკლე დროში ასეთ წარმატებას თუ მიაღწევდი.



– ეს წარმატება მთელი ჩვენი განყოფილების, მისი თითოეული წევრის დამსახურებაა, ძია კოტე და რა თქმა უნდა, თქვენიც, – გულწრფელად მიუგო მერაბმა გენერალს.

მინისტრს ესიამოვნა გამრეკელის სიტყვები. გაუღიმა, თავისი სავარძლისკენ გაიშვირა ხელი და უთხრა:

– ეს სავარძელი შენ გელოდება და, აბა, შენ იცი, წინსვლის ტემპი არ დააგდო!

მერაბს არაფერი უთქვამს, გაეღიმა, მინისტრს დაემშვიდობა და კაბინეტიდან გავიდა.

საყვარელ ადამიანთან სამი დღით განშორების ამბავს თამარი ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა, თუმცა, ცდილობდა, რომ ეს არ გამოეხატა და მეუღლეს უთხრა:

– თავს გაუფრთხილდი, ძვირფასო და მალე ჩამოდი.

– სამ დღეში დავბრუნდები. აბა, შენ იცი. არაფერზე იდარდო, – მიუგო მერაბმა, ჯერ დედას აკოცა, შემდეგ მეუღლეს და მოსკოვში გაემგზავრა.

საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრმა ორდღიანი ოპერატიული თათბირი ჩაატარა, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას მიეძღვნა. თათბირს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის განყოფილების უფროსი ესწრებოდა. ღვაწლმოსილმა, გამოცდილმა მინისტრმა, რომელიც გენერალ-პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა და საბჭოთა მილიციის შექმნის სათავეებთან იდგა, განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს წარმატებები და მერაბს ფეხზე ადგომა სთხოვა. შეკრებილებს შორის მაიორი მერაბ გამრეკელი ასაკითაც და წოდებითაც ყველაზე ახალგაზრდა იყო. მინისტრმა ხელი გაიშვირა მისკენ და კოლეგებს უთხრა:

– ამხანაგებო! ეს ახალგაზრდა კაცი, მაიორი მერაბ გამრეკელი, სულ რაღაც ოცდარვა წლისაა. ზოგიერთ თქვენგანს, ისევე, როგორც მე, შვილიშვილად გვერგება, დანარჩენებისთვის კი შვილის ტოლია. თავის სამშობლოში, საქართველოში, მან ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტური სამსახური ჩამოაყალიბა და დიდ წარმატებებს მიაღწია. გთხოვთ, მიჰბაძოთ მის მაგალითს!

თათბირზე გამოცხადებული შესვენების დროს მერაბს ყველა კოლეგა პირადად გაეცნო. ისინი თავად მიდიოდნენ მასთან, ეცნობოდნენ და წარმატებას ულოცავდნენ. მინისტრის დავალებით, მერაბი ოცწუთიანი სიტყვით გამოვიდა თათბირზე და სისტემაში მის მიერ დანერგილ ინოვაციებზე ილაპარაკა. თათბირის მეორე დღე რომ დასრულდა, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა მერაბ გამრეკელი თავის კაბინეტში მიიწვია და ერთი საათის განმავლობაში ერთი ერთზე ესაუბრა. ღვაწლმოსილმა გენერალმა დეტალურად გამოჰკითხა მაიორს მისი საქმიანობის შესახებ და თავისი ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდიც უამბო – გენერალ-პოლკოვნიკი ლენინთან იყო შეხვედრილი. ამით ძალიან ამაყობდა და ამ ისტორიის მოყოლა უყვარდა.

– თქვენმა მინისტრმა ძალიან გაქოთ და, ვხედავ, რომ არ შემცდარა. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა და მომავალშიც არაერთხელ შევხვდებით ერთმანეთს. ახლა ის მითხარით, რამე ხომ არ გჭირდებათ დამატებით? – ჰკითხა მან მერაბს.

– არა, ამხანაგო გენერალ-პოლკოვნიკო, ყველაფერს გეგმურად ვიღებთ, – უთხრა მერაბმა მინისტრს და დაამატა: – თქვენთან პირადი თხოვნა მაქვს.

– თქვით, გისმენთ.

მერაბი მოკლედ მოუყვა მინისტრს მამამისის შესახებ და ბოლოს უთხრა:

– როგორც ვიცი, რობერტ მანძულიას საქმე უშიშროების კომიტეტის არქივში ინახება. არ შეიძლება, რომ მას გავეცნო?

– ბუნებრივი სურვილია, – თქვა მინისტრმა, „ვეჩეს“ ყურმილს დასწვდა. „კაგებეს“ თავმჯდომარეს დაელაპარაკა და, რომ დაასრულა, მერაბს უთხრა:

– როგორც ვიცი, ხვალ საექსკურსიო დღე გაქვთ და საღამოს ბრუნდებით თბილისში.

– დიახ, ამხანაგო გენერალო-პოლკოვნიკო!

– ექსკურსია სხვა დროისთვის გადადეთ. დილის ცხრა საათზე კი უშიშროების კომიტეტის მისაღებში მიდით – თქვენს სახელზე საშვი იქნება დაშვებული და არქივში ჩაიგყვანენ.

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალ-პოლკოვნიკო! – თქვა მერაბმა და მინისტრს გაუღიმა.

– ნახვამდის. წარმატებებს გისურვებთ. მომავალ შეხვედრამდე. კოტე მომიკითხეთ პირადად, – უთხრა მინისტრმა მერაბს, ხელი ჩამოართვა და კაბინეტიდან გამოისტუმრა.

სასტუმროში დაბრუნებულ მერაბს კარგა ხანს არ დაეძინა და მამაზე ფიქრობდა. მას წინ ედგა გატანჯული, ტუბერკულოზით დაავადებული, გაყინული მამის სახე და ისე აუჩუყდა გული, რომ თვალები ცრემლით აევსო. ხოლო, როდესაც ჩაეძინა, კვლავ მამა დაესიზმრა. ის შველას სთხოვდა შვილს, რადგან ვილაც უსახური შავფორმიანები მას უფსკრულისკენ მიათრევდნენ, რომ გადაეჩეხათ. მერაბი უკან დაედევნა მათ და ცდილობდა, მამის გამოწვდილი ხელისთვის ხელი ჩაევლო და გადაერჩინა, მაგრამ, ვერ შეძლო და შავფორმიანმა უსახურებმა ის უფსკრულში გადაჩეხეს... ამ დროს მერაბს გამოეღვიძა, კანკალებდა და ოფლში ცურავდა. მან ნებისყოფა მოიკრიბა, ადგა, შხაპი მიიღო, ჩაიცვა და ძერჟინსკის მოედნისკენ გაემართა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ერევანში მსოფლიოს ჩემპიონის ბინიდან მოპარული ოქროს ჭადრაკი თბილისელმა ქურდმა პატრონს ბაქოდან გაუგზავნა



### ტიგრან-მეფე

ჭადრაკში მამაკაცთა შორის ერთადერთი არაებრაელი მსოფლიოს ჩემპიონი, გენიალური სომეხი დიდოსტატი, წარმოშობით თბილისელი, ტიგრან პეტროსიანი, სამშობლოში ეროვნულ გმირად აღიარეს და „ტიგრან-მეფე" უწოდეს. მთელს მსოფლიოში გაფანტული სომხები მას უძვირფასეს საჩუქრებს უგზავნიდნენ და ერევანში მთავრობის მიერ ნაბოძები ფეშენებელური ბინა უამრავი ძღვენით იყო სავსე. ყველაზე ძვირფასი საჩუქარი კი ტიგრან პეტროსიანს თბილისელმა სომხებმა მიუძღვნეს. მათ უზარმაზარი ფული შეკრიბეს და ცნობილ იუველირს, სამველ გევორქიანს, ჭადრაკი დაამზადებინეს: დაფა ინკრუსტირებული, შავ-თეთრის ფერის უძვირფასესი მარმარილოსი იყო, უზარმაზარი ფიგურები კი ბაჯაღლო ოქროსგან იყო ჩამოსხმული და თითოეული მათგანი ლალით, ფირუზითა და ბრილიანტით იყო მოოჭვილი. ოცდათორმეტი საჭადრაკო ფიგურის საერთო წონა 3 კილოგრამი და 200 გრამი იყო, 66 ცალი ძვირფასი თვალი კი 100 კარატს აჭარბებდა. მაშინდელი შეფასებით, ამ უძვირფასესი საჩუქრის ფასი მილიონ-ნახევარ მანეთს აჭარბებდა. გასული საუკუნის სამოციან წლებში ეს თანხა კოლოსალურად ითვლებოდა.

ტიგრან-მეფე მთელ სომხეთში ხელშეუხებელ პიროვნებად ითვლებოდა და მისი სახლი ერევანში თითქმის სულ ღია იყო. 1971 წლის აგვისტოში ტიგრან პეტროსიანი ლონდონში იმყოფებოდა, სადაც საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობდა, მისი ოჯახის წევრები კი ზღვაზე ისვენებდნენ და, სახლი, ფაქტობრივად, ცარიელი იყო. 16 აგვისტოს დილას პეტროსიანის სახლში დასალაგებლად მისულმა მოსამსახურემ აღმოაჩინა, რომ მარმარილოს დაფაზე გაშლილი ოქროს ფიგურები სადღაც გამქრალიყო. მოსამსახურემ მილიცია გამოიძახა, საღამოს კი უკვე მთელმა სომხეთმა იცოდა, რომ ტიგრან-მეფე გაქურდეს.

### „პეშკა"

საბჭოთა სომხეთის მთელი მილიცია ფეხზე დადგა. საუკეთესო მაძებრები დღე-ღამეს ასწორებდნენ ბოროტმოქმედის ძებნაში, იმედი ჰქონდათ, რომ ტიგრან პეტროსიანის ლონდონიდან დაბრუნებამდე გახსნიდნენ დანაშაულს და ოქროს ჭადრაკს პატრონს დაუბრუნებდნენ, თუმცა, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ქურდის კვალზე გასვლა არ მოხერხდა და მილიციამ ნაცადი ხერხი გამოიყენა – გადაწყდა, რომ დახმარებისთვის „შავი სამყაროს" წარმომადგენლებისთვის მიემართათ. იმ პერიოდში ერევნის ციხეში რვაწლიან სასჯელს იხდიდა ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდი, მერაბ ჯიქია, მეტსახელად „პეშკა". ის 1969 წელს ერთ-ერთი ერევნელი „ცეხავიკის" გაქურდვისთვის იყო გასამართლებული და უკვე ორი წელი არ გამოჰყავდათ ერთადგილიანი საკნიდან. ასეთი მკაცრი რეჟიმი კი იმიტომ დაუწესეს, რომ ნაქურდალი ნივთების ადგილსამყოფელს არ ამხელდა და, საერთოდ, არც დანაშაულს აღიარებდა.

დადებითი შედეგი ვერც დიდმა სომხურმა ქურდულმა „სხოდკამ" გამოიღო – პეტროსიანის ბინის ქურდი ვერც მათ აღმოაჩინეს. თითქმის ყველა იმედი გადაწურული იყო, როდესაც პოლკოვნიკ აშოტ ვართანიანს „ადინოჩკაში" გამომწყვდეული პეშკა გაახსენდა. ვართანიანი, რომელიც სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობდა, ძალიან ვერაგი და ეშმაკი კაცი იყო და კარგად იცნობდა პეშკას. სწორედ მისი წყალობით იყო პეშკა ერთადგილიან საკანში მოთავსებული – რადგან მისი „გატეხვა" ვერ შეძლო, ამგვარად უხდიდა სამაგიეროს. ვართანიანი სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კაბინეტში ეახლა და ჭადრაკის ფიგურების დაბრუნების საქმეში პეშკას ჩართვა ურჩია.

– ეგ რომელი პეშკაა, აშოტ, შენ რომ ვერ აღიარებინე დანაშაული და ადინოჩკაში გამოამწყვდიე? – დამცინავად ჰკითხა მინისტრმა პოლკოვნიკ ვართანიანს.

აშოტმა ყურადღება არ მიაქცია დაცინვას და მინისტრს უთხრა:

– პეშკა დიდი ავტორიტეტია და ეგ თუ გვიშველის.

– რომ გავუშვათ და გაგვექცეს?

– გამორიცხულია. თუ პეშკა პატიოსან სიტყვას მოგვცემს, არსად გაგვექცევა და ისევ უკან დაბრუნდება, თავს დავდებ ამაზე.

– კეთილი, შენ თვითონ მოაგვარე ეგ საქმე, მაგრამ, თუ პეშკა გაიქცა, მის მაგივრად შენ ჩაგსვამ ადინოჩკაში, – მიუგო მინისტრმა პოლკოვნიკს და კაბინეტიდან გაისტუმრა.

### „სიცილიური დაცვა"

აშოტ ვართანიანი მინისტრის კაბინეტიდან პირდაპირ ციხეში მივიდა, პეშკას საკანში

> **თბილისელმა სომხებმა ტიგრან პეტროსიანს ოქროს ჭადრაკი აჩუქეს, რომელიც მილიონ-ნახევარ მანეთად იყო შეფასებული**

მიაკითხა და ოქროს ფიგურების დაბრუნების საქმეში დახმარება სთხოვა.

– ასე გამოდის, რომ ციხიდან მიშვებთ? – ჰკითხა ქურდმა მილიციელს.

– მხოლოდ დროებით.

– მერედა, არ გეშინიათ, რომ გავიქცევი?

– თუ პირობას მომცემ, რომ არ გაიქცევი, არ მეშინია, – მიუგო ვართანიანმა.

– რომ არ გავიქცევი, იმის პირობას მოგცემ, მაგრამ, ნაქურდალის დაბრუნებაზე თავს ვერ დავდებ.

– კარგი, თავისუფალი ხარ.

– ოღონდ, სამი პირობით... აქედან რომ გავალ, მილიცია „კუდზე" არ უნდა დამაჯდეს. აქედან საქართველოში უნდა გავემგზავრო. და, კიდევ, ასი მანეთი უნდა მასესხო.

პოლკოვნიკმა პეშკას ასი მანეთი მისცა. ციხიდან გაიყვანა და გაუშვა.

გამოცდილმა ქართველმა ქურდმა რამდენიმე მანევრი გააკეთა და, რომ დარწმუნდა, არავინ უთვალთვალებდა, ერევნიდან ბაქოში გაემგზავრა. აზერბაიჯანის დედაქალაქში მერაბ ჯიქია თავის ძველ „პაძელნიკს", შემდგომში ცნობილ ავტორიტეტს, მაშალა ალიევს, მეტსახელად „ალის" მიადგა და უთხრა:

– ალი-ჯან, თუ ერევანში, პეტროსიანის სახლიდან ოქროს ჭადრაკი შენ მოიპარე და, თუ ჩვენს ძმობას პატივს სცემ, გთხოვ, დააბრუნო.

ალის გაეცინა. პეშკას ტომრით მილიონნახევრიანი ოქროს ჭადრაკი გამოუტანა, წინ დაუდო და უთხრა:

– ხომ გეუბნებოდი, მოვიპარავ-მეთქი! აი, შენთვის მიჩუქნია, დაუბრუნე პატრონს, მაგრამ, ჯობდა, რომ ჩვენ შეგვერგო ეს ფული. ზეგ უკვე გადადნობას ვაპირებდი, ძვირფასი თვლები კი ცალკე უნდა გამეყიდა.

– ჯიგარი ხარ, ალი, პატივისცემა ჩემზე იყოს. შენთან კიდევ ერთი თხოვნა მაქვს – ასი მანეთი მასესხე.

ალიმ პეშკას ათასი მანეთი დაუდო წინ, მერაბმა კი მხოლოდ ასი მანეთი აიღო და ძმაკაცს უთხრა:

– მილიციის პოლკოვნიკს ვალი უნდა დავუბრუნო და ეს ფული იმისთვის მინდა.

– მაგ წუწურაქებს? არა, რა, ჩვენი ძმობა რომ არა, მაგათი ჩემპიონი თვალითაც ვერ იხილავდა ამ ჭადრაკს!..

მერაბ ჯიქია მაშალა ალიევს დაემშვიდობა და მეორე დღეს, 1971 წლის 15 სექტემბერს, ერევანში დაბრუნდა. რომ შებინდდა, პეშკა ტიგრან პეტროსიანს სახლში მიადგა. თავად ჩემპიონი შინ იმყოფებოდა და უცნაური სტუმარი ბინაში შეიპატიჟა. მერაბმა ჭადრაკის ოცდათორმეტივე ფიგურა მაგიდაზე დაულაგა პეტროსიანს და უთხრა:

– ჩაიბარეთ, ჩემპიონო, ყველა ფიგურა ხელუხლებელია.

გაოცებულმა ჭადრაკის მეფემ მერაბს სახელი ჰკითხა.

– უბრალოდ – პეშკა, – მიუგო მერაბმა.

– მთხოვე, ჩემო მეგობარო, რა გსურს, შენთან ვალში ვარ.

– თუ იკადრებთ, ერთი პარტია ჭადრაკი მეთამაშეთ, – უთხრა პეშკამ პეტროსიანს.

პეტროსიანმა მშვენივრად იცოდა ქართული და, რომ გაიგო, მის წინ თბილისელი ქართველი იჯდა, მხოლოდ ქართულად ესაუბრებოდა მას. მეტოქეებმა „სიცილიური დაცვა" გაითამაშეს და ნახევარსაათიანი საჭადრაკო პარტია ყაიმით დასრულდა. პეტროსიანმა ხელი ჩამოართვა პეშკას. სპილოს ძვლისგან გაკეთებული მინიატურული ჭადრაკი უსახსოვრა, დიდი მადლობა გადაუხადა და გამოაცილა.

შუაღამე სრულდებოდა, როდესაც პეშკა პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროში ეწვია პოლკოვნიკ აშოტ ვართანიანს, ასი მანეთი დაუბრუნა და უთხრა:

– ყველაფერი რიგზეა. ეს ჭადრაკი კი თავად ჩემპიონმა მაჩუქა. შემინახეთ და, სროკიდან რომ გამოვალ, უკან დამიბრუნებთ.

პეშკა საკანში დააბრუნეს. სამი დღის შემდეგ კი, ტიგრან პეტროსიანის ძალისხმევის შედეგად, ქართველი კანონიერი ქურდი მერაბ ჯიქია ციხიდან გაათავისუფლეს და ძვირფას ჭადრაკთან ერთად სამშობლოში დააბრუნეს...

**ნიკა ლაშაური**

# როგორ იძია მამაკაცმა შური ცოლზე, რომელიც მის მეგობართან ერთად გაიპარა

ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც წარსულში პატიმრობაში ავტოსაგზაო შემთხვევის გამო მოხვდა, რომელსაც პატარა ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა, ცოლისა და თავისი მეგობრის გამო მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის დააკავეს – მან ჯერ ცოლი მოკლა, შემდეგ კი მძიმე დაზიანებები მიაყენა ბავშვობის მეგობარს, რომელთან ერთადაც მისი ცოლი რამდენიმე დღე იყო დაკარგული.

სასტიკ მკვლელობას, რომელიც 36 წლის ჯონი ჯ-შვილმა ჩაიდინა, წინ უძღოდა მისი მეუღლის, 40 წლის თაკო თ-იას სამდღიანი გაუჩინარების ამბავი. ახალგაზრდა ქალი ერთ ჩვეულებრივ დღეს ისე უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა, რომ მის ძებნაში სამართალდამცველებიც კი ჩაერთნენ. ორი შვილის დედა ყველას უბედური შემთხვევის მსხვერპლი ეგონა, თუმცა, მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა მეგობართან დატოვებული წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ქალი თავისი ნებით იყო სახლიდან წასული, მისი ძებნა მეგობრის დახმარებით უკვე სხვა ვერსიით გაგრძელდა. სამდღიანი ძიების შემდეგ თაკო თ-ია, სახლში დაბრუნდა, ოჯახის წევრებისთვის გადასაცემად მეგობართან დატოვებული წერილის შინაარსი და მისი გაუჩინარების რეალური მიზეზი კი მისივე თხოვნით არ გახმაურდა. ქალმა ქმართან და ოჯახთან თავი შეთხზული ვერსიით გაიმართლა – დეპრესიულ მდგომარეობაში ვიყავი და მარტო ყოფნა მინდოდაო, თუმცა, ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში, მისი ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდა ქალის გაუჩინარების ნამდვილი მიზეზი, – ოჯახის შექმნის მიზნით ის ქმრის მეგობართან, ვადო მ-შვილთან ერთად იყო გაპარული.

საქმის მასალების მიხედვით, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ თაკო თ-იას ფარული რომანი ჰქონდა ვადო მ-შვილთან, რომელიც მისი ქმრის ბავშვობის მეგობარი იყო.

ამონაწერი მოწმის, ჯონი ჯ-შვილის დის, მარინა ჯ-შვილის ჩვენებიდან:

„როდესაც ჩემი ძმა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ციხეში მოხვდა, თაკო რამდენიმე თვე თავის მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად. ჯონიმ ციხიდან შემოუთვალა, თუ ჩემი ცოლი ხარ, ჩემს ოჯახში უნდა დარჩეო. ეხვდებოდი, რომ ჯონისა და თაკოს ურთიერთობა არეული ჰქონდათ; უფრო მეტიც, რამდენჯერმე ყური მოვკარი, რომ მას ზედმეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩემი ძმის მეგობართან, ვადო მ-შვილთან, მაგრამ, ამაზე ყურადღება არ გამიმახვილებია. ჯონი ექვი წლის ნაცვლად, ორ წელიწადში გაათავისუფლეს პატიმრობიდან. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მას ძალიან გაფუჭებული ჰქონდა ხასიათი, თუმცა, ეს ბუნებრივად მიგვაჩნდა, ვფიქრობდით, რომ ეს გაუვლიდა, მაგრამ, თაკოსა და ჯონის ურთიერთობა უფრო და უფრო არ მომწონდა, რადგან, ბოლო პერიოდში გამუდმებით ჩხუბობდნენ. იმ დღეებში, როდესაც თაკო სახლიდან გაუჩინარდა, მეც დავეძებდი, სად შეიძლებოდა, ასე მოულოდნელად გამქრალიყო. ჩემი მეგობრისგან გავიგე, რომ ის ვადოსთან ერთად იყო წასული, რომელიც თაკოს ცოლად მოყვანას დაჰპირდა. ისე, რომ ჩემს ძმას არ გაეგო, ვადოს დავუკავშირდი და ვუთხარი: თაკო სახლში დააბრუნე, თორემ, ამას დიდი ტრაგედია მოჰყვებამეთქი. ვადომ ჩემთან საუბარში თავიც კი იმართლა – შენი თაკო კი არ მომიტაცებია, თვითონ გამომეკიდაო. ასე იყო ეს ამბავი, თაკო სახლში დაბრუნდა, მე კი ჯონისთვის არაფერი მითქვამს. თაკო გავაფრთხილე: ახლა ჩემს ძმას ვუფრთხილდები, მაგრამ, მოვა დრო და ამ ამბავს არ გაპატიებ-მეთქი. მან ჩემთან აღიარა, რომ ქმრის მეგობარს გაჰყვა ცოლად, თუმცა, იმის გამო, რომ ამას დიდი აურზაური მოჰყვებოდა, ცოტა ხნით უკან დაბრუნდა. ჩვენი საუბრიდან, ალბათ, სამი დღე იქნებოდა გასული, როდესაც, გვიან ღამით, ცოლ-ქმრის საძინებლიდან ყვირილისა და მტვრევის ხმა გავიგონე. ოთახში შევვარდი და დავინახე, რომ ჯონი თაკოს ფიზიკურად უსწორდებოდა და უყვიროდა – მითხარი, სად იყავი ეს სამი დღეო. თაკო თავისი ქმარს ფეხებში ჩავარდნოდა და პატიებას სთხოვდა. მივხვდი, რომ ეს ამბავი ასე არ დასრულდებოდა – ჯონი თუ გაიგებდა, რა მოხდა სინამდვილეში, არც ცოლს და არც თავის მეგობარს ამას არ აპატიებდა."

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ჯონი ჯ-შვილისთვის მკვლელობის დღეს გახდა ცნობილი, სადაც იმყოფებოდა მისი მეუღლე. ჯონი ჯ-შვილი სახლში გვიან დაბრუნდა. ოჯახის წევრების ჩვენების მიხედვით, ის პირდაპირ ავიდა მეორე სართულზე, სადაც მის მეუღლესა და ბავშვებს უკვე ეძინათ.

> **მოღალატე ცოლი ქმარს ფეხებში ჩავარდნილი სთხოვდა პატიებას**

ამონაწერი მოწმის მარინა ჯ-შვილის ჩვენებიდან: „როდესაც ხმაურზე და ბავშვების კივილზე მე და ჩემი და მეორე სართულზე ავედით, ყველაფერი უკვე დასრულებული იყო: ჯონი თაკოს გასისხლიანებულ საწოლში ადგა თავზე, ირგვლივ ყველაფერი სისხლით იყო მოსვრილი. ჯონი ისეთ აგონიაში იყო, ვერავის ვერ გვხედავდა და ისევ ყვიროდა – ასე რატომ გადამიარე, ასე როგორ გამწირეო. მე და ჩემმა დამ ძლივს წავართვით ხელიდან სისხლიანი დანა. უცებ, თითქოს გონს მოეგო, მაშინვე ქვედა სართულისკენ დაეშვა. მე შემეშინდა და გავეკიდე. ჭიშკრამდე მივდიე, მაგრამ, ვერ დავეწიე – მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. დაახლოებით ერთ საათში მეზობლისგან გავიგე, რომ ჯონიმ ვადო სახეში დაჭრა. საქმის მასალებით, მას შემდეგ, რაც ჯონი ჯ-შვილმა ცოლს დანით ყელის არეში მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები, მან შემთხვევის ადგილი დატოვა და წავიდა რესტორანში, რადგან, იცოდა, რომ ვადო იქ ქეიფობდა. მან მოღალატე მეგობარს დანა ორჯერ გადაუსვა სახეზე. თვალისა და ყბის არეში მიყენებული მძიმე დაზიანებების მიუხედავად, ვადო მ-შვილი სიკვდილს გადაურჩა.

ბრალდებულმა ჯონი ჯ-შვილმა, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე ცოლის მკვლელობისა და მეგობრის მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა, ჩადენილი დანაშაული აღიარა. ბრალდებული ნანობდა, რომ ცოლი შვილების თვალწინ მოკლა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო, თუმცა, განსასჯელის გათავისუფლებას ითხოვდა მთელი სოფელი – მოსახლეობა აცხადებდა, რომ მან დანაშაული ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. სასამართლომ ეს გაიზიარა შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ, ჩადენილი დანაშაულისთვის მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**6 ოქტომბერი**

1889 – პარიზში გაიხსნა კაბარე „მულენ რუჟი".

1917 – საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა სიტყვა „ჯაზი".

1948 – ძლიერმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა ქალაქი აშხაბადი (თურქმენეთი).

**7 ოქტომბერი**

1571 – ლეპანტოს ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ მიგელ დე სერვანტესმა დაკარგა მარცხენა ხელი.

1971 – გამოვიდა 13 წლის მაიკლ ჯექსონის პირველი სინგლი.

**8 ოქტომბერი**

1085 – ვენეციაში აკურთხეს სან-მარკოს (წმინდა მარკოზის) ტაძარი.

1818 – კრივის მატჩის დროს პირველად იქნა გამოყენებული სპეციალური ხელთათმანები.

1980 – უკანასკნელად გამოვიდა სცენაზე ბობ მარლი.

**9 ოქტომბერი**

1872 – აარონ მონტგომერიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში გახსნა პირველი მაღაზია ფოსტით.

1890 – ფრანგმა კლემან ადერმა შექმნა პირველი თვითმფრინავის პროტოტიპი; მისმა აპარატმა 50 მეტრი იფრინა.

**10 ოქტომბერი**

1846 – ინგლისელმა ასტრონომმა უილიამ ლასელმა აღმოაჩინა ნეპტუნის უდიდესი თანამგზავრი – ტრიტონი.

1865 – ამერიკელმა ჯონ უესლი ჰაიატმა დააპატენტა ბილიარდის სინთეტიკური ბურთები.

1911 – ჩინეთში დაიწყო რევოლუცია, რომელმაც დაამხო ჩინელ იმპერატორთა დინასტია.

1935 – ბროდვეიზე ჩატარდა ჯორჯ გერშვინის ოპერის – „პორგი და ბესის" პრემიერა.

**11 ოქტომბერი**

1881 – ამერიკელმა დევიდ ჰიუსტონმა დააპატენტა ფოტოფირი.

1899 – დაიწყო ინგლის-ბურების ომი სამხრეთ ამერიკაში.

1961 – სემიპალატინსკში (ყაზახეთი) მოახდინეს პირველი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.

**12 ოქტომბერი**

1492 – ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა.

1809 – პოლკოვნიკ ფრიდრიხ შტაპსის თავდასხმა იმპერატორ ნაპოლეონზე.

1879 – ინგლისის არმიამ აიღო ქალაქი ქაბული. ავღანეთის დაპყრობის დასაწყისი.

1931 – რიო-დე-ჟანეიროში, მთის წვერზე, საზეიმოდ გაიხსნა იესო ქრისტეს კოლოსალური ქანდაკება.

1960 – ხრუშჩოვმა, გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, „პროტესტის ნიშნად," მაგიდაზე ტყავის ფეხსაცმელი დააბრახუნა.

1971 – ბროდვეიზე შედგა პრემიერა როკ-ოპერისა – „იესო ქრისტე – სუპერვარსკვლავი".

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოვალით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა
2. ჩახატეთ მასში თვალი და „პირი"
3. მიახატეთ ჯილევ ერთი იგოლი და გაავლეთ ხაზები
4. მიახატეთ ხელები და ფეხები
5. შემდეგ – კბილები
6. დაასრულეთ ნახატი
7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ 5 განსხვავება



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## დათვალე რამდენი ფრინველია



# ლომი და დელფინი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ლომი ზღვის პირზე მიეხეტებოდა. ზღვაში დელფინს მოჰკრა თვალი. დელფინი სხარტად დაცურავდა. ლომს მოეწონა და დელფინს უთხრა, დავმეგობრდეთ და ერთმანეთს დავეხმაროთო. მე ხმელეთის ნადირთა მეფე ვარ. შენ კი – ზღვისაო.

დელფინი დაეთანხმა. კარგა ხნის შემდეგ ლომი გარეულ ხარს შეება. საშველად დელფინი იხმო. დელფინს ძალიანაც უნდოდა ზღვიდან ამოსულიყო და ლომს მიშველებოდა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო. ლომმა დელფინს ღალატი დასწამა. დელფინმა უთხრა:

– ძმაო, რა ჩემი ბრალია, ბუნებამ ასე ინება, ზღვის ცხოველად გამაჩინა და ხმელეთზე ამოსვლა ამიკრძალაო.

მეგობრად ისეთი კაცი უნდა აირჩიო, ჭირსა და ლხინში გვერდით რომ გეყოლებაო.

## რიცხვრებუსი

,,3, ,5,, 5,,, 10,,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| პატარა ცხენი | | შინაური ცხოველი | | მოზელილი ფხვნილი |
| | | | | |
| ქორბუდა ცხოველი | | ყვავილი | | |

გალაქ-ტიონის ლექსი

ურანოსის სატელიტი / დაბ-ლობი

მადონას ცნობილი კინოპერსონაჟი / მჟავრმეტყველება / ჩვენი დიდი მსახიობი, აკაკი

რუსული „ჯიპი"

იტალიის ტელე-ვიზია (....) უნო




ცეცხლის ენა

მრავალი

ცის გა-ნათება / მთვარე ასეთიცაა

2

სამი ნარდში / კაზინო

კატის გაგდება (რუს.)

შვეი-ცარიის ქალაქი / შარტავა

1

ორგა-ნიზმის ცენტრი

ჩოხის ნაწილი

(.......)-ფშაველა

ახირება / პატარა მარიამი

საფრ-ანგეთის ქალაქი

ფირნიში, ტრაფა-რეტი

ჩონჩხი

ყვავილი / უარი

კითხვითი სიტყვა / უარის სიტყვა / ხტომის სიტყვა

ხელით სამა-რთავი

ათა თურქის სახელი

ავტო-რბოლა

3

ინგლი-სური საზომი

მინან-ქარი

(.......) სოხაძე

მსახიობი (.....) ბე-რიმორი / მუს.ინსტ-რუმენტი

გრამატ. კავშირი / ძვირფასი ლითონი

(.....) ნორისი

მრგვალი რიცხვი

მინა / მსახიობი ....გარსია

საში-ნელი მტაც-ებელი

5

საბერძ-ნეთის უძველესი ქალაქი

ბამ-ის სადგური (......)-გრუზ-ინსკაია

ხალხი / ქართლის მეფე IV ს

ქირი (.......) / გამხმარი ხილი

დაშლა, დანგრევა

ტკივილის გაყუჩება

მსა-ხიობის საქმე

(......) ნადირაძე / რბილი ლითონი

აფრიკის ქვეყანა / პიპინიას ძაღლი

(........)-დიდება

კრძალვა / „დერსუ (.......)"

გაზაფ-ხულის ხილი

ინგლისის მეორე სახელი

4

დიდი ვივიენი

შუბლს აჯდება / ტალღებს იჭერს

მიდამო / ცენტრ. ამერიკის ქვეყანა

სხეული

პირველი წყვილი

(.......) ბენდერი

ფრანგი მსახიობი

დამუხ-ტული ელექ-ტრონი

თუშეთის ტოპონიმი

ფრინველს აქვს / ტოტალი-ზატორის ცნება

წვერს ლებავს / მორების შეკვრა

შუშა ანუ?

დიდი სამხედრო პირის თანაშემწე

ფული / ინგლისე-ლი დრა-მატურგი

იუგოს-ლაველთა ბელადი

დათვი ასეთიცაა

სისხლის-ღვრა

6

აშშ-ს TV / შილა-ფლავის საკმაზი

ზვარაკი, სამსხვ-ერპლო

შვილი, ძე

ჩინელი პოეტი ლი.....

(.......) ამოს კომენსკი / ძელი

ძიძა, გამზრ-დელი

თან-მხლები დაცვა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 1 | 4 | 3 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 1 | | | | | | | | | |
| | | | | | | 1 | 1 | 1 | 5 | 4 | 8 | 8 | 10 | 10 | 10 | 10 | 8 | 8 | 4 | 5 | 1 | 1 | 1 | | | | | | |
| | | 1 | 12 | | | 6 | 10 | 12 | 5 | 4 | 3 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 4 | 3 | 4 | 5 | 11 | 12 | 6 | | 6 | 2 | | 2 | 6 |
| 1 | 25 | 11 | 10 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 25 | 10 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 18 | 1 | 1 | 1 |
| | | 2 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 1 | 6 | 5 |
| | | 1 | 1 | 10 | 3 |
| | | 1 | 1 | 12 | 1 |
| | 1 | 1 | 5 | 5 | 1 |
| 1 | 1 | 4 | 4 | 4 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 8 | 3 | 1 |
| 1 | 1 | 4 | 8 | 4 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 10 | 3 | 1 |
| 1 | 1 | 3 | 10 | 3 | 1 |
| | 2 | 3 | 10 | 3 | 1 |
| | 5 | 3 | 10 | 3 | 5 |
| | 3 | 4 | 8 | 4 | 3 |
| | 3 | 3 | 8 | 3 | 3 |
| | 3 | 4 | 4 | 4 | 3 |
| | 3 | 5 | 4 | 1 | 3 |
| | | | 3 | 12 | 3 |
| | | | 3 | 10 | 3 |
| | | | 3 | 6 | 3 |
| | | | | 3 | 3 |
| | | | 3 | 20 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 7 | 5 | | 6 | | 3 | 9 |
| 3 | 5 | | 1 | | 2 | | 6 | |
| | 8 | | | 3 | | | | 7 |
| 6 | | 1 | 9 | 5 | 8 | | 2 | |
| | 4 | 2 | | 6 | | 5 | 1 | |
| 5 | | 8 | 2 | 1 | | 7 | 9 | |
| | 9 | 5 | | 4 | 7 | 6 | | 2 |
| 8 | 2 | | 6 | | 1 | 3 | 7 | |
| | 6 | | 8 | | 5 | | | 1 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 7 | | | 2 | |
| | | 2 | | | 1 | | | 6 |
| 1 | | | 5 | | 2 | | 4 | |
| | 2 | | | | 4 | | 9 | |
| | 4 | | 2 | | | | 7 | |
| | 5 | | | 6 | | | 1 | 2 |
| | | 4 | | 5 | 3 | | 8 | 7 |
| 2 | 1 | | 8 | | | | | 9 |
| | 8 | | | 2 | | 1 | | |

**დათო როსტომაშვილმა გარდა იმისა, რომ შესანიშნავი იუმორისტია, თამადობაც ძალიან კარგი იცის, იმდენად კარგი, რომ ძალიან ბევრი სთხოვს სუფრის გაძღოლას, ისეთებიც, ვისაც საერთოდ არ იცნობს. ვიღაცამ ჭორი გაუვრცელა, ფულის სანაცვლოდ თამადობსო და მისი თამადობის მსურველებიც სთავაზობენ დიდ თანხებს, ხან პირადად სთხოვენ, ხანაც შუამავლებს უგზავნიან. მაგრამ ყველას უარს ეუბნება და მხოლოდ და მხოლოდ მეგობრებისა და ნათესავების წრეში თამადობს.**

# როგორ „იფხანს გულს“ განაწყენებული დათო როსტომაშვილი სუფრაზე და როდის გამოსდის მას თამადობა ყველაზე კარგად

**– დარწმუნებული ვარ, თამადობა ხშირად გიწევთ.**

– თქვენმა დარწმუნებამ გაამართლა.

**– როცა თამადობას გთხოვენ, ყოველთვის თანხმდებით?**

– სიმართლე გითხრა, თუ ძალიან ახლობელი არ არის, არა. ძალიან ბევრი მირეკავს, ძალიან ბევრი შუამავალს მიგზავნის, დამლალეს. ვილაცამ ჭორი გაავრცელა ქალაქში და მინდა, დიდი ასოებით დავწერო, არ დავდივარ სათამადოდ არანაირი თანხის სანაცვლოდ?

**– თანხას გთავაზობენ?**

– გაგეცინება და რამხელა თანხას მთავაზობენ, უნდა ნახო. საიდუმლოდ დავტოვებ – რამდენს, მაგრამ ძალიან დიდი თანხებია. მეგობრებთან და ნათესავებთან, რა თქმა უნდა, ვთამადობ. ერთი კაცი მოვიდა და თამადად დამპატიჟა, – არ გიცნობთ და როგორ-მეთქი? აბა, იმის ქორწილში რომ ითამადეო? – ჩემს ბიძაშვილზე მეუბნება. ბიძაშვილის ქორწილში რას ვიზამ, შენ უნდა გკითხო თუ როგორ არის ჩემი საქმე-მეთქი?

**– რომელიმე სუფრას თუ გაიხსენებთ, ყველაზე მეტად რომ დაგამახსოვრდათ, სადაც გითამადიათ?**

– წელანაც გითხარი, რომ შინაურებთან ვთამადობ და როცა ადამიანი შენიანია, გიყვარს და პატივს სცემ, ყოველთვის კარგია და გამორჩევა რთულია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთნაირად არ გამოდის. თუმცა, ყველაზე კარგად თამადობა, ალბათ, მაშინ გამოდის, როცა ადამიანი ძალიან გიყვარს და გულით გინდა, ასიამოვნო.

ქუთაისში იყო ერთი სუფრა. საღამოა, შვიდი საათია და ჭიჭიკიას ხვდება შალიკია. რაია, ბიჭო, ქორწილში არ ხარო? – ვიყავიო. მერე, ასე უცებ დამთავრდაო? ოო, დამთავრდა კი არა, თამადა იყო ვიღაცა ხვადაგი. ყველა სადღეგრძელოზე იძახდა ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ, ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთო... მეათე სადღეგრძელოზე ქე ვიყავი უკვე ჭიშკართანო...

კაი ქორწილი იყო ქუთაისში და გოგოს მხრიდან მღვდელი იყო სტუმრად. ბიჭის მხრიდან გადმოვიდა ერთი ახალგაზრდა და მამაო, გინდა თუ არა, „შალახო“ მეცეკვეო. მღვდელმა იფიქრა, მე გოგოს მხრიდან ვარ, ეს – ბიჭის მხრიდან, ახალი დანათესავებულები ვართ და უარი რომ ვუთხრა, შეიძლება, გულში ჩაიდონ, მერე რაღაც შარი უნდა მოხდეს და მე დამბრალდებაო. ამიტომ, დათანხმდა „პატარა შალახოზე“. გავიდა ერთი-ორი საათი და კიდევ მოადგა: მამაო, „აჭარული“ უნდა მეცეკვოო. მღვდელმა – აუ, ახლა ეგი ნასვამია, წელან „შალახო“ ვეცეკვე, ახლა შარს ეძებს, ატყდება ჩხუბი და ყველაფერი მე დამბრალდებაო და „პატარა აჭარულიც“ ეცეკვა. ქორწილი მთავრდება და ბოლოსკენ „მარჯანჯას“ უკრავენ. მოადგა და მამაო, მეცეკვეო. მამაომ ამოხედა და: მომისმინე, შვილო, შავი კაბა რო მაცვია, ქვრივი კი არ ვარ, რას გედემეკიდე, წადი, ქალი ნახე ვინმე და იმას ეცეკვეო...

ახლა, საირმეში ვარ. ერთი ხანშიშესული კაცი შემხვდა, გადამეხვია, გადამკოცნა, ქობულეთელია და მეუბნება – მთელი ოჯახი შენი ფავორიტები ვართო ***(იცინის).*** საინიძე ვარ გვარადო, მითხრა და ჩემი შვილიშვილის ქორწილში უნდა დაგპატიჟო. ყანწები უნდა დავლიოთ მე და შენ ერთადო. მე ვუთხარი, რამდენი წლის არის შენი შვილიშვილი-მეთქი? – სამისო ***(იცინის).*** ახლა ველოდები, როდის გაიზრდება. ქობულეთელ ბავშვს რომ ჰკითხეს, რა უნდა გამოხვიდეო, იცი, რა უპასუხა? მდგმურიო. ყველაზე კარგად ეგენი ცხოვრობენ ბათუმში ზაფხულშიო.

**– როცა თამადა ხართ, ბუნებრივია, ბევრის დალევა გიწევთ. ისე თუ დამთვრალხართ, მეორე დღეს რომ აღარაფერი გახსოვთ?**



**ვილაცამ ჭორი გაავრცელა ქალაქში და მინდა, დიდი ასოებით დავწერო, არ დავდივარ სათამადოდ არანაირი თანხის სანაცვლოდ**

– როცა თამადა ვარ, ბოლომდე ვაკონტროლებ თავს. სუფრას დავამთავრებ და გარეთ რომ გამოვდივარ, მერე შეიძლება, მოვწყდე, მაგრამ, სანამ სუფრაზე ვარ, მაქსიმალურად მობილიზებული ვარ. თამადობა არ არის ადვილი საქმე, ოჯახი გენდობა, ამხელა ხარჯს ეწევა და წარმოიდგინე, თამადამ რომ გააფუჭოს სუფრა. ეს დიდი პასუხისმგებლობაა და ნდობა უნდა გაამართლო.

**– თქვენ თვითონ თუ აფორმებთ თამადობისას სუფრას მუსიკალურად?**

– როცა თამადა ვარ, ვმღერი კიდეც, ლექსსაც ვამბობ, ვცეკვავ კიდევაც და სადღეგრძელოებსაც ვამბობ. თამადა უნდა იყოს მრავალმხრივ ერუდირებული – განვითარებული. უნდა იცოდეს თავისი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორია, უნდა იცოდეს ლექსები, სიმღერები, ცეკვა და გინებაც.

**– გჭირდებათ ხოლმე გინება?**

– იცი, რა არის ახლა? ხუთასკაციან ქორწილში ხო არ შეიგინები, მაგრამ შენთვის

**ქობულეთელ ბავშვს რომ ჰკითხეს, რა უნდა გამოხვიდეო, იცი, რა უპასუხა? მდგმურიო. ყველაზე კარგად ეგენი ცხოვრობენ ბათუმში ზაფხულშიო**

ხომ მაინც უნდა იცოდე?! გული რომ მოიფხანო ***(იცინის).*** ერთ რაღაცას ვერ ვიგებ, როდესაც ქორწილში მიდიხარ საქეიფოდ, რატომ უნდა იჩხუბო? თუ ხედავ, რომ თავს ვერ აკონტროლებ, ადექი და წადი. მე ვიცი, ქორწილი რამხელა ჯაფასთან და ნერვებთან არის დაკავშირებული. ფინანსურ მხარეს რომ დავანებოთ თავი. მერე გამოხტება ვიღაც მამაძაღლი და უნდა აგირიოს ყველაფერი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ადამიანს მოვუკითხივარ და ვერ მიცვნია. მერე უთქვამთ: აი, მე ის ვარ, ამის და ამის ქორწილში მეთოთხმეტე მაგიდაზე რომ ვიჯექიო ***(იცინის).*** ასეთი კურიოზებია ხოლმე. ცხოვრება კურიოზებით არის სავსე, რომ არ ელოდები, ისეთით. ხომ გითხარი, ახლა საირმეში ვარ-მეთქი. აქ არის წყალქვეშა მასაჟები, თერმული წყლებია. „ვანაში“ ჯდები და რაღაც აპარატია, კერხერივით, წყალში ჩართავ და აკეთებს მასაჟს. მოსამსახურე ქალბატონს ვეკითხები, რამდენი წელია, რაც აქ მუშაობთ-მეთქი? – 1983 წლიდან, გახსნის დღიდანო. აბა, თქვენთან არ არის საშიში და სხვასთან შეიძლება, საფრთხე იყოს. ახალბედას ხელი რომ აუკანკალდეს და გამრავლების ტაბულაზე მოგარტყას, ხომ დაიღუპე კაცი-მეთქი ***(იცინის).*** ერთხელ, კახეთში ვარ, ძმაკაცთან და პაპამისს ჰქონდა პროთეზის კბილები. ძმაკაცის ბიძასთან რთველში წავედით. რომ მივედით, პაპა ჩემს ძმაკაცს ეუბნება, – ვაიმე, შვილო, კბილები დამრჩაო. ესეც წავიდა და მოუტანა, მაგრამ პროთეზი ჭიქაში იდო. იმას ამოუღია და გაზეთში გაუხვევია. მოიტანა, ჩაისვა სიმონა პაპამ პროთეზი და გაიღიმა. გაიღიმა და პროთეზზე ასოები იყო მიხატული, რაღაცეები ეწერა კბილებზე ***(იცინის).*** ახლა ზესტაფონელი მეგობრები შემხვდნენ და ამბავს მომიყვნენ. ერთი ცოტა ჭკუანაკლული ყოფილა, მაგრამ ძალიან ჯანიანი კია თურმე. ვიღაცას რემონტი ჰქონია და ამას მისთვის მეცხრე სართულზე ერთი ზილი აგური აუტანია ბეჭებით, ის კი სახლში არ დახვედრია. რომ მოსულა, ის აგური ისევ დაბლა დახვედრია. გაბრაზდა თურმე, სახლში რომ არ დახვდა, მაგის მოსატყუარი ვიყავი მე? ფული უნდა მოეცაო და უკანვე ჩამოუზიდავს... ერთხელ კიდევ, ეს ჭკუანაკლული მისულა ანსამბლის ხელმძღვანელთან, რომელსაც ზესტაფონის ცეკვის ანსამბლი რუსეთში მიჰყავდა და უკითხავს: რუსეთში მიდიხარო, – კიო. ცოლიც მიგყავსო? – კიო. რად გინდა იქ ცოლი, ისედაც ბევრი ქალები იქნებიან, დამიტოვე მე და დაგახვედრებ ისევო ***(იცინის).***

**– ორი ქალიშვილი გაათხოვეთ, საინტერესოა, თქვენ ვის ანდეთ თამადობა?**

– უფროსი ქალიშვილის ქორწილში გია ბაღაშვილი ბრძანდებოდა თამადა. შუათანა ქალიშვილის ქორწილში – დავით ივანიშვილი, ჩემი ძმა და მეგობარი იყო თამადა და სხვათა შორის, აღფრთოვანებულია ხალხი მისი თამადობით.

**– საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვთ, რომელსაც განსაკუთრებული ფორმით წარმოთქვამთ?**

– მეგობრობის სადღეგრძელო მიყვარს ძალიან. ფორმას რაც შეეხება, დაზეპირებული სადღეგრძელოები არ არის ჩემში. იმ წუთში რაც მომდის ჯიგარსა და თავში, რაც გულიდან ამოდის, იმას ვამბობ. არსებობს დალევის სხვადასხვანაირი ფორმა. მაგალითად, მეგობრობის სადღეგრძელოს ბოთლით და ჭიქით ერთადა ვსვამ... კახეთში ვიყავით ჩასულები ძმაკაცთან და შევუბერეთ. მეორე დღეს პახმელიაზე კიდევ შევუბერეთ. ჩემმა ძმაკაცმა მანქანიდან ჭურჭელი გადმოიტანა, ორი ცალი ოციანი და ეგ რა არისო, – პაპამ იკითხა. რავი, აი, ღვინისთვის ჭურჭელი ჩამოვიტანეო. თავი დაანებე, უკან ჩაალაგე, ესენი თავიანთი ყოჩალი ჭურჭლებით არიან ჩამოსულებიო. ერთი ასი ლიტრა ღვინო დავლიეთ ორ დღეში.

**ქეთი კაპანაძე**

**მაია უტიაშვილი პროფესიით იურისტია და ის წლების განმავლობაში ადვოკატად მუშაობდა. თუმცა, დაახლოებით ოთხი წლის წინ, თურქეთის დედაქალაქში გაემგზავრა, გათხოვდა და რაც მთავარია, დიდი ხნის ოცნება აისრულა – ის უკვე არაერთ ცნობილ თურქულ სერიალში გადაიღეს. ამ მხრივ მომავალშიც კიდევ არაერთი შემოთავაზება აქვს.**

# როგორ დაიწყო ქართველი ადვოკატის სამსახიობო კარიერა თურქულ ცნობილ სერიალებში და როგორ ატარებს ის თურქ მსახიობებთან ერთად 17 საათს გადასაღებ მოედანზე

**მაია უტიაშვილი**: ადვოკატი ვარ, 15 წლის განმავლობაში ნაძალადევის ადვოკატურაში ადვოკატად ვმუშაობდი. თუმცა ხელოვნებისა და კინოსადმი მუდმივად დიდი ინტერესი მქონდა. ჩემს ოჯახში ხელოვნებას ძალიან დიდ პატივს სცემდნენ. რა თქმა უნდა, სურვილი და ოცნებაც მქონდა, ფილმებში მი-



მელო მონაწილეობა, უბრალოდ, მაშინ ამის საშუალება არ იყო. საბოლოოდ, ღმერთმა ინება და წლების შემდეგ, ოცნება თურქეთში ამისრულდა. ჩემი მეგობრებიც მეუბნებიან ხოლმე: მაია, ყოველთვის გქონდა ამის ინტერესი, სურვილი და ხომ ხედავ, აგისრულდაო. ახლა მჯერა, რომ ქალის ცხოვრება 40 წლის შემდეგ კიდევ უფრო ლამაზდება.

**– როგორ მოხვდით თურქულ სერიალებში?**

– ოთხი წლის წინ ჩამოვედი თურქეთში, რა თქმა უნდა, სამუშაოდ. მალევე გავთხოვდი. ჩემი მეუღლე თურქია, ერთად ვცხოვრობთ ანკარაში. ძალიან ბედნიერია, რომ სერიალებში მიღებენ. პირველად სერიალ Hiyanet sarmali-ში რომ გადამიღეს, რომელიც ორი წლის განმავლობაში გადიოდა თურქეთში, ძალიან ცნობილ და ძველ არხზე – Samanyolu, ქუჩაში ნაცნობებს ეუბნებოდა: მაია „სამანიოლმა" გადაიღოო. 8-9 საათი გრძელდება გადაღებები და საერთოდ არ აქვს პრეტენზია. მეზობლებში ისეთი ცნობილი გავხდი, ყველა მცნობს ახლო-მახლო. თუმცა, უკვირთ – როგორ მოვხვდი თურქულ სერიალებში. ეს არცთუ ისე ადვილია, ზოგჯერ მეც მიკვირს. ყველაფერი კი ასე დაიწყო: სადაც ვცხოვრობ, იქვე არის პარკი. მე ხშირად ვსეირნობ, დილა-საღამოს ვვარჯიშობ. ბოლო პერიოდში 7 კილოგრამი დავიკელი. მინდა, უკეთეს ფორმაში ვიყო. ჩემთან ერთად ვარჯიშობს ერთი ქალი, რომელსაც თურქულ სერიალებში იღებენ. მან გაიგო, რომ ძალიან მიყვარს სერიალები, განსაკუთრებით თურქული. გადაწყვიტა, დამხმარებოდა და წამიყვანა სააგენტოში, რომელიც იღებს სერიალებს და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილმების სააგენტოა თურქეთში. დამაყენეს კამერების წინ, ძალიან ბევრი ფოტო გადამიღეს. მითხრეს: ახლა ვითომ ტირი, გიხარია, იარაღით გემუქრებიან, ვითომ მათხოვარი ხარ საწყალი სახე მიიღეო. მეც ვიდექი და ყველაფერს ვაკეთებდი. თუმცა, არ მეგონა, რომ სერიალში დამიძახებდნენ. მაგრამ, ორ დღეში დამირეკეს და დამიბარეს ცნობილ სერიალში გადასაღებად. არ მჯეროდა, ძალიან გახარებული ვიყავი. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა, ლამის კორპუსს შემოვურბინე გარშემო. თურქული სერიალები არა მხოლოდ საქართველოში, ძალიან ბევრ ქვეყანაშია პოპულარული. ბაზრობაზეც კი მიცნეს, ხელს იშვერდნენ ჩემსკენ ბაშიაჩუკივით. რადგან ძველი და ცნობილი არხია, ამიტომ ყველა უყურებს, განსაკუთრებით სერიალებს. სერიალი რომ გამოვიდა, მეორე დღეს მეზობლები მილოცავდნენ, უხაროდათ. ამ არხზე რა სერიალიც გადის, ყველა ძალიან პოპულარულია და უყვართ თურქებს. ამ სერიალში მეორე როლიც მქონდა – ჟურნალისტის. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სამი წლის განმავლობაში ამ სერიალებს ვუყურებდი და უცებ მეც მოვხვდი იქ. გავიცანი ის ცნობილი მსახიობები, რომლებთან შეხვედრაზეც ვერასდროს ვიოცნებებდი. ამ მხრივ, უბედნიერესი ქალი ვარ. Hiyanet sarmali – ეს არის პირველი სერიალი, რომელშიც გადამიღეს. ეს სერიალი ორი წლის განმავლობაში გადიოდა „სამანიოლზე", საკმაოდ ცნობილი სერიალია. ამ სერიალში ძალიან ცნობილი თურქი მსახიობები მონაწილეობენ და მათ გვერდით მოხვედრა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. სერიალს თითქმის 17 საათის განმავლობაში იღებდნენ. ერთი საათი შევისვენეთ, რომ საჭმელი გვეჭამა. მადლობა გადამიხადეს. ქორწილის სცენაში ვმონაწილეობდი, როგორც დაპატიჟებული სტუმარი, გენერალ მეუღლესთან ერთად სუფრასთან ვიჯექი.



ჯერ ლეიტენანტის ცოლი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მერე დამაწინაურეს – გენერლის ცოლი გავხდი

ჯერ ლეიტენანტის ცოლი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მერე დამაწინაურეს – გენერლის ცოლი  გავხდი. ბევრნი ვიყავით, თუმცა ჩემკენ გამოიშვირეს ხელი – ეს იქნება გენერლის ცოლიო.  თან, 15-მდე ლეიტენანტი იყო, 2 – გენერალი და ერთ-ერთის ცოლად რატომღაც მე ამირჩიეს. მახსოვს, ახალი მანტო მეცვა. გადაღების წინ გამომაცვლევინეს – ეს სერიალი ძველ ამბებს ეხება, ამიტომ მანტო უნდა გაიხადოო. ჩამიყვანეს და თავისი ძველი მანტო ჩამაცვეს. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო გადაღებები: ქორწილის სცენა, სადაც სიძეს ესვრიან – ისეთი სროლა ატყდა, ცოტა არ იყოს, შემეშინდა – ყველაფერი ძალიან ბუნებრივად ხდებოდა. ჩემი მეუღლის როლსაც ცნობილი მსახიობი ასრულებდა. ამ სერიალის რამდენიმე სერიაში ვარ გადაღებული. ამას მოჰყვა ჩემი საყვარელი სერიალი „არ დამივიწყო", რომელსაც ამჟამად საქართველოში აჩვენებენ და როგორც ვიცი, ძალიან პოპულარულია. მეც დიდი ხნის განმავლობაში ვუყურებდი ამ სერიალს და რომ მითხრეს: ერთ-ერთ სერიაში გიღებთო, ბედნიერებისგან არ ვიცით, რა დამემართა. „არ დამივიწყოს" რამდენიმე სერიაში გადამიღეს, მათ შორის სეზონის ფინალურ სერიაში. ასევე, გადამიღეს სერიალ „Deniz yildiz-ში" (ზღვის ვარსკვლავი), რომელიც ახლაც გადის, ყოველდღე. ექთნის როლი მქონდა. ანუ, დიდი ხანი არ არის, რაც თურქულ სერიალებში ვმონაწილეობ და უკვე სამი სერიალის 10 სერიაში ვარ გადაღებული. „არ დამივიწყო" ხუთი წელია, გადის. ოთხი წელია, თურქეთში ვცხოვრობ, ამ სერიალს ვუყურებ და უცებ აღმოვჩნდი ჩემი საყვარელი მსახიობების გვერდით. „ზღვის ვარსკვლავი" დიდი ხანია, გადის და ძალიან უყვართ თურქეთში. შეიძლება, ეკრანზე რამდენიმე წამით ვჩანვარ, მაგრამ მთელ დღეს მათთან ერთად ვატარებ. დილით რომ ჩავიცვამ, მაგალითად, ექთნის ფორმას, მთელი დღე გადასაღებ მოედანზე მიწევს ყოფნა, რადგან თვითონ რეჟისორმაც არ იცის, როდის დავჭირდები. ერთად ვჭამთ, ვსაუბრობთ, ვიცინით, ძალიან უბრალოები არიან. ფოტოს გადაღებას რომ ვთხოვ, სიამოვნებით მორბიან. გადასაღებ მოედანზე უცხოს არავის უშვებენ. გადაღებები რომ მიმდინარეობს, ერთი ამბავი ხდება – ხალხი იქვე, კორპუსის ფანჯრებიდან, აივნებიდან იყურება, აინტერესებთ, აქ სერიალები ძალიან პოპულარულია. მე რადგან ანკარაში ვარ, ამიტომ სააგენტოდან იმ სერიალებში მეძახიან, რომლებსაც ანკარაში იღებენ. თუმცა, თურქული სერიალების დიდ ნაწილს სტამბულსა და კაბადოკიაში იღებენ. უკვე შემომთავაზეს სტამბულიდან სერიალში გადაღება, მაგრამ ვერ წავალ, მაშინ, იქ უნდა გადავიდე საცხოვრებლად და ამას ვერ მოვახერხებ. ოქტომბერში ახალ სერიალში უნდა გადამიღონ, უბრალოდ, ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რა სერიალია და რა როლი მექნება. მეორე სააგენტოშიც დამიბარეს, იქაც ვიყავი ქასთინგებზე და იქიდანაც მიღებენ ახალ სერიალში. ანუ, ახლა უკვე ორ სააგენტოში ვარ დაფიქსირებული. მეზობლები მსახიობებთან მოკითხვებს მაბარებენ და მეც გადავცემ ხოლმე. „არ დამივიწყოში" მთავარ გმირს ემინე ჰქვია. ის განსაკუთრებით უყვართ და მოკითხვებს მაბარებენ მასთან. მეც ვიღებ მათთან ფოტოებს, ავტოგრაფებს ვართმევ და მერე ჩემს მეგობრებს, მეზობლებს გადავცემ ხოლმე. ზაფხულში საქართველოში ვიყავი. როგორც კი ანკარაში ჩამოვედი, მაშინვე დამიკავშირდნენ და გადამიღეს ისევ „ზღვის ვარსკვლავში", რომლითაც სეზონი გახსნეს. ეს სერიალები ძალიან ცნობილ არხზე – „ფოქსზე" გადის. ეს პოპულარული არხია, ყველაზე კარგი სერიალები სწორედ აქ გადის. სერიალებმა მთელი ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა და მიხარია, ამდენი წლის მერე, ოცნება რომ ავისრულე.

**ნათია უტიაშვილი**

**უამრავი გამოკვლევის საფუძველზე, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ პარალელური სამყარო რეალობაა. ის არსებობს ერთდროულად, ჩვენს სამყაროსთან ერთად. ამ რეალობას შეიძლება, გააჩნდეს განსხვავებული ზომები – პატარა არეალიდან მთელ სამყარომდე. იქ მოვლენები თავისებურად ვითარდება და განსხვავდება აქ მიმდინარე მოვლენებისგან – როგორც უმნიშვნელო დეტალებით, ასევე კარდინალურად. ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ასტროლოგ თორნიკე ბიძინაშვილს, რომელმაც მეტად საინტერესო ინფორმაცია გაგვანდო.**

# რამდენი ადამიანი იკარგება ყოველწლიურად ანომალიურ ზონებში და სად მდებარეობს დედამიწაზე სამყაროებს შორის გადასასვლელი შავი ხვრელები

**თორნიკე ბიძინაშვილი:** საუკუნეების განმავლობაში, კაცობრიობა მშვიდობიანად არსებობს პარალელური სამყაროების მცხოვრებლებთან ერთად, მაგრამ გარკვეულ მომენტებში, საზღვრები სამყაროებს შორის ხდება გამჭვირვალე და ამის გამო, ერთი მეორეში გადადის. მოკლედ, კაცობრიობა დიდი ხნის წინ დააფიქრა პრობლემამ პარალელური სამყაროების არსებობაზე. ასეთი სამყაროები პირველად ნახსენებია ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომებში. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, უფრო მეტი ინტერესი გაჩნდა ამოუხსნელი მოვლენების მიმართ.

**– ცნობილი იტალიელი მოაზროვნე ჯორდანო ბრუნო ამბობდა, რომ ჩვენი სამყაროს გარდა, არსებობს სხვა სამყაროებიც. საბოლოოდ, როგორც ვიცით, ის გახდა ინკვიზიციის მსხვერპლი, რადგან მისი წარმოდგენა სამყაროზე სრულიად განსხვავდებოდა იმდროინდელი წარმოდგენისგან. დღეს ასეთი აზრებისთვის მეცნიერებს კოცონზე აღარ წვავენ, თუმცა მკვლევრებს ჯერ კიდევ ვერ აუხსნიათ პარალელური სამყაროს საიდუმლო.**


მსოფლიოს ანომალიურ ზონებს შორის არსებობს ორმოცამდე გვირაბი, რაც წარმოადგენს გადასასვლელს პარალელურ სამყაროში და ყოველწლიურად, ასეთ გვირაბებში ასობით ადამიანი უჩინარდება

– დიახ, ასეა. არსებობს არაერთი თეორია, მაგალითად, აინშტაინის აზრით, ჩვენი სამყაროს გვერდით არის სხვა სამყარო, რომელიც ჩვენი სამყაროს სარკისებრი ანარეკლია. ერთ-ერთი მოსაზრებით, გასაღები ალტერნატიული რეალობისა იმალება ეგრეთ წოდებული მეხუთე განზომილების არსებობაში. დროის განზომილების და სამი სივრცის გარდა, არსებობს კიდევ ერთი, რომლის აღმოჩენის შემდეგ, კაცობრიობას საშუალება მიეცემა, იმოგზაუროს პარალელურ სამყაროებში.

**– ხალხს, ყველაზე მეტად ის უფრო აინტერესებს, შეიძლება თუ არა დავინახოთ ან შევეხოთ ამ ალტერნატიულ რეალობებს. ხომ მეთანხმებით?**

– თუ ყურადღებას მივაქცევთ არსებულ ფიზიკურ კანონებს, მაშინ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კავშირი სამყაროებს შორის შეიძლება განხორციელდეს კვანტური გვირაბის საშუალებით. ამ ჰიპოთეზის ავტორი არის ფიზიკოსი კრისტოფერ მონდრო. ის ამტკიცებს, რომ თეორიულად შესაძლებელია ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა, მაგრამ ამისთვის საჭირო იქნება უზარმაზარი, კოლოსალური რაოდენობის ენერგია, რომელიც სამყაროშიც კი არ მოიპოვება. ამიტომაც გამოდის, რომ ასეთი გადასვლა განუხორციელებელია.

მაგრამ არსებობს სხვა თეორიაც, რომლის თანახმად, სამყაროებს შორის გადასასვლელ ხიდს წარმოადგენს შავი ხვრელი, რომელიც ენერგიის შემწოვი მატერიაა. კოსმოლოგები ამტკიცებენ, რომ შავი ხვრელები შესაძლოა, ემსახურებოდნენ გზას ერთი რეალობიდან მეორეში. ამ თეორიამ შესაძლოა ახსნას, თუ როგორ ჩნდება ახალი ვარსკვლავი. ასტრონომები დიდი ხნის განმავლობაში ბჭობენ, თუ საიდან და როგორ წარმოიშობიან ციური სხეულები. ისე ჩანს, თითქოს მატერია იქმნება არაფრისგან. მაგრამ თუ განვიხილავთ ერთ-ერთ ვარიანტად იმას, რომ ახალი ციური სხეული წარმოიშობა, ანუ მატერიალიზდება პარალელური სამყაროდან, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პარალელურ სამყაროში გადაადგილება შეუძლია ნებისმიერ სხეულს. ამასთან ერთად, მოცემული ჰიპოთეზა ეწინააღმდეგება დიდი აფეთქების თეორიას, რომელიც მიიჩნევა სამყაროს წარმოშობის საწყისად.

**– ერთ-ერთი უცხოელი პარაფსიქოლოგი ამტკიცებდა, რომ ანომალიურ ზონებს შორის, რამდენიმე გვირაბი არსებობს, რომელსაც ადამიანი პარალელურ სამყაროებში გადაჰყავს. ამაზე კვლევებიც მიმდინარეობდა. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით და რას გვეტყვით?**

– დიახ, ავსტრალიელი პარაფსიქოლოგის, ჟანა გრიმბრიარის მოსაზრებით, მსოფლიოს ანომალიურ ზონებს შორის არსებობს ორმოცამდე გვირაბი, რაც წარმოადგენს გადასასვლელს პარალელურ სამყაროებში. აქედან 4 მდებარეობს ავსტრალიის ტერიტორიაზე, 7 – ამერიკაში. ყოველწლიურად ასეთ გვირაბებში ასობით ადამიანი უჩინარდება. ყველა ამ გვირაბს საერთო ის აქვს, რომ მათი სირღმეებიდან ისმის საშინელი კივილი და კვნესა. კალიფორნიის ნაციონალურ პარკში მდებარეობს ერთ-ერთი, ასე თუ ისე ცნობილი გამოქვაბული, სადაც შესვლა შეიძლება, გამოსვლა კი არა. ამასთან ერთად, გაუჩინარებულების კვალიც კი არ რჩება. ასეთი ანომალიური ტერიტორიები არსებობს რუსეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, ერთ-ერთი მაღარო გელენჯიკის ქვეშ. როდესაც შიგნით მკვლევარი ჩავიდა და მხოლოდ 40 მეტრი გაიარა, დაფიქსირდა დიდი რაოდენობით რადიაციული ფონი, რამაც უარი ათქმევინა გზა გაეგრძელებინა. მისი თქმით, მაღაროს დასასრული არ აქვს და იქ, სადღაც არსებობს სხვა სიცოცხლე, სადაც დრო უფრო სწრაფად გადის, ვიდრე აქ. ლეგენდის თანახმად, როდესაც ამ მაღაროში ჩავიდა ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც შიგნით ერთი კვირა დაჰყო და შემდეგ ამოვიდა, უკვე მოხუცი და სნეული იყო.

ასეთივე სნეული და მოხუცი ამოვიდა ჭიდან ერთი პატარა ბერძნული სოფლის მკვიდრი იოანოს კოლოფიდისი, რომელმაც ჭაში სულ რაღაც ერთი საათი გაატარა. სოფელში მიიჩნევდნენ, რომ ჭას ძირი არ აქვს. მისი წყალი ყოველთვის გაყინული იყო. როდესაც ჭის გაწმენდის დრო მოვიდა, ამ სამუშაოს შესრულების სურვილი გამოთქვა იოანოსმა. მან ჩაიცვა სპეციალური ჰიდროკოსტუმი და ჩაეშვა ჭაში. რა ხდებოდა ამ დროის განმავლობაში, უცნობია, მაგრამ როდესაც მისმა დამხმარეებმა იოანოსი ზედაპირზე ამოიყვანეს, შოკირებულები დარჩნენ – მათ წინ იდგა სრულიად მოხუცი ადამიანი გრძელი წვერით. რამდენიმე წლის შემდეგ იოანოსი გარდაიცვალა. როდესაც ექსპერტიზა ჩაუტარდა, აღმოჩნდა, რომ სიკვდილის მიზეზი იყო სიბერე...

კიდევ ერთი ასეთი ჭა კალილინგრადის რაიონში მდებარეობს. რამდენიმე წლის წინ ორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა განიზრახა ჭის ამოთხრა. დაახლოებით 10 მეტრის სიღრმეზე მოესმათ ადამიანების კივილი, რომელიც მიწისქვეშეთიდან მოდიოდა. შეშინებულმა მუშებმა სასწრაფოდ დატოვეს ჭა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს გვერდს უვლის. ვარაუდობენ, რომ ნაცისტები მასობრივ დახვრეტებს სწორედ აქ აწყობდნენ. ამ დრომდე, თეორია პარალელური სამყაროების არსებობაზე მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი მოდელია და საშუალება ავხსნათ ის, რაც არ ექვემდებარება ახსნას. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, უფრო დახვეწილი თეორიაა სუპერ სიმი – ანუ დროისა და სივრცის შეკუმშვა. ზომების მიხედვით, კოსმოსური სიმები შეიძლება იყოს გალაქტიკაზე დიდიც კი. იმდენად თხელი, რომ ატომის ზომასაც არ აღემატებოდეს. პრაქტიკული დამტკიცება ამ თეორიამ ვერ მოიპოვა, ამიტომაც ფიზიკოსები ჯერდებიან სამყაროებზე სხვადასხვა თეორიული მოდელის შექმნით.

**– როგორც მივხვდი, მიუხედავად ფაქტებისა, მეცნიერება უძლურია, რაიმე კონკრეტული დასკვნა დადოს?**

– სწორედაც ასეა, თანამედროვე მეცნიერება ჯერჯერობით უძლურია რამე კონკრეტული თქვას, დანამდვილებით ვერც ერთ თეორიას ვერც ადასტურებს და ვერც უარყოფს.

**ნონა დათეშიძე**

**სიცრუე კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თვისებაა. ის ადამიანს გაჩენის დღიდან, უფრო სწორად, პირველი ცოდვის ჩადენის დღიდან დაებედა. მას შემდეგ მოვდივართ ტყუილ-ტყუილით და ლამისაა მეორე ბუნებად გვექცეს. ტყუილი ზოგჯერ ხელსაყრელიცაა და წარმატება მოაქვს ადამიანისთვის, თუმცა ხშირად უბედურების მომტანიცაა. არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი საუბრის ათი წუთის განმავლობაში საშუალოდ სამჯერ იტყუება. ზოგიერთისთვის ტყუილი ცხოვრების სტილია. როგორ უნდა ვრეაგირებდეთ იმაზე, რომ სიცრუემ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია და როგორ უნდა ამოვიცნოთ მატყუარა ადამიანი, ამასთან დაკავშირებულ ჩვენს კითხვებს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოების, მამარდაშვილის ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, ნონა ხიდეშელი პასუხობს:**

# როგორ უნდა აღვზარდოთ ბავშვი, რომ ტყუილს არ მიეჩვიოს

**– რა არის ტყუილის გამომწვევი მიზეზები?**

– ტყუილი ესაა კაცობრიობის დაავადება, ჩვეულებრივი ილუზია, როცა ადამიანს ჰგონია, რომ მის ტყუილს რაიმე აზრი აქვს. ტყუილის გამომწვევი მთავარი მიზეზი სისუსტეა, რომელშიც პიროვნული ნება გამოკვეთილი არ არის. იტყუება ის, ვისაც ჰგონია, რომ ამით გახდება წარმატებული, რაღაცას მოიხვეჭს. ყველაზე ნიშანდობლივი, რის გამოც იტყუება ადამიანი, არის მისი გაუცნობიერებელი ცხოვრება. მან შეიძლება მიაღწიოს წარმატებას: გახდეს პრეზიდენტი, პარლამენტარი, მღვდელი, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ვერ გააცნობიეროს რა უნდა? საით მიდის? აღმოსავლეთში ამას მძინარე მდგომარეობას ეძახიან, რადგან ადამიანი ცხოვრობს გაუცნობიერებლად. სისუსტესთან ერთად, სიცრუის თქმის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი არის არასრულფასოვნება. ის პოზა და იმიჯი, რომელიც შექმნილი გვაქვს და რისი დანგრევისაც ასე გვეშინია. უმნიშვნელოვანესია ასევე, ჩვენი არასწორი აღზრდა, როდესაც გვზრდიან იდეალებით, რომ მივემსგავსოთ რაღაც საუკეთესოს. ამ ყველაფერს მივყავართ იქამდე, რომ ხდება ადამიანის გაუცნობიერებლობა. მან არ იცის, ვინ არის, რა უნდა, საით უნდა წავიდეს – ესაა კონფლიქტი საკუთარ თავთან. სიცრუე არის მხოლოდ გარეგნული გამოხატულება ადამიანში არსებული შიშების, დაუცველობის, ეგოცენტრიზმისა და სურვილის, რომ მუდმივად გამოიყურებოდეს იდეალურად. ჩვენ, პრაქტიკულად, შვილებს არ ვაძლევთ იმის საშუალებას, გაერკვნენ საკუთარ თავში, გააცნობიერონ, რა შესაძლებლობები აქვთ, რა არის მათი მოწოდება. ჩვენ – ოჯახი, სოციუმი, სკოლა, რელიგია ბავშვს პირდაპირ ვახვევთ საკუთარ წესებს, გზებს, შეხედულებებს, მაშინ, როდესაც არ მიგვიღწევია ფსიქოლოგიურ ზრდასრულობამდე. ფსიქოლოგიური ზრდა ნიშნავს, მიიღო საკუთრი თავი ისეთი, როგორიც რეალურად ხარ – შენი არასრულფასოვნებით, სისუსტეებითა და დაიწყო ამ ყველაფრის გაცნობიერება. ყველაზე მეტად იტყუება ის ადამიანი, რომელსაც ადარდებს და აღელვებს სოციუმის აზრი.

**– რა ასაკიდან იწყებს ადამიანი სიცრუის თქმას?**

– იმ ასაკიდან, როცა ბავშვი იწყებს ცნობიერად რაღაცეების აღქმას, ახერხებს კარგისა და ცუდის გარჩევას. როდესაც ბავშვი აცნობიერებს, რომ შეუსაბამობაა ირგვლივ არსებულ მასალასა და მშობლების მიერ მიცემულ ინფორმაციას შორის. ბავშვისთვის ტყუილი ერთგვარი თავდაცვაა, ამიტომ აქ დიდი როლი აკისრია მშობელს, რომელიც ვალდებულია, არ ჩამოუყალიბოს შიში განსხვავებული მოსაზრებისადმი.

**– შეიძლება თუ არა, რომ მოვახდინოთ ტყუილის კლასიფიკაცია?**

– რა თქმა უნდა, ბავშვური ტყუილი – ესაა მხოლოდ თავდაცვა, ბავშვს არ აქვს და ვერ ექნება რაღაც ამბიციები და მიზნები. მოზარდის ტყუილი ესაა თავდაცვა და შიში. მაგრამ, არსებობს გამიზნული ტყუილი, მაგალითად, როდესაც ამომრჩეველს ატყუებენ პოლიტიკოსები – ესაა ტყუილი ანგარების გამო. ტყუილი დაფუძნებულია არასრულფასოვნებაზე, ის გამოწვეულია არარეალიზებულობით, რასაც მივყავართ ადამიანის ამბიციებთან.



**ყველაზე მეტად იტყუება ის ადამიანი, რომელსაც ადარდებს და აღელვებს სოციუმის აზრი**

**– როგორ უნდა ამოვიცნოთ ადამიანი, რომელიც იტყუება?**

– ზოგადად, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც იმდენად გამოცდილნი არიან ტყუილში, რომ მათი გამოაშკარავება ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელია. მაგრამ, მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომელთაც ადვილად შეატყობთ, რომ იტყუებიან. არსებობს რამდენიმე გასათვალისწინებელი ნიშანი, რომელიც დაგვეხმარება ტყუილის გამოაშკარავებაში.

1. შეუსაბამობა დიალოგში
2. დაბნეულობა
3. თვალების ცეცება, აქეთ-იქით ყურება
4. ტყუილის დროს ჟესტიკულაცია და სიტყვები ერთმანეთს არ ემთხვევა
5. მატყუარა საუბრობს გადაკვრით, ის ხშირად აფორიაქებულია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოცდილი მატყუარები პირიქით, თვალებში უყურებენ მოსაუბრეს, რათა დააკვირდნენ მათ რეაქციას ტყუილზე. არ იტყუებიან მხოლოდ მაღალი ცნობიერების, ძლიერი ადამიანები, რომელთაც იპოვეს საკუთარი თავი და თავიანთი ეგოცენტრიზმი დაანგრიეს. როგორც ფსიქოლოგი გირჩევთ, უნდა დააკვირდეთ თვალებს, ისინი ნაკლებად მოგატყუებენ.

**– ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, დეპრესიით დავადებული ადამიანები ნაკლებად იტყუებიან. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

– ზოგადად, ღრმა დეპრესიით დავადებულები კინტაქტშიც კი არ შემოდიან, მათ ამის არანაირი სურვილი არ აქვთ. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ – დეპრესია ეს არაა რაღაც ვირუსი, რომ უცებ შეხვდეს ადამიანს. სწორედ ტყუილების გამო ვარდება ის დეპრესიაში. ამის მიზეზია მისი ილუზიები და საკუთარი თავის მოტყუება.

**– ერთნაირი სიხშირით იტყუებიან ქალებიც და კაცებიც?**

– საერთოდ, სქესს მნიშვნელობა არ აქვს. ერთნაირი სიხშირით ატყუებენ ერთმანეთს, მაგრამ საქართველოში მამაკაცები უფრო ხშირად იტყუებიან.

**– არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი, რაც უფრო მეტადაა საკუთარ თავში დარწმუნებული, რაც უფრო მეტი ფული აქვს, მით უფრო ადვილად იტყუება, არის თუ არა ეს სიმართლე?**

– კი, რადგან დიდი ფული რომ იშოვო, ტყუილში უნდა დაიხვეწო, ამის გარეშე, ეს თითქმის შეუძლებელია.

**– რა ზიანი მოაქვს ტყუილს საზოგადოებისათვის და რა უნდა ვქნათ იმისთვის, რომ აღარ მოვიტყუოთ?**

– ტყუილი ანადგურებს ადამიანს. მან შეიძლება, მცირე ხნით მოგიტანოს სიამოვნება, სიმშვიდე, მაგრამ შემდეგში გაგინადგუროს მთელი ცხოვრება. ტყუილი ეწინააღმდეგება სამყაროს კანონზომიერებებს, სამყაროს ბუნებითობას და ის, რაც ბუნებითობას ეწინააღმდეგება, ყველაფერი მარცხისთვისაა განწირული. ერთადერთი გამოსავალია, ვკითხოთ საკუთარ თავს, ვინ ვარ? რატომ დაემსგავსა ჩემი ცხოვრება სიყალბეს. დავსხდეთ და ჩავუფიქრდეთ, ჩავიხედოთ საკუთარ თავში. გვიღირს ეს ამად, როდესაც ტყუილი გვაშორებს სიყვარულს, ბედნიერებას, სიხარულს. ის გვაკარგვინებს სიმშვიდეს, არადა ვიტყუებით იმიტომ, რომ სიმშვიდე მოვიპოვოთ. ტყუილი ქმნის შიშის ფონს. გვეშინია არ გასკდეს ჩვენი ტყუილი, შიშები ცხოვრებას ანგრევს და ანადგურებს.

**– დაბოლოს, რაც მინდა გკითხოთ – რა არის გამოსავალი, რომ აღარ მოვიტყუოთ?**

– ადამიანი იბადება საკმაოდ სუსტი, არასრულფასოვანი. ბავშვის აღზრდა მიდის ყალბი იდეალებით, სტერეოტიპებით, ტრადიციებით, წარმატების ფორმულებით – ეს ყოველივე ძალზე აზიანებს მოზარდის ფსიქიკას. შემდგომში ეს მოზარდი ყველა ერთად ხდება საზოგადოება, რაც თავისთავად გადადის ერში და სახელმწიფოში. აი, ამ ყოველივეს უკან კი, დგას კომპლექსები, შიშები, სრულყოფილების მოთხოვნა. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ვიღაც აზრობრივად და ვიღაც ფსიქიკურად, ვერ ვითარდება. ის, რაც საქართველოში ახლა ხდება, ესაა შედეგი სამოცდაათწლიანი სიცრუის, სიყალბის, რომელშიც გახვეული იყო საბჭოთა ეპოქა. თუ გვინდა ნორმალური სოციუმი, საზოგადოება, მსოფლიოს თითოეულმა ადამიანმა უნდა დაიწყოს საკუთარი თავის შეცნობა: ვინ არის რეალურად, როგორია ის და რა მისწრაფებები, სურვილები აქვს. ხშირად ჩვენი შესაძლებლობები და სურვილები შეუსაბამოა, რაც იწვევს ტყუილის ზღვას, რაშიც ვცხოვრობთ. ადამიანმა უნდა გამოიღვიძოს ამ ილუზიიდან, დაჰიპნოზებული მდგომარეობიდან და გააცნობიეროს საკუთარი არსებობა. ტყუილი არც ერთ შემთხვევაში არაა გამართლებული.

**მაკა ძირკველიშვილი**

**გვანცა ციხელაშვილი და აკა მოდებაძე სულ ახლახან იმყოფებოდნენ ჩინეთში WDSF World Championship-ზე, რომელშიც ყოველწლიურად მთელი მსოფლიოდან საუკეთესო წყვილები იღებენ მონაწილეობას. აკა და გვანცა მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს საკუთარი ხარჯებით აკეთებენ და როგორც თავად ამბობენ, სახელმწიფოს მხრიდან არანაირი დახმრება არ აქვთ, ნებისმიერ ჩემპიონატზე, კონკურსზე საუკეთესო შედეგს აღწევენ.**

# როგორ იცეკვა პირველად საქართველოს ისტორიაში ქართველმა წყვილმა მსოფლიო ჩემპიონატზე და როგორ მოუგეს მათ ცნობილ და საუკეთესო წყვილებს

**გვანცა ციხელაშვილი**: მთელი ზაფხული ვემზადებოდით ამ ჩემპიონატისთვის. 2 თვის განმავლობაში სისტემატურად ვვარჯიშობდით ამ შოუსთვის.

**აკა მოდებაძე**: ნომერს ჰქვია „ათას ერთი არაბული ღამე“. გვინდოდა, უცხო ყოფილიყო. ბევრი ელემენტი მოვიფიქრეთ, თუმცა, რა თქმა უნდა, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტილში გავაკეთეთ. 13 მსაჯი იჯდა და ერთი აფასებდა ტექნიკას, მეორე – მსახიობის ოსტატობას, მესამე – მუსიკალურობას და ასე შემდეგ. ეს ძალიან რთული და საპასუხისმგებლო იყო. WDSF World Championship – ასე ჰქვია ჩემპიონატს, რომელსაც აწყობს ცეკვის მსოფლიო სპორტული ფედერაცია და მასში ყოველ წელს მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნიდან საუკეთესო წყვილები.

**გვანცა**: ისეთ წყვილებს ვეჯიბრებოდით, რომლებიც ლიდერები არიან ამ სფეროში, ანუ ყველა ქვეყნის საუკეთესო წყვილი მონაწილეობდა. რადგან არ გვაქვს ისეთი დაფინანსება და შემოსავალი, რომ მუდმივი მწვრთნელი გვყავდეს, რომელსაც ჩამოვიყვანთ, წავიყვანთ, ამიტომ დავდივართ სემინარებზე სხვადასხვა ქვეყანაში. რაც შეეხება იმ შოუს, რომელიც ახლა მსოფლიო ჩემპიონატზე გავიტანეთ, მთლიანად ჩვენი გაკეთებულია. დადგმა აკას ეკუთვნის, თითოეული დეტალი მისი გაკეთებულია და მე კარგად ვასრულებ. მწვრთვნელი იმისთვის გვჭირდება, რომ ტექნიკის მხრივ, ყველაფერი ისე ზუსტად გვქონდეს, რომ თუნდაც მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთი შედეგი მივიღოთ. იქ მხოლოდ შოუ არ ჭრის, მთავარი მაინც ტექნიკაა.

**აკა**: თან, პარკეტზე დგახარ მარტო, 4 წუთის განმავლობაში 13 მსაჯი უყურებს შენს თითოეულ დეტალს. ყველა დეტალი საუკეთესოდ უნდა გქონდეს გათვლილი. გახსნის ცერემონიალის შემდეგ პირველ ნომრად მოგვიწია ცეკვა, რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ სანერვიულო იყო. მაგრამ ნახევარფინალი ვიცეკვეთ ფანტასტიკურად და მერე უკვე შედეგებს ველოდებოდით.

**გვანცა**: ბევრს ვნერვიულობდით: საქართველოდან ხარ, არ გყავს მსაჯი, არავინ გახლავს, როდესაც ყველას თავისი დელეგაცია, ტელევიზია, ვიზაჟისტები, მასაჟისტები, მოკლედ, მთელი შემადგენლობა ჰყავდათ წარმოდგენილი. მხოლოდ მე და აკა ვიყავით, ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი. ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ როცა გამოვედით სცენაზე, პარკეტზე დავდგით თუ არა ფეხი, დიდი ოვაციებით შეგხვდა მაყურებელი. კოსტიუმებიც ჩვენი შეკერილი იყო, აბსოლუტურად ყველაფერი ჩვენ გავაკეთეთ. იციან, რომ მსოფლიოს დიდ ასპარეზზე „პატრონი“ არ გვყავს, ჩვენით ვანგრევთ ყველა კარს. შარშან მეცხრე ადგილზე მოვხვდით, ფინალამდე ერთი ადგილი დაგვაკლდა.

**აკა**: შოუში ერთი ასეთი ელემენტია: მე ვჯდები შპაგატში და ჰაერში მიჭირავს გვანცა. ჩავჯექი თუ არა შპაგატში, ვიგრძენი, მარცხენა მხარეს ძარღვმა ასეთი ხმა გამოსცა – ტკაც! რა თქმა უნდა, გავაგრძელეთ ცეკვა. ჩვენი გამოსვლა რომ დამთავრდა, იმხელა ემოციები წამოვიდა დარბაზიდან, მივხვდი: კარგად ვიცეკვეთ. გერმანიის ფედერაციის ექიმები გადამყვნენ, ყველაფერი გამიკეთეს, თან, მეუბნებოდნენ: ფინალში, რომ მოხვდები, ხომ კარგად უნდა იყოო. ამის გაგონებაზე საერთოდ ვკანკალებდი, უფრო მეტად ვნერვიულობდი. ასეთ დროს უფრო მეტად გინდა ფინალში მოხვედრა, თან, საქართველოს ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ქართველს არასდროს უცეკვია. რომ გამოაცხადეს ჩვენი ნომერი, წამომივიდა ცრემლები, ვერაფერს ვხედავდი.

**გვანცა**: აკა დაეცა, ტელევიზია მოვარდა, ინტერვიუ უნდოდათ: აკა დაბლა იჯდა, ხმას ვერ იღებდა.

**აკა**: გვანცა მამშვიდებოდა, მეუბნებოდაა: ჩქარა მოწესრიგდი, ფინალში უნდა ვიცეკვოთო. ფინალში 9 წყვილი შევიდა. ნახევარფინალი ჩვენ გავხსენით და ფინალიც ჩვენ დავხურეთ. ეკრანზე, რომ დაეწერა მეექვსე ადგილი, ეს კიდევ უფრო საოცარი ემოცია იყო.



**აკა: „გემო რომ გავიგეთ, ძალიან გვინდა კიდევ მეტი. ცეკვის იქით, ანუ გართობას ვგულისხმობ, არანაირი ცხოვრება არ გვაქვს: მხოლოდ პარკეტი და სახლი“**

**– ახლა უკვე პირველ, მეორე ადგილს უმიზნებთ.**

– გემო რომ გავიგეთ, ძალიან გვინდა. ცეკვის იქით, ანუ გართობას ვგულისხმობ, არანაირი ცხოვრება არ გვაქვს: მხოლოდ პარკეტი და სახლი. ბოლოს როდის ვიყავით რესტორანში, კლუბში, ან ქორწილში, არ მახსოვს. ჩვენს ქორწილში ვიყავით, მგონი, 5 წლის წინ. ეს შრომა, რომ გიფასდება, ხვდები, ტყუილად არაფერს აკეთებ. თან, ისეთი ვარსკვლავების გვერდით გვიწევს ცეკვა, მათთან ადგილების გაყოფა.

**გვანცა**: როცა მსოფლიო ასპარეზზე შენს საყვარელ ქვეყანას წარმოადგენ, ეს კიდევ უფრო მეტი სტიმულია. მსაჯი რომ მოვიდა, მომილოცა და მითხრა: ბრავო, შენს ქვეყანასო და ამ დროს კი არავინ გვეხმარება.

**აკა**: არც სახელმწიფო, არც სამინისტრო, არავინ. დიდი მადლობა კერძო სპონსორებს, რომლებსაც ჩვენი სჯერათ და მინიმალურად მაინც გვეხმარებიან. ძალიან რთულია, როდესაც სპორტის სფეროს წარმომადგენელთან შედიხარ დაფინანსებაზე სასაუბროდ და გეკითხება: რამდენი წლის ხარ? 24-ის და ის გეუბნება: აწი პენსიაზე უნდა გახვიდე, სად გვაქვს შენი ფული, – ეს საშინელებაა.

**გვანცა**: იცით, რამდენი შემოთავაზება გვაქვს: რუმინეთი, გერმანია გვთავაზობენ მათი სახელით ცეკვას.

**აკა**: გერმანიის მეორე წყვილს, მოვუგეთ და ერთი ქულა დაგვაკლდა, პირველი წყვილისთვის რომ მოგვეგო. დარწმუნებული ვარ, ფინალში შპაგატი რომ გამეკეთებინა, მეხუთე ადგილზე ნამდვილად გავიდოდით. ის ელემენტი ნამდვილად ღირდა ქულებად. უბრალოდ, გამაფრთხილეს: თუ კიდევ გააკეთებ, შეიძლება ძარღვი დაზიანდეს, საერთოდ გაწყდესო.

**– უკრაინის „ნიჭიერშიც“ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეთ.**

**გვანცა**: უკრაინის „ნიჭიერიდან“ თვითონ დაგვიკავშირდნენ და შემოგვთავაზეს მონაწილეობა.

**აკა**: ქასთინგზე 5 000 მოცეკვავე მონაწილეობდა. 4 დღე ვცხოვრობდით კიევში და თვალები შუბლზე ამივიდა: ზოგი დაფრინავდა, მაგრამ ნახევარფინალში მოვხვდით და საბოლოოდ, ესემესებით 12 კაცს შორის მეოთხე ადგილზე გავედით – რაც ჩვენთვის ძალიან დიდი შედეგი იყო.

**– ის, მომენტი რომ მეუღლეები ხართ, საერთო ინტერესები გაქვს, ალბათ, უფრო გეხმარებათ წარმატებაში.**

**გვანცა**: ორივეს ცეკვის ერთნაირი სტილი გვაქვს, შერწყმულები ვართ.

**– რამდენი ხანია, რაც ერთად ხართ?**

**აკა**: 17 ოქტომბერს გახდება 5 წელი, რაც დავქორწინდით, მანამდე 2 წელი შეყვარებულები ვიყავით. 5 დღის დამდგრები ვიყავით წყვილში, რომ საერთაშორისო კონკურსზე მეთორმეტე ადგილზე გავედით. მივხვდით: სტილი, ხედვა, მგრძნობელობა – ერთი გვქონდა. თურმე სხვებს შეუმჩნევიათ, რომ მომავალი კონკურენტები ვიყავით და ამიტომაც ბევრი ცდილობდა ჩვენს დაშორებას. მაგრამ, იმდენად გულწრფელები ვიყავით, რომ ამაზე ვიცინოდით. თუმცა, იყო მომენტი, როცა ამ ყველაფრის გადალახვა მოგვიწია და დამოუკიდებელი მოცეკვავეები გავხდით. ახლა საკუთარი სტუდია გვაქვს – „აკა და გვანცა“ და მოყვარულებიც გვყავს, პროფესიონალებიც. ახლახან აზერბაიჯანის საერთაშორისო კონკურსიდან პირველი-მეორე ადგილი ჩამოიტანეს ანა ჭელიძემ და ანა ქუთათელმა.

**– თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა როგორ დაიწყო?**

**გვანცა**: პირველი, იცი, რა მითხრა?! ცოლად ხომ გამომყვებიო. მე ვუთხარი: რას ხუმრობ, რა სისულელეა. კარგი, დღეს არა, მაგრამ ერთი კვირის მერე ხომ გამომყვები ცოლადო – არც სიყვარული აუხსნია, არც არაფერი. თავიდან ვხუმრობდით, მერე მეც დავიწყე ფიქრი: აბა, ცოლად რომ გავყვე, რა იქნება... თან, სულ ერთად ვიყავით, კარგად შევეწყეთ ერთმანეთს და ყველაფერი უცბად გადავწყვიტეთ.

**ნათია უტიაშვილი**

# Narciso – სუნამო, რომლის სურნელიც, ნებისმიერი მამაკაცის ყურადღებას იპყრობს

წარმოშობით კუბელმა დიზაინერმა ნარცისო როდრიგესმა, საკუთარი ტალანტისა და შემოქმედებითი ხედვის განვითარებით, შექმნა სტილი, რომელიც აჯვარებს ამერიკული მოდისთვის დამახასიათებელ პრაქტიკულობასა და კომფორტს ევროპული მაღალი მოდის ელეგანტურობასა და დახვეწილობასთან. ნარცისო როდრიგესს ქალურობის საკუთარი განმარტება აქვს – ეს არის კლასიკისა და თანამედროვეობის ელეგანტური შტრიხების შერწყმა; ეს არის მგრძნობელობისა და იმ კლასის შერწყმა, რომელიც დროს დუელში იწვევს. ევროპული ზეგავლენებით მდიდარ მის ამერიკულ მოდას ლათინური სული აქვს.



ნარცისო როდრიგესის შთაგონება მოდის ქალისგან და ის თავის ახალ სუნამოს NARCISO სიყვარულითა და მადლიერებით უძღვნის ყველა ქალს, როგორც შთაგონებას. ახალი სუნამოს პრეზენტაცია „ისი-პარიმ" საკმაოდ ორიგინალურ და თავბრუდამხვევ სურენელოვან გარემოში გამართა. ეს არის სურნელოვანი ხელწერა, რომლის მიმართ ერთგულებასაც ნარცისო როდრიგესი შემოქმედების საწყისი ეტაპიდან ინარჩუნებს. ამიტომაც წარმოიქმნა ასეთი ძლიერი ემოციური კავშირი.



როგორც ხატია შამუგია ამბობს, ეს არის ის პერსონალური საჩუქარი ყველა ქალისათვის, რომლითაც ნებისმიერი კაცის მზერას ადვილად მიიპყრობთ.

# ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძემ მედიკოსებს შორის ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა

ცოტა ხნის წინ, გერმანიაში, ქალაქ ლაიფციგში, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში მედიკოსებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მედიკოსები. საქართველო ჩემპიონატში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, შპს „კარდიორეანიმაციული ცენტრის" დირექტორმა, ცნობილი ქართველი პოეტის, ტიციან ტაბიძის შვილიშვილმა, ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძემ წარადგინა. შარშან მან ევროპის ჩემპიონატზე ფარიკაობაში ვეტერანებს შორის მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, წელს კი პირველობა არავის დაუთმო და მედიკოსებს შორის ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაიმსახურა. მოქმედ ჩემპიონს ამ ტურნირისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ლუდვიგ ლაღიძე ამზადებდა და მან მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა.




**გივი ანდრიაძე**: ძალიან მიხარია, რომ მედიკოსებს შორის ფარიკაობაში ევროპის ჩემპიონი გავხდი. საკმაოდ ძლიერი მეტოქეები მყავდა, მათ შორის ახალგაზრდებიც იყვნენ, მაგრამ, არცერთი ბრძოლა არ წამიგია და ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 20-25 ოქტომბერს მივემგზავრები უნგრეთში, სადაც მონაწილეობას მივიღებ ვეტერან მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში – რა თქმა უნდა, ეს ძალიან საპასუხისმგებლოა. ვემზადები და ვნახოთ, რა იქნება. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ, გარდა მედიცინისა, სპორტითაც ვარ დაკავებული: ყოველდღე სამ კილომეტრს დავრბივარ, დღეგამოშვებით ერთ კილომეტრს ვცურავ და ფიზიკურად კარგ ფორმაში ვარ. ახლაც, შეჯიბრებაზე რომ ვიყავი, საერთოდ არ დავღლილვარ, კიდევ გავაგრძელებდი ასპარეზობას. თუმცა, ვნახოთ, რას ვიზამ მსოფლიო ჩემპიონატზე. რაც მთავარია, ძალიან გვინდა, მომავალში ჩავატაროთ ვეტერანთა ოლიმპიური თამაშები სხვადასხვა სახეობაში, რომელიც ოლიმპიადისა და პარაოლიმპიადის შემდეგ ჩატარდება. ასეთი რამ არსად არ ხდება. თუ ოლიმპიადა საბერძნეთმა მოიგონა, პარა-ოლიმპიადა – ინგლისმა, ვეტერანთა ოლიმპიადა უკვე საქართველოს საკუთრება იქნება, ხოლო, საერთაშორისო ოლდ-ოლიმპიური მოძრაობის სათავო ოფისი თბილისში განთავსდება და ეს საქართველოს მიმართ ინტერესს კიდევ უფრო მეტად გაზრდის.



# როდის შეებრძოლნენ ქართველები და რუსები პირველად ომში ერთმანეთს

1014 წლის 7 მაისს გარდაიცვალა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, დიდი ხელმწიფე ბაგრატ მესამე კურაპალატი და ტახტზე ავიდა მისი ვაჟი გიორგი პირველი – „მეორმოცდათორმეტე მეფე, გიორგი. ძე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა. ბაგრატოანი".

მემატიანის თქმით, ის ამ დროს სულ 12 წლის იყო, სიყრმესა და სიჭაბუკეს შორის. თუმცა, უნდა ითქვას, მაინც უფრო სიყრმეა 12 წელი, ვიდრე სიჭაბუკე. ანუ სულ ბავშვი იყო, რომ დაობლდა და უცებ სახელმწიფოს მეთაურის – მეფის გვირგვინი დაადგეს თავზე.

ბავშვობა არც ჰქონია ყმაწვილ მეფეს, ომი იყო მისი ბედისწერა, ომი სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის. თან, უდიდეს იმპერიასთან.

ზოგიერთი აკრიტიკებს გიორგი პირველს, დაუფიქრებლად დაიწყო ომი უძლიერეს ბიზანტიასთან და უნიჭიერეს სარდალთან, ბასილი ბულგართმმუსვრელთანო. მაგრამ, თუ ცოტა დავაკვირდებით, ასე არ ყოფილა.



ამიერ-ტაოს მეფის, ბაგრატ მეორის შვილიშვილი, ბაგრატ მესამე იყო შვილობილი იმიერ-ტაოს დიდი ხელმწიფის დავით III კურაპალატისა, რომელმაც, თავის დროზე, 12 000-იანი ჯარის მიშველებით, გადაარჩინა ბიზანტიის არასრულწლოვანი იმპერატორი ბასილი მეორე და მისი უმცროსი ძმა კონსტანტინე მერვე, ბარდა სკლიაროსის აჯანყებისას. ამის გამო საიმპერატორო კარმა მას, სიცოცხლის ბოლომდე დაუთმო ძველი ქართული ქვეყნის, ბასიანის სამხრეთი ნაწილი, რომელიც მიტაცებული ჰქონდა, და სხვა ტერიტორიები, მათ შორის სომხური პროვინციები. დავით კურაპალატმაც თავისი ჯარის დახმარებით შეძლო არზრუმამდე, ვანის ტბამდე და ვალაშკერტამდე გაევრცელებინა სამეფო. ამ მიწების ნაწილი  გაათავისუფლა არაბთაგან. შემდგომში ქართველთა ხელმწიფემ გადაწყვიტა, მოკავშირედ გაეხადა ბასილის წინაალმდეგ შეთქმული ბარდა ფოკა, რომელიც ეტყობა, მას პირდებოდა ამ მიწების დავითის მემკვიდრეებისთვის სამუდამოდ დათმობას. დავითის მემკვიდრე კი, მისი შვილობილი ბაგრატი, ერთიანი საქართველოს მეფე ხდებოდა. დავით მესამისათვის ქვეყნის ინტერესები უმთავრესი იყო.

ბარდა ფოკა, რომელსაც დავით კურაპალატის ჯარი ეხმარებოდა, დამარცხდა. ბასილიმ მოახერხა და მოირთო ძველი მტრები, რუსები და სხვები. ამ დროს შეხვდნენ ბრძოლის ველზე ქართველები და რუსები პირველად. სამხრეთ კავკასიის მეფე-მთავართა ლიდერისა და მედიატორის, სახელგანთქმული დავით კურაპალატის დასჯა და მისი სამეფოს დაპყრობა ბასილიმ ვერ გაბედა, – ამის გამო მას სხვა ქართულ სამთავროებთანაც მოუწევდა ომი, – და მოსთხოვა მისთვის ეანდერძებინა თავისი სამფლობელო ქართველ მეფეს. დავით მესამე იძულებული გახდა, დაეთმო და დათანხმდა. ქვეყანას ჯერ არ შეეძლო მოძლიერებული იმპერატორის წინაალმდეგ ომი.

1001 წელს გარდაიცვალა დავით მესამე და იმიერ-ტაო და ბასიანი ბასილი კეისარმა დაიკავა. სამაგიეროდ კი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, ბაგრატ მესამე და მისი მამა, ამიერ-ტაოს მეფეთ-მეფე, გურგენი კურაპალატად და მაგისტროსად გამოაცხადა. ქართველი პოლიტიკოსები იძულებულები იყვნენ დროებით დამორჩილებულიყვნენ.

კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულები ბიზანტურია. ამ ტიტულებს ბიზანტიის კეისრები თავის მოკავშირე ქართველ და სომეხ მეფეებს აძლევდნენ. ხშირად, რეალურად, ეს ტიტულები არ იყო ვასალობის გამომხატველი, თუმცა ქართველ მეფეებს არ ეპიტნავებოდათ. მით უმეტეს, იმ დროს, როცა აღმავლობის გზას ადგნენ.

როგორც ვთქვით, 1014 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მესამე და ტახტზე ავიდა გიორგი პირველი.

ამ დროს ბიზანტიას ძალიან ჰქონდა გართულებული სიტუაცია ბულგარეთში. ჯერ კიდევ 986 წელს ბულგარელებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები, ტრაიანის კართან და შემდეგ პლოვდივთან, ბულგარეთში. ბულგარელებმა ამ ბრძოლაში გაანადგურეს ბიზანტიელთა კავალერია – ცხენოსნები მთლიანად და ფეხოსანთა დიდი უმრავლესობა. კეისარმა ბასილიმ ძლივს გაასწრო დიდი არმიის მცირე ნარჩენებით და ასე გადარჩა ტყვეობას.

საინტერესოა რა უძღოდა წინ ამ ბრძოლას. ბულგარელების მეფეს ბასილი შეჰპირდა დას მოგათხოვებო, ბულგარელ მეფეს გაუხარდა, ომები შეწყდება და თავს დაგვანებებსო. ბასილიმ კი სრულიად უცხო ქალი და ბერძენი მიტროპოლიტი გაუგზავნა „სასიძოს". თუმცა ტყუილი გამჟღავნდა...

ბასილიმ ისევ შეკრიბა არმია და 992 წლიდან ისევ შეტევაზე გადავიდა ბულგარეთში. გიორგი პირველის საქართველოში გამეფების წელს (1014) ბულგარელები ისევ გააფთრებით ებრძოდნენ ბასილის...

**ბულგარეთში ბასილი ბულგართმმუსვრელმა ტყვედ ჩავარდნილ 15 000 ბულგარელს თვალები დასთხარა – თითოეულ ასეულში თითო მეომარ-ტყვეს, თითო თვალი დაუტოვა, რათა თავისი დანარჩენი 99 მეგობარი თავის მეფემდე მიეცილებინა**

ქართულმა პოლიტიკამ გადაწყვიტა, გაეთავისუფლებინა „ერთმორწმუნე" ბიზანტიის მიერ ოკუპირებული დავით მესამე კურაპალატის მემკვიდრეობა, „ბასიანს გადაღმა" არსებული ისტორიული ქართული მიწები, ქართველებით დასახლებული და ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიურად, ისე ეკონომიკურად.

ეს მიწები, სამხრეთ საქართველო, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოსთან, ლაზეთ–ჭანეთთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი პლაცდარმი იყო ბიზანტიისთვის საქართველოზე შემოტევის გასაგრძელებლად, ასევე სომხეთის მიმართულებითაც... ბიზანტიას კი გეგმაში რომ ჰქონდა ქართული და სომხური სახელმწიფოების გაუქმება და თავის იმპერიისთვის შეერთება. ამ საქმეში გიორგი პირველის მხარეს იქნებოდნენ სომხებიც. ამიტომ, ყმაწვილი, თუ სიჭაბუკეში ახლად შესული მეფის ტახტზე ასვლისთანავე ქართველმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ ბულგარელების აჯანყებით, ალ-ჰაკიმის ბიზანტიისადმი მტრობით, საერთოდ, ხელსაყრელი საგარეო ვითარებით და გაათავისუფლეს იმიერ-ტაო და ბასიანი, ბიზანტიური, საოკუპაციო გარნიზონებისგან. არის ვერსია, ქართული ჯარი ტრაპიზონსაც დაემუქრა, რომ ეს ძირძველი ქართული მხარეც გაეთავისუფლებინა ბერძენი დამპყრობლებისაგან.

თუმცა, სამეფო კარს ძალიან ცუდი სიურპრიზი ელოდა. ამ პერიოდშივე გიორგი პირველს განუდგა კახეთ-ჰერეთი და კვლავ აღიდგინა თავისი ქორეპისკოპოსის ტახტი. ამ დროს კახეთის ხელმწიფე გახლდათ კვირიკე მესამე დიდი, რომელმაც ჰერეთიც შემოიმტკიცა და მეფის ტიტულიც მიიღო. კვირიკე მეფემ მოახერხა და თავისი სამეფო, რომელიც 1010 წელს, კვირიკეს ტახტზე ასვლისას შეიერთა ბაგრატ მესამემ, ბაგრატის გარდაცვალებისთანავე, მცირეწლოვანი მეფე გიორგი პირველის მფლობელობიდან უკან დაიბრუნა. ეს მოხდა 1014 წელს. ზუსტად იმ დროს, როცა აფხაზთა და ქართველთა მეფე გიორგი პირველი ბიზანტიელების წინაალმდეგ დაიძრა.

საქართველოს სამეფო კარმა გადაწყვიტა, ქართულ კახეთ-ჰერეთთან ომი არ გაემართა, რადგან ერიდებოდა ქართველთა შორის სისხლისღვრას და თან, უმთავრეს ამოცანად ითვლებოდა ბიზანტიის მიერ წართმეული მიწების კვლავ ქართველი ხალხის გამგებლობაში დაბრუნება.

1018 წელს ბასილი კეისარმა, როგორც იქნა, დაამარცხა ბულგარელები. ბულგარეთში ბასილი ბულგართმმუსვრელმა ტყვედ ჩავარდნილ 15 000 ბულგარელს თვალები დათხარა – თითოეულ ასეულში თითო მეომარ-ტყვეს, თითო თვალი დაუტოვა, რათა თავისი დანარჩენი 99 მეგობარი თავის მეფემდე მიეცილებინა. ეს რომ ბულგარელთა უბედურმა მეფე სამუელმა იხილა, გულგახეთქილი დაეცა უსულოდ...

ბასილიმ მოიცალა აღმოსავლეთისთვის, საქართველოსა და სომხეთისთვის. მან შეაგროვა დიდი არმია და მოირთო რუსები და სხვები. კეისარმა მოსთხოვა გიორგი მეფეს გასულიყო იმიერ-ტაოდან და ბასიანიდან, რომელსაც თავის საკუთრებად, ბიზანტიის „იბერიის თემად" აცხადებდა.

საქართელოს სამეფო კარმა მოახერხა და შექმნა ანტიბიზანტიური კოალიცია კავკასიაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გიორგი პირველი. გარდა ამისა, გიორგი პირველის კარმა კავშირი დაამყარა ბიზანტიის დაუძინებელ მტერთან, ხალიფა ალ ჰაქიმთან, რომელიც მას ხმელთაშუა ზღვის აუზში ბატონობისთვის ექიშპებოდა და ორივეს შესთავაზა თავ-თავიანთი სამფლობელოებიდან შეეტიათ ბიზანტიისთვის. ანუ, მეორე ფრონტს ახსნევინებდა ალ-ჰაქიმს ბასილისთვის.

და კიდევ, ბიზანტიაში მზადდებოდა შეთქმულება, აჯანყება ბასილის წინაალმდეგ. ქართველი მეფე და მისი სიძე, დის ქმარი, ფერის ჯოჯიკის ძე აქტიურად იყვნენ ჩართული ამ ამბებში.

ქართველმა პოლიტიკოსებმა ყველაფერი კარგად გათვალეს. თუმცა, ცოტა იღბალმა უღალატა ჩვენს ყმაწვილ ხელმწიფეს. როგორც ვთქვით, ბასილი კეისარმა მოახერხა და დაა-

(გაგრძელება 86-ე გვერდზე)

# როგორ სწირავდნენ მსხვერპლს გალები

ძველი კელტების ყოფა-ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, რომაელებისგან ვიგებთ, რომლებმაც მათ „გალები“ უწოდეს. რომაელებმა ციზალპური გალია – ტერიტორია მდინარე პოსა და ალპებს შორის, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნის დასასრულს დაიპყრეს. მეორე საუკუნის განმავლობაში კი სამხრეთ გალიის ნაწილიც დაიპყრეს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის შუა ხანებში, გაიუს იულიუს ცეზარი რვაწლიანი ომის შემდეგ რომს უერთებს მთელ დანარჩენ გალიას, ხოლო ციზალპური გალიის მოსახლეობას რომაულ მოქალაქეობას აძლევს. ამის შემდეგაც, გალებთან დამოკიდებულება, როგორც ველურ ხალხთან, ყურადღების ღირსნიც რომ არ იყვნენ – უკვე უხამსობად ითვლებოდა; დიოდორე სიცილიელი, ცეზარის უმცროსი თანამედროვე გვაცნობებს:

„გალები, მათთვის დამახასიათებელი ველურობის გამო უაღრესად ბიწიერები არიან მსხვერპლშეწირვებშიც: ხუთი წლის განმავლობაში დაპატიმრებულ ავისმქმნელ ადამიანებს გალები ღმერთების სახელის სადიდებლად აწამებენ და სხვა მრავალ „საწყისთან“ ერთად მსხვერპლად სწირავენ, რისთვისაც უშველებელ კოცონებს აჩაღებენ; ღმერთებს ტყვეებსაც სწირავენ. გალებიდან ზოგიერთნი არა მარტო ადამიანებს, არამედ ომში მოპოვებულ ცხოველებსაც ხოცავენ, წვავენ, ან სულაც, ანადგურებენ და სხვანაირად აწამებენ“.

სტრაბონი წერს: „გალები წარჩინებული მტრების თავებს კედარის ზეთში ინახავდნენ, უცხოელებს უჩვენებდნენ და ვერ თანხმდებოდნენ მიეცათ თუ არა ისინი მათივე წონის ოქროს ფასად... მსხვერპლად შესაწირ ადამიანს ისინი ზურგში დარტყმას აყენებდნენ და მისი კრუნჩხვების მიხედვით მარჩიელობდნენ. მაგრამ, ისინი მსხვერპლშეწირვას დრუიდების (დრუიდი – კელტების ქურუმი) გარეშე არ ატარებდნენ. მოხსენიებულია ადამიანის სხვა სახის მსხვერპლშეწირვებიც: თავიანთ მსხვერპლს ისინი მშვილდ-ისრიდან ცხრილავდნენ, ტაძრებში ჯვარს აცვამდნენ, ან თივისა და ხისგან აგებდნენ დიდ სტატუეტს, შემდეგ იქ პირუტყვსა და ათასგვარ ველურ ცხოველს, ასევე ადამიანებს შეყრიდნენ და ყველაფერს ერთად წვავდნენ“.

თვით ცეზარი თავის თხზულებაში „გალიის ომების შესახებ“ – მცირედ ყურადღებას როდი უთმობს გალების წესჩვეულებებს. ის წერს:

„ყველა გალი უკიდურესად ღვთისმოშიშია. ამიტომ, მძიმე ავადმყოფობით დაავადებული ადამიანები, აგრეთვე ისინი, რომლებიც ცხოვრებას ომში თუ სხვა საშიშ ვითარებაში ატარებენ, მსხვერპლს სწირავენ ან აღთქმას დებენ ადამიანის მსხვერპლშეწირვაზე. ამ საქმეს მათთან დრუიდები განაგებდნენ. სწორედ გალები ფიქრობენ, რომ უკვდავი ღმერთების გულის მოლბობა სხვაგვარად შეუძლებელია, თუ არა ადამიანის სიცოცხლისთვის ისევ ადამიანის სიცოცხლის შეწირვა. მათთან ამ სახის საზოგადოებრივი მსხვერპლშეწირვაც კი არის შემოღებული. ზოგიერთი ტომები ამ მიზნით წნელებისგან დამზადებულ ვეებერთელა ფიტულებს იყენებენ, რომლის ნაწევრებს ცოცხალი ადამიანებით ავსებენ, ქვევიდან



ცეცხლს უნთებენ და წვავენ. მაგრამ, მათი აზრით, მსხვერპლად ისეთი ადამიანების შეწირვაა უფრო სასურველი, რომლებიც ქურდობაში, ყაჩაღობაში ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაშია მხილებული. მაგრამ, როცა ასეთი ადამიანები არასაკმარისი რაოდენობითაა, უდანაშაულოებით ავსებენ მათ რიცხვს“.

ცეზარი ასევე აღწერს სულის მოსახსენიებელ მსხვერპლშეწირვასაც: „დაკრძალვა გალებში, მათი ცხოვრების წესთან შედარებით, შესანიშნავია და დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ყველაფერს, რაც, მათი აზრით, მიცვალებულისთვის მის სიცოცხლეში საყვარელი იყო – ცეცხლში ყრიან, თვით ცხოველებსაც კი. კიდევ, ჩვენი დროების წინა ხანებში, დაკრძალვის ყველა წეს-ჩვეულების დაცვით, მიცვალებულთან ერთად იწვებოდნენ მისი მონები და კლიენტები, თუ ისინი მას ნამდვილად უყვარდა“.

მაგრამ გალების მხრიდან ეს წეს-ჩვეულება სისასტიკის გამოვლინება არ არის ისინი აბსოლუტურად დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ იმქვეყნად ადამიანს ამქვეყნიურის ტოლფასი სხეულებრივი არსებობა ელოდებოდა.

მართალია, იმქვეყნიური ცხოვრების, არსებობის არა მარტო გალებს სწამდათ, მაგრამ სხვა ხალხები, როგორც წესი, მაინც არ უთანაბრებენ ამ არსებობას ამქვეყნიურს: ისინი შიშობენ, რომ მათ უხორცო აჩრდილების სახით მოუწევთ ცხოვრება. ეშინიათ ჯოჯოხეთური ტანჯვის, არ არიან დარწმუნებული, რომ საიქიოში ერთსა და იმავე „განყოფილებაში“ მოხვდებიან თავიანთ ნათესავებთან ერთად... ყველა ეს შიში გალებს არ ჰქონდათ. ვალერიუს მაქსიმუსი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნე) გალებზე წერდა: „ყვებიან, რომ ისინი იმდენად დარწმუნებული არიან ადამიანის სულის უკვდავებაში, რომ ერთმანეთს ასესხებენ ფულს და სწამთ, ნასესხები ფული იმქვეყნად გადაეხდებათ“. დიოდორე აღნიშნავს, რომ მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალის ჩატარების (კოცონზე დაწვის) დროს, ზოგიერთ გალი ცეცხლში წერილს აგდებდა იმის იმედით, რომ მიცვალებული ადრე გარდაცვლილ მის ნათესავებს გადასცემდა ბარათს. სხვათა შორის, ამ ჩვეულებამ ირლანდიის კელტებში ჩვენს დღეებამდე გაძლო – მეოცე საუკუნეში ასეთი ფაქტი კელტური კულტურის ცნობილმა მკვლევარმა ჰელმუტ ბირკხანმა დააფიქსირა.

ამრიგად, თვით გალები ვერავითარ განსაკუთრებულ სისასტიკეს ვერ ხედავდნენ იმაში, რომ წინაპრებთან გაეგზავნათ ვინმე, თავიანთი თანამემამულეთაგანი ბუნების მიერ დაშვებულ ვადაზე ადრე. მაგრამ, რომაელები, ამ საკითხზე სხვა აზრისანი იყვნენ. საერთოდ, რომაელები ჩვეულებრივ, არ ერეოდნენ მათ მიერ დაპყრობილი ხალხების რელიგიურ ცხოვრებაში, თუმცა გალების წესჩვეულებებმა ისინი სახტად დატოვა. თვით რომაელებთან ამ დროს ადამიანთა მსხვერპლშეწირვა აკრძალული იყო (ცირკის არენებზე გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტა, როგორც ჩანს, მსხვერპლშეწირვად არ ითვლებოდა). ყოველ შემთხვევაში, გამარჯვებულები შეეცადნენ, გალებში წესრიგი დაემყარებინათ და როგორც სტრაბონი წერს: „გადააჩვიეს მსხვერპლშეწირვისა და მარჩიელობის ჩვეულებებს, საწინააღმდეგოდ იმისა, რაც ჩვენში იყო დადგენილი“.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ა | კ | ე | ლ | ა | | თ | მ | ა |
| | | | | | ა | | ა | | უ | | | | ე | |
| | | | | | პ | ა | რ | ი | კ | ი | | ს | კ | ა |
| | | | | | ა | | ა | | ა | | ი | | ა | ქ |
| | | | | | რ | ი | ბ | ა | | ო | რ | უ | რ | ო |
| | | | | | ე | | ი | | მ | ჩ | ა | ტ | ე | |
| ქ | ა | მ | ა | | ქ | | ნ | ა | რ | ი | ტ | ა | | თ |
| ა | | ა | | ს | ა | ლ | ი | | ა | ლ | ა | | გ | ო |
| ლ | ო | რ | კ | ა | | ე | | ი | ვ | ა | ვ | ყ | | ლ |
| ა | | ა | | კ | უ | კ | ა | რ | ა | ჩ | ა | | კ | ი |
| ნ | ო | დ | ი | ა | | ი | ნ | ო | ლ | ა | | ა | რ | ა |
| დ | | ი | | ნ | | | ა | | ი | ს | კ | რ | ა | |
| ა | რ | ა | ვ | ი | ძ | ე | | კ | | | | ა | ვ | ა |
| | ხ | | ი | | ი | ლ | ა | ლ | ა | | ე | ბ | ი | ჯ |
| ლ | ე | ლ | ა | | რ | ა | ლ | ი | | ა | | უ | | ი |
| | ვ | ა | ლ | ს | ი | | ი | ნ | ი | ნ | ი | ლ | ა | კ |
| ბ | ა | დ | ი | ა | | კ | ო | ტ | | უ | რ | ი | კ | ა |
| ა | | ა | | ტ | ა | ლ | | ო | მ | რ | ო | | რ | |
| თ | უ | | ა | რ | ფ | ა | | ნ | ი | | გ | ო | ი | ა |
| უ | | ა | ხ | ფ | | ნ | ა | ი | ნ | ა | | ბ | | ნ |
| მ | ა | რ | ლ | ო | | ჭ | ა | | ა | კ | ი | რ | ა | მ |
| ი | | ი | ო | | ს | ი | კ | ო | | ა | | ე | | ზ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 | 6 | 9 |
| 6 | 8 | 4 | 1 | 7 | 9 | 3 | 5 | 2 |
| 9 | 3 | 2 | 5 | 4 | 6 | 1 | 7 | 8 |
| 5 | 7 | 6 | 9 | 8 | 3 | 2 | 1 | 4 |
| 4 | 9 | 1 | 2 | 5 | 7 | 6 | 8 | 3 |
| 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 4 | 5 | 9 | 7 |
| 8 | 5 | 3 | 7 | 6 | 2 | 9 | 4 | 1 |
| 1 | 4 | 9 | 8 | 3 | 5 | 7 | 2 | 6 |
| 2 | 6 | 7 | 4 | 9 | 1 | 8 | 3 | 5 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 2 | 3 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 9 | 1 | 4 | 6 | 8 | 7 | 2 | 5 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 7 | 8 |
| 3 | 6 | 7 | 5 | 2 | 9 | 4 | 8 | 1 |
| 4 | 5 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 9 |
| 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 2 | 5 | 3 | 4 | 8 | 9 | 1 | 7 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 5 | 2 | 8 | 3 | 6 |
| 7 | 8 | 3 | 9 | 6 | 1 | 5 | 4 | 2 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. სოლომონმა ბზარის ერთ ბოლოში აბრეშუმის ჭია შეუშვა. ჭიამ მთელი ბზარი გაიარა და შიგ აბრეშუმის ძაფი დატოვა. 2. დროს – ლაპარაკია განზომილებებზე. 3. ბერმუდის სამკუთხედი. 4. ყველა შიშველია. 5. მკვდარი ზღვა. 6. ალბათობის თეორიაზე. 7. „...იყო პატიოსანი ადამიანი“. 8. ხუანხე და გობი. 9. საქსოფონი. 10. ბერძნულ-რომაული (ჭიდაობის სახეობები).**

**მათი პროფესიული და ოჯახური ტანდემი თხუთმეტ წელზე მეტია, რაც შედგა. ერთად ბევრი რამ გაიარეს – რთულიც და საინტერესოც და, ალბათ, ამიტომაც, უკვე აღარ იციან, სად იწყება საქმე და სად – პირადი ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთოებებში ორივე გახსნილი და თავისუფალია, ინტერვიუებზე მათი დათანხმება იოლი საქმე არაა, თუმცა, ამჯერად, ქმრისგან განსხვავებით, ცოლმა გამონაკლისი დაუშვა – რა ხდება კადრს მიღმა დათო აქუბარდიასა და ნინო ჯანგირაშვილის ცხოვრებაში, ამას თავად ნინოსგან შეიტყობთ, რომელმაც ისიც გაგვიმხილა, როდის უნადგურებს ქმარი ოჯახის ბიუჯეტს და ისიც, თუ როგორ გადაედო მას ცნობილი ქმრის ცხოვრების ყველაზე სანდო და გამოცდილი ფილოსოფია.**

# რა დაუტოვა დათო აქუბარდიას მიხეილ სააკაშვილმა მემკვიდრეობით და რა შეუკვეცა მას ცოლმა „კავკასიაში“

**ნინო ჯანგირაშვილი**: პროფესიით ისტორიკოსი ვარ, ჟურნალისტობა ნამდვილად არ ყოფილა ჩემი ბავშვობის ოცნება. ჟურნალისტიკაში ისე მოვხვდი, როგორც ბევრი ჩემი თაობის ჟურნალისტი. ჩემი შრომითი ბიოგრაფია არ არის განსაკუთრებით მრავალფეროვანი და ძირითადად „კავკასიასთან" არის დაკავშირებული. ამ წლების განმავლობაში ამ მიმართულებით ძალიან დიდი გამოცდილება დავაგროვე. ჟურნალისტზე მეტად, ალბათ, უფრო მენეჯერი ვარ და ვმართავ ტელევიზიას, რომელიც წლების განმალობაში მთლიანად იყო დამოკიდებული საკუთარ შემოსავლებზე, ამოგდებული იყო კონტექსტიდან და ქართული რეალობიდან, სადაც ტელევიზიებში სხვადასხვა წარმომავლობის პოლიტიკური ფული ტრიალდებდა; შესაბამისად, მე უფრო კრიზისმენეჯერად ჩამოვყალიბდი. იმდენად ხშირად მიწევდა „ხანძრების" ჩაქრობა, თუ მშვიდობაა, შეიძლება, მოვიწყინო კიდეც. მე თვითონ შემიძლია, გადავიღო სიუჟეტი, დავამონტაჟო, დავგავო ოფისი, დავჯდე პულტთან და ვიმუშაო როგორც რეჟისორმა, ან, ავაწყო სტუდიის ფონი და დავაყენო განათება – ყველაფერი შემიძლია, თუკი რამეს შეიძლება აკეთებდეს ადამიანი ტელევიზიაში. ეს ყველაფერი მოიტანა წლებმა და იმ რთულმა პირობებმა, რომელშიც ჩვენ გვიწევდა მუშაობა. ჩვენ მაშინ დავიწყეთ მაუწყებლობა, როდესაც აბსოლუტურად კუსტარულ პირობებში ვიყავით.

**– ტელეკომპანია „კავკასიასთან" დაკავშირებით ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე ხუმრობის თემა.**

– რა ხდება დღეს – ეს სხვა საკითხია, მაგრამ, ყველას, ვისაც დამოუკიდებელი ქართული ტელევიზიების სათავეებთან უმუშავია, ახსოვს, რომ მაშინ ყველანი კუსტარულები ვიყავით. ოფისებში „რელეიკები" არ გვქონდა, რომ სიგნალი ოფისიდან გაგვეშვა და ანძაზე აგვქონდა ხოლმე კასეტები. მე მახსოვს 1995 წელი და ის დღე, როდესაც ჩვენი ოფისიდან პირველად გავუშვით სიგნალი, თავი „სი-ენ-ენი" მეგონა. იყო დრო, როდესაც საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე ვამონტაჟებდით სიუჟეტებს, ყველამ ასე, ერთნაირად დავიწყეთ – დათო აქუბარდიამ თავის დას გამოართვა მაგნიტოფონი და ტელევიზორი და ისე დაიწყო ტელევიზიის გაკეთება. ხანდახან მგონია, რომ ჩვენ, „ტელევიზიონშჩიკები", ვართ კარგი მემატიანეები იმ ყველაფრის, რაც ხდებოდა ქვეყნისთვის მძიმე ბოლო ოც წელიწადში. ჩვენ ერთად გავიარეთ ყველა ეტაპი და ვიყავით მოვლენების ეპიცენტრში, რაც არ იყო იოლი. ხანდახან მაქვს განცდა, რომ ბოლო ოცი წელი სულ გამოცდების ჩაბარებაში გავატარე, რის გამოც ჩემი ცხოვრება ძალიან საინტერესო იყო. ხასიათიც ასეთი მაქვს, თუ არ არის პრობლემა და გამოწვევა, შეიძლება აზარტიც კი დავკარგო.

**– როგორ გაქვთ გადანაწილებული ფუნქციები თქვენ და დათო აქუბარდიას ტელეკომპანიაში, ვინ უფრო „ზემოთ" დგას რეგალიით?**

– კორპორაციული და საკრალური საიდუმლოებების გამხელას ნუ მომთხოვთ ***(იცინის).*** პირინციპში, ჩვენს ორგანიზაციაში დამალული და დაფარული ბევრი არაფერია, მათ შორის – ჩვენი ურთიერთობაც, მაგრამ, რატომღაც, არც მე და არც დათოს არ გვიყვარს ხოლმე ჩვენს საკუთარ ცხოვრებაზე ხმამაღლა საუბარი. არ მიყვარს იმ დღეებში ჩაბმა, რომელიც პიარს ემსახურება, თორემ, კარჩაკეტილი არც მე ვარ და არც დათო. ის განსაკუთრებით გახსნილი ადამიანია ყველასთან, ყველა სიტუაციაში არის უკომპლექსო, არ უყვარს პირობითობები, არ აინტერესებს სტატუსები; შეუძლია, ტელევიზიის დამლაგებელს ყავა მოუდუღოს. დათოსთვის მთავარია ადამიანი, რეგალიებს არასდროს ეკიდება. დათო საერთოდ არ მალავს არაფერს, დაცვაც კი არ გვყავს



**დათო არის „კაცი – სეილი"**

ტელევიზიაში ***(იცინის).*** ახლა, რაც შეეხება ფუნქციებს, მე აღმასრულებელი დირექტორი ვარ, დათოს ამგვარი სტატუსი არ აქვს. საბუთებში, ხელშეკრულებებში, ფინანსებში და საორგანიზაციო საკითხებში ნაკლებად ერევა. თუ გავითვალისწინებთ, რომ დოკუმენტებზე ხელს მე ვაწერ, გამოდის, რომ ფორმალურად მე უფრო მაღალი რანგი მაქვს. რანგის რა გითხრათ და, დათო ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე მე. ის „ხალხოსნური" ტიპია, ხშირად ნახავთ ბაზრობებზე – მისი ერთ-ერთი საყვარელი ადგილია ელიავას ბაზრობა, სადაც შეიძლება ერთი ვინტილი იყიდოს, მაგრამ, რამდენიმე საათი გაატაროს იქ სიამოვნებით და ესაუბროს ადამიანებს მათ პრობლემებზე. სულ ვეხუმრები, „კაცი სეილი" ხარ-მეთქი – საერთოდ რომ არ სთხოვოს ვინმეს ფასდაკლება, 50-პროცენტიანი ფასდაკლება იმწუთას გარანტირებული აქვს ***(იცინის).***

**კორპორაციული და საკრალური საიდუმლოებების გამხელას ნუ მომთხოვთ**

**– როდესაც ცოლი და ქმარი ერთ საქმეში არიან ჩართულნი, ეს მაინდამაინც კომფორტული არ უნდა იყოს.**

– ვერასდროს ვერ იტყვი, რა რას სჯობს, არ ვარ ასეთი ვარაუდებისა და განზოგადობების მომხრე. ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება, ინდივიდუალური გზა აქვს. ჩვენ ასე ვიცხოვრეთ და ამის რევიზია უმადური საქმე იქნება. ჩვენთვის ტელევიზია და პირადი ცხოვრება ყოველთვის ისე იყო ერთმანეთზე გადაბმული, ვერც კი ვიგებდით, სად მთავრდებოდა საქმე და სად იწყებოდა პირადი ცხოვრება. ერთად ბევრი რთული პერიოდი გადავიტანეთ, რამაც ჩვენს ურთიერთობას სხვა ემოციებიც დაუმატა. ზოგადად, ჩვენ ძალიან განსხვავებული ხასიათის ადამიანები ვართ, გვაქვს განსხვავებული გატაცებები, ხშირად – ცხოვრების წესიც. მოგვწონს სხვადასხვა ლიტერატურა, სხვადასხვა არხის ყურება, თუმცა, ჩვენი განსხვავებულობა არ გვიშლის ხელს, ერთად კომფორტულად ვიცხოვროთ და ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები ვიყოთ – შენგან განსხვავებულ ადამიანთან ცხოვრება უფრო საინტერესოა; თუმცა, ზოგადი ადამიანური ფასეულობები საერთო გვაქვს, მაგალითად, ორივესთვის ძვირფასია პიროვნული თავისუფლება. ალბათ, ამიტომაც, ერთმანეთს ვუტოვებთ პირად სივრცეს და ამ სივრცეში არ ვუვავრდებით. ალბათ, ამის ხარჯზეც ვართ ამდენი წელი ერთად. რა თქმა უნდა, ვჩხუბობთ კიდეც, განსაკუთრებით – სამსახურში, როცა მე რაღაც არ მომწონს მისი გადაცემიდან, ან პირიქით, როცა მას არ მოსწონს ჩემი ესა თუ ის გადაწყვეტილება. შეიძლება, ისე ვიყვიროთ, რომ თანამშრომლებიც დავაფრთხოთ, მაგრამ, როგორც წესი, ჩვენი ჩხუბი ძალიან მალე და მშვიდობიანად მთავრდება ***(იცინის).***

**– თქვენი მეუღლის შესახებ ლეგენდარული ხუმრობები დადის. ვინაიდან თვითონ მოუხელთებელი რესპონდენტია, თქვენ გკითხავთ: როგორი დამოკიდებულებები აქვს მას თავად?**

– პლიტა, ტაშტი და სხვა ამგვარი ხუმრობები არის შოუების მიერ შექმნილი გარკვეული სტერეოტიპები. ეს მათი საქმეა, მათი ბიზნესია. თუ ხუმრობა მიზანმიმართული და ბოროტი არაა, ამით არაფერი ფუჭდება, თუმცა, არის შემთხვევები, როცა ვიღაცა ვულგარულად ხუმრობს. არც ესაა პრობლემა, საერთოდ, როცა ადამიანზე ინტენსიურად ხუმრობ, მინიმუმ იმას უშვებ, რომ მას აქვს ასპროცენტიანი ცნობადობა და ამის აღიარება არ არის ურიგო. დათოს იუმორის მიმართ ძალიან ჯანსაღი დამოკიდებულება აქვს. მას აქვს თავისი ფილოსოფია, რაც მე ადრე არ მესმოდა: ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი, როცა მე მგონია, რომ დაიქცა ქვეყანა და დადგა სამყაროს აღსასრული, შეიძლება, გაიღიმოს და თქვას: „ნინა, ფილოსოფიურად შეხედე." დროთა განმავლობაში მეც ვხვდები ხოლმე, რომ ნერვების მოშლა მართლაც არ ღირდა. ის, რაც კარგი გადმომედო დათოსგან ამ წლების განმავლობაში, სწორედ ესაა – ცხოვრებას არ ვირთულებ, ბევრ თემას მარტივად ვიყურებ და ეს მიდგომა მართლაც ამართლებს.

ა ქ ც ი ა
სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ
„ანტროპოსში“
უ ფ ა ს ო დ

გულსისხლძარღვთა სისტემის გამოკვლევა კომპიუტერულ-დიაგნოსტიკური სისტემა „ანტროპოსის” მეშვეობით.

დისპანსერულ მეთვალყურეობაზე აყვანა.

დაკვირვება თქვენს ჯანმრთელობაზე მთელი წლის განმავლობაში.

*გამოკვლევაზე ჩაწერა ხდება წინასწარ*

*ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ!*

საშემოდგომო აქცია!

უფასოდ!!!

- გინეკოლოგის კონსულტაცია
- რევმატოლოგის კონსულტაცია (პროფესორი, მედიცინის დოქტორი ოლგა ანთელავა)

სამშაბათობით და ხუთშაბათობით 13.00-დან 14.00-მდე
კონსულტაციები მხოლოდ წინასწარი ჩაწერით:

- ანგიოლოგი (პროფესორი, მედიცინის დოქტორი სერგო ჯაიანი)
- გასტროენტეროლოგი (მედიცინის დოქტორი ბადრი ცუცქირიძე)
- თერაპევტი (მედიცინის დოქტორი დემურ ჭაფანძე)

უფასო კონსულტაციები შაბათობით (13.00-დან 14.00-მდე)

საყოველთაო დაზღვევა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ცენტრ „ანტროპოსში“!

მხოლოდ ჩვენთან – დაზღვეულ პაციენტებს შემოგთავაზებთ გამოკვლევებისა და მკურნალობის უნიკალურ დამატებით პაკეტს:

- დინამიკური დაკვირვება პაციენტის ჯანმრთელობაზე მონიტორული დიაგნოსტიკური სისტემის, „ანტროპოსის“ გამოყენებით, 80 %-იანი ფასდაკლება
- ფიზიოთერაპია – 50 %-იანი ფასდაკლებით
- სტომატოლოგია – თერაპიული მკურნალობა – 50 %-იანი ფასდაკლებით:
  - კბილის ამოღება პროთეზირებისას -უფასო
  - პროთეზირება -25%-იანი ფასდაკლებით

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 74 61 00: 5 71 74 61 00.
მისამართი: თბილისი, მეტრო „ისანთან“, ნავთლუღის ჩიხი №9.


**– კადრს მიღმა თქვენი ცხოვრება როგორია?**

– ძალიან ჩვეულებრივი, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ერთი შეხედვით, ჩვენი ცხოვრება შეიძლება ძალიან მოსაწყენიც კი ჩანდეს. მეც და დათოსაც ორივეს ძალიან გვიყვარს სახლში ყოფნა. ისე გვაქვს მონატრებული სახლი, ეს ჩვენთვის დიდი კომფორტია. ზოგადად, თავისუფალი დრო იმდენად ცოტა მაქვს, რაც ყველაზე ძალიან მინდა და მაინტერესებს იმ მომენტში, იმას ვაკეთებ. გატაცებები და ინტერესები ცხოვრებაში ხშირად მეცვლება. ამ ბოლო დროს ინტერიერის დიზაინით ვარ გატაცებული. მიყვარს ცურვა, თუმცა, სამწუხაროდ, ცურვისთვის ხშირად ვერ ვიცლი. ვცადე, დათოც ამეყოლიებინა, მაგრამ, არ გამომივიდა და დავანებე თავი. მიყვარს მოგზაურობაც. უცხოეთში ძირითადად საქმიან მივლინებებში მიწევს სიარული, თუმცა, ვპოულობ დროს იმისთვისაც, რომ დავათვალიერო ყველაფერი, რისი საშუალებაც მაქვს. ამ ბოლო წლებში დათოს ყველაზე დიდ გატაცებად ექცა ველოსიპედით სიარული. სულ ველოსიპედებს ყიდულობს, თანაც, საუკეთესოებს, რაც არ ღირს იაფი და, შესაბამისად, სულ ვპროტესტებ, რომ ამით ოჯახის ბიუჯეტი ნადგურდება. მერე სხვებს ჩუქნის და მერე ისევ ყიდულობს. შაბათ-კვირას დათო ხშირად მიდის ბათუმში, სადაც მიხეილ სააკაშვილმა ველოსიპედის, თუ არ ვცდები, 15-კილომეტრიანი ბილიკი გააკეთა – ეს დარჩა დათოს ექსპრეზიდენტისგან მემკვიდრეობით ***(იცინის).*** დათოს უფროს ქალიშვილს, თეონასაც უყვარს ველოსიპედი. დათომ უკვე ჩვენი შვილი, ნიკუშაც აიყოლია. ვამბობ ხოლმე, სააკაშვილმა აქუბარდიებს გაგიკეთათ-მეთქი ეს ბილიკი.

**– დათო აქუბარდია სახლში იოლი მოსავლელია?**

– როგორღაც ვახერხებთ ერთმანეთის მოვლას, ხან დედაჩემი გვივლის. დათო არ არის სტანდარტული გაგებით ქართველი კაცი, სახლში რომ შემოვა და, აბა, რა გვაქვს საჭმელიო, – მოითხოვოს. ვერ გეტყვით, რომ საჭმელების გაკეთება უწევს ან იტაცებს, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, კვერცხს თავისთვისაც შეწვავს და ჩემთვისაც. ჩვენს კვებაზეც და ნიკუშაზეც ძირითადად დედაჩემი ზრუნავს, თუმცა, მომმარაგებლები ჩვენ ვართ. რისი ყიდვაც საჭიროა, სუპერმარკეტებში მე ვყიდულობ, რისიც ბაზარში – ის დათოს მოაქვს. ისე უყვარს ბაზარში სიარული, ამ სიამოვნებას როგორ წავართმევთ! არცერთი არ ვართ „წურბელა” და პრეტენზიული, დედა რასაც დაგვახვედრებს, იმას მივირთმევთ. დედას აქვს მინდობილი ნიკუშას გაზრდა, თუმცა, მის ცხოვრებაში ჩვენც აქტიურად ვართ ჩართულები. აღზრდის ჩვენი მეთოდი გვაქვს – არც ერთი არ ვტვირთავთ ბავშვს შენიშვნებით, არ ვუბურღავთ ტვინს; ვცდილობთ; თავისუფალი და დამოუკიდებელი ადამიანი გაიზარდოს. ნიკუშა ისეთ ასაკში გავაჩინე, უკვე აბსოლუტურად გაცნობიერებულად ვუყურებდი დედობას – ჩემთვის მთავარი იყო, ბავშვი ყოფილიყო თავისუფალი და ლაღი ადამიანი. ნიკუშა უკვე მეშვიდე კლასის მოსწავლეა. 6 წლამდე მთელ სახლში კედლებზე ხატავდა და ესეც კი არ დაგვიშლია მისთვის. ერთხელ სახლში „კავკასიის” ბეჭედი დამრჩა; რომ მივედი, ნიკუშას მთელ კედლებზე ბეჭდები ჰქონდა დარტყმული და ამაზე მხოლოდ გავიცინეთ. მოკლედ, ცელქობას არ ვუშლიდით ***(იცინის).*** მეც და დათოსაც ძალიან გვიყვარს სიმწვანე, ყვავილები. იმედი მაქვს, რომ ოდესმე გვექნება სახლი ეზოთი. დათო მებაღეობის დიდი ფანია, თუმცა, ასპარეზი არ აქვს. „კავკასიის” ეზოში პატარა მიწის ნაკვეთია, იქ განავითარა თავისი ტალანტი ამ მხრივ – კვახი, პომიდორი დარგო და მოსავალიც მიიღო. მე, ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, უკვე პროფესიონალ „პრარაბად” ჩამოვყალიბდი. ვიცი, რომ ჩვენს ახალ ოფისში ამ მხრივ ბევრი რამ მექნება გასაკეთებელი. თუ ადრე გვიხაროდა, რომ ოფისიდან ანძაზე სიგნალი გავუშვით, დღეს უკვე სხვა ტექნოლოგიების ეპოქაა. ჩვენც ვფიქრობთ, რომ გავიარეთ „თინეიჯერობის” ეტაპი – ტელევიზია უკვე 20 წლისაა და, ის, რაც გვეპატიებოდა ადრე, იმ ეპოქიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც ქართულ მედიაში იყო, აღარ გვეპატიება დღეს. ადრე მთავარი იყო, გადავრჩენილიყავით, ეთერში ვყოფილიყავით, დღეს ეს ეტაპი გავლილია. ახლა ისეთი დიდი კონკურენცია და ბაზარია, რომ რეალურად უნდა შევხედოთ იმ გამოწვევებს, რის წინაშეც ჩვენ ვდგავართ. დღეს „კავკასია” თავიდან იბადება. ვიშენებთ ოფისს დიდი სტუდიებით, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ვიმუშაოთ აბსოლუტურად სხვა რეჟიმში; დღეს ვაკეთებთ სრულიად ახალ პროგრამირებას, რასაც შეეწირა დათოს გადაცემის ერთი ბლოკი, თუმცა, დათო ამას გადასარევად შეხვდა – უფრო ადრე მიდის სახლში ***(იცინის).*** ვფიქრობთ, რომ ახალი პროგრამირება ტელევიზიას აიყვანს ახალ დონეზე როგორც ხარისხობრივად, ასევე, შინაარსობრივად, რისი საშუალებაც ადრე არ გვქონდა.

**თამუნა სამადაშვილი**

**ᲘᲐᲡᲝᲜ ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ თავისი ცხოვრების იმ ნაწილზე ისაუბრებს, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელია. ცხოვრება მგლების და მტაცებლების გარემოცვაში. მათთან ერთად გატარებული 1 500 საათი. სრულიად მარტო, არავის იმედად, 4 თვის განმავლობაში ის გარეული მგლების ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ოროთახიან ბინაში, ბავშვებთან ერთად მგლის ლეკვებს ზრდიდა, მათ გამოსაკვებად არალეგალურად მუშაობასაც არ ერიდებოდა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას.**

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐ ᲠᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲖᲠᲓᲘᲓᲐ ᲘᲐᲡᲝᲜ ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ ᲛᲒᲚᲔᲑᲡ ᲝᲠᲝᲗᲐᲮᲘᲐᲜ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲩᲝᲓᲜᲔᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

**– ბატონო იასონ, რატომ დაინტერესდით მგლებით?**

– მეორე კურსზე აკადემიკოს თენგიზ ონიანის ლაბორატორიაში ქცევის ფიზიოლოგიას ვსწავლობდი. მაშინ ეთოლოგია, როგორც მეცნიერება აკრძალული იყო. გადავწყვიტე, უფრო ღრმად შემესწავლა ქცევა, რომელიმე ცხოველზე დაკვირვებით. თავიდან ძაღლები მაინტერესებდა, მაგრამ ძაღლებმა ადამიანთან ურთიერთობის შედეგად ძალიან ბევრი თვისება დაკარგეს, ამიტომ გარეული ცხოველის ქცევის შესწავლა დავიწყე. იმის გამო, რომ ძაღლები ბავშვობიდან მიყვარდა, შორს არ წავედი და არჩევანი ძაღლის წინაპარზე – მგელზე გავაკეთე. 1974 წლიდან ამ საქმეში ვარ ჩართული, მაშინ 30 წლის ვიყავი. პირველად მგლის ყმუილი 4 წლის ასაკში გავიგე, როდესაც მამამ წამიყვანა „მყვირალობას“ ირმების სანახავად. ეს ხმა სულ მქონდა ჩარჩენილი. ყმუილი წარმოუდგენლად ემოციურია. უკვე 40 წელია რაც მგლების ირგვლივ ვტრიალებ და ამ ხმას მაინც ვერ მივეჩვიე. როცა ყმუილი მესმის, ზურგზე ჭიანჭველებივით დამდის რაღაც. მგელი წარმოუდგენელი ინტელექტის მფლობელია. მათ აქვთ მაღალი დონის სოციალური ცხოვრების ნირი. საერთოდ, სოციალობა ზრდის ინტელექტის დონეს. ეს ყოველგვარი შეთანხმება და ურთიერთობაა ქცევის. მათი შესაძლებობებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, მგლის ქცევის შესწავლა დამეწყო.



**როდესაც ყმუილი მესმის, ზურგზე ჭიანჭველებივით დამდის ხოლმე**

**– რამდენი ხანი ცხოვრობდით მგლებთან ერთად ტყეში?**

– თითქმის 1 500 საათი მათთან გავატარე. 4 თვე დამჭირდა, რომ მგლის ერთი ოჯახი მიმეჩვია. იმდენად დავუახლოვდი, რომ შევძელი მათთან ერთად სიარული, ნადირობა. ვნახე ყველაფერი, რისი ნახვაც მგლების ირგვლივ შეიძლებოდა.

**– არ გერჩოდნენ?**

– ახალგაზრდა კაცს უქიქინებს ტვინში, მეც ძალა და გული მერჩოდა. ისინი იმდენად ჭკვიანები არიან, რომ ვიდრე მე მათ დავინახავდი, ისინი უფრო ადრე მხედავდნენ. ბოლოს მიხვდნენ, რომ სახიფათო არ ვიყავი და ჩემგან სარგებლის მიღებაც შეეძლოთ.

**– რა სარგებელს ხედავდნენ თქვენში?**

– საჭმლით ვუზრუნველყოფდი, არ ვერჩოდი. თავიდან წაღებული მქონდა საქონლის უზარმაზარი ბარკალი და პერიოდულად პატარა ნაჭრებს ბილიკებზე ვუყრიდი. ჩვენს შორის კონტაქტი პირველად თავად მგლებმა დაამყარეს. ერთ დღესაც დომინანტები, ძუ და ხვადი გამოვიდა. ხვადი დაახლოებით ხუთი მეტრით მომიახლოვდა: მიყურა, დამიღრინა, კბილები მაჩვენა, მიტრიალდა და წავიდა. გაშეშებული ვიყავი, არ ვიცოდი რას მოიმოქმედებდა. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. შემდეგ საშუალება მომეცა, მათი „რანდევუ საიტზე“ ვყოფილიყავი. ეს არის შეხვედრის ადგილი – დღის განმავლობაში დაქსაქსული ოჯახი ბოლოს ერთად იკრიბება. ამ ადგილს ბუნაგთან საერთო არ აქვს. მგელი ბუნაგში მაშინაა, როცა ლეკვები იბადებიან. ლეკვიც მხოლოდ 2 თვე რჩება ბუნაგში. დავიწყე მათთან ერთად სიარული. ვხედავდი როგორ ნადირობდნენ, რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამ დაკვირვებებით ვსწავლობდი მგლის ონტოგენეზს, ანუ დაბადებიდან ზდასრულობამდე, როგორ უყალიბდებოდათ სხვადასხვა სახის ქცევა. ეს იყო კვების, აგრესიის, სოციალური და სხვა ტიპის ქცევები. ამასთან ერთად ვსწავლობდი მათ აზროვნებას, რა დონის აზროვნებას ჰქონდათ.

**– არ გეშინოდათ, როდესაც მგლის ლეკვების გაზრდა გადაწყვიტეთ? ძალიან სარისკო იყო თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი.**

– ახალგაზრდა ვიყავი და სისხლი მიჩქეფდა ძარღვებში. დაძაბული ვიყავი, როცა ოჯახის წევრები იკრიბებოდნენ. ერთი ყოველთვის ზურგს უკან მედგა, ეს იყო ერთადერთი მომენტი, რომელიც დისკომფორტს მიქმნიდა. მივეჩვიე ყველაფერს და ამ დაძაბულობამაც გამიარა. ტყეში სრულიად მარტო ვიყავი, მქონდა ერთი დანა და პატარა ტურისტული ნაჯახი.

**– რა განსაკუთრებული თვისება აღმოაჩინეთ მგლებში?**

– ძალიან საინტერესოა მათი სოციალური მოწყობა: რა ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან, როგორია დომინირების პროცესი, რას აკეთებენ დაბალი რანგის ინდივიდები, რამდენად შეუძლიათ ჯგუფის წევრების დაცვა, როგორ ყალიბდება ნადირობა, მშობლებისა და ლეკვების დამოკიდებულება. საბოლოო ჯამში, ამ ექსპერიმენტებით აღმოჩნდა, რომ მათ მტაცებლური ინსტინქტი დაბადებიდან ჩამოყალიბებული არ აქვთ. მშობელი ასწავლის რა უნდა ჭამოს და როგორ მოიპოვოს ნადავლი. ყველა ცხოველს, რომელსაც მტაცებლური ინსტინქტი გააჩნია, ასოციაცია აქვს ცოცხალ ობიექტსა და საკვებს შორის. მგელბში კი ვითარდება მტაცებლური ქცევა, მათ ეს თანდაყოლილი არ აქვთ.

> **ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲙᲠᲘᲑᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲒᲔᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲔᲓᲒᲐ**

**– „ბი-ბი-სი” იყო დაინტერესებული თქვენით, ფილმის გადაღებასაც გეგმავდით. რატომ არ განხორციელდა ეს იდეა?**

– „ბი-ბი-სი” გაქრა. საავტრო უფლება გავყიდე წიგნზე. ეს წიგნი წაიღეს და დღემდე არაფერი ისმის მათგან. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რაღაც საზიზღრობები მისწერეს ჩემ შესახებ. უკვე 15 წლია, არასასიამოვნო ისტორიებს წერენ ჩემზე. სისხლი გამიშრეს, რას მერჩიან, არ ვიცი.

**– რის საფუძველზე წერენ ამ „საზიზღრობებს“?**

– ამბობენ, რომ საშინელებაა, რაც ხდება – მგელი თავს ესხმის ხალხს, ეს კი თურმე ჩემი ბრალია. მე მომიშენებია მთელ საქართველოში მგლები ***(იცინის).*** ეჭვის დონეზე მაქვს, რომ „ბი-ბი-სი-ის” წარმომადგენლებსაც რაღაც უთხრეს ამის შესახებ და ამიტომ აღარ შემეხმიანენ. ფილმი 180 000 ჯდებოდა, ტერიტორია, ყველაფერი მზად იყო.

**როდესაც მგლის ლეკვების გამოზრდა დაიწყეთ, თქვენთვის ეს უკვე სირთულეს აღარ წარმოადგენდა?**

– ეს იყო 24-საათიანი სამუშაო. შესაბამისად, მთავარი სირთულე მოვლის პროცესში იყო. ექვსჯერ უნდა გამომეკვება ლეკვი დღე– ღამის განმავლობაში. ეს კი ფინანსებთან იყო დაკავშირებული. ლეკვებისთვის საჭმელი რომ მეყიდა, არალეგალურად მუშაობა მიწევდა. ავტომექანიკოსად ვმუშაობდი, ძრავების რეგულირებას ვახდენდი, დავიწყე იუველირობა, ხეზე ვჭრიდი. თავიდან სიკვდილიანობა იყო მაღალი, არ ვიცოდი, როგორ გამომეკვება ახალშობილი ლეკვი. კუჭი განვითარებული აქ ჰქონდათ, ხორცს ვერ ინელებდნენ.

**– დღეს რატომ აღარ გყავთ სახლში მგლები?**

– ფინანსებზეა ყველაფერი დამოკიდებული, თან ახალგაზრდაც აღარ ვარ. ფული რომ იყოს, ავიყვანდი, მაგრამ სახლში არა. ოროთახიან ბინაში, ბავშვებთან ერთად მყავდა მგლები. ყველა გაოცებული იყო. ბავშვები და მგლები ერთად ყირას გადადიოდნენ. შესანიშნავად უგებდნენ ერთმანეთს. მგლებს მშობლური ინსტიქტი კარგად აქვთ განვითარებული. ამიტომ, პატარების სუნი წარმოუდგენლად მოქმედებს მათზე. სახლში მგლის ყოლა ძალიან ძნელია, სპეციფიკური სუნი აქვთ. გაზრდილ მგლებს ყოველთვის ბუნებაში ვაბრუნებდი.

**– არც ერთ მგელს არ ჰქონია მცდელობა თავს დაგსხმოდათ?**

– ოთხი მგელი მყავს მოკლული, სხვა გამოსავალი არ დამიტოვეს. ეს ჩემი შეცდომა იყო. ზრდასრული მგლები იყვნენ, დაუფიქრებლად მომივიდა. ერთი მგელი შემთხვევით შემომაკვდა და სამი – დანით მოვკალი

**– მგლების ხროვასთან აღმოჩენილხართ?**

– არა. ხროვა რამდენიმე ოჯახის გაერთიანებაა. მაშინ იკრიბებიან ერთად, როდესაც საკვების მოპოვება უჭირთ. საქართველოში ეჭვი მეპარება, რომ ხროვა იკრიბებოდეს. რუსთში კი ორი, სამ ოჯახი იკრიბება. ახლა რაც ხდება, ესეც კატასტროფაა. ამაზე ჯერ კიდევ 90-იან წლებში ვწერდი. დღეს მივიღეთ საშინელი შედეგი: სოფელში გამოჩნდა მგელი, იმიტომ რომ, ტყეში საჭმელი არ დაუტოვეს. დიდი რაოდენობაა ჰიბრიდების, მგელ-ძაღლების.

**– მგელ-ძაღლები, სუფთა ჯიშის მგლებზე საშიშია?**

– კი, ძალიან საშიშები არიან. გაველურებულ ძაღლს ადამიანის შიში არ აქვს, სოფელში

# რით არის თრუსოს ტრავერტინები უნიკალური მსოფლიო მასშტაბით და რის გამო კარგავს ის თავის უნიკალურობას

*თრუსოს ხეობაში არსებული ფერადი ტრავერტინები, რომლებსაც თავისი უნიკალურობის გამო, ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, დაზიანებულია. მას შემდეგ, რაც ხეობაში ნახშირმჟავა აირის მომპოვებელი ჭაბურღილი ამოქმედდა, ტრავერტინმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რამ გამოიწვია ეს – ბუნებრივი პირობების ცვლილებამ თუ ხელოვნურმა ჩარევამ, ამაზე გეოგრაფ **გიორგი დვალაშვილს** ვესაუბრეთ:*

უპირველესად, უნდა ვთქვათ, რომ ტრავერტინები, რომლებიც თრუსოს ხეობაშია, არის ბუნების უნიკალური წარმონაქმნი. წყაროები ღრმა ფენებში ხსნის კიროვან ქანებს, კირქვებს და ამოდის ზედაპირზე. ის ილექება ფოროვანი ქანის სახით. ფოროვანი სახით წარმოდგენილი ზედაპირული თვალწარმტაცი წარმონაქმნები საქართველოში რამდენიმე ადგილასაა. მაგრამ, თრუსოს ხეობა ყველასგან გამორჩეული და უნიკალურია. თრუსოს ხეობაში ტრავერტინები სხვადასხვა ფერისაა. ეს ტერიტორია ჯერ კიდევ 1983 წელს იქნა წითელ წიგნში შეტანილი. აღსანიშნავია, რომ თრუსოს ტრავერტინებს ბოლო პერიოდში ბუნების ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2007 წლამდე ტრავერტინებზე საკმაოდ დიდი რაოდენობით წყალი მოჩქეფდა. მისი წარმოქმნა სწორედ წყლის დალექვის შედეგად ხდება და ეს პროცესი წყლის გარეშე წარმოუდგენელია. ორიოდე დღის წინ მოვინახულეთ ტრავერტინი და ვნახეთ, რომ რამდენიმე ადგილას წყლის ნაკადი საერთოდ დამშრალია, რაც იწვევს ტრავერტინების ფერის შეცვლას, ანუ გაშავებას. მასზე ყალიბდება ნიადაგის საფარი და საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი ტრავერტინი თავის ხარისხს, უნიკალურობას კარგავს და ის აღარ არის ისეთი ბუნებრივი ძეგლი. არადა, ასეთი უნიკალური ტრავერტინების ველი მსოფლიო მასშტაბით იშვიათობაა. ტრავერტინების სისტემა საკმაოდ რთულად ყალიბდება. სიღრმეში ხდება მიწისქვეშა წყლების ცირკულაცია, რაც ზედაპირზე წყლის ამოსვლისას, ტრავერტინების სახით დალექვას იწვევს. ბუნების ძეგლის ფარგლებს გარეთ, რამდენიმე მეტრში, ჭაბურღილის გაკეთება ნამდვილად საფრთხეს უქმნის მას. რამდენიმე წლის განმავლობაში ხდება იქიდან წყლისა და ნახშირორჟანგის გაზის ამოქაჩვა, რის შედეგადაც ტრავერტინებს ფერი შეეცვალა. ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია კონკრეტულ პიროვნებასთან ან ორგანიზაციასთან, რადგან არსებული ბუნებრივი რესურსების მოპოვება ნამდვილად უნდა ხდებოდეს. მაგრამ, ის უნიკალურობა, რომელიც ამ გაზის მოპოვების შედეგად შეიძლება განადგურდეს, მოსაფრთხილებელია.



**ტრავერტინების სათანადო გაპიარების შემთხვევაში, მან შეიძლება მეტი მოგება მისცეს ქვეყანას, ვიდრე იმ წიაღისეულმა, რისი მოპოვებაც იქ იგეგმება**

**– ის, რაც ამ ჩარევის შედეგად მოიპოვება, უფრო ფასეული და ღირებულია, ვიდრე ის, რაც ნადგურდება?**

– ნახშირმჟავა აირის მოპოვების შესაძლებლობა არის არა მარტო თრუსოს ხეობაში, არამედ სხვაგანაც. ამ რესურსის მოპოვება, რა თქმა უნდა, კარგია. ეს ქვეყნის ეკონომიკაზეც დადებითად იმოქმედებს, ხალხიც დასაქმდება, მაგრამ ეს ყველაფერი არ უნდა მოხდეს ბუნების ძეგლის განადგურების ხარჯზე. ტრავერტინების მნიშვნელობა არ არის სათანადოდ შეფასებული. დასკვნა, რომ ამ ეტაპზე არაფერი ხდება და ჩვეულებრივ უნდა გაგრძელდეს ეს ჩარევა, ჩვენთვის არ არის მისაღები. არც ის არის მისაღები, რომ ჯერ დავაკვირდეთ, ვნახოთ, რა მოხდება და მერე ვიმოქმედოთ – ასე არ შეიძლება, პირიქით, ზომები წინასწარ უნდა მივიღოთ, არასასურველი შედეგი რომ არ დადგეს. კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი: მტკიცებით ამის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია, თუმცა, შესაძლოა, ტრავერტინების ცვლილებაზე ბუნებრივი პირობებისა და კლიმატის ცვლილებამაც მოახდინა გავლენა. სავარაუდოდ, ზაფხულში ზედაპირული წყლების მცირე დონე, რომელიც აქ დაფიქსირდა მიმდინარე წელს, შეიძლება ყოფილიყო მიზეზი გაზაფხულზე თოვლის მცირე რაოდენობისა და გვალვიანი ზაფხულისა. მწყემსებმა, რომლებიც აქ სეზონურად ცხოვრობენ, გვითხრეს, რომ ასე ცოტა თოვლი ბოლო წლების განმავლობაში პირველად ნახეს. ეს ძალიან ცუდი ფაქტია, თუ ხელოვნურ ჩარევასთან ერთად, ბუნებრივი ცვლილებებიც ხელს უწყობს ამ პროცესს, აუცილებელია მისი კარგად შეფასება. ჭაბურღილი ახლა მოქმედებს და მასზე მეცნიერული დაკვირვება არ მიმდინარეობს. ჩვენ გვაქვს ფოტომასალა, ვიდეომასალა. ხალხი, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია, ამ პროცესებს აკვირდება (იქაურ სეზონურ მოსახლეობას ვგულისხმობ), რასაკვირველია, ყველაზე კარგად ამჩნევს მასზე მომხდარ ცვლილებას. არ შეიძლება, მათი ნათქვამი არგუმენტად არ მივიღოთ და მასზე რეაგირება არ მოვახდინოთ. ტრავერტინების სათანადო გაპიარების შემთხვევაში, მან შეიძლება მეტი მოგება მისცეს ქვეყანას, ვიდრე იმ წიაღისეულმა, რისი მოპოვებაც იქ იგეგმება.

**– ახსენეთ, სხვა ტერიტორიაზეც შეიძლება იგივე წიაღისეულის მოპოვებაო. თუ ეს თრუსოს ხეობაში არ არის მიზანშეწონილი, იმ ტერიტორიაზე რატომ მიგაჩნიათ დასაშვებად ამგვარი ჩარევა?**

– ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ბევრგან არის მინერალური წყლები და ნახშირმჟავა აირების გამოსავალი, მაგრამ აქ არის ძალიან დიდი დებეტი. ეს არის საკმაოდ დიდი მარაგი. ამ ყველაფრის ტრანსპორტირებისთვის რამდენიმეკილომეტრიანი მილსადენია საჭირო. ყაზბეგში შეიძლება ბევრი ისეთი ადგილის ნახვა, სადაც ამის პრობლემა არ არის. ეს ადგილები არ სარგებლობს ბუნებრივი ძეგლის სტატუსით, თავისი უნიკალურობით ნამდვილად ვერ მივა ახლოს თრუსოს ხეობასთან. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, იმ კომპანიებსაც, რომლებიც ამ სამუშაოებს აწარმოებენ, ეს ფაქტორები გაეთვალისწინებიათ და ეს წარმოება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიებზე დაეწყოთ.

**ქეთი კაპანაძე**

---

თავისუფლად შედის, ადამიანს თავს ესხმის. ერთხელ მეც გადავეყარე და კიდევ კარგი, ხეზე ასვლა მოვასწარი, 6 საათი ხეზე ვიჯექი.

**– რა მოსდის მგლის თვისებებს ადამიანთან ურთიერთობისას? იწვრთნება?**

– სპეციალურად მყავდა ძაღლივით გაზრდილი რამდენიმე მგელი, რომლებიც ცხვარში გავუშვი, მწყემსების ნებართვით ცხადია. მათ პანიკური შიში ჰქონდათ ცხვრის. გარკვეული ასაკის შემდეგ, რთულია ასწავლო, რომ ცხვარი მათი საჭმელია. საოცრადაა ბუნება მოწყობილი. მშობლებმა ინსტინქტურად იციან, როდის რა გააკეთონ. ჯერ აჭმევენ ხორცს. მგელს ან ძაღლს 2 წლამდე ხორცი რომ არ მისცე, მერე გამორიცხულია, ის საჭმელად აღიქვას. ინსტინქტური რეაქცია ჩამოყალიბების პროცესში თუ არ განმტკიცდა, შესაძლებელია, ჩაქრეს. მგელი ლეკვს ჯერ აჭმევს ხორცს, მერე მოაქვს ხორცი ტყავიანად, შემდეგ ეტაპზე მიჰყავს ნადავლთან. სახეობისთვის დამახასიათებელი სუნი ტყავს აქვს და არა ხორცს. მხოლოდ ხორცი რომ აჭამო ლეკვს, მტაცებლობას ვერ მიეჩვევა. მგელი არ იწვრთნება, არ თვინიერდება. ძაღლს რომ წვრთნი და გინდა, დაჯდომა ასწავლო, ერთი ათჯერ უნდა დასვა და ყოველჯერზე რაღაც სასუსნავი მისცე. ისიც შეიძლება მეთერთმეტეზე დაჯდეს. მგელს რომ იგივე ასწავლო, მესამე ბრძანებაზე ხელში გეცემა სასუსნავის წასართმევად. ის არ დაგელოდება, რადგან აქტიური ცხოველია. იგივე მგელი, გალიაში რომ ჩასვა, იქ დაწვება, დაჯდება, მოკლედ, რასაც ასწავლი, პირნათლად შეასრულებს, რადგან არ შეუძლია იმოქმედოს გამოკეტილ სივრცეში. გალიიდან რომ გამოვა, იგივეს გააკეთებს – მოგვარდება და წაგართმევს ხელიდან საჭმელს. მგლებს შეუძლიათ, შედეგის პროგნოზირება, ანუ აწყობენ გეგმას, რა უნდა გააკეთონ, ითვლიან 7-მდე და 7-ის ჯერადად. ეს სჭირდებათ სივრცის ასათვისებლად, უნდა იცოდნენ სად რამდენი რა არის. მგელი ფენომენალური ჭკუის პატრონია.

**– სახლში გაზრდილ მგელს ბუნებასთან ადაპტირება არ უჭირს?**

– მთელი პრობლემა ესაა. ექსპერიმენტის დასასრულს მგლების ოთხი ჯგუფი გავუშვი ტყეში, ჯამში, 22 მგელი. 1979 წელს ბოლო ჯგუფი გავუშვი. თითო ჯგუფს 4 წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი, სულ 16 წელი. მათ ფოლადის საყელოები შევაბი, რომლებზეც დავაწერე, რომ ვინც ამ მგელს მოკლავდა სახელმწიფოს მიერ დაწესებულ პრემიაზე ორჯერ მეტს გადავუხდიდი. არც ერთი საყელო ჩემამდე არ მოსულა. რომ მოეკლათ, ფულს ვინ დაკარგავდა?! ჩემ მიერ გაზრდილმა მგელებმა იცოდნენ ნადირობა და არ ეკარებოდნენ სოფელს. ნადირობდნენ კონკრეტულ სახეობაზე, გაურბოდნენ შინაურ ცხოველებს და ადამიანებს. ბოლო ჯგუფიდან, 9 წლის შემდეგ შემხვდა ერთი წყვილი. ისინი უკვე 13 წლის იყვნენ.

**– როგორი იყო თქვენი შეხვედრა მგლებთან 9 წლის შემდეგ?**

– ისტერიკა დაემართათ, რომ დამინახეს. საოცარი რამე იყო. ლამის ცრემლები მომერია. საერთოდ საოცარი გრძნობაა, როდესაც ვინმეს სიყვარულს გრძნობ, მაგრამ ცხოველი რომ იგივეს გამოხატავს შენდამი, ეს მართლაც ბედნიერებაა.

**ეთო ხურციძე**

**სიმღერების ავტორი და შემსრულებელი გიგა კვენეტაძე, უკვე ექვსი წელია, მოსკოვში ცხოვრობს და რუსული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სიმღერებს წერს. მართალია, არ იყო ადვილი, უცხო მხარეში საკუთარი შესაძლებლობის დამტკიცება, მაგრამ გიგამ ეს შეძლო და მის სიმღერას, დღეს რუსეთში, არაერთი ცნობილი ვარსკვლავი დიდ სცენაზე მღერის. გიგას პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებაა – მის გვერდით არის ადამიანი, რომელიც ძალიან უყვარს და სულ მალე ქორწილსაც გეგმავენ. ხოლო, სად გაიმართება მათი ჯვრისწერა, ვინ არის გიგას რჩეული და რა გეგმები აქვს მომღერალს სამომავლოდ, ამაზე თავად მოგიყვებათ.**

# როგორ ანებივრებს ყოველ დილით გიგა კვენეტაძე თავის რჩეულ გოგონას და რატომ უძღვნის ის ყოველ გადადგმულ ნაბიჯს ბიზნესმენ საცოლეს

**გიგა კვენეტაძე**: თუ ჩემს შემოქმედებით გზას გადავხედავთ, ვფიქრობ, იღბლიანი კაცი ვარ. ჩემს საავტორო სიმღერებს უკვე იცნობენ არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჯერ კიდევ ყველაფერი წინ მაქვს, შრომა არ მეზარება და ვეცდები, კიდევ უფრო მეტი სიმღერა დავწერო. არ არის ადვილი რუსეთის შოუ-ბიზნესში საკუთარი სიტყვა თქვა და ადგილიც დაიმკვიდრო. ეს საკმაოდ რთულია და შრომასა და ბრძოლასთან ერთად, იღბალიც უნდა. როცა, ექვსი წლის წინ აქ ჩამოვედი, ილუზიები არ მქონია, რომ ერთ დღეში მივაღწევდი წარმატებებს, ცნობილი მომღერლები სიმღერებს დამიკვეთავდნენ და ასე შემდეგ. ანუ, ვიცოდი და მზად ვიყავი იმისთვის, რომ მებრძოლა, შემეთავაზებინა ჩემი სიმღერები და ხან წარმატება მეგემა და ხან – წარუმატებლობა. არის მომღერლების კატეგორია, შენს შეთავაზებულ სიმღერაში საკუთარ თავს ვერ ხედავს და უარს გეუბნება, იმღეროს. ეს ნორმალურია. არაერთხელ ჩამიქნევია ხელი და ვფიქრობ, ჯერ ის მაქსიმუმი არ გამიკეთებია, რისი შესაძლებლობაც მაქვს. მიხარია, რომ ჩემს სიმღერებს მღერის ჯგუფი „A სტუდიო”, ჟასმინი, დიანა ღურწკაია და ასე შემდეგ. ახლა კი, ერთი სიმღერა უნდა იმღეროს ნოდარ რევიამ, რომელიც საკმაოდ ნიჭიერია, ახლა იკიდებს ფეხს რუსულ შოუ-ბიზნესში და ჩემს სიმღერაზე კლიპის გადაღებას გეგმავს.

**– სიმღერა რაზეა?**

– რა თქმა უნდა, სიყვარულზე, თანაც ცოტა სევდიან სიყვარულზე ***(იცინის).*** არ ვნანობ, საქართველოდან რომ წამოვედი. მანდ რომ დავრჩენილიყავი, რა იქნებოდა? ალბათ, დაველოდებოდი არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდს, როცა შეკვეთილი კონცერტები იმართება.

**– გიგა, შენს პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა – იპოვე ადამიანი, ვისთანაც დაოჯახებას გეგმავ. ვინ არის შენი რჩეული?**

– დიახ, ჩემს პირადში, ნამდვილად სასიამოვნო სიახლეა, რადგან ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა ადამიანი, ვინც ძალიან მიყვარს, მომწონს და ვაფასებ. რაც შეეხება ოჯახის შექმნას, ჯერ არ ვჩქარობთ ქორწილის გადახდას. ჩემი რჩეულია მარია კარამოვა, ექიმია და სხვათა შორის, წითელი დიპლომიც აქვს ***(იცინის).*** მარი ძალიან განათლებული და ნიჭიერი გოგონა, მის გვერდით მშვიდად ვარ. მეგობრების წრეში გავიცანით ერთმანეთი და ნელ-ნელა წამოვიდა და გამძაფრდა გრძნობები. ერთი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და მიხარია, რომ ჩემს სიყვარულს, ასეთივე გრძნობით უპასუხა მარიმაც ***(იცინის).*** მართლია, დიდი ხანი დამჭირდა, რომ პირველ პაემანზე დამეთანხმებინა, მაგრამ დღეს ერთად ვართ და მომავალში ქორწილსაც ვგეგმავთ.

**– ამბობ, დიდი ხანი დამჭირდა პაემანზე დამეთანხმებინა მარიო. ეს დიდი დრო, მაინც რამდენია?**

– ექვსი თვე ***(იცინის).*** დღეს ბედნიერი ვარ, გვერდით საყვარელი ადამიანი მყავს და ის დიდ სტიმულს მაძლევს.

**– ქორწილის გადახდას სად გეგმავთ?**

– ჯერ ამაზე არ გვისაუბრია, თუმცა მე საქართველოში მინდა ქორწილის გადახდა. წარმომიდგენია მარი თეთრ კაბაში, ჯვრის მონასტრის ფონზე. ბევრი მეგობარი გვყავს რუსეთშიც და საქართველოშიც, გვინდა, ყველა დავპატიჟოთ და მათაც შეძლონ მოსვლა. ვხუმრობ ხოლმე, ჯობია, ნეიტრალურ ტერიტორიაზე გავმართოთ ქორწილი, მაგალითად, ბელორუსიაში, სადაც ქართველებიც და რუსებიც უპრობლემოდ ჩამოვლენ-მეთქი ***(იცინის).*** ერთი წელია, ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ, მარისთან, მართლა არ მილაპარაკია ამ თემაზე, მაგრამ მე ჩემს მიწაზე, საქართველოში მინდა ქორწილი. რაც ზუსტად ვიცი, ისაა, რომ ახალი წლის დღეებში საქართველოში ვიქნებით, მანამდე კი, გვინდა, ევროპის რომელიმე ქვეყანაში დავისვენოთ. მარის პარიზში უნდა, სიყვარულის ქალაქში. მე კი ვეუბნები, პარიზი ზაფხულშია კარგი, სიცივეში იქ რა გვინდა-მეთქი ***(იცინის).*** თუმცა, პარიზში ცივა თუ ცხელა, ის მაინც შეყვარებული წყვილისთვის შეუდარებელი ადგილია. ასეც რომ არ იყოს, როგორც მარი იტყვის და სადაც მოინდომებს, ისე იქნება.

**– სანამ გაგიცნობდა, მარის თუ ჰქონდა მოსმენილი შენი სიმღერები?**

– რასაკვირველია, ჰქონდა მოსმენილი, მაგრამ ჩემი თუ იყო, არ იცოდა. მოკლედ, ზოგადად, იცნობდა ჩემს შემოქმედებას და მოსწონდა. სანამ გამიცნობდა, თავადაც ღიღინებდა თურმე იმ სიმღერებს, მაგრამ რას წარმოიდგენდა, თუ მე მეკუთვნოდა. კარგი სმენა და ხმა აქვს, ამაშიც ერთმანეთს ვეწყობით.

**– მარი თავისი პროფესიით მუშაობს?**

– არა, მარი ბიზნესშია – ერთ-ერთი ცნობილი რესტორნის მმართველი.



როგორც მარი იტყვის და სადაც მოინდომებს, ისე იქნება

**– საყვარელი ადამიანისთვის, ანუ მომავალი მეუღლისთვის, სიმღერა ჯერ არ მიგიძღვნია?**

– როგორ არა, მივუძღვენი სიმღერა ჩემს საყვარელ, მომავალ მეუღლეს და მას ასე ჰქვია „ჩემი სიყვარულის ოკეანე”.

**– 36 წლის ხარ და ეს შენი მეორე ქორწინებაა. მარი თუ იყო ადრე ქორწინებაში?**

– დიახ, ეს ჩემი მეორე ქორწინებაა, მარისთვის კი – პირველი. ამბობს, ულამაზესი თეთრი კაბა უნდა ჩავიცვა ჩვენს ქორწილშიო ***(იცინის).*** დარწმუნებული ვარ, ულამაზესი პატარძალი იქნება.

**– ქართულს არ ასწავლი რჩეულს?**

– მარი ჩვიდმეტ წლამდე საქართველოში ცხოვრობდა, მისი მშობლები დღესაც იქ ცხოვრობენ. ქართული არ იცის, რადგან უკვე ოცი წელია, მოსკოვში ცხოვრობს, თანაც, მისი მშობლებიც რუსულად ლაპარაკობენ. ცოტ-ცოტა ვასწავლე ქართული და თავადაც ცდილობს, მონდომებულია გამართულად ილაპარაკოს. უნდა ნახოთ, როგორი გემრიელი ხელი აქვს და როგორ ქართულ კერძებს ამზადებს. ძალიან კარგი ადამიანია, უყვარს როცა მანებივრებს და სიურპრიზებსაც ხშირად ვუკეთებთ ერთმანეთს. ყოველი ჩვენი დილა სიმღერით და მოფერებით იწყება. ძალიან მაგარი გრძნობაა, როცა დილით თვალს ახელ და ხედავ შენს გვერდით ადამიანს, რომელიც ძალიან გიყვარს. გრძნობ, რომ ხვალინდელი დღე, მის გვერდით გატარებული, უფრო მაგარი იქნება. ის ჩემი სიცოცხლეა და მინდა, ყოველი ჩემი სიმღერა, გადადგმული ნაბიჯი, ცრემლი თუ სიხარული, მას მივუძღვნა. ხომ გაგიგიათ, მოსკოვს ცრემლების არ სჯერა და შეყვარებული ადამიანი დაფრინავსო? მე კი, ახლა ფრენის და ტირილის დრო არ მაქვს, მოსკოვი ფრენას და ცრემლებს მაპატიებს? ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

**ონლაინ-სამყარო სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

**ელექტრონული ფულის წილი საერთაშორისო ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება. ნაღდი ფული ჯერ პლასტიკურმა ბარათმა ჩაანაცვლა, მასთან ერთად კი, ელექტრონული ფულიც გამოჩნდა, რომელიც თავის მხრივ სწრაფად ვითარდება.**

**საქართველოში ელექტრონული საფულე თანდათანობით პოპულარული ხდება. რაც ონლაინ-შოპინგის და ინტერნეტ-ბანკის მომხმარებელთა რაოდენობამ იმატა, ინტერესი ელექტრონული საფულის მიმართაც გაიზარდა.**

**მთელ მსოფლიოში ისეთი პროდუქტები, როგორიც არის ელექტრონული საფულე, ძალიან პოპულარულია და მომხმარებლების დიდი რაოდენობით გამოირჩევა. საქართველოში ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ფული ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი იმისთვის, რომ ქართულმა საზოგადოებამ სრულად გააცნობიეროს, რა კომფორტს შეუქმნის მას ელექტრონული ფული.**

**ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კომპანია „მანი მუვერსმა“ მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა ერთიანი ონლაინ-ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა პოპულარულ ელექტრონულ საფულეში თანხის შეტანა-გამოტანის სერვისს, ამ საფულეებს შორის თანხის კონვერტაციას და ასევე, ელექტრონული ფულით სხვადასხვა პოპულარული მომსახურების გადახდის სერვისს. კომპანია ასევე, ელექტრონული კომერციისთვის ახორციელებს სხვადასხვა საგადასახდო სისტემის ინტეგრაციის სერვისებსაც.**

# როგორ შეძლებს თანამედროვე მაცივარი საჭირო პროდუქტის შეკვეთას და რაში დაეხმარება მას ელექტრონული ფული

**კახაბერ საკანელაშვილი** ***(კომპანია „მანი მუვერსის“ დირექტორი)***: 2012 წლიდან საქართველომ მიიღო „საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ კანონი”, რომელმაც საქართველოში ელექტრონული ფულის ცნება ოფიციალურად გააჩინა. ელექტრონული ფული არ არის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფული. იმისთვის, რომ ელექტრონული ფული გამოუშვა, საჭიროა კომპანიამ გაიაროს რეგისტრაცია ეროვნულ ბანკში. კანონმდებლობის თანახმად, ელექტრონული ფულის გამოშვება ხორციელდება ნაღდი ფულის სანაცვლოდ, ანუ, თუ მომხმარებელს სურვილი აქვს, მიიღოს 100 ელექტრონული ლარი, მან გამომშვებ კომპანიას უნდა გადაუხადოს 100 ლარი. კომპანია თავის მხრივ, მიღებული 100 ლარის სანაცვლოდ, ახორციელებს 100 ელექტრონული ლარის გამოშვებას და მიღებულ თანხას ანთავსებს სპეციალურ ანგარიშზე, რომელიც თავის მხრივ დაცულია კანონმდებლობით და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომპანიის ვალდებულების დასაფარად. კომპანიას ასევე, არ აქვს უფლება, ეს ფული გამოიყენოს რაიმე ტიპის კომერციულ საქმიანობაში ან პირადი ინტერესებისთვის.




ასევე, ელექტრონული ფულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა ავტორიზაციის აუცილებლობა. ყველაფერი ეს ერთობლიობაში კი, გვაძლევს მომხმარებლის ფულადი სახსრების დაცულობის მაღალ დონეს.

ვთანხმდებით რა, რომ ფული, რომელიც განთავსებულია სპეციალურ ანგარიშზე დაცულია და დაცულია მისი ელექტრონული ეკვივალენტიც, რადგანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მის გამოსაყენებლად საჭიროა ავტორიზაცია.

**– რაში შეიძლება, დამჭირდეს მე, ჩვეულებრივ მოქალაქეს ელექტრონული ფული. თუ საუბარია ინტერნეტ-გადარიცხვებზე, ამისათვის არსებობს ინტერნეტბანკი.**

– მოგახსენებთ. ელექტრონული ფული არ შეიძლება, განხილულ იქნეს, როგორც მხოლოდ გადახდის ინსტრუმენტი. ის ასევე, განხილულ უნდა იყოს, როგორც მომსახურების ანაზღაურების ინსტრუმენტი. როგორ წარმოგიდგენიათ, ადამიანმა დახატოს რაიმე სურათი და გაყიდოს ინტერნეტის საშუალებით 50 ცენტად იმ ვითარებაში, როდესაც მას ბარათი აქვს. იმისთვის, რომ პოტენციურმა მყიდველმა ეს სურათი შეიძინოს მას ბევრად მეტი საკომისიოს გადახდა მოუწევს, ვიდრე თავად ნივთი ღირს, რაც დამეთანხმებით, არაკომფორტულია. უნდა გვესმოდეს, რომ ბარათი არ არის ანგარიში და ბარათზე რეალურად ფული არ დევს, ბარათი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, აუცილებლად მიბმულია საბანკო ანგარიშზე და ოპერაცია, რომელიც ბარათით ხორციელდება, რეალურად, საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციაა. გამოდის რა, რომ ბარათი საბანკო ანგარიშის მართვის ინსტრუმენტია. ანუ, თუ თქვენ ერთი ბარათიდან მეორე ბარათზე რიცხავთ ფულს და თუ დავუშვებთ, რომ ეს ბარათები სხვადასხვა ქვეყნის ბანკების მიერაა გამოშვებული, რეალურად, ფული ჩვეულებრივი საბანკო გადარიცხვით გადაირიცხება და ის აუცილებლად გაივლის შუამავალ ბანკს, რაც თავის მხრივ ძალიან ძვირია.

ელექტრონული ფულის შემთხვევაში, გადარიცხვა ერთი სისტემის ქვეშ ხორციელდება და ეს არის ერთი საფულიდან მეორეში გადარიცხვა. მსოფლიოში ბევრია პრეცედენტი, როდესაც ბარათები ანგარიშსწორების ანგარიშის სახით, ელექტრონულ საფულეს იბამენ. ამის კარგი მაგალითია Qiwi. ამით ვიღებთ იმ შედეგს, რომ ბარათი ხდება ელექტრონული საფულის მართვის ინსტრუმენტი და როდესაც ამ შემთხვევაში, თქვენ ბარათით ოპერაციას ახორციელებთ, თანხა თქვენი ელექტრონული საფულიდან მოძრაობს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან შეიძლება ითქვას, რომ ბარათი არ არის მხოლოდ საბანკო ანგარიშის მართვის ინსტრუმენტი, ის შეიძლება, ელექტრონული საფულის მართვისთვისაც იყოს გამოყენებული. როდესაც ელექტრონულ საფულეზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მასში გამოშვებული თანხა ერთი ემიტანტის ქვეშ არის მოქცეული. შესაბამისად, სისტემა, რომელიც თქვენ გემსახურებათ, ერთია. თანამედროვე ფუნქციები თუ შესაძლებლობები, რაც ინერგება ამ სისტემაში, მომენტალურად, ყველა მომხმარებლისთვისაა ხელმისაწვდომი, რასაც ვერ ვიტყვით ბარათებზე. ბარათი ოპერირებს ერთი სისტემის ქვეშ, მაგრამ მის გამოშვებას სხვადასხვა ბანკი ახორციელებს, ავრცელებს რა სხვადასხვა პირობას მათზე. იმისთვის კი, რომ ამ სისტემაში რაიმე სიახლე დაინერგოს, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა ბანკების აქტიური ჩართულობა.

**- კიდევ რაშია შესაძლებელი გამოიყენოს მომხმარებელმა თავისი ელექტრონული საფულე, გარდა იმისა, რომ შეიძინოს ან გაყიდოს პროდუქტი ან რაიმე ტიპის მომსახურება?**

– როგორც უკვე აღვნიშნე, ელექტრონული საფულე ერთი სისტემის ქვეშ მოქცეული ინსტრუმენტების ერთობლიობაა. ის შეიძლება იყოს ყველგან, სადაც ინტერნეტია, რაც პირდაპირ გულისხმობს, რომ მას შეიძლება ჰყავდეს მომხმარებელი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ეს პირდაპირ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ასეთი ინფრასტრუქტურა კარგად გამოვიყენოთ იაფი ფულადი გზავნილებისთვის. თუ პიროვნება A ერთი წერტილიდან პიროვნება B-ს მეორე წერტილში ფულს გადაურიცხავს, ეს შეიძლება ჩაითვალოს იაფ ფულად გზავნილად. იაფი იმიტომ, რომ სისტემისთვის ეს ერთი საფულიდან მეორე საფულეში თანხის გადატანაა, მომხმარებლისთვის კი – ფულადი გზავნილი.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, თვეში დაახლოებით 120 მილიონი დოლარი ფულადი გზავნილების სახით შემოდის და ეს ჩვენს მოსახლეობას ძალიან ძვირი უჯდება. ელექტრონული საფულე კი, ძალიან კარგი ალტერნატივაა ფულადი გზავნილების ჩასანაცვლებლად.

**– თქვენ, ანუ „მანი მუვერსი”, ხართ სხვადასხვა ელექტრონული საგადახდო სისტემის წარმომადგენელი საქართველოში.**

– „მანი მუვერსი” აქტიურად თანამშრომლობს ყველა მსხვილ ელექტრონულ საფულესთან როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხოეთში და ვახორციელებთ ამ საფულეებზე თანხის შეტანა-გატანის სერვისს. მათ შორის, თანხის კონვერტაციასაც. ჩვენი საქმიანობა არ შემოიფარგლება ელექტრონულ საფულეებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მანი მუვერსი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი აგრეგატორია ისეთი საერთაშორისო სერვისების მიწოდების დარგში, როგორიცაა: Skype, odnoklasniki.ru, mail.ru, რუსული მობილურები და სხვა.

ფაქტობრივად, ჩვენთან მოერთებით, საგადახდო არხებს, იქნება ეს ტერმინალი თუ ბანკი, შესაძლებლობა ეძლევათ, შეავსონ და გაანაღდონ თანხები მსოფლიოში არსებული ელექტრონული საფულეებიდან და ასევე, მიიღონ გადახდები საერთაშორისოდ პოპულარული პროვაიდერების სასარგებლოდ.

**– საუბარში მითხარით, რომ მალე მაცივარი თავად შეუკვეთავს საჭირო პროდუქტს, და იყიდის ელექტრონული ფულითო.**

– ***(იღიმის)*** დიახ. უკვე რეალურია ისეთი მაცივრების არსებობა, რომელიც სპეციალური მოწყობილობით განსაზღვრავს, რომელი პროდუქტი შემცირდა მასში და საჭიროებს შევსებას. ის „შეუკვეთავს” კონკრეტულ სავაჭრო ცენტრს ან პროდუქციას. გადახდა კი, აუცილებლად მოხდება ელექტრონული ფულით.

**– როგორც ვხედავ, თქვენს კომპანიას ძალიან ბევრი საქმე აქვს და მუდმივად მოძრაობაშია.**

– „მანი მუვერსი” 2009 წელს დაფუძნდა და ყოველდღიურად სულ უფრო მეტი მომხმარებელი უერთდება მის სისტემას. ყოველწლიურად კომპანია 70-80 პროცენტით იზრდება. ეს კი ნიშნავს, რომ პროდუქტზე მოთხოვნა იზრდება. სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, მომხმარებლებმა ასზე მეტი ოპერაცია განახორციელა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კომპანიის აქტუალურობა ყოველ წუთს იზრდება.

**ნინო წულუკიძე**

# ბრძნული აზრები

**პასკალი**: შევისწავლით რა ჭეშმარიტებას, სამმაგი მიზანი უნდა გვქონდეს: აღმოვაჩინოთ ჭეშმარიტება, როცა ვეძებთ მას; დავამტკიცოთ ის, როცა ვიპოვით და, საბოლოოდ, გამოვყოთ ის სიცრუისგან, როცა მას განვიხილავთ.

**მოლიერი**: წიგნის სიბრძნე სულელს უფრო ასულელებს.

**ლესინგი**: ერთი ნაბიჯით იქნები მიზნიდან დაშორებული თუ საერთოდ ვერ მიუახლოვდები მას – ერთი და იგივეა.

**ჯონსონი**: კრიტიკა დილემაა: ან მართალი უნდა უთხრა ავტორს და აწყენინო, ან მოატყუო იგი და თავი უნდა დაიმციროო.

**მოპასანი**: ვინც თავის თავს პატივს არ სცემს – უბედურია, მაგრამ, ვინც მეტად კმაყოფილია თავისი თავით – სულელია.

**სენეკა**: სიბერე ხშირად ჭკუას ჰმატებს ყველაზე ბრიყვ ადამიანებს, ხოლო, ყველაზე ჭკვიანებს კი ასულელებს.

**პავლენკო**: პატრიოტი ის არის, ვინც სამშობლოსთვის ყველაზე უმძიმეს პირობებში ყველაზე უმძიმეს საქმეებს ჰკიდებს ხელს.

**ტოლსტოი**: გეჩხუბებიან, განგსჯიან – გიხაროდეს; გაქებენ, გიწონებენ – გეშინოდეს.

**სპენსერი**: აღზრდის მიზანია, ჩამოაყალიბოს ისეთი არსება, რომელსაც შეეძლება საკუთარი თავის მართვა და არა ისეთი, რომელსაც სხვები მართავენ.

**ლაროშფუკო**: დახვეწილი გემოვნება იმდენად გონების სიძლიერეს როდი მოწმობს, რამდენადაც აზრის სიცხადეს.

**ჰიპოკრატე**: მოხუცი და დასუსტებული, მაგრამ, ჯაფას მიჩვეული პირები უფრო იტანენ ყოველდღიურ შრომას, ვიდრე შეუჩვეველი, ჯანსაღი და ძლიერი სხეულის მქონე ადამიანები.

**ბალზაკი**: შური იმდენადვე იწვევს ადამიანთა ენის ტარტარს, რამდენადაც ალტაცება ამუნჯებს.

**მამარდაშვილი**: ჩვენ ჭეშმარიტებაში ყოველთვის ხელახლა ვვარდებით და არასდროს ვფლობთ მას.

**ბერნე**: ბევრი სწავლული ემსგავსება ბანკის მოლარეს – მის ხელში ბევრი ფულია, მაგრამ ფული მას არ ეკუთვნის.

**სტაციუსი**: აიღე, რასაც გაძლევენ, რადგან, არ გაძლევენ იმას, რაც შენ გსურს.

**ლეოპარდი**: შეიძლება, ადამიანის სულის ისტორია, თუნდაც ძალიან პატარა სულისა, თითქმის უფრო საინტერესო და სასარგებლო იყოს მთელი ერის ისტორიაზე.

**ვოლტერი**: რამდენ სისულელეს ამბობენ იმის ცდაში, იქნებ ახალი რამე ვთქვაო.

**დემოკრიტე**: მამების კარგი თუ ცუდი ჩვევები მათი შვილების ნაკლოვანებად იქცევა.

**მორუა**: რესტორანში მაგიდასთან მსხდომ წყვილზე დაკვირვებისას იოლად შეიძლება ამოიცნო, თუ რამდენ ხანს ცხოვრობენ ერთად... მათ საუბარში პაუზის მიხედვით.

# თუ გამოიცნობთ

1. ერთი ქვეყნის დედოფალმა ბიბლიურ მეფე სოლომონს გაუგზავნა დიდი ალმასი. მას წვრილი და მიხვეულ-მოხვეული ბზარი ჰქონდა, რომელიც მთელ ალმასში გადიოდა. დედოფალმა დაავალა მეფე სოლომონს, ამ ბზარში აბრეშუმის ძაფი გაეტარებინა. **როგორ მოიქცა მეფე სოლომონი?**

2. როგორც ფიზიკოსები ვარაუდობენ, სამყაროში ის თერთმეტია, რომელთაგან შვიდი – ბუნების ძალებს განსაზღვრავს, სამი – სივრცის სხვადასხვა მიმართულებას. **რას განსაზღვრავს მეთერთმეტე?**

3. მათ შორის გვხვდება: ტაილანდის, ოქროსი, პოლონეზიის, სწორკუთხა, სასიყვარულო... **დაასახელეთ ყველაზე უფრო ცნობილი.**

4. ნორვეგიელი მოქანდაკე ვაგელანდი საკმაოდ პოპულარულია ევროპაში – მას გამოჩენილი პიროვნებების გამოქანდაკების თავისებური მეთოდი აქვს. იგი ამბობს, რომ: „დიდი ადამიანები ეკუთვნიან არა ამა თუ იმ კულტურას და ეპოქას, არამედ, მთელ კაცობრიობას“. **რა დამახასიათებელი ნიშნით გამოირჩევიან მის მიერ გამოქანდაკებული გამოჩენილი პიროვნებები?**

5. **დაასახელეთ** კასპიის ზღვის გარდა კიდევ ისეთი „ზღვა“, რომელიც სინამდვილეში ტბაა.

6. **რომელ თეორიაზე** გაღიზიანებულმა თქვა ალბერტ აინშტაინმა: „ღმერთი კამათელს არ თამაშობს“?

7. **დაასრულეთ** ნაპოლეონ ბონაპარტის გამონათქვამი: „ღარიბად დარჩენის ყველაზე სანდო გზაა...“

8. ყვითელი ზღვა მართლაც ყვითელია – მას აყვითლებს ყვითელი მდინარის მიერ ყვითელი უდაბნოდან ჩამოტანილი ყვითელი ქვიშა და შლამი. **რა ჰქვია ყვითელ მდინარეს და ყვითელ უდაბნოს?**

9. არსებობს მისი 14 ნაირსახეობა, მაგრამ, ყველაზე გავრცელებულია ბარიტონი, ტენორი, ალტო და სოპრანო. მისი სამშობლოა ბელგია. **რა არის ეს?**

10. თავიდან სპორტის ამ სახეობას „ბერძნული“ ერქვა, მერე ისე უწოდებდნენ, როგორც ახლა; მოგვიანებით „ფრანგული“ შეარქვეს, ხოლო შემდეგ – „კლასიკური“. **რა ჰქვია მას ახლა?**

***პასუხები იხილეთ 77-ე გვერდზე***

# სქესს შეუძლია, შეცვალოს წამალი, კოსმეტიკა და ფიზკულტურა

სასიყვარულო ალერსის დროს ადამიანის სუნთქვა უფრო ხშირი და ღრმა ხდება, ვიდრე, მაგალითად, აერობიკის დროს. სექსი გაციებისა და გრიპის პროფილაქტიკის, ასევე, ადრეულ სტადიაში მათი მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა.

საყვარელი ადამიანების სიახლოვისას ძარღვებში სისხლი უფრო სწრაფად იწყებს მოძრაობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების ჟანგბადით აქტიურ მომარაგებას.

დოქტორმა მაკ-ივენამ დაამტკიცა, რომ, ქალები, რომლებიც რეგულარულად ასრულებენ სასიყვარულო აქტს, სრულებით არ საჭიროებენ სალონებში კოსმეტოლოგებთან სიარულს. საქმე ისაა, რომ მათ ორგანიზმში უჩვეულოდ მაღალია ქალური ჰორმონის – ესტროგენის შემცველობის დონე, რაც ძალზე დადებითად მოქმედებს კანზე. აქტიურ სქესობრივ კავშირს სულ ორი-სამი თვის განმავლობაში შეუძლია, გააუმჯობესოს სახის ფერი, გახადოს კანი რბილი და ელასტიკური და წვრილი ნაოჭებიც კი გაასწოროს.

მამაკაცები, ინტენსიური სქესობრივი კავშირის წყალობით, სამწუხაროდ, არ ხდებიან უკეთესები, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაკლები შანსი აქვთ, დაავადდნენ პროსტატიტით.

სექსის სამკურნალო ზემოქმედების დამაჯერებლობა ვლინდება სტრესებთან და, შესაბამისად, სტრესის შედეგად გამოწვეულ უქეიფობასთან ბრძოლაში, როგორიცაა: თავის ტკივილი, გულისცემის აჩქარება, თავბრუსხვევა, კუნთებისა და სახსრების ტკივილი.

დაბოლოს – სასიყვარულო ვარჯიშები მოხდენილი ფიგურის დაყენების საუკეთესო საშუალებაა. ადამიანი, რომელიც კვირაში სამჯერ ეძლევა სასიყვარულო სიამოვნებას, წელიწადში წვავს 7 500 კილოკალორიას, ანუ, იმდენს, რამდენსაც ფიზკულტურით გატაცებული ადამიანი, რომელმაც 100 კილომეტრი გაირბინა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლg1-c5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



საბჭოთა კავშირში სექსი არ იყო, მაგრამ ყველა ოჯახში 2-4 ბავშვი იყო. ახლა




სექსი არის, მაგრამ, გამონაკლისის გარდა, თითო ოჯახში თითო ბავშვია – გამოდის, რომ ბავშვები სექსით არ ჩნდებიან... წერო, ბატონო, წერო...

***

არიან ჯენტლმენები და ნამდვილი ჯენტლმენები.

ჯენტლმენი – ეს ნორმალური მამაკაცია. ნამდვილი ჯენტლმენი – მხოლოდ ქალების ფანტაზია.

***

ესემესები:

– დედა, მალე მოხვალ? მოვიწყინე.

– ვერ მოასწრებთ, 5 წუთში სახლში ვარ... ზურა მომიკითხე...

***

– საყვარელო, ჩემ გარეშე რას გააკეთებდი...

ქმარმა გაიფიქრა: „სხვადასხვა ქალს გავუსინჯავდი გემოს, დავლევდი ძმაკაცებში, როცა მომინდებოდა, სახლში მაშინ დავბრუნდებოდი, მოვწევდი სადაც მინდა, ტელევიზორში ვუყურებდი ფეხბურთს... აუ, რამდენ რამეს გავაკეთებდი“... და უპასუხა:

– ძალიან მოვიწყენდი, ძვირფასო...

***

გოგონა დაბადების დღიდან ნასვამი მოვიდა. დედა სამზარეულოდან:

– რა დაგივარდა, შვილო?

– ტანსაცმელი...

– ასეთი ხმაურით?

– გახდა ვერ მოვასწარი...

***

ორი მოხუცი შეხვდა ერთმანეთს:

– მოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ და გოგოებში წავიდეთ...

– წავიდეთ! უარი რომ გვითხრან?

– ეგ არაფერი, მთავარია, არ დაგვთანხმდნენ...

***

ბოიფრენდმა გადაწყვიდა, გახუმრებოდა მეგობარ გოგონას და ორსულობის ტე-




სტზე წითელი ფლომასტერით ხაზი მიუხატა. მაგრამ, საშინლად იმოქმედა ფრაზამ:

– საყვარელო, რას ნიშნავს ტესტზე სამი ხაზი?

***

ჩამოსასხმელი ლუდის დახლთან რიგი დგას. აღშფოთებული მამაკაცი გამყიდველს ეკითხება:

– ქალბატონო, კათხას რატომ არ ავსებთ?

– გესმით ხალხო? ამას უნდა, რომ თქვენ ლუდი არ გეყოთ! – გასძახა რიგს გამყიდველმა.

***

– მთელი თვეა, ჩემს ქმარს ვეხვეწები, ტუალეტში რემონტი გავაკეთოთ-მეთქი...

– მერე, არ გიჯერებს?

– ნეტავ, არ დაეჯერებინა, ჩამოკიდა კარზე წარწერა – „ტუალეტი დაკეტილია რემონტზე“ და თვითონ მივლინებაში გაემგზავრა...

## ანეკდოტები ჯობა ბარათელიძეზე

მიხო დაწვება და მაროს გააფრთხილებს:

– მარო იცოდე, შუქი არ ჩააქრო, თორემ დედას გიტირებო.

მარო გაბრაზდა:

– ეს რაღა ახირებაა, შუქანთებულ ოთახში როგორ უნდა დაიძინოო?




მიხო:

– რეგვენი რომ ხარ, ქალო, კი ვიცი, სიბნელეში რომ ვიძინებ, ვერ ვიგებ და თვალები დავხუჭე თუ არა, ხომ უნდა ვიცოდეო.

## ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

ერეკლე ბატონის დროს ტფილისში ჩავიდა ხევსური და, როცა უკან დაბრუნდა, შემოეხვივნენ ცნობისმოყვარე ხევსურნი ახალ ამბის საკითხავად. ხევსურმა სხვათა შორის ისიც უამბო, რომ ქალაქში ერეკლეს ისეთ სადილს მიართმიდიან, რომ თითო ლუკმა ათას თუმნად ელირებოდისო.

– ნეტაი, რა იქნებოდის ეგეთიი?! – იკითხა ერთმა ხევსურმა.

– ჰაი, ჰაი, რომ პიტალო დუმა იქმნებოდისო! წამოიძახა მეორე ხევსურმა.

***

ერთხელ ჩვენს სახელოვანს პოეტს თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს წინანდალს ქალაქიდამ ნაცნობი სოვდაგარი სწვეოდა. სადილზე სტუმრისთვის თავისი ზვრის თავი ღვინო დაელევინებინა. სიკეთეს ღვინისას აღტაცებაში მოეყვანა სოვდაგარი, ველარ მოეთმინა და სიამოვნებით წამოეძახნა, როცა მთელი ჭიქა გადაეყლაპა:

– ჰ, ცხონებაა, სწორედ ცხონება, – და




გადაისვა თურმე გულზედ ხელი.

– შენ ეგრე სთქვი და ფასი კი არ აქვს რიგიანი, უპასუხა თურმე თავადმა.

– ვა! განა ამასაცა ჰყიდით?

– მაშ!

– კნიაზჯან, ამას რომ ჰყიდით, სხვა უკეთესი რაღა გრჩებათ სახლშიო.

***

აკაკი ერთ მეგობარს ა. კ-ძეს ფულს ესესხა. დრო რომ მოვიდა, კ-ძემ წერილი მისწერა:

„საყვარელო აკაკი,
წიგნსა გწერ ახლა კი,
თუ ფულს არ გამომიგზავნი,
წელშიაც მოვიკაკვი“.

პოეტმა ამ წერილზევე დაუწერა ლექსი და გაუგზავნა:

„საყვარელო ანდრია!
ფულის თხოვნა ადრეა;
დღემდის ჭკვიანი იყავ,
დღეს რამღა გადაგრია?“

# ვისი ხათრით არ გაფრინდა „ფრანციაში“ ჯანსულ ჩარკვიანი და რა კურიოზი გადახდა პასპორტის გამო შოთა ჩოჩიშვილს

## პასპორტი

იაპონიის ტურნედან მოსკოვში ჩამოვფრინდით. გამარჯვებით გახარებულებმა თვითმფრინავში კონიაკით შევიქციეთ თავი და გვარიანად შებუჟბუჟებულები ვართ.

აეროპორტში წესია – პასპორტი უნდა შეგიმოწმოს უშიშროებამ. ყველამ ვაჩვენეთ პასპორტები. თითქმის ყველაფერი რიგზეა და... ცხონებული შოთა ჩოჩიშვილის ჯერი დადგა. მოიქექა ჯიბეები – არა აქვს პასპორტი. ახლა შარვლის ჯიბეები მოიქექა – არც იქაა... დაუბრუნდა პიჯაკის გვერდითა ჯიბეებს, მერე გულის გარეთა და შიგნითა ჯიბეებს – არაა პასპორტი.




– ნეტუ პასპორტ! – ეუბნება წესრიგის დამცველებს.

– კარგად მოძებნე! – „დაარიგეს“.

დაიწყო ისევ ძებნა, მაგრამ, რაც არ არის, არ არი...

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. მიუხედავად იმისა, რომ შოთას მსოფლიო იცნობდა, რუსები მაინც „აწვებიან“. საქმეში მაღალჩინოსნები ჩაერთვნენ.

– ტოვარიშჩ პოლკოვნიკ, – ვეუბნები, – ეტო ჟე ჩოჩიშვილი, ჩემპიონ მირა, ნუ!

– პუსტ პრედიავიტ პასპორტ, მი ნე ზნაემ...

ისედაც „ნაკონიაკარები“, ავღელდით, ავიფოფრეთ. საქმე სახუმაროდ არაა.

– გაჩხრიკეთო, – ბრძანა „ტავარიშჩმა პოლკოვნიკმა“ და შეუდგა ერთი ქართველი „კაგებეშნიკი“ საქმეს: პიჯაკის ჯიბეში ცხვირსახოცისა და ხურდა ფულის მეტი არაფერია; შარვლის ჯიბეებში – ქაღალდის ცოტაოდენი ფული და სანთებელა; შიგნითა ჯიბეებში – ბლოკნოტი. „შმონვა“ უფრო „ღრმად“ მიდის: სვიტრის შიგნით შოთას თბილი პერანგი ეცვა და, იმ პერანგის გარეთა გულის ჯიბეში არ აღმოჩნდა პასპორტი?!

ვეცი ხელში „კაგებეშნიკს“, გამოვგლიჯე შოთას პასპორტი და იპოლიტე ხვიჩიასავით ვეუბნები:

– არის თუ არა ეს პასპორტი?!

– კი, პასპორტია! – დაიბნა რუსეთში გაზრდილი ჩვენი თანამემამულე.

– მე შენ გეკითხები (გათამამებული „შენობით“ ფორმაზე გადავედი), არის თუ არა ეს პასპორტი?! არის თუ არა ეს, შე უპასპორტო, შენა, – პასპორტი?!

ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. შეიძლება, ჩვენ რამე გამოგვრჩენოდა, მაგრამ, კაგებეს რა დაემალება!

## ერთმანეთი „წასულები“ ეგონათ

ჯანსულ ჩარკვიანმა მიწვევა მიიღო – საფრანგეთში უნდა გაფრინდეს პოეტთა მსოფლიო ფორუმზე.

სამი დღე ამზადებდა ჩემოდანს. ბილეთებიც „გაჩალიჩებულია“ და ამ დროს რეკავს ჩვენს სახლში ტელეფონი სოხუმიდან – ნოდარ დუმბაძე უკანასკნელ დღეშია.

აი, დილემა: აქეთ უსაყვარლესი ძმა და მეგობარია უკანასკნელ დღეში, იქეთ – მსოფლიო ფორუმი. რა ქნას?

... მოკლედ, გაფრინდა ერთი თავისუფალი ადგილით საჰაერო ლაინერი საფრანგეთში.

გაფრინდა მეორე ლაინერი, ჯანსულის თანხლებით – სოხუმში.

გულგახეთქილი ჯანსული შერბის ნოდარის პალატაში.

– ცოცხალია? – ფერდაკარგული ეკითხება ნოდარის მეუღლეს – ნანულის, რომელიც დერეფანში შემოხვდა.

– ახლა უკეთესადაა, – სიხარულით პასუხობს ქალბატონი ნანული. ნოდარი ბალიშზეა ზურგით მიყრდნობილი და ახალ გაზეთებს ათვალიერებს. ჯანსულს სათვალის ზემოდან გამოხედა და გაიკვირვა.

– ბიჭო, მე შენ წასული მგონიხარ!

– ბიჭო! აროხროხდა გახარებული ჯანსული, – მეც შენ მეგონე „წასული“ და იმიტომ აღარ წავედი ფრანციაში.

... მეგობრები სიცილ-ტირილით ჩაეხვივნენ ერთმანეთს.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(76-ე გვერდიდან)

# როდის შეებრძოლნენ ქართველები და რუსები პირველად ომში ერთამენთს

მარცხა ბულგარელები. 1021 წლის დასაწყისში, 12 თებერვლის ღამეს, კაიროსთან ახლოს, ერთ–ერთ მთაზე გაუჩინარდა სალოცავად წასული ხალიფა ალ-ჰაქიმი, დაუძინებელი მტერი ბასილისა და მოკავშირე გიორგი მეფისა. მეორე დღეს მისი ტანსაცმელი დასისხლიანებული იპოვეს. არის ვარაუდი, რომ ის ბასილი იმპერატორმა მოაკვლევინა.

საქართველოსკენ გზა ხსნილი ჰქონდა ბულგარელების თვალების დამთხრელს.

უზარმაზარი ჯარით ბასილი ბულგართმმუსვრელი შემოვიდა ბასიანში. მას, როგორც ჩანს, ეხმარებოდა 6 000 რუსი დაქირავებულიც და სხვა ძალებიც. ბასიანში ბიზანტიის არმიას წინ დახვდა ქართველი მეფე. რამდენიმე დღის განმავლობაში ქართველები და ბერძნები პირისპირ იდგნენ და ვერც ერთი ვერ ბედავდა შეტევაზე გადასვლას.

დაზვერვამ ქართველ მეფეს მოახსენა მტრის ჯარის მრავალრიცხოვნობის შესახებ. კოალიციაში ერთსულოვნება აღარ იყო. ამიტომ, მოარიდა გიორგი მეფემ და ჯარს უკან დაახევინა.

რამდენიმე დღეში, ჩრდილის ტბასთან ახლოს, სოფელ შირიმნთან ქართული ჯარის არიერგარდს წამოეწია ბერძენთა ავანგარდი. მოხდა შეტაკება. ორივე არმია ჩაერთო ბრძოლაში. მეფე გიორგიც იბრძოდა, „უშიში ვითარცა უხორცო“. ქართველებმა ძალიან დიდი ზარალი მიაყენეს მტერს და გაიმარჯვეს. ბასილი იმპერატორი უკვე გაქცევას აპირებდა, მაგრამ ქართველებმა ვერ შეინარჩუნეს წარმატება.

მეფე გიორგი თრიალეთში გამაგრდა. ამ დროს 19 წლის მეფეს მიეშველა კახეთ-ჰერეთის ჯარი. ბიზანტიის კეისარმა უკან დაიხია და ტრაპიზონისკენ წავიდა ძალების მოსაკრებად, დასასვენებლად და გამოსაზამთრებლად. უმოწყალო ბასილი გზად ანადგურებდა ქართველთა დასახლებებს კოლაში, არტაანში, ჯავახეთში.

ტრაპიზონში მყოფ ბასილისა და მეფე გიორგის შორის დაიწყო მოლაპარაკება. მეფეები ერთმანეთს სწერდნენ ზავის პირობებს. ამ დროს, გიორგი მეფე ცდილობდა, დროის გაწელვას და ახალი ძალების მოკრებას. ასევე, იმედი ჰქონდა აჯანყების, რომელიც მზადდებოდა ბიზანტიაში დიდებულების, ქსიფესა და ფოკას მეთაურობით.

თუმცა, კეისარმა მალე შეიტყო აჯანყების ამბავი, შეიპყრო შეთქმულები და სიკვდილით დასაჯა. ფოკას მოჭრილი თავი კი ქართველ მეფეს გამოუგზავნა, შენი საქმიანობის ყველაფერი ვიციო. ამ დროსვე დასაჯეს სიკვდილით გიორგი მეფის დის ქმარი, ფერის ჯოჯიკის ძე, აჯანყების მონაწილე.

ორი წელი გაგრძელდა ომი და მოლაპარაკება. გიორგი მეფე ისევ ყველაფრისთვის იყო მზად. მისი ჯარი, ზვიად ერისთავთ-ერისთავის მეთაურობით, ბასილის ჯარის წინ იდგა საქართველოს სიღრმეში შემოსვლის შესაჩერებლად, ბასიანში. თუ ბასილი დაიძვრებოდა საქართველოსკენ უნდა შებრძოლებოდნენ. ბასილი მზად იყო ზავისთვის, მაგრამ ქართველთა სარდლობამ გადაწყვიტა, შებრძოლება მოულოდნელად და მისი ჯარის ნაწილი გააქციეს კიდეც.

შეშინებული ბასილი ბულგართმმუსვრელი თითქმის ღვთისგმობამდე მიიყვანა გიორგი მეფის ჯარის სასტიკმა შემოტევამ. მოაბრძანებინა წმიდა ჯვარი, ხატი და განწირული ყვიროდა თურმე, ბულგართა გამანადგურებელი:

თუ ჩამაგდებ მტრის ხელში, აღარასოდეს ვიქნები შენი თაყვანისმცემელიო და შუბზე წამოაცვა გიორგის წერილი, თითქოს ღმერთს აჩვენებდა.

ბედის სასწორი ისევ ბერძენთა სასარგებლოდ გადაიხარა.

ქართველები ისევ დამარცხდნენ და დიდი ზარალიც განიცადეს.

თუმცა, რაც ბიზანტიამ მოსწია ბულგარეთს და სომხურ სახელმწიფოებს, ქართველთა მეფეს ვერ გაუბედა. გიორგის პირველის სამი წლის ვაჟი კეისარმა მძევლად ითხოვა ორი წლით. ასევე, მძევლად წაიყვანეს გიორგი მეფის დაც, ფერის ჯოჯიკის ძის მეუღლე. მას თან ახლდა მცირეწლოვანი გიორგი მთაწმინდელი.

გიორგი მეფეს მოუწია მძიმე საზავო პირობებზე დათანხმება. ბასიანი, ტაო, კოლა, არტაანი და ჯავახეთი დაიკავა ბასილიმ. თუმცა, ამ ტერიტორიებზე ზოგიერთი სოფელი და მონასტრები ისევ ქართველ მეფეს დაუტოვა გამარჯვებულმა ბასილიმ. საქართველოს სიღრმეში ბასილი არ დაძრულა. არც სამეფოს მემკვიდრეობით გადაცემა უთხოვია. მისი არმია ძალაგამოცლილი იყო და თან, სხვა სიურპრიზებისაც ეშინოდა.

1027 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა გიორგი მეფე, 25–26 წლის ასაკში. შეიძლება, ვივარაუდოთ კიდეც, რომ ასეთი ახალგაზრდა, ის ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა და ამაში მისი მტრის ხელიც კი ურევია.

**გიორგი მახოზეშვილი**

**იშვიათია, გადარჩენაზე ჩაწერილი ინტერვიუ კარგი გამოვიდეს, თუ რესპონდენტი ზუზუ ბეჟაშვილი არ არის.**

**როცა ადამიანს სამი გადაღება და რეპეტიცია აქვს და, კიდევ, ჟურნალისტის აკვიატებაც ემატება – ჩაწეროს ინტერვიუ შესვენებიდან შესვენებამდე და თითო ყავის დალევაზე თითო კითხვაზე გასცეს პასუხი – ეს ორივეს მხრიდან სიგიჟეა, თუმცა, ეს სიტყვა ჩემი რესპონდენტის ტიპურობას უსვამს ხაზს და მის ყოფას გამოხატავს.**

**ნიჭიერი მსახიობი თუ მოცეკვავეც ასეთივე აღმოჩნდა, მაშინ, მოგება გარანტირებული აქვს.**

# ვინ გახდა ზუზუს ცხოვრების თანამგზავრი და რატომ გადაწყვიტა მისი ბედი ერთმა ჩახუტებამ

**– ახალ სეზონზე რა სიახლეები გაქვს?**

– ჩემთვის სიახლე ის არის, რომ, ოთხთვიანი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, ჰიპერაქტიური დავუბრუნდი ჭეშმარიტ ხელოვნებას *(იცინის)*. სამაგიეროდ, ეს პაუზა საჩემოდ გამოვიყენე – მე ხომ ისედაც ყველაფერს ჩემს საკეთილდღეოდ ვიყენებ და, ამ პერიოდში ბევრ რამეზე დავფიქრდი. წარსულში ქექვა არ მიყვარს, თუმცა ზოგჯერ საჭიროა, ცოტა ხანს გავჩერდეთ, დავფიქრდეთ და გავაანალიზოთ: რა გავაკეთეთ სწორად, სად და რაში დავუშვით შეცდომები, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა და არ გავაკეთეთ. ამიტომ, ჩემთვის ასეთი პაუზა ყოველთვის ნაყოფიერია; თან, მე ხომ ნახევრად ვაფრენ და, რასაც ამ პერიოდში ვკითხულობდი თუ ვუყურებდი, ვფიქრობდი, ამა თუ იმ გმირს მე როგორ ვითამაშებდი.

**– კიდევ რა შემოთავაზებები გაქვს?**

– უამრავი. დავიჩხვლიტე ამდენი ქასთინგებით და ყველგან დადებითი პასუხია, მაგრამ, ფიზიკურად ჯერ არცერთი გადაღება არ დაწყებულა. გამოდის ისე, რომ ყველაფერი ერთდროულად იწყება. ზოგადად, ცხოვრებაშიც ხომ ასეა: ერთბაშად მოდის, თავზე საყრელად გაქვს საქმე და მერე ერთბაშად ყველაფერი ქრება.

**– ანუ, ოქტომბრიდან აიშვებ ალვირს?**

– ასე გამოდის. კითხვა – „დიდხანს ფიქრობდი?“ – მაგიჟებს. მე არასდროს ვფიქრობ დიდხანს – ან მინდა, ან არ მინდა; უბრალოდ, ცეკვა ისეთი ადვილი არ აღმოჩნდა, როგორიც მეგონა. ახლა თუ მკითხავთ, ვნანობ თუ არა, გეტყვით, რომ, ერთადერთი, რასაც ვნანობ, ის არის, რომ თეატრალურში ცეკვის გაკვეთილებს ვაცდენდი.

**– გამოდის, რომ გამოცდილება არ გაქვს?**

– არა მაქვს. ერთადერთი, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ თეა გოგეჯიშვილმა „ვერნისაჟში“ მიმიწვია როგორც მსახიობი და არა მოცეკვავე, სადაც მიუზიკლ „ბიჭაგოში“ მივიღე მონაწილეობა. ვთამაშობდი ბილის როლს და იყო მოძრაობების სრული იმპროვიზაცია.

**– ადვილად გაითავისე ახალი ამპლუა?**

– ქუჩაში უკვე ცეკვა-ცეკვით დავდივარ; კლუბში შევდივარ თუ პანაშვიდზე, ფეხის მოძრაობის რიტმებს ვითვლი.

**– რას ელი ამ პროექტიდან?**



დავიჩხვლიტე ამდენი ქასთინგებით

– საერთოდ, დღევანდელი დღით ვცხოვრობ; ვცხოვრობ და ვკაიფობ დღევანდელი სიტუაციით, რომელიც მინდა დიდხანს გაგრძელდეს და ამან შედეგი გამოიღოს, თუმცა, არც მოგებაზე ვარ ჩაციკლული და წაგებასაც ადეკვატურად აღვიქვამ. ვერ ვიტყვი, მოგებისთვის ბრძოლას ვაპირებ, ომს

**ვცხოვრობ და ვკაიფობ დღევანდელი სიტუაციით, რომელიც, მინდა, დიდხანს გაგრძელდეს და ამან შედეგი გამოიღოს**

გამოვაცხადებ და კონკურენტებს დავხვრეტ-მეთქი, მაგრამ, როცა რაღაც არ გამომდის და უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავის, ტვინს დავანთხევ, რომ ის ბოლომდე კარგად გამომივიდეს.

**– კონკურენციის თემას როგორ უყურებ?**

– ყველასთან ისე დავმეგობრდი და იმდენად კარგ ურთიერთობაში შევედი, რომ, მაგრად მეგონიმება კონკურენციაზე საუბარი. იოანესთან ან ვიკასთან რა ბოროტებები უნდა ვაკეთო?

**– მაგალითად, სცენაზე მძივები დაუყარო, რომ ფეხი აუცურდეთ.**

– აუ, როგორი ბოროტი ფანტაზიები გაქვს, ხვდები?! *(იცინის)* წინა პროექტებში რაღაცეები ხდებოდაო, ამბობენ, მაგრამ, არა მგონია, ჩვენთან ვინმემ რამე ინტრიგანობა დაიწყოს. ჯერჯერობით მიხარია, ვიღაცას რაღაც კარგად რომ გამოდის და, მერე ვნახოთ, მაგრამ, ჩემი მხრიდან გამორიცხულია, იმიტომ, რომ ყველას „ებალელშჩიკობ“... ნუ, ყველას ერთნაირად არა, მაგრამ, არიან მონაწილეები, ვისაც მაგრად ვგულშემატკივრობ და ისევე გამიხარდება მათი წარმატება, როგორც საკუთარი.

**– აზარტული ხარ?**

– მე მეკითხები მაგას? ადამიანს, რომელმაც ყველაფერი წავაგე? აზარტული ვარ, ოღონდ, ზარმაცი. საქმის კეთება არ მეზარება, მაგრამ, საქმემდე უნდა მივიდე. მაგალითად, ჩემი ყველაზე დიდი პრობლემაა დილით ადგომა და, თუ ვდგები, ადამიანს არ ვგავარ.

**– ცხოვრებაში რით ხარ უკმაყოფილო?**

– ყველაფერი გაძვირდა, ყველაფრის ფასმა მოიმატა, მსახიობის ჰონორარის გარდა, აი ამით ვარ უკმაყოფილო; კიდევ იმით, რომ ზოგადად ხელოვნების სფეროს არ ექცევა სათანადო ყურადღება. ამას პოლიტიკურ ჭრილში არ ვამბობ – პოლიტგანცხადებები არ არის ჩემი სტილი, მაგრამ, მინდა, რომ ამ კუთხით წინსვლას ვხედავდე. მინდა, განვითარდეს და მიეხედოს ამ საქმეს, თორემ, რასაც ვხედავ, უკან-უკან მიდის ამ კუთხით.

**– პირად ცხოვრებაში როგორ გაქვს საქმე?**

– რა პირადი, თუ ძმა ხარ! შემომხედე – რძიან ყავას ვსვამ და მწვანე ვაშლს ვჭამ... კატა მყავს პირადში და ეს არის სიახლე. ვერიკო ტურაშვილისგან მოვდიოდით მე და მაია კაჭკაჭიშვილი და, დავინახე, გზაზე გადასვლას ცდილობდა შავ-თეთრი „დვარნიაშკა“, ჯერ თვალებაუხელელი კნუტი. ხელში ავიყვანე, რომ გადამესვა და ჩამეხუტა; რომ ჩამეხუტა, მეთქი – „სადაც შენ, იქაც მე, ერთად წავალთ“ *(წაიმღერა)*. ჰოდა, კატა გახდა ჩემი ცხოვრების თანამგზავრი.

**– გიყვარს ცხოველები?**

– არ მიყვარს ადამიანები, ვისაც არ უყვარს ცხოველები; ასევე, მეზიზღებიან მონადირეები. არ მესმის, რა სიამოვნებაა, როცა კლავ შველს – შემიძლია, ის მონადირე იმ შველს დავაკლა.

**ბესო მახარაშვილი**

ხ38/38
F 1267
2014


გვ. 82

...ოგორ ანებივრებს ყოველ დილით
...იგა კვენეტაძე თავის რჩეულ
...ოგონას და რატომ უძღვნის ის ყოველ
...ადადგმულ ნაბიჯს ბიზნესმენ საცოლეს


გვ. 71

...ოგორ დაიწყო ქართველი ადვოკატის
...ამსახიობო კარიერა ცნობილ
...თურქულ სერიალებში და როგორ
...ტარებს ის თურქ მსახიობებთან
...რთად 17 საათს გადასაღებ მოედანზე



როგორ იცეკვა პირველად
საქართველოს ისტორიაში
ქართველმა წყვილმა
მსოფლიო ჩემპიონატზე
და როგორ მოუგეს მათ
ცნობილ და საუკეთესო წყვილებს

გვ. 74

საქართველო ბეჭედია ბაჯ... ო და თბი... ბადახში
# თბილისელები®
...ველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * 6 – 12 ოქტომბერი * №40 * ფასი 1,50 ლარი
www.tbiliselebi.ge